

№3-4 (15-16)-2017

රජයට





„ԵՏԴՏԻՈՂՐՈՒ ՏՈՒՆ ԴԵՂ“

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი უყრნალი

არაჰი

უყრნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამცხე-
ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

№3-4 (15-16) 2017

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოდგილე - მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

სარედაქციო საბჭო: გიორგი ბუცხრიკიძე
ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
მალხაზ ლომსაძე
ვასილ მამულაშვილი
ლერი ნოზაძე
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
რეზო შეროზია, ზუგდიდი
ზაირა კელოშვილი, ათენი
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი

უცხოეთთან თანამშრომლობის
ბიურო: ლალი ბერიძე
მაია ქუქჩიშვილი

მხატვრები: ბექა კობაძე
ლელა ფერაძე
ნანა ყორანაშვილი
თამარ თამარაძე

მდივანი - ზაირა გელაძე
მენეჯერი - ნონა საანიშვილი

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017
ISSN 2346-836X

პოეზია

ტარიელ ხარხელაური



მე დავიღალე მისტიური ცათა ყურებით
ჩემი მზერა ცათა მიღმა ახლა ფრთხილია,
დანყვეტილია ჩემი ნების საფეხურები
და ჩემი ლანდი წელში მკვეთრად გადახრილია.
დავრჩი ქარის და ნისლიანი მთების ამარა,
თუმცა, რა მთების - მთები ჩემი თეთრი ძვლებია,
ჩემი ხმაური მეტისმეტად არის თამამი
და ეს ხმაური, სამწუხაროდ, გადამდებია.

ვინევ მუდმივად ზემოთ,
ვინევ, მუდმივად ვჩქარობ,
უშენოდ?! არა, მზეო!
უშენოდ არა! ქარო.
სივრცეს მძლავრი ჰკვეთს ფრთები,
იცვლის სამყარო იერს,
მაგრამ უთქვენოდ?! მთებო,
გამიჭირდება ძლიერ.

გამიჭირდება, სადმე
ყვავილთ ვერ მოვკრა თვალი,
უნდა მუდმივად მწვავდეს
მზე თოვლისფერი ქალის...
სულო, მუდმივად ზემოთ,
სულო, მუდმივად ვჩქარობთ,
უშენოდ - რატომ მზეო!
რატომ უშენოდ - ქარო!

მოდით ამ ღამით, ჩემთან მთვარეა,
მთვარე ჩუმი და მიუსაფარი,
მოდით, მზედ მოდით, მზეო მარიამ!
ჩემი სამყაროს ზურგი დასძარი.
მოდით, მდუმარე აჰყარე მთები,
ცრემლად ჩამკიდე კლდეებზე ფრიალოთ,
მოდით, ჩემს სხეულს შეასხი ფრთები -
ქარში გავიდე სახეტილოდ.
მოდით, ძვირფასო, მთვარის ამარა
ნუ შემატოვებ ამ ცბიერ ღამეს,
თორემ ამ სივრცეს - როგორც სამარეს
ჩემს შესახვედრად ვარსკვლავნი რთავენ.

წვიმდა გუშინწინ, იწვიმა გუშინ,
იწვიმა დილას, ხვალეც იწვიმებს...
შენს ფრენას წვიმა განა რას უშლის,
ნაღვლობ, ბელურავ და მოიწყინე?!
ოღონდ გაშალე სუსტი ფრთები და
შენს მხრებზე მზეთა შუქი იბრწყინებს,
ჩამომიტანე ნისლი მთებიდან
და მკლავზე ფრთხილად წამომიწვინე.

არ დამდგარა, არ დამდგარა, ნეტა,
გვირილათა აყვავების ჯერი?!
ქარია თუ ხმაურია დღეთა -
ქარია თუ - დედამინა მღერის...
აღსდექ, სულო! სასწაული მოხდა -
შენ ერთადერთს კოსმიური ფერი
შეგმოსავს და უკვდავად გქმნის მოკვდავს...
დედამინა! - დედამინა მღერის...
შენს სივრცეში გაიშლება მერმისს,
თუ რამ ფერი მოიხილეს თვალთა...
დედამინა - დედამინა მღერის...
დედამინა, დედამინა მართლაც...

მივიდა, მივყევ დილის მზეს,
სუნთქვა შესწყვიტა ქარმაო,
ზურგი მაქცია პირიმზემ
თვალი არ შემომყარაო,
შებრუნდა, ვითომ ზურგსუკან
მთვარის ნალევი მდგარაო...
მოხურა გულის კარები –
რა ცივად დამიჯარაო,
ვინ შეუცვალა გუნება
ნეტა - ვინ გამიჯავრაო...

სულ ცეცხლი უნდა მეკიდოს,
სულ ცეცხლში უნდა ვბრუნავდე,
სისხლი მდიოდეს ბეჭიდან -
თვალეზსაც სისხლსა ვწურავდე,
რა გასძლებს, იავ, რა გასძლებს
უშენოდ გაზაფხულამდე.
რა გასძლებს, რა დიდი დროა
და რამხელაა მანძილი,
მეხვევა შავი ღრუბელი,
რა სველია და რა მძიმე,
გულს მიფქვავს გულის ვარამი,
ვერ მომიცლია საძილედ,
ალარცსად არ ჩანს პირიმზე,
სხვა ყვავილებმაც გამნირეს.
ხან თუ ფრთას გამკრავს გრიგალი,

გარინდულს ნამომანივლებს,
თვალცრემლიანი შევყურებ
კლდისფხაზე დამსხდარ არწივებს,
ვერც იმათ რა ჰქმნეს ყეფითა -
ღრუბლებს ვერ ჩამომაცილეს,
დილას სალამი რომ მითხრა
მზემ - თავი ოდნავ ავნე...
იქნებ დროც არის, სანუთროს
კარებს ქრიალით ვხურავდე,
არაფრის ფიქრი არ მქონდეს,
არც არავისზე ვზრუნავდე
და მხოლოდ თეთრი ნისლივით
მთების გარშემო ვბრუნავდე...
შენ თუ ვერ გნახავ, დობილო,
რა გასძლებს გაზაფხულამდე.

„თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია“,
ჯანსუღ ჩარკვიანი

ვუყურებ მამულს -
ცრემლი ჩამომდის,
მიზეზს ცრემლისას მთები ხვდებიან,
„თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია“.
გულში გაჩხერილ შხამიან ეკალს
ღირსია, გული გულში დავტოვოთ,
„დუმილი რეკავს, დუმილი რეკავს“ -
ჩვენ კი დავყრუვდით, ჯანსუღ ბატონო!
ჩვენ კი დავყრუვდით და დროც ყრუვია,
„არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ -
სამშობლოს ზეცაც დათალხულია
და საქართველოც დგას თავდახრილი...
ისევ იმედი უფლის წყალობის,
ლოდინით ფიქრი გამთეთრებია,
„თავისუფლება ჩვენთვის არ მოდის -
თავისუფლება ლომთა ხვედრია“.
ჩამოიღალა და სისხლიც გაცვდა,
ალარც სიცოცხლე აღარ მნადია,
ჯანსუღ ბატონო! - კაცების ნაცვლად
ნაკაცარები ჯოგად დადიან.
ყველა თახსირი, ყველა მლიქვნელი
დღეს ჩვენს სამშობლოს შემოესია,
ვაი, მამულო, ეს რა გიქენით,
ეს რა გიქენით, ღვთის ეკლესიავ!
ყველა ნერვიდან ცრემლი ჩამომდის,
დანყდნენ ძარღვები, მზეში ხმებიან -
„თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია“.

მე ვდგავარ ახლა სიკვდილზე მაღლა
და სიცოცხლეზე ბევრით ვარ ზემოთ,
ის - რაც ვარსკვლავი ცის ზურგზე გალღვა,
შენში განსახლდა, სხეულო ჩემო.
რაც კი შორეულ პლანეტებს მოსწყდა,
ჩაიფერფლა და ჩანავლდა შენში,
ვიდრემდის მზეთა ხანძარი მოგწვდა,
შენ განასრულე მსოფლიო შეშლა.
ამაღლდი სულო, ამაღლდი სულო,
მოჰფინე ბინდი ნათლის მოფენით,
არც არა რაი არს უსასრულო -
ცხოვრობს და ქრება წუთისოფელიც...

ახლა შეშლილი ვარ - აღიარეთ,
თორემ ჯავრზე ჯავრი მემატება,
ქარო, ნეტავ შენ რა გაღრიალებს -
მე თუ სიყვარული მენატრება.
მთებზე ნისლნი დიან შეთხელებით,
მთები ცივია და თოვლიანი,
ქარო, ასე რატომ მეფერები,
დღეს ხომ აღარა ვარ მგლოვიარე.
მზეა ღრუბლებს იქით მიმალული,
შუბლზე თოვლის მანევს ანაცერი,
ქარო, რატომ მავსებ სინანულით,
ქარო, აღარ მჯერა აღარც ცრემლის...
ვდგავარ ყველაფრისგან გაძარცვული,
ხვალ ეს სინათლეც შემატყდება,
ქარო, მენატრება გაზაფხული,
ქარო, სიყვარული მენატრება.

პოეზია

ეკა ბაქრაძე



„ზარღობითობის თეორია“

შენელებული კადრებივით გარბიან თვალინინ...
და როგორც წინათ, ოდესლაც, უნინ...
ვაერთმინიშენელებ მთელსა და ნანილს,
რომ განვასხვავო კენტისგან ლუნი...
ვერ ამოვიღე კვადრატული ფესვი ფრჩხილიდან.
ვერ ამოვხსენი იგრეკები და ვერც იქსები...
სხვისი ჭირივით გამოჩრილა ლობეს ჩხირი და...
ფერდებზე მიმხმარ ნეკნებივით, მტკივა ლექსები.
განტოლებებით მამბნევს ალგებრა.
წრეთა სისავსით, გეომეტრია...
ამ ცხოვრებაში გზა თუ აგებნა,
ჩათვალე, ყველა რიცხვი კენტია...
თუ შესაკრებთა გადანაცვლებით,
ნაკრების ჯამი მაინც იცვლება,
უსასრულობის ზღვარს რომ გასცდები,
მართლა გაგიჟდე ხომ შეიძლება...
ერთუცნობიან განტოლებებით,
ვშიფრავ უმაღლეს არითმეტიკას -
რაციონალურ რიცხვთა მეტრიკას...

რა არის ყოფა და მატერია!
 რიცხვების ელდა და ისტერია.
 და წილადების წინადადებით,
 სამყაროს თხემზე მიდევს ხელები...
 თუ მთელზე ერთი მეთავედით მაინც მეტი ხარ,
 მაშინ შენს სულშიც არსებობენ შავი ხვრელები...
 პრაქტიკულად ხომ ეს ყველაფერი,
 ხუთი თითივით გასაგებია,
 „ფარდობითობის თეორია“ კი,
 იმ ცხრაკლიტულის გასაგებია,
 ღვთიურ ნაწილს რომ ახლდა უწინ
 და რომლის მიღმა ილუზიაა
 თვით აბსოლუტი, კენტი და ლუნი...
 -ეს ყველაფერი პარადოქსია,
 -ან სიმართლეა,
 -იქნებ მითია?!
 ყოფიერების პირობითობაც,
 ალბათ სამყაროს ფარდობითია!!!
 აღარც ფიზიკა,
 აღარც ალგებრა,
 -ამ ცხოვრებაში, გზა თუ აგებნა....
 ირეალური კითხვების ასხმას,
 თავისებურად ვუძებნი ახსნას...

ჩემს სავალ ბილიკს
 ბურუსი მოსავს,
 არ ვარ არცერთი
 კარის პოეტი!
 დამიგვიანდა,
 ეტყობა, მოსვლა,
 ანდა ძალიან
 ადრე მოვედი!

წარსული ისევ
 წარსულში ჩარჩა,
 შეაცვდა ფარჩა
 სიზმრის მანტიებს,
 ამ ჰორიზონტზე
 საშველი არ ჩანს,
 და ის ბავშვობაც
 არ მაპატიეს!..

ქალაქი

ო, ეს ქალაქი ისე მომწყინდა,
ატანა არ მაქვს ახლა დანახვის...
გულზე ღილივით, უცებ მომწყდი და
ველარ გიპოვე მტვერში ნამარხი...
ყრუ ნაბიჯების ტვერში გადაღლილს
ნამოგედება ქარის ფოცხები.
ამალამ ქალაქს ქარი გადაგვის,
შენც უმონყალოდ გაიცოცხები...
ქალაქი კუშტად მოგამტერდება,
უკან წაიღებს ყველა დანაპირს,
ასე, ვინ, ვის, სად გაუჩერდება!..
ალარც შენ აღარ გიხსნის დანა პირს...
გარბიხარ... უკან შლეგივით მოგდევს,
კვალში ჩაგიდგა შენ და განა ღილს?..
ოჰ, ეს ქალაქი რალაცას ბოდავს,
და ყურის გდებად, მართლა, არა ღირს!..

მარადიულს და წარმავალს შუა
შევხარით ტაძრებს, საყდრებს, მონასტრებს
და პურის ერთი გამხმარი ყუა
გვიმანიერებს სულის კონტრასტებს...
და მიწიერებს ცხოვრების გამო,
მარადიულს და წარმავალს შუა,
არ გვავეწყდება იმ პურის გემო...
ტაძრის გარშემო ბურუსი თუა...
ხანდახან, როლსაც მოვირგებთ იღბლად,
მარადიულს და წარმავალს მიღმა,
შემოვიბურავთ შარმად და ნიღბად -
სიტყვას... ისევ და ისევ სიტყვებით,
ვანონასწორებთ გადახრილ პინას...
ვიღაცამ უკვე აწონა სწორად...
გრდემლივით, სიტყვაც გრგვინავს და გმინავს,

- 10 -

„სიზღი“, 2017, 3-4 (15-16)

მაგრამ, ვაი, რომ მეციხოვნეებს
სათოფურებთან ღრმა ძილით სძინავთ.
მარადიულს და წარმავალს შუა
ვლოლნი იმედის გამომხმარ ყუას...

აპრილამდე

ვინ ამოხსნა ბედისნერის შარადა?
დროც გავიდა, როგორც ენკი-ბენკი...
არადანი შენი იყო... არადა,
თავს გახსენებს ამოცლილი ნეკნი.
არჩევანი, ალბათ ჩემი ბრალია,
შეჩვეულმა იცის შემორჩენა...
ჩაილურის წყალი კი არ დალია,
გაზაფხულმა ამოიდგა ენა!..
და აპრილიც, ვიცი, გრძნობის ქალია,
მარადიულ ვალად ადევს ნეკნი.
სიჭაბუკე, ჯერაც, ჩაუმქრალია,
არგათვლილა, ჯერაც, ენკი-ბენკი...
ვიდრე მარტი რტოებს ამურს არიდებს –
ჩემი ჩუმი ერთგულების მოწმე,
აპრილამდე გულისამონარიდებს
გაუმხელელ ბარათებად მოგწერ...

ჩემი ორეული ანუ ავატარი

ხომ შეიძლება ოდესმე, სადმე,
ანაზღად, გზაში გადაგეყარო?
რას იზამ მაშინ, სად შენ და სად მე...
არ გამიკანრო სული, ეკალო.
ცვრიანი ვარდი და მირიადი
დარდი უსიტყვოდ აყოვნებს ამ წამს,
სიჩუმე სულში ხმაურით დადის,
ცრემლი ყულფივით ეფსკვნება წამნამს...

წვიმის წვეთებად შეაშრა ღამე
სუნთქვით დაორთქლილ სარკმელს მინაზე,
დავრჩით პირისპირ ის ქალი და მე –
გველის სიბრძნე და ვარდის სინაზე...

ნარნარა ქვაზე

*„მარჯვნივ ნახვალ – დაილუპები,
მარცხნივ ნახვალ – დაილუპები...“*

დაილუპები, თუ მარჯვნივ ნახვალ,
მარცხნივ ხომ, მარცხი გარდუვალა.
რადგანაც უკან წამსვლელი არ ხარ,
არც წინ ისწრაფვი ასე ძალიან,
გზაჯვარედინზე უსიტყვოდ დგახარ,
არ იცი, რა და რისი ბრალა...
ან რუბიკონი ვინ გადალახა,
ვინ ჩაილურის წყალი დალია?
ვილაც მხდალია და ლაჩარია
და საკუთარი სისხლი აშინებს
და ცოდვას სჩადის ჯერ არგაგონილს,
ძალზედ უარესს, რაღაც საშინელს!
შენ კი... ზღაპრიდან აგორებულ,
ქვაზე განერილ ორად ორ სიტყვად
ბედისწერა მოგიგდეს და...
კარგად მეყოლე!..
ყელზე ყულფივით გაინასკვა გზაჯვარედინი...
რა შეგაჩერებს? –
გზა, სისხლივით მარად მედინი...
უმისამართოდ აგიყოლიებს
და ჯანდაბაში გაგიყოლიებს!
ვიდრე სიბ ქვაზე დაგანარცხებს
და დაგამარცხებს,
ორად ორ სიტყვას, შეგონებად,
შუბლზე წაგაცხებს:
- თუ მარჯვნივ ნახვალ – დაილუპები,

- თუ მარცხნივ წახვალ – დაილუპები!
როგორც სიამის გონჯი ტყუპები,
ისე შეზრდილან სიტყვებს სიტყვები,
გზაჯვარედინზე დგახარ და ფიქრით
დაუსაბამო სივრცეს მიჰყვები...
გზა გახსნილია...
ოთხივ კუთხივ გიხმობს სავალი,
მაგრამ სად არის „არსაიდან“ გამოსავალი?!
მარჯვნივ თუ მარცხნივ? უკან? წინ?
- საით მიემართები, გზაო, მითხარი?
გაურკვეველი, გზაზე წარწერით,
უგზო-უკვლო და წაუკითხავი...
- აბა, რა გითხრა, რით განუგეშო,
შენ, თავო ჩემო, რით გაგახარო?..
თუ საკუთარი ღერძის გარშემო
ბრუნავს სრულიად შენი სამყარო...
თუ ისევ თრგუნავ იჭვის ბაცილებს
და რწმენით ცოცხლობ...
ცოდვათდაცემის შემდგომ
სასჯელი თუ არ გამძიმებს...
ნუ გეშინია!
პარალელურ სივრცეებს შორის
გაიდო დიდი სინათლის ხიდი...
იმ გზას დაადექ,
მხოლოდ და მხოლოდ,
რომელიც უფლის წიაღში მიდის...
ბოლოს ყველა გზა
უფლისკენ მიდის,
რადგან ყველა გზა
უფალთან მიდის!!!

პოეზია

ივდო ოტობარი



თანამედროვე პოეზია ანუ, როგორ (ვ)ნერ(თ) ვერლიბრს

წერე მაღალფარდოვანი ხარა-ხურა,
სიტყვები აჯახუნე ზურგსუკან მოხურულ კარივით,
და როგორც მავანი ივარაუდებს წამოსვლის მიზეზს,
ასეთივე ვარაუდით წაიკითხავენ იმას, რაც არ ესმით,
მაგრამ არ აღიარებენ.

სად გაგონილა, უბრალო მოკვდავს წაეკითხოს „დიდი პოეტი“?!
ამაზე შენ არ იღარდო, წერე,
როგორი რთულია, „ციცქნა“ სამშობლოში „გენია“ დაეტიო,
განსაკუთრებით მაშინ, როცა რეალობის შემხედვარე ღმერთებიც
ლოთობენ.

შენ გინდა ჭეშმარიტ ვერლიბრზე ისაუბრო
და ამავდროულად დალიო პოეზიის სადღეგრძელო.
ეს ერთადერთი შემთხვევაა,
როდესაც განსხვავებული რამეები არ მიიზიდავენ ერთმანეთს.
აქ მარცხდება ფიზიკის რომელიღაც კანონი,
თუმცა, დიდი ხანია, კანონები აღარ გადარდებს.
არც ის, რასაც წერ, რადგან იცი, რომ ჩვენს დროში
არ აქვს მნიშვნელობა, როგორ წერ,

მთავარია, ვინ წერს.

გაგიმართლა, ერთ-ერთი მათგანი ხარ, ვინც მინის მიყრამდე
ალიარეს.

შენ იცი, რომ ჩარჩოდან გასული ტექსტები ვერასდროს აჯობებს
პოეტურ წესრიგს,

მაგრამ წერ, უფრო სწორად, კერავ.

შენ თანამედროვე მკერავი ხარ,

გადაკეთებაში კარგავ დროს ან იქნებ თავსაც, ვინ იცის!

პროზას სტრიქონებად დაალაგებ და ამბობ: მზადაა, მისიე,
ესეც ლექსი, ანდა პირიქით.

ხანდახან გლლის უარაფრობა და ცდილობ, რაღაც შეცვალო,
ზვაკივით უკან მოგყვება ჩიტობის მსურველი თავუნას ხვედრი.

აცნობიერებ, რომ ფრთებით იბადებიან

და მწერალთა კავშირს იმ პარფიუმერულ მალაზიასავით ხშირად
აკითხავ,

სადაც ქიმიური საშუალებით ნაოჭების გასწორებას შეგპირდნენ.

„ხშირად უნდა წაისვა, ასე და ისე უნდა ამოძრავ

თითები“... – იმეორებენ დაუღალავად,

რაც ძალიან ჰგავს ფრაზას: „წერე ბევრი, მალე წერას ისწავლი“.

შეგენიოს მართლა დიდი პოეტის სახელობის პრემია.

ამინ!

რა უსამველო დღეებია, თეთრი დღეები,
კარგ მოგონებებს, ცუდთან ერთად სკივრში ვალაგებ,
გადავრჩებოდე ამ სიჩუმეს, მერე შევძლებდი,
რომ ტკივილებზე ერთხელ მაინც მელაპარაკა
უმაკიაყოდ, ან გამეშვა ჩემი გულიდან
ის, რაც მანუხებს, შინაგანად სიმშვიდეს მაცლის,
დაობლდებიან, მხოლოდ ბარგით ყოფნა რთულია,
თან წაიღებენ ყველა ნანახს, ნაფიქრს და განცდილს.
ღმერთო, ხომ ხედავ, სიმარტოვე მასწავლე მხოლოდ
ჰოდა, მეც ვსწავლობ, გეფიცები თვალებს ცრემლიანს,
არა, არასდროს მოელებათ ღამეებს ბოლო,
როდესაც შავი უკვე ჩემი სულის ფერია.
შენთანაც აღარ მომესვლება, იქირქილებენ

მცნებანასწავლი, ზედმინწევნით ლოცვის მცოდნენი,
აჰა, თქვენ ჭკუა-დარიგება მუქთად ინებეთ,
სწრაფად აიღეთ, ვინაიდან ველარ მოვცდები
თქვენთვის და მერე ფორმალურად ცივი შეხება,
წასვლა-წამოსვლა სხვადასხვა გზით, ორი სიმართლე,
საკუთარ თავთან დარჩენილი დარდთა მეფე ხარ,
დატუქსულ ბავშვის მსგავსად მერე თავსაც იმართლებ
ფიფქთან, წელან რომ მიეხეთქა ფანჯრის მინაზე,
უხმო ყვირილში ჩაატია მთელი სინაზე...

წვიმს!

უშენობას ამ ამინდში უკეთ ავიტან.

არც სურვილი მაქვს დღეის მერე გამოდარების,
ნუ დაბრუნდები!

მანინც წახვალ ჩემი ზღაპრიდან

მოგონებებიც თავისთავად გამანამებენ.

რადგან არ მინდა ვიყო ვიღაც სათადარიგო,

შენი ცხოვრების ნაწილი, ან თუნდაც შეცდომა,

მსურს, მარტოსულთა მასკარადზე ერთხელ წავიდე,

თუ საამისოდ შერჩენილი ძალა მეყოფა.

შენც დაისვენებ, მიხვდები, რომ ასე ჯობია

უპირველესად შენთვის, თორემ მე ის გოგო ვარ,

ვისი ცხოვრებაც აღარც უკვე ორჯერ ორია,

არამედ რთული განტოლება, ამოება -

ანუ მარტივად არაფერზე არ მაქვს პასუხი,

მხოლოდ პროგნოზი: უშენობა, წვიმების ფონზე.

წადი! თუ შეძლებ, ბედნიერი მანინც იყავი,

სიმშვიდისათვის მინდა ერთი მიზეზი მქონდეს.

შენ ორჯერ უკვე უარმყავი, დაგრჩა მესამე,

გეპატიება, რადგან ქრისტეს არაფრით ვგავარ,

თუმც ნალურსმწვევი ნდობა ამაქვს მხრებით ზეცამდე,

ეს სიყვარულიც ჩამეთვლება ღალატად, ალბათ, შენგან და ვიდრე ჩამიქრება ღმერთი თვალებში, მანამდე მათზე, როგორც ხატზე, ისე ვილოცებ, მე არასოდეს მდომებია, ჩემგან გამეშვი, სწორედ ამიტომ გადმოგხატე სულის ტილოზე... მერე სტრიქონში ჩავაქსოვე ყველა იმედი, რაც ადრე მქონდა, მეგობარო, ახლა სადღაა, ვკმაყოფილდები მონატრების წერტილ-მძიმეთი, აქ საცალფეხო ბილიკია, სხვა გზა არაა. ნუ დაბრუნდები, დავარღვიე ყველა პირობა, რაც არ ყოფილა, ვერ იქნება სევდის მიზეზი, ჩვენს დროში, აბა, ვის სჭირდება გულახდილობა, როცა სიყვარულს ტკივილივით იმიზეზებენ თავის და მერე მიყვებიან ქუჩებს მოწყენით, ეს უგვირგვინო მეფეები და დედოფლები. შენ ორჯერ უკვე უარმყავი, დაგრჩა მესამე, გეპატიება, რადგან ქრისტეს არაფრით ვგავარ, დიდი ხანია, ველარაფერს ვერ ვწერ ზეცაზე, რადგან გიპოვე, ჩემი ზეცა შენა ხარ თავად!

ჰო, მემამბოხე აშარი ვარ და ჩემი გამაქვს, ყოველთვის სადაც გაჩუმებას საჭიროდ არ ვთვლი,, უაზრობაა სამყაროსგან კვლავ შექმნა დრამა ეს უკვე მოხდა, ევამ ქმარი აცდუნა ვაშლით. მერე რა, თუკი შემიძლია თვალებით გითხრა, რომ არ დავიცავ ენამოცლილ ხალხთა კანონებს, ვერ დაითვლება ეს ცხოვრება მისხალ და მისხალ, ერთადერთია, მხოლოდ შენი სუნთქვით გავზომო. ან ნავიყოლო ყოველ დილით თითების სითბო, დავწერო შენზე, როგორც მზეზე ცაზე ღრუბლიან, დიდი ხანია, მეფიქრები, ცრემლებით გითხრობ და ჩემს დუმულშიც დაიჯერე, სხვა ხმაურია, იმაზე მეტი, ვიდრე წვიმის, ანდა ნკავენკავი ლეკვის, რომელმაც უერთგულა პატრონს ბოლომდე, თუმცა, მოუწევს ქუჩა-ქუჩა მაინც წანწალი,

რადგან ნესია, ყველა ერთგულს მარტოს ტოვებენ.
ჰო, მემამბოხე აშარი ვარ და ჩემი გამაქვს,
მხრებზე მოვისხამ არამოდურ ტკივილს მანტიად,
მზებებს ჩავიქრობ ამ თვალებში და ისე წავალ,
მოაჯირამდე, ღმერთო ჩემო, ცოტა მაკლია...

აი, ეს მომწონს, მაგრამ, მგონი, დიდია ჩემთვის...
ის ჩემი ზომა უნდა იყოს, მინდა, მისიე,
ცრემლების მერე კვლავ შერჩება იგივე ფერი?
ვყიდულობ ტკივილს უცნობს და თან არამინიერს.
ვიზომავ - სულზე მომდგარია, მხრებზეც კარგად მაქვს,
ავიღებ, ოღონდ ნუ შეფუთავთ ჭრელი ბაფთებით,
ცხოვრება ყიალს დავამსგავსე ეკლის კვალდაკვალ,
ახია ჩემზე! განსაცდელს თუ ველარ ავცდები;
მაგრამ არავის დავაბრალებ, ბედსაც რას ვერჩი,
ან ამინდები ჩემს განწყობას როგორ შეცვლიან,
არ დავიღლები გულის სითბოს მუდმივ გაცემით,
თუმცა, ხიდების აშენებას ცქერა მერჩია კედლების,
რადგან არსად იყო გზები საჩემო,
ეს იმედებიც დაიკუჭა, როგორც ქალაღდი,
ქარს მოვიხურავ, რათა სული აღარ გაჩვენო,
„მიყვარხარ, გმადლობ, მშვიდობით და არა ნახვამდის!
შენ დაბრუნდები, გეფიცები, დაგაბრუნებენ“.
ნააპრილარი მოგონების ფერთა გამები,
ვერ დაგახვედრებ ბავშვურ გრძნობებს, ჩემო, უვნებელს
და გვირილიან ბილიკებზე ორნი ავცდებით.
სასაცილოა, ყველაფერი არის გვიანი,
როგორც ჩანს, ჯერ არ გიპოვნია კუთვნილი გერდა,
ათასმეერთედ შენთან მოსვლა დავიგვიანე,
ჰო, შენ უყვარდი გოგოს, ჩუმაღ ლექსებს რომ წერდა.

პროზა

გიორგი სოსიაშვილი

უიღბლო

– უკაცრავად, ხო ანერია...

დაბნეული იყურება, თითქო სადმე შეძრომას აპირებდეს, ისეთი თვალეები აქვს. ხან ერთ კუთხეში გაექცევა მზერა, ხან მეორეში, ხან სარკმლისკენ, სქელი ჟალუზით რო ჩაუხერგავთ გზა. იტყვი, რო მოსდევდნენ და უცბათ შემოასწრო, აქ შემოაფარა თავი, მაგრამ აქაც რო მოაგნონ, აქაც რო მიწვდნენ, მერე რა ქნას, მერე სადღა წავიდეს.

– მიღების დღეები ანერია, ბატონო, გუშინ თქვენ არ იყავით?

ისევ დაბნეული იყურება, ახალგაღვიძებულივით უაზროდ აცეცებს თვალეებს.

– თქვენ გეუბნებით, ბატონო... – ქალმა ხმას აუნია. ჟურნალი, მგონი მოდების, დახურა, გვერდით მისწია, წყლით სავსე, წითელ-გულმიხატული ფინჯანიც გვერდით მიახობა, იტყოდი, რო მისაღებოთახში შემოსულ აბუზულ კაცს პირისპირ უნდა შეებასო.

ის კიდევ უარესად დაბნეული, უარესად მზერაგამტერებული დგას.

– გუშინ ხომ იყავით-მეთქი.

ქალს თითქო ვერც ხედავდეს. ჩაგმანულ სარკმელს უმზერს. ცაც არ ჩანს აქედან, თითქო თვალეები აუხვიეს ამ ჩემი ცოდვით სავსე შენობას.

– ვიყავი, ვიყავი, – ძლივს ამოღერდა, – შეიძლება წყალი რო დავლიო?

ქალმა ამრეზით შეხედა, მერე წითელგულმიხატულ ფინჯანს დახედა.

– აღარ არი წყალი, გათავდა. ეზოშია ონკანი. „დაცვა ამათ და ჯანდაბა. საშვი, საშვი ვინ მისცა ნეტავ, ისევ ის გამომტერებული აყლაყუდა მორიგე, როგორ არიგებს ამ საშვებს. ეს თუ არ გაავადებინო!“.

– მე თქვენ მახსოვხართ, – თქვა მობუზულმა და ეცადა, ცოტა გაშინაურებოდა ტანაშოლტილ ტყავის ქვედაბოლოშემოტყეცილ მდივანს, რომელსაც მეშვიდე უფროსი ჰყავდა გამოცვლილი.

– არ არის მიღება, გუშინაც გითხარით, გუშინწინაც, იმის წინაც.

- აა, - თავი დააქნია აბუზულმა, - გუშინნინაც ვიყავი, მართალია, გუშინნინაც და იმის ნინაც. სულ დავდივარ მოკლედ.

- სულ პატარა მახსოვხართ, არა, მთლად პატარა არა, მაგრამ წამოზრდილი, დედათქვენი ხომ მახსოვს და მახსოვს.

- არ არის, ბატონო, მიღება. უცხოელებს ელოდება, - სამი ტელეფონი დუმდა მდივნის მაგიდაზე და აქედან ნაცრისფერი ამლერდა. მდივანს ელვის უსწრაფესად ტელეფონისკენ გაექცა ორივე თვალი, მაგრამ ნაცრისფერი ტელეფონის ბგერებს დიდად არ აუფორიაქებია. ყურმილს დასწვდა და რამდენიმე წამი დახარჯა რომელიღაც შიდა სამსახურის წარმომადგენლისათვის პასუხი რო გაეცა.

- არა, არა დღეს არა, ხვალ 12-ზე.

მობუზული ვერაფერს მიხვდა, ან დღეს რა არა, ან ხვალ 12-ზე რას შეჰპირდა.

- დედათქვენი მეთქი... - ყურმილის დადებისთანავე გააგრძელა.

- რა დედაჩემი, - თვალეები წამოენთო.

„დედის ხსენებაზეც კი ბრაზდებიან“, - გაიფიქრა მობუზულმა.

- გუშინდელივით მახსოვს, გუშინდელივით. რედაქციაში მუშაობდა ბულალტრად, შენც იქიდან მახსოვხარ, რალაცაზე ემზადებოდი, რედაქციაში შემოცქრიალდებოდი ხოლმე.

- დედაჩემი ბულალტრად არ მუშაობდა და... უკვე მეათედ ნუ მამეორებინებთ, გადით ოთახიდან, დავილაღე უკვე.

- რამ დაგლალათ? - შენაოჭებულ უპეებში საიდანღაც გაჩნდა ღიმილი, რომელიც კარგა ხანია, მის სახეზე არ გამოჩენილა.

- ეგ თქვენი საქმე არ არის. მიბრძანდით...

- კარგი ქალი იყო ქალბატონი მარინა, ჩემი მოთხრობები ძალიან მოწონდა. მოთხრობებს ვწერდი, ძალიან მოწონდა ხოლმე, ყოველ მოთხრობას კითხულობდა. ძალიან მაგარი ადამიანი იყო, ჰონორარი... მისი ჰონორარით სულს ვითქვამდი, მაშინაც სულს ვითქვამდი... სად არის ეხლა ქალბატონი მარინა?

- ვინ მარინა? დედაჩემს მარინა არ ჰქვია, - ქალი ნითელგულ-მიხატულ ფინჯანს დასწვდა, წყალი მოსვა.

„დედამისი რა გულკეთილი ქალი იყო და ამას ერთი ყლუპი წყალი დაენანა“, - გაიფიქრა მობუზულმა და თვალი ისევ აქეთ-იქით გაექცა, თითქო უკვალოდ გამქრალ ღიმილს დაეძებდა.

- მარინა, მარინა, მარინა, - ჩაილაპარაკა, - „ერთ დროს მოთხრობებს ვწერდი და მოწონდა ქალბატონ მარინას, მაინც რატო უარყოფს საკუთარ წარსულს მარინას შვილი. ჩემ გამო უარყოფს. უკან აღარ

იხვეს. თითქო გახსენება არ უნდა, უფრო სწორად, ძალით ვერ იხსენებს. „დეე, წავედი, დეე“, - ასე იცოდა ხოლმე. „დეე, წავედი, დეე“, - ფიქრი ენას ამოჰყვა.

- რა, დეე, - თვალეში კვესი გაჰკრა მდივანმა.

- არაფერი, არაფერი.

„არ უნდათ წარსული, არ უნდათ მოგონებები, არ უნდათ ძველი ამბების გახსენება და ამის ათასი მიზეზი არსებობს. რას გაუგებ ამ უბედურ დღეზე გაჩენილ ადამიანს. რას ვიფიქრებდი, რო ერთ დროს ის ცქრიალა ბავშვი, რედაქციაში რო შემოიქროლებდა ხოლმე, თავის წარსულს უარყოფდა ჩემ გამო, იმის გამო, მერე არ გამომელაპარაკოს და არ მითხრას, უიი, ვერ გიცანით ნამდვილად, დაბრძანდით რა, ნამდვილად ვერ გიცანით, როგორ შეცვლილხართ, როგორი სხვანაირი მახსოვხართ. კი, მეც წამიკითხავს თქვენი მოთხრობები. არ უნდა, რო სახეზე სინითლემ გადაჰკრას ჩემ გამო. არ არის ის და მორჩა. ხომ შეიძლება იმ მივინყებულები ამბის გახსენება-გამოცნაურებაში უფროსიც გამოვიდეს და საყვედური მიიღოს. რის გამო მერე, ვილაც ბოშუვით სახეგამურულ ნალოთავებ კაცს რო ელაპარაკება და რალაცებს იხსენებს. გამოვა ის უფროსი - ჩემი ბავშვობის ძმაკაცი და თვალეების ბრიალით გადახედავს მდივანს, ამ უცხო მათხოვარს, პირდაღრენილი ტუფლები რო აცვია და სხვადასხვა ფერის წინდები, ზიზლით შეხედავს, თვალეებით მიუგდებს რალაც სათქმელს მდივანს, შიშით რო შარდის რამდენიმე წვეთი გაუვა და ვერც გრძნობს.

მოკლედ...

რალა დროს რედაქციაა, რალა დროს ბულალტერი მარინა და შენი ნაცოდვილარი მოთხრობები. ბავშვობის ძმაკაცი კი არა, იხვის ტოლმა. დაკარგე ადგილი და მორჩა. დადიხარ ეგრე ჩაბნელებულ დარბაზში, გადაჭედილ დარბაზში, ვეება სცენას მიშტერებია პრემიერაზე მოსული ხალხი და ადგილს დაეძებ. სად არის შენი ადგილი, კიბეზეც არ ჩამოგსვამენ. მოვა ერთი სიფრიფანა გოგო და ჩურჩულით გეტყვის, გადით გარეთ, ბატონო, აღარ არის ადგილი.

- კიბეზე...

- კიბეზე არ შეიძლება.

წერილი რო დავტოვო, შეიძლება? - მუდართით სავსე თვალეებით შეხედა მდივანს.

- რა წერილი?

როგორ გაქრა ასე სიბრალული ადამიანში.

ძალით კიდევ როგორ გინდა, შეაცოდო თავი.

– არაფერი წერილი, წერილი არ იცით, რა არის? ჩემი ბავშვობის ძმაკაცია, მინდოდა, მენახა, მომეკითხა, გგონია, რამის სათხოვნელად ვარ მოსული? – სალოკი თითი გაისვა ყელზე, – ასე მაქვს ყველაფერი.

მდივანმა თავი ველარ შეიკავა და გადაიხარხარა, მაგრამ მიხვდა, რო ხმამალა მოუვიდა და ენა ქათქათა კბილებში მოაქცია.

– ერთად გავიზარდეთ. ხო, არ გჯერა, მართლა, მართლა. აეს წერილი დაწერე და თუ გადასცემ...

– არა, მე ვერაფერს გადავცემ...

* * *

„რა ვუყოთ, ცხოვრებამ ჩვენ-ჩვენი გზა მოგვცა, ჩვენი წილი აღმართი. ჩემი აღმართი თითქოს დაუსრულებელი აღმოჩნდა. მივუყვები და არ მთავრდება და სადღაც აღმართის შუაგულში გამითავდა დრო. ვერ ვასწრებ ამ აღმართის ავლას. ვერაფრით ვერ გნახე, ერთი-ორჯერ ტელევიზორში მოგისწარი. ცა გამეხსნა, ვიჯექი და ბავშვივით ვსლუკუნებდი, შენმა წარმატებამ და წინსვლამ ამიჩუყა გული. ვიფიქრე, მივალ, ვნახავ, მოვიკითხავ მეთქი. თან გული მეთანაღრებოდა. იქნებ, აღარც ღირდეს მის ცხოვრებაში დაბეჩავებული, ნაადრევად გატეხილ-დაბერებული, გალოთებული კაცი გამოჩნდეს და ბავშვობის ძმაკაცობის გახსენება დაიწყოს-მეთქი. იქნებ, არც გცალია ამისთვის. ვაითუ, შერცხვეს, ვაითუ, უხერხულობაში ჩავაგდო ეს ამხელა თანამდებობის კაცი-მეთქი. არ მინდოდა, რო ნაძალადევი გაგელიმა ჩემთვის და მოვალეობის მოხდის მიზნით გადაგეკოცნე და მხარზეც დაფარული ზიზლით არ მოგეთათუნებინა ხელი: სად დაიკარგე, სადა ხარ, ეგრე უნდა და ა.შ. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ უთვისტომო კაცის დედა ვატირე. რაღაცნაირად თითქოს შენ შემომრჩი და გული მაინც შენკენ მომიწევდა. მერე ვიფიქრე, არ ეგონოს რამის სათხოვნელად ვიყო მისული და არც ის მინდოდა გეფიქრა, ამას რო ეხლა ფული ვაჩუქო, აქედან ველარ მოვიშორებო. არც ის მინდოდა გეფიქრა, რაღა მაინც და მაინც ეხლა გავახსენდი ამ ჩემისას, ტელევიზორში რო მნახაო. დიდ კაცებს ეჭვები უმძაფრდებათ. დიდ კაცებს დიდი თვალეები აქვთ და ყველაფერი სხვა-ნაირად ეჩვენებათ.

მაინც გამომიწია გულმა. შენ ხო იცი, მე აქ არავინ არ მყავს. ფესვებით სხვა მინას ვეკუთვნი, მაგრამ, აბა, სადღა ვარ წამსვლელი და დამბრუნებელი. რაც იყო, ეგ იყო. ალბათ ასე უნდა გამეტარებინა

ცხოვრება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვილაცის სასჯელს მე ვიხდი. არ ვიცი, ვისი სასჯელია, დედის, მამის, პაპის თუ ბებუის, მაგრამ მე ვიხდი.

დედაჩემის სიკვდილის წინ აღმოვაჩინე, რო მე არ ვარ ის, ვინც ვარ. კი ვხვდებოდი ეჭვებით, მაგრამ... არც მიცდია იმ სულგანათლებული ქალისთვის სასტიკი კითხვები დამესვა და გული მომეკლა. წამომიყვანა, გამზარდა, რას ვერჩოდი. სადღაც შორეულ N ქვეყანაში ავარიაში დამხოცვია მშობლები და მე გადავრჩენილვარ. სახელსაც და გვარსაც გეტყოდი ჩემსას, ნამდვილს, მაგრამ...

მოკლედ... ვერ მოვალნიე შენამდე, ერთი-ორჯერ მოვედი, მაგრამ მდივანმა არაფრით შემომიშვა. წერილის დატოვებას ვაპირებდი, არც წერილი დაიტოვა. უბრალოდ მინდოდა, მომეკითხე, მეტი არაფერი. არ შეგანუხებ... მართლა, რატო უნდა შეგარცხვინო. შენ ეგეთი ცხოვრება აირჩიე. მე ასეთი... თუმცა, მე ავირჩიე, თუ ძალით ამარჩევინეს, არ ვიცი. ისე, არ განწყენდა თავისუფლება.

ეხლა იცი, სად ვარ? ვზივარ დედაჩემის საფლავთან, სასაფლაოზე შემოპარულ შემოდგომას ვაკვირდები. ცოტა არაყი დამრჩა და შენდობას ვეტყვი. ისე, მაგრად მინდოდა შენი ნახვა.

უიღბლო კაცის ყოფა ვატირე.

**5 გიორგობისთვის,
2016 წელი, დიცი**



მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

ალალა

– პირველი სამი ხო... – ხელი ჩაიქნია ოპრიამ, – ჩიტები, ჩიტები, აესე ჰყამ, აი, – თამბაქოთი გაყვითლებული თითი გაისვა ნვერ-ჩამოზრდილ ყელზე, – ის ცხონებული რო წამოახედა, ის საცოდავი ილა, მეორედ გადაბრუნდებოდა და მოკვდებოდა. ჯერ არე-მარეს გახედე, აბა, ეგრე ჰქონდა? ღარიბულათა ცხოვრობდა, მაგრამ დამასმასებული ჰქონდა, დამასმასებული, ბოსელი გინდა, საბძელი, ეზო, თუ კარი. უიღბლო კაცი რო დაიბადება თორე... აიყვანა, იშვილა, საიდან ჩამოუყვანეს, რა ფესვმოდგმისა გამოდგა ეს შობელძაღლი, თავიდან კარგი ბიჭი ჩანდა, თითქოსა, ილას ეხმარებოდა, ხელ-ფეხში ვარდებოდა, ხელ-ფეხში. ილა იტყოდა ხოლმე, ბედი მქონია კაცოო, ბედიო, ღვიძლი შვილი რო მყოლოდა, ეგეთი შეიძლება არც გამოსულიყო. ფინთი შემთხვევების მეტი რა იცის კაცმა, ჯანგულას რო ბიჭი ჰყამდა არ გახსომს, საკუთარი ხელით მოკლა ღვიძლი შვილი, ჭორები კი დაუყარეს, ვითომ ღვიძლი არ იყოო, აყვანილი ჰყამდაო, მაგრამ სიკვდილის წინ უთქვამს მერე ჯანგულასა ცხონებულსა, ჩემი იყოო. თავისი იყო და საკუთარი ხელით მოკლა, ისე გაამწარა, ისე ამოუყვანა ყელში, აილო თოფი, დაახალა და მარანში დამარხა, კაცო. ამაზე დიდი სიმწარე რა გინდა, ამაზე მეტი ცოდვა, – ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა ილას მეზობელმა ოპრიამ, – რამდენი წელიწადი ჰყამდა ეგრე მარანში, ხალხში ხმა დაყარეს, რო არა სჩანდა, ის ცხონებული გიჟ-მაჟა რუსეთში წავიდა სამუშაოთო, გაქრა, გაუჩინარდა, სოფელსაც ეგრე ეგონა. სოფლის დაჯერებას რა უნდა, კახპა ქალს პატიოსნად და უმნიკლოდ აქცემს, პატიოსანს კი უცბათ გააბოზებს. რამდენიმე წელი ითუხთუხა ჯანგულას გულში ამ დარდმა. როგორია, აბა, დაფიქრდი, კაცო! მაჟრიალებს სულა, მაჟრიალებს. ღმერთო, შენ დაგვიფარე, – პირჯვარი გადაიწერა ოპრიამ, – რა ცოდო აღარ არსებობს. ბოლოს ველარ გაუძლო, მეზობლის ბიჭი იხმო თურმე ჯანგულამ, წადიო მილიციამი განაცხადეო, რო ჩემი შვილი მე მოვკალიო და მარანში მარხიაო, ჩემი ღვიძლი შვილი იყო, მაგრამ სიცოცხლე გამიმწარა მე და ჩემს ცოლსა, გვანამებდა, სულსა გვხდიდა ცემა-ტყეპამიო, ვიცი, ხალხი ფურთხებას დამინყებს, იქნებ საფლავშიც არ დამაყენონო, მაგრამ რაც გავაკეთე, აეგ არიო. სანამ ანზორას რიჟა კოტე სოფელში გავიდა და ხმა გაიტანა, ჯანგულამ მარანში შეიტანა თოფი და შვილის საფლავთან მიიხალა. მივიდნენ და ტვინგასხმული ეგდო

ეს საცოდავ ვარსკვლავზე დაბადებული კაცი. ისე როგორ გაამწარა, ისე როგორ გამოიყვანა წყობილებიდანა, ჰა, მიფიქრია, წასულიყო, გარიდებოდა, გადაკარგულიყო სადმეს-მეთქი, რა ვიცი, – ისევ გადაინერა პირჯვარი ოპრიამ, – ეს დალოცვილი გამჩენი ცოდვის გარეშე რო გვაცხოვრებდეს, ხომ შეიძლება. ილა სულ მაგას ამბობდა ხოლმე და შეჰხაროდა ამ ცალტვიანსა, აყვანილი უძახეთო და როგორი ბიჭი მეზრდებო, უნდა ვასწავლო, დიდი კაცი უნდა გამოვიყვანო, მაგრამ გაიზარდა და გავირდა ეს შობელძალი. რა დღეში აგდებდა ბოლოსა, რო გამახსენდება, ძვლებზე ცეცხლი მეკიდება ხოლმე. ილა ამის ღირსი არ იყო, მაგრამ ხო იცი, ბედი მამეო და სანეხვეზე გადამაგდეო. წავიდა ეგრე გულჯავრიანი ის ცხონებული, წავიდა და აქ დარჩა იმისი ფიქრი და დარდი, ჯერ სულ რა ებადა და ისიც რა დღეში ჩააგდო, აბა, იმ ხეივანს გახედე, ისეთი ვაზი ჰქონდა, მზე ილას ხეივანზე იჯდა ხოლმე, წასვლა არსად უნდოდა. ნახე, რა დღეშია, სამი წელია, მგონია არ გაუსხლამს. აბა, ახლა ბოსტანს გახედე, სადღა აქვს. ბოსტანს ლარში სთესამდა ის ცხონებული, რო გახედავდი, – თავი გააქნია ოპრიამ, – საცქერლათ ღირდა მარტო, რა საქონელი ყამდა. ილას ძროხები რო გაეჩინათ და მოემრავლებინათ, რიგში იდგნენ ხოლმე ჩვენებურები, ოცლიტრია-ნები სულა, წითელ-წითელი ძროხები, უშობელი დეკეულები, მოზერები და ღორები? ილას ღორები გახსომს, კაცო, ერთხელ ვერ დასძრეს ვაჭრებმა იმოდენა ღორი გაზარდა, საღორეში ვეღარ ეტეოდა, საიდან ჩამოიყვანა აღარ მახსოვს, გრძელფეხება ღორები ჰყამდა, რამოდენები, არ ვიცი, ძმაო, ეგეთი ბარაქიანი ხელი ჰქონდა და მაინც ღარიბულად ცხოვრობდა. ალბათ, აგროვებდა, აგროვებდა და აბა, ვისთვისა, ეჭამა და ესვა? ჩაეცვა და დაეხურა? ვინ რა დაუნახა. წავიდა ეგრე და ქვაც არ დაადგეს. ის ქვა რა გახდა, მაგრამ ამ ჩიტირეკიას გინდა უთხარი, გინდ არა.

– მეოთხე გააჩენინა კაცო, – ხელი-ხელს შემოჰკრა ოპრიამ, თავისი გაკვირვება რო სხვებსაც გადასდებოდათ, – გეგონება, სამ-სამ შვილს რჩენა არ უნდოდათ. ცოლი... ცემა-ტყევა, ცემა-ტყევა, მაინც არჩენდა, არიან ეგრეთებიცა ალბათ. ახლა მეოთხე... ჩემი ცოლი წყევლიდა, მერე კი გემოზე ვაგინე სახლში, რა გინდა შე კეთილ.... ვინ გეკითხება, ყველამ თავისი საქმე იცის, გინდა მეოთხე გააჩინონ, გინდა მეხუთე და გინდა მეასე მეთქი. კაცო, მეზობლები არიან, გული შემტკივდება, ე, ბავშვებს რო ვუყურებ მშვიერ-ტიტვლებს, ქვა ხო არ

მიდევს ამ დასაწველ გულის მაგივრათო. მერე რო უთხარი, რა გაიგო მეთქი, აი ნახავ, თუ მეხუთესაც არ მიაყოლებენ მეთქი.

– კაცო, მეოთხეზე რო გაგიბერია ეს შენი ცოლი, მარტო გაჩენა ხო არ არი, დარჩენაც ხო უნდა იმ ბავშვსაო.

– აისაო, – თითი ცისკენ აუშვერია, – როგორც გააჩენს, ისე დაარჩენს ის დალოცვილი, ყველას თავისი საქმელ-სასმელი, სიხარული და მწუხარება თან მოსდევსო.

ნათესავები... მისხის მისხი, მისხის მისხი, არავინ დარჩება, ჭერი თავზე ენგრევა, წყალი დასდით და ერთ ნათესავს არ დატოვს, რო არ მოიკითხოს, ჯერ თვითონ რა აკოლია და მიდის და მოდის „ზანგი-ზუნგითა“ ნათესავებთანა.

ერთი პატარა ღორი გაზარდეს, წვალეზ-წვალეზით, ნახევარი ამზარი სიმინდი ძლივს მოუვიდათ. მთელი სანათესაო დაპატიჟა. შესცქეროდნენ და შესცქეროდნენ მაგის ბავშვები და ქორწილის ხალხი მორეკა. გამოვიყვანე და ვუთხარი, შე შობელძაღლო, ე, ამდენი ხალხი რო დაპატიჟე, ოთხფუთიან ღორზე, ცარიელი სალა რო დაგრჩება, შენ შვილებს მთელი ზამთარი რა უნდა აჭამო მეთქი.

რა მითხრა, არ იცი? გაგიჟდები, კაცო! დამცინა, მართლა, მართლა დამცინა, მე რო მაგის დასაციხი გავხდები, ჩემი წილი ქვაცა მაქ და კაკალიც, ჩემი ქონებაც და კარ-მიდამოც მოიკითხე და მაგათიც.

– არ გინდა, რო შენც ჩემნაირი იყვეო. ნათესავი თუ არ გეყვარება, მეზობელი, ძმაკაცი და უბნელი, რისთვის ხარ ამქვეყნაზეო. მე რაცა მაქ, მყოფნის და არავის ერთი ადგილის საქმე არ არის, ვის დავპატიჟებ და ვის რა პატივსა ვცემო. კიდე გამიმეორა მერე, არ გინდა, რო შენც ჩემნაირი იყვეო, მაგრამაო, დააყოლა, ვერასოდეს ვერ იქნები და როგორც შენ გეცოდები ეხლა, ისე მე მეცოდებიო. თუმცა შენ შეიძლება გულწრფელად არ გეცოდებოდე, მაგრამ მე მართლა მეცოდებიო, ჩემს შვილებს ვფიცავარო.

– რატო-მეთქი, გული ყელში მომებჯინა. ალალ კაცად ყველას კი არ აჩენს ის დალოცვილიო, – თითი ცისკენ აიშვირა.

**10 აპნისი
2017 წელი, დიცი**



დარღვეული პირობა

- ჩუ, კარგი, დანყნარდი, – ვეუბნები ნანას, რომელიც მკერდზე მომყრდნობია და ქვითინებს. მხრებზე ხელს ვხვევ და გულში ვიკრავ მონატრებულ ბავშვობის მეგობარს, რომელიც შვიდი წელია, რაც არ მინახავს... ხან ვტირი, ხან ცრემლიანი თვალით ვიცი, ხან ვუსმენ, ხან ვანყვეტინებ, რადგან ვიცი, რალაცა აუცილებლად უნდა ვთქვა...

ვამბობ კიდევ, მაგრამ მე თვითონ არ მომწონს ჩემი ჩანართი...

ნანას სპაზმური შეტევა ეწყება. ყელზე ხელს იჭერს და წყალზე მანიშნებს... წყლის ფინჯანს მაგიდაზე ვაბრუნებ და მხოლოდ ახლა ვამჩნევ დიდ მოვერცხლილ თასს, რომელიც აბებით, ამპულებით და შპრიცებითაა სავსე...

- დედა, ნევისი დროა! – მოკრძალებით გვანყვეტინებს საუბარს მისი უფროსი ქალიშვილი. თბილი მზერით ვგრძნობ, რომ მისთვისაც ისეთივე ახლობელი ვარ, როგორც მისი დედისთვის. პასუხად თანაგრძნობით სავსე თვალებით ვაცილებ თახხიდან...

- როგორ მომენატრე! – ისევ მე მეფერება ნანას დამდნარი თითები, – ერთადერთი წამალი ახლა, რაც ჩემს სულს დაამშვიდებს, შენ ხარ! – თვალდახუჭული მეგობარი. ყოველთვის უცხო იყო თამაში, სწორედ ამიტომ მიყვარდა ასე... სწორედ ამიტომ მჯეროდა

და თანავუგრძნობდი. ეს ისევ ის ნანა იყო, ვისაც ბავშვობიდან ვიცნობდი...

ნანამ სვენებ-სვენებით მიაბზო იმ ბოლო წლებზე, რომლის შესახებაც მე უკვე ნაკლებად ვიცოდი. იმაზე, თუ როგორ ნელ-ნელა შეირყა მისი ოჯახური იდილია და როგორ ჩადგა მათი ოჯახიც იმ მილიონობით ოჯახთან რიგში, რომელთაც ეკონომიკური კატასტროფა წალეკვით ემუქრებოდა. როგორ გამირულად (თუმცა შიშველი ხელებით) ებრძოდა ცხოვრებას... როგორ ამხნევებდა ქმარ-შვილს, როგორ დაატარებდა გამოფენიდან გამოფენაზე, ბაზრობიდან ბაზრობაზე ფერწერულ ტილოებს იმედით, იქნებ, ვინმე მაღლიანს შეეძინა, მაგრამ ალბათ ბევრად უფრო მნიშვნელოვანისთვისაც კი აღარავის მოეპოვებოდა ფული... ყვებოდა, თუ როგორ ასველებდა სასთუმალს იმედგაცრუების ცრემლით... როგორი იმედით შეჰყურებდა პოლიტიკურ სვლებს ცხოვრების დაფაზე, მაგრამ...

თითქოს სამყარო აუმხედრდა! ყველას წინაშე ვალში იგრძნო თავი: მშობელი, შვილი, მეგობარ-ნათესავი, მეზობელი... მერე, საზღვრის მიღმაც რომ ბევრი ახლობელი აღმოჩნდა, რატომღაც ჭიასავით შეუჩნდა წასვლაზე ფიქრი. ვისაც გაენდო, ყველამ დაუწუნა არჩევანი - ვერ შეძლებ, გაგიჭირდებაო... თვითონაც იცოდა, რის ფასად უნდა დაჯდომოდა სამშობლოსა და ოჯახის დატოვება... ახლაც თვალწინ უდგას ფერწერული მეუღლის სახე - სად, ვისთან, როგორო?! გადაიფიქრა კიდევ, მაგრამ, როცა თანხის გადაუხდელობის გამო სასწავლებლიდან შვილის გამორიცხვის საკითხი დადგა, აღარც დაფიქრებულა. იტალიაში წასულმა დეიდაშვილმა იხმო და წავიდა...

„- სამსახური ჩქარა დავინყე, სკლეროზიან მოხუცს ვუვლიდი, ღამე არც მას ეძინა და, თავისთავად, არც მე... დღე კი ეძინა, მაგრამ მე საქმე მეძახდა! ძალიან ცივი ოჯახი იყო, მაგრამ კარგად მიხდიდნენ და ჩემთვის ეს იყო მთავარი... წნევა, როგორც აქ, იქაც ხშირად დაბალი მქონდა. თავს ვერ ვუჩნდებოდი. სახლიდან გასვლას ვერც ვახსენებდი (ასეთი იყო შეთანხმება). იქ თვლიან, რომ შენ რობოტი ხარ - არაფერს არ გრძნობ, არ გტკივა, არ გწყინს, არ გიხარია, ტირილის უფლებაც არ გაქვს... დიდხანს არც ტელეფონზე არ უნდა ილაპარაკო? წარმოიდგენ, რას ვგრძნობდი! მენატრებოდა ყველა და ყველაფერი, მელანდებოდნენ შვილები, მესმოდა მათი ხმები და ზოგჯერ მეგონა, რომ გავვიფიდი!...“ — სვენებ-სვენებით ჰყვებოდა ნანა და მის ხმაში იმხელა ტკივილი იყო, აღარ მინდოდა რაიმე გაეხსენებინა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო:

„მერე, ის მოხუცი ლოგინად ჩავარდა... ბოლო წელს ძალიან გამიჭირდა, რამდენჯერმე თვალთ დამიბნელდა და დავეცი... ფერი საერთოდ დავკარგე და ღონეც რომ გამომეცალა, მივხვდი, ჩემი საქმე კარგად არ იყო. სურვილიც რომ მქონოდა, ვინ დამტოვდა, ვის რაში ვჭირდებოდი! ვხვდებოდი, ისეთი რამ მჭირდა, ველარც აქ მიშველიდნენ, მაგრამ ოჯახი მეძახდა, კუთხე-კუნჭული მეძახდა, მინა მეძახდა ჩასახუტებლად... მეძახდა და დავბრუნდი... დავბრუნდი უუნარო, დაცლილი, შენანებული, შესაბრალისი და საზიარებელი...“ - ნანა არ ტიროდა, მაგრამ მისი ხმა იყო რაღაც გოდებისმაგვარი, თანაც ისეთი, ნუგეშს რომ არავისგან ითხოვდა...

„ - ძლივს შეეძელი, დამეთვალე რებინა, რაც ჩემი წყალობით გაუკეთებიათ ჩემებს, მაგრამ ბევრად მეტი დავკარგე, ვიდრე შევიძინე... შვილებს არ გაუმართლათ და თავი ვერ გაართვეს პრობლემებს... - ნანამ შვილების ხსენებაზე მძიმედ ამოიოხრა და ცრემლი აუკიაფდა თვალეებში, - ნუთუ, იმისთვის გავიღე ამხელა მსხვერპლი, რომ მათთვის ფული ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო?.. ნუთუ იმისთვის, რომ ჩემი ავადმყოფი მეუღლისთვის ასეთი განსაცდელი მომემზადებია? ო, რა უაზროდაა გადაყრილი სისხლის გათეთრებით ნაშოვნი ასები!...“

მთელი სიცხადით ვგრძნობდი სიყრმის მეგობრის მდგომარეობას, გულისტკივილით ვუყურებდი მის დამდნარ თითებს, გაფითრებულ სახეს, თუ გაღეულ სხეულს და მართლა აღარ ვიცოდი, რა მეთქვა! რისი თქმაც და კითხვაც აუცილებლად მინდოდა, თვითონვე მითხრა: „მოძღვარმა მინახულა... მაზიარა კიდეც და ახლა ყველაფერი ღვთისთვის მიმინდვია...“ ნანას ხელს დავწვდი, ჯერ ვაკოცე და მერე, თავჩალუნულმა, შუბლზე მივიკარი!... დავაპირე, რაღაცა მეთქვა, მაგრამ შემაჩერა: „-არაფერი თქვა, გვედრები, არც ერთი სიტყვა! მითუმეტეს, ნუგეში! დრო პირუთვნელი მსაჯულია, ეს განაჩენი ჩემს თავს მე თვითონ გამოვუტანე! დედის შემდეგ, შენ ერთადერთი ხარ, ვისაც სიყვარულის გარდა, არაფერი უთხოვია ჩემთვის! დაწყველილი იყო ის ფული და ალბათ, ამიტომ არ მოაღწია შენამდე... შენ რომ ჩემთვის დახმარება გეთხოვა, ან მიგელო, ვიცი, მერე სინანული მოგკლავდა!.. ბედნიერების ძიებაში უბედურების მწვერვალი დავიპყარი!.. შეიმოსენით-მეთქი, ვთხოვდი შვილებს და, ისინი თურმე რაც ჰქონდათ, იმისგანაც იძარცვებოდნენ! მჩქეფარე მდინარეებად იქეცით-მეთქი და გუბურებიდანაც აოთქლდნენ!.. ახლა ვინ დაუკმაყოფილებთ უსაზღვროდ გაზრდილ მოთხოვნილებებს?! ვფიქრობ,

მგონი, უარეს დღეში ჩავყარე... რისი ღირსიც ვარ, ისე დავისაჯე!... თუ კრუხი ვიყავი, ცის ქვეშ არ უნდა დამეტოვებია წინილები!... და თუ წინილი, კრუხი არ უნდა შემშლოდა!...“ შევხედე, დავაპირე, რაღაცა მეთქვა, მაგრამ მიმიხვდა: „ვიცი, რაც უნდა მითხრა... ერთეულებს უმართლებთ... უფასდებათ... ასეულებს ჩემსავით სტკივათ... ყოველ შემთხვევაში, მე საბოლოოდ ნავაგე თამაში!“

წამოსვლისას თითები ხელზე მომიჭირა და მუდარის ხმით მითხრა:

- არ დაგენანო!... რომ არ წავსულიყავი, წაუსვლელიობის დარდი მაინც მომკლავდა. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი იმ დროისთვის... სუსტი აღმოვჩნდი, სუსტი!... და კიდევ, დამპირდი, რომ არასოდეს ინანებ უშვილობას!...

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა ჩემს მეგობართან, პირველი შემთხვევა კი, როცა სიტყვებს ვერ ვპოულობდი...

ჩვენი წმინდა და სპეციაკი მეგობრობის დასტურად, თეთრი ვარდებით დავიჩოქე ნანას ცხედართან, თუმცა, პირობა ვერ შევეუსრულე... მისი შვილების გულამოსკვნილ ქვითინზე შვილი ვინატრე!...

პროზა

უჩა ღონლაძე

საჭრიალო

- ეე, მაგარია ძაან, ძმობას გეფიცები, იმენა ბურძგლები დამაყარა, ცოტას შევინახავ და განახებ მერე, რო გნახავ... ძაან დიდი ბურძგლებია... ვისი ნეკროლოგია? -კარების საკეტს გასაღები მოარგო, მაგრამ ვერ მოერია. მარცხენა ხელში გადაიტანა მობილური და მარჯვენით გადაატრიალა. ფეხზე გაიხადა და გასაღები დივნის წინ შუშის პატარა მაგიდაზე ფრთხილად დადო. იქვე დედის წერილები ელაგა.

- დარეკვა ვერ ვასწავლე ამ ქალს, - უკმაყოფილოდ გაიფიქრა. შემდეგ ღრმად შეისუნთქა ჰაერი და შუბლიც გაეხსნა. გული უცნაური სითბოთი და სინაზით აევსო. ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა დიდი ხნის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა.

- რა ნეკროლოგი, ლექსია, ბიჭო, ნუხელ დავენერე-მეთქი, -აშკარად მეწყინა მე.

- ლექსი თუა, ასე ღრმად რატომ ნუხარ მერეო? - მგონი ასე მკითხა.

- რა გესმის შენ, ან რას გიყვებოდი საერთოდ...

- მეც ეგ ვიფიქრე, ჯერ ნათიასთან ხო არ ჯობდა დაერეკვა-მეთქი, - უთუოდ მეკაიფება, - ხო, კაი, ნუ იბუსხები. ლუდს ხო არ დალევ? - ცოტა ხანს დუმს, სვამს ალბათ. - ვხუმრობ, ბიჭო, რა გჭირს? რა უნდა გითხრა მართლა, ოღონდ, როგორც კაცმა, ისე მითხარი და არა როგორც პოეტმა, - ახლა მე ვდუმვარ, - მშობლიურ სახლზე კეთილსურნელოვანი თუ არსებობს რამე? ან საკუთარი ჭიშკრის ჭრიალზე უნაზესი და უმშობლიურესი ჰანგი თუ მოგისმენია ოდესმე? - ჩემს პასუხს არ დალოდებია, ისე წარმოიდგინა ტყისპირას, ოცნებისკენ სირბილის დროს დაცემული პატარა, მყუდრო სოფელი, კოპებივით წამოზრდილი მწვერვალებითა და დილაობით თვალებამდე ქუდივით ჩამოფხატებული ნისლებით, ხორცივით შეზრდილი ბალ-ვენახებით, სისხლივით მოჩხრიალე ნაკადულებით, ყელივით რწმენა-მოღერებული ადამიანებით, წამოლიღინებული სახლებით - მარამს მიძღვნილი ოდებით... იმ სოფელში ხშირად ისმის „შენ ხარ ვენახი“

და საღამოობით, როცა გაღმა კორდზე გაღალებული ზვრიდან დაღლილი და ბედნიერი ბრუნდება, გზაში ძალი და რეზიკო ეგებებიან ხოლმე.

- დამიცადე, ლაა, მულა! - ესმის გულამოვარდნილი, აქლოშინებული რეზიკოს ხმა. მურა ჩერდება, უკანა ფეხით ზურგს იფხანს და ისევ მირბის მერე... გია სახლისკენ იხედება. „ის“ მეორე სართულზე ასასვლელ ხის კიბეზე ზის, მხრებზე გიას მანტო აქვს მოსხმული, გაზაფხულზე მეორე „ლეზიკოს“ ელოდება - შეფენილია თითქოს მთა-ველი მისი თვალების ლურჯი ოდებით... კიდევ ერთი სოფელი ტყისპირას...

გია ჭიშკარს ალებს და ეზოში შედის. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ რეზის ძირს სვამს და კარებთან ბრუნდება. ხელახლა ალებს და ხურავს...

- დაყრუვდი, შე კეთილძალლო?

- რაო?

- რა გჭირს? მისმინე, არ შეიძლება, შენს ასაკში ასეთ რამეებზე ფიქრი, - ქართულის მასწავლებლის ტონი ვარჩიე ზოგადი უნარების მასწავლებლისას, - გაგიჭირდება, ვერ გადაიტან... როგორ გითხრა, ეს ისევე სახიფათოა შენთვის, როგორც ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი წლის ქალისთვის-ორსულობა... გამიგე-მეთქი? „ნადი, შენიო“, - ისეთი ხმით მითხრა, ნაუსვლელია არ იზამდა.

სათანახევარი ივლებდა გია წყალს, სიამოვნებდა სითბო.

- ასეთი ფერება და ლივლივი თათიას რო შეეძლოს, ახლა უკვე მრავალშვილიანი ოჯახი გვექნებოდა, - გაბადრული ლილინებდა ფიქრის დროს. ცოტა ხნის შემდეგ უკვე იმაზე ფიქრობდა, კონკრეტულად როგორ უნდა გაეზარდა ოჯახი. როგორც იქნა, შეელია წყალს, სააბაზანოდან გამოვიდა და სარკესთან გამშრალი, აჩეჩილი თმა გადაივარცხნა. უკეთესად გამოიყურებოდა ორეული, დაღლილობა და უძილობა უკვალოდ გაქრობოდა სახიდან, რომელზეც ღიმილით ბევრობაში ნასწავლ რომელიღაც თამაშს წარმატებით იხსენებდა. უნებლიეთ თვალი ჩაუკრა ორეულს. შემდეგ იფიქრა, რომ საკუთარი თავით ტკბობაც მასტურბაციის ერთგვარ სახეობას წარმოადგენდა და სარკესაც შეელია. დივანზე ჩამოჯდა და წერილებს გადაავლო თვალი. ერთი გაცილებით გრძელი ჩანდა და მეორის კითხვა დაიწყო.

- მე ვარ... ალბათ, გუშინწინდელივით ნუხელისაც გინდოდა მოსვლაო... წინა კვირას უფრო საყვარელი სურვილები გქონდაო... უწინ ბიჭებს მოყავდათ გოგონებიო... - ერთხელ სხვა რამეც დაუკარი,

დედა, უბრალოდ, კარები გამოალე, თუ გინდა... - მტყნარებით გაიფიქრა გიამ, მაცივრიდან კიდევ ერთი ბოთლი ლუდი გამოიღო და კითხვა განაგრძო, - კარგი, დავივინყოთ... ჩვენ სკოლაში წავედით, ზეიმი აქვს ბავშვსო, შენი ძმა და რძალი მეგობრის ბავშვებს ნათლავენ და არ სცალიათო. საჭმელს, თუ ტვინს ძალას ძალიან არ დაატან, ადვილად მიაგნებო... გაზს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება შენც კი გქონდეს და განუხებდეს რამე დარდისმაგვარი, მაინც ნუ დატოვებ ღიასო და... ოხ, შენი დედა კი ..., სადაც ხარ და აქ კიდევ ამისი...რეებს მანერინებო თქვენი ასე და ისე? - გიას აშკარად ჩაესმა ყურში მამამისის საუცხოო, გამართული კახური, - მე რო ბედი მქონდეს, ენას დაინვადა ეს დედაზღმარტლი, თითებს კი არა, მაგრამ სა ჩემ...

მეორე წერილშიც თითქმის იგივე აზრი იდო.

- ვინიცობაა, დღეს მაინც მოხვედი, მანდ წერილების გვერდით ჩხირი იდება და რომელიმე ოთახის კედელს დაუსვიო... ჩვენ გუშინ ვერ დავიმახსოვრეთ, ნატუკას წამოსვლისას ათჯერ ვაკოცეთ, თუ თორმეტჯერ და გადასამონებლად წავედითო...

გიამ ისედაც იცოდა კახური, წერილს ხელი გაუშვა, დივნიდან ადგა და კომპიუტერთან გადაჯდა. „ტუ-ასოცდაშვიდივით“ აგუგუნდა პროცესორი. „ველარ მივიტანე გარიკასთან“, - არც ისე მსუბუქად დაცხო მუშტი პროცესორს. „ფეისბუქზე“ ბევრი მეგობრობის შემოთავაზება, ცოტა მეტი კომენტარი და ორმოცდახუთი შეტყობინება ელოდა. ოცდაშვიდი თათიასგან იყო. „წელან არ დავტოვე?“ - გაუკვირდასავით.

სანამ სხვა თვრამეტე საინტერესო წერილს წაიკითხავდა, თორნიკემ მოსწერა, სკაიპში შემოდიო „ბრატი“ იყო თორნიკე.

- ბარო, გიუშ, როგორა ხარ, ძმა?

- თორნიკეს გაუმარჯოს, რა მიშავს, თავად ხო ჯიგრულად? - გიამ ვიდუო-თვალი გაასწორა და სავარძელში მოხერხებულად მოკა-ლათდა, - რა ხდება, მშვიდობაა შენკენ?

- არის რა... ცოტა მაყუთი მჭირდება, ასე რეაასამდე... გუშინ ნანკამ დამირეკა, ხალიჩა ვიყიდუო და...

- რა ხალიჩა, ბიჭო?

- გეტყვი, მაგრამ არ დამიჯერებ. კაროჩე, მანამდე ტვინი მიბურღა, კარგი ხალიჩა ვნახე და ვიყიდუოთო. ძველს რას ერჩის, აზრზე არ ვარ. ხო აზრზე ხარ, გიუშ, რა მეხალიჩება, სიმონ, თორმეტში პროცენტი მაქვს შესატანი. მე ძალღივით დავრბივარ აქეთ-იქით,

ვწალიჩობ, ვის აღარ ვანუხებ, რო არ გადავაცილო და ეს დედა-
დაცინკული კიდე მალაზიიდან მირეკავს, ხალიჩა ვიყიდე და წამალე-
ბინეო. კინალამ დავიხრჩე, ისე ბრონქიანად ვაგინე ტელეფონში...

- მესმის შენი, მფრინავი რო ყოფილიყო, კიდე ხო...

- მაცადე, მომაცოლე, ჯერ სადა ხარ? მერე იყო, თუ იყო „პრი-
კლუჩენიები“. რალას ვიზამდი, მივედი, გადავახვიე ხალიჩა და მხარზე
შემოვიგდე, მაგრამ ცოტა მალლა, თან ძლიერად მომივიდა და
გასაყიდად ჩამოკიდებული „ლუსტრებიც“ ჩამოვყარე, გიუშ...
- რას ამბობ?

- აბა, ჩემი ცოლის დედაც. გამყიდველმა-ცოტას დაგიკლებ, თი-
თოს ასორმოცდაათში მოგცემო. ამაზე სულ გადავირიე, ფეხით
შევდექე ოთხივეს, არადა პატარ-პატარა ნაჩხაპნები ქონდა ოთხივეს.
მერე, რაც კი გინება ვიცოდი, ბედად ყველა გამახსენდა, გამოვვარდი
ამ გახსენებულზე, გამოვალე მანქანის კარები, შევაგდე ხალიჩა
უკან...

- მერე?

- რალა მერე, ჩემი ხო ორკარიანია, ხოდა არ გავაგდებინე უკანა
„სტეკლო“...

- ლადაობ ახლა...

- არა, რას ვლადაობ, ან რა მელადავება, დანა კი არა, მამაჩემის
ომიდან ჩამოყოლილი „სტიკნოჟიც“ ვერ მიხსნის კბილს... სალამოს
მარშუტკას უნდა დავხვდე, ჩემი ძმა მიგზავნის შუშას თბილისიდან...

- კაი, ჩემი ძმა, გამოვიწვევი ცოტა მერე გარეთ და რამე ვიჩალი-
ჩოთ. ცოტა მეც მაქვს და დაიკიდე კაროჩე... აღარ ინერვიულო,
„პროსტა“ ნანკას ბრალია, თორე ხალიჩა „ვაბშე“ არაა მანდ შუაში...
რა ეხალიჩებოდა, სიმონ? ეგრე არიან რა ქალები...

- რა გინდა, მომაკვლევინო გინდა, შე ჩათლახო კაცო? - თორ-
ნიკესაც ეცილება.

- ხალიჩას არაფერი მონიო! - უთხრა გიამ და კომპიუტერი გათიშა.
საძინებელ ოთახში გავიდა, იფიქრა, ცოტას წავუძინებო, მაგრამ ვერ
მოისვენა. მობილურს გადასწვდა. სალომეს ნომრის ძებნა დაიწყო მე-
ნიუში. გვერდით სადარბაზოში ცხოვრობდა სალომე, წინა საახალ-
წლოდ მსუბუქად „ზასაობდნენ“ ხოლმე, ხოლო თებერვლისკენ
კვირაში ორჯერ ერთ-ერთ მცნებასაც არღვედნენ არც ისე ცხელ
გულზე.

- ასე უნდა დაკარგვა, შე საზიზლარო? რატო აღარ მეხმიანები?
მერე რა, რო ნომერი გამოვცვალე... ფუ, შევარცხვინე შენი ქალობა...

- გია წამოდგა, ცალი ხელით სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან, სანთებელათი მოუკიდა და ისევ წამოწვა.

- ქალი თათიაა... მე ცხრამეტის ვარ ჯერ, თან შენთან რას მოვალ საზიზღრობაში? - სალომე ენას უყოფს გიას, მაგრამ ამას მარტო მე ვამჩნევ.

- სამი წლით დიდია შენზე, თუმცა, რა აზრი აქვს, დავშორდი უკვე. აბა, თუ მიხვდები, ახლა რას ვაკეთებ?

- ალბათ, დღეს დილას დაშორდი... რას?

- მოვლენებს ვუსწრებ - სიგარეტს ვენევი...

- ვიზიარებ, მესმის შენი. ახლა გმართებს, გიუნა, მთელი შენი კაცობისა და ღირსების გამოჩენა, ახლა უნდა გამაგრდე, ნუ დაემგვანები მთლად შენი სხეულის ერთ-ერთ განშტოებას...

- ნუ იკბინები, ცუნცულ, ეგრე ვერ მატკენ. გეუბნები დავშორდი მეთქი.

- მჯერა, შენ თავს ვფიცავარ. რა გინდოდა, ტყუილად არ დამირეკავდი?

- რა მინდა და კბილის ხო არაფერი გესმის, სალ? ერთი საათია, რალაცას მეჩერჩეტება და ვერ გავიგე, რა უნდა, არადა ამდენი ენა ვიცი...

- გეთანხმები, მშობლიურის ცოდნა ბევრს ნიშნავს...

- რა საყვარელი ხარ, მომიკითხე შენები...

- შენი დედაც თუ კაია...

- ხო, კაი, „შენებში“ შინაური ცხოველები ვიგულისხმე, რას ავარდი, ე? ეგ არა, მაგრამ შენ, რა, სომხური, ენა არ გგონია, თუ მუნჯურად ლაპარაკობენ იმ ქვეყანაში? რას ერჩი მის კილოკავებს? მეტსაც გეტყვი, შენ ადვილი ხო არ გგონია „ლენურისა“ და „ხატიურის“ სრულყოფილად ფლობა? მაგალითად „ლენური“ რო ნყალივით მესწავლა, დღე და ღამეს ვასწორებდი, განსაკუთრებით ღამეს, მთელი ორი თვე ტური არ ამიღია... ნუ, იკრიჭები, თავი ვიგულისხმე ტურში...

- ცოდვა არის, იტირებს ახლა...

- თათიას ენაზე რალას იტყვი? ასე ლაღზე და მსუბუქზე, ასე ორისამიოდე თანხმომონიანზე, ფაქტიურად-უთანხმომონოზე? - თათიას ხსენებაზე ნუხანდელი, გუშინინდელივით მალე - დათენებული ღამე გაახსენდა გიას და გაჟრჟოლების შემდეგ ფეხებით გადაეშვა მოგონებათა მწველ მორევში, რადგან ბავშვობიდანვე უჭირდა, საერთოდ, წყალში თავით სტომა.

- ნამდვილი ... ხარ! - სიტყვა „პოლიგლოტი“ მაშველი რგოლივით გადაუგდო სალომემ.

- ნუ, ახლა მეც გეთანხმები, რო „თეონურში“ ცოტას მოვიკოჭლებ, მაგრამ ეს არც არის გასაკვირი, ჩვენ ხო კვირაში ერთხელ გვაქვს მეცადინეობა...

- ერთი ორი კვირა და მაგასაც დაამულამებ, გიუნა...

- მე მაგის იმედი მაქვს, სიხარულო.

- არ ვარ მე სიხარული.

- მიდი, მიდი, გამობოდიალდი, - უთხრა გიამ და თან ისეთი რამეც დაამატა, რასაც მე ვერასდროს ვეცყოდი ლელას, ნათიაზე აღარ მაქვს საუბარი. „არ დაუფერო, სალომე-მეთქი“, - მინდოდა მეთქვა სულელი გოგოსთვის, მაგრამ ის უკვე კიბეებზე ჩამოდიოდა, ხოლო გია ირონიულად იღიმებოდა, თან მარჯვენა ხელის შუა თითი ჰქონდა გაფარჩხული, ამიტომ თქმა გადავფიქრე.

სალომეს წასვლის შემდეგ „ის“ გაახსენდა და რა მალ-მალე მენატრებაო, გაიფიქრა.

- მაპატიე, სტუმრები მყავდნენ და ველარ მოვიცალე, - თვალეზე ეტყობოდა, რომ სიმართლეს ამბობდა.

- არა უშავს, ახლა ხომ აქ ხარ უკვე, - სოფლის ბოლოს, სამი მეტრის სიგანის მდინარის ნაპირთან, დიდი რცხილის ქვეშ იხდნენ და მეტიჩარა მზის მზერას ემალებოდნენ. უფრო სწორად, ის იჯდა, გია კი გაბარდნილ ტოტებს, ტოტებზე თავისნაირად მოჩერჩეტე ჩიტებს, ტოტებში გამოტანილ ცას და მის უსაყვარლეს სახეს ერთდროულად, ერთ ფოკუსში უყურებდა - თავი მის მუხლებზე ედო და უბედნიერესი ადამიანით იღიმებოდა.

- იცი, რამდენს ვოცნებობ ხოლმე ზუსტად ამ მდგომარეობასა და ამ წუთებზე? ეს რცხილა მენატრება, ამ მდინარის ჩხრიალი ჩამესმის წამდაუნუმ ყურებში, ეს ცა და ეს საძაგელი სახე არ ამომდის თვალებიდან. წარმოიდგინე, ეს საყვარელი მუცელიც მტკივა, - ხელისგულებით მიეალერსა გამობერილ მუცელზე.

- მე თუ არ ვიცი, აბა ვინ იცის, გიუნა? - გაელიმა მას, - როგორია, ჩემს მდგომარეობაში მყოფი გოგოსთვის, დღეში შვიდჯერ სახლიდან აქამდე ჩამოსვლა და ასვლა?

- იცი, ერთად რო ვართ, საერთოდ მავინწყდება, გარშემო რაც ხდება, გარესამყარო სადღაც გონების იქით უსასრულობის უკუნში ინავლება და ჩვენ ვსამყაროვდებით თითქოს. ჩვენ გარშემო ტრიალებს ყველა და ყველაფერი, ჩვენ ვართ ყველაფრის წარმმართველი

ძალა... იმის გამოთქმა, რასაც ახლა ვგრძნობ და განვიცდი, ძან მიჭირს... გრძნობა გაცილებით ადვილია... როგორ აგისხნა, ასე მინდა ყოფნა ახლა, გუშინაც ასე მინდოდა, ხვალაც ასე მომინდება. ზეგ ღმერთმა იცის, რა მოხდება, მაგრამ მე დღეს ასე მინდა, რო ვიყო... ეს ჩემი ყველაზე უსათუთესი ოცნებაა, ასე მედოს თავი შენს მუხლებზე, ცას და შენს სახეს ერთად ვხედავდე და აღფრთოვანებული შენ და ჩვენ პატარას უმნიშვნელო თემებზე უფრო გატაცებით გესაუბრებოდეთ, ვიდრე მნიშვნელოვანზე... ხო გესმის ჩემი?

- თან როგორ მესმის მერე... რა საყვარელი ხარ იცი, გიო... - ის დაიხარა და აკოცა. გიას რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მან გაანყვეტინა, კიდევ აკოცა და სული რომ მოითქვეს, უთხრა:

- დარჩი, სულ დარჩი, გიო, არ ნახვიდე. შენ ხომ არ იცი, რა ბეჩავი ვარ მარტო, როგორი ულამაზო და უგულისყურო ვხდები შენი წასვლის შემდეგ...

- არ გამოვა, ჩემი გოგო, რომ არ ნახვიდე, ვერ დავბრუნდები... აუ, რა მაგარია, ახლა გამახსენდა, ზუსტად ჩვენზეა-ლექსზე ვამბობ, მოგიყვები ამ ნუთში... - შეამჩნია, რომ ცრემლი ერეოდა საყვარელ არსებას და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი გიამ, თან ხელისგულებით უძვირფასესი სახე მიიზიდა და თვალები ამოუკოცნა. - იმ დღეს ძმაკაცმა თავისი კრებული დამიტოვა და ეს ლექსი შემომეზეპირა...

- ახ, გია, გია, აკი ვერ მოვიცალე წასაკითხადო? - არ დავმაღავ, მესიამოვნა.

- მოგიყვე?

- ხო, გელოდები.

- ისე, როგორც პოეტი სტრიქონად არ ვარგა, მაგრამ როგორც ძმაკაცი, ერთი დიდი გულია...

- მოყევი, ნუ დამტანჯე.

- ხო კარგი. წარმოიდგინე ჩვენი სიტუაცია, ეს მდინარე, ეს... კარგი, კარგი, ვყვები...

ისე უბრალოა თოვა,

სიტყვამ მოიტანა თითქოს,

გინდა, ოცნებას რომ ვთხოვო,

თოვლის პაპასავით იდგეს

ცოტა უფრო მეტხანს მზეზე,

გულთან კიდევ უფრო ახლოს?

კარგი, თუ არ გინდა მაშინ...

ვხუმრობ, შე სულელო, ახლა
იცვი, რას ვფიქრობდი? ვითომ
გაზაფხულია და მთაში
ეს ჯერ არ იციან.. ვითომ
გეჩერჩეტები და რაზე,
ნეტა გაცოდინა.. სერი
მხრის გაგრძელებაა, ჩიტებს,
ცას და შენ სულს ერთად ვუმზერ-
თავი შენს მუხლებზე მიდევს,
ხოლო შენ დროდადრო უხმოდ
სიტყვას მანყვეტინებ-მკოცნი,
აქეთ თუთებია, გაღმა
ჩვენზე იცინიან მოცვნი...
ხედავ, ზაფხულიც კი მომყავს,
რა მოსაყვანია ცოლი?
აღბათ ვსაუბრობდით ცაზე,
სიტყვამ მოიტანა თოვლი...

ოცნებიდან ზარმა გამოიყვანა, კარზე იყვნენ, მეზობელს კითხუ-
ლობდნენ. ვერაფრით შეიბრუნა ოცნება. ადგა და ხელ-პირი დაიბანა.
ფარდა გადასწია და ეზოში გადაიხედა. საღამოვდებოდა. პატარა
ბავშვები დამალობანას თამაშობდნენ. ერთმა თითი მიიღო ტურქობთან
გია რომ დაინახა და სადარბაზოში შეიმალა.

- მიაფსი მამაშენს! - ხმამალა გასძახა ბავშვს. „რამეს შევჭამ და
თორნიკეს დავურეკავო“, - გაიფიქრა და ხალიჩის გახსენებაზე გაე-
ღიმა. გაზი ანთო, ტაფა დადგა, ცოტა ზეთი დაასხა, შემდეგ მაც-
ივრიდან გაყინული კუპატის პაკეტები გამოიღო და ტაფაში ჩაალაგა.
კუპატს ლუდიც გამოაყოლა მაცივრიდან. ცოტა ხნის შემდეგ ცალ-
გვერდშემწვარი კუპატები რომ ამოატრიალა, თათიამ დაურეკა.

- გია, სასწრაფო საქმე მაქვს, გამოდიო, - ნამტირალევი ჩანდა.
- შენ გამომიარე, ჩემები არ არიან სახლში.
- გამოდი-მეთქი, რო გეუბნები. ტაქსით ვარ.

გიამ გაზს დაუნია, ქურთუკი მოისხა და გარეთ გავიდა.

- რა ხდება? - უკანა კარები გამოალო და გვერდით მიუჯდა თა-
თიას, - ვა, მერაბს გაუმარჯოს, როგორ ხარ ბრატუნა? -ხელი ჩა-
მოართვა ნაცნობ ტაქსისტს.

- ჩვენ აქ ჩამოვალთ! - პარალელურ ქუჩაზე გააჩერებინა გოგომ
მანქანა და ფული მიანოდა მძღოლს.

- შვილს ვფიცავარ, თუ ავიღო. გიუშ, რას მიკეთებს, უთხარი რამე ძმა.

- შეეშვი, თათი, - გიამ კარები გამოაღო, მერაბს მხარზე ხელი დაკრა და მანქანიდან გადავიდა.

ქუჩაში კანტიკუნტად მოძრაობდა ხალხი. თავად ქუჩა მდინარის პირამდე მიდიოდა, საიდანაც ცივი ქარი უბერავდა. მაისის ბოლო იყო, თუმცა მაინც ციოდა.

- აღარ იტყვი, რა მოხდა? - გიამ გზაზე დაგდებულ ლუდის ცარიელ ქილას ფეხსაცმლის ნვერი ნაჰკრა, შემდეგ იფიქრა, ბარემ აკვენ-წლიო, მაგრამ დაეზარა.

- რაღა რა მოხდა, დღეს ცუდად გავხდი, ორსულად ვარ... -გაბზარული ხმით, პირდაპირ მიახალა თათიამ, არ დამითვლია, ზუსტად რამდენი ცრემლი ჩამოუგორდა გაფითრებულ ლოყებზე, მაქსიმუმ - ხუთი ალბათ...

- შენ რა გითხარი, გამიხეთქე გული. არ იჯავრო მაგაზე, ვის არ მოსვლია, შე ცუდო ბავშვო, ეგ? ხატია აიღე, თუ გინდა... მოდი, ჩამეხუტე, ჩემი გოგო, - დაუყვავა და მკლავები გაშალა, - დაველაპარაკები მამამისს...

- ნუ, მასხარაობ. ციალას უნდა ლაპარაკი შენთან... ვერ ხედავ, თმა რას მიგავს? კიდევ კარგი, გივი აქ არაა. რაღაც უნდა მოვიფიქროთ, გია...

- ყოფილიყო მერე...

- რა გჭირს, გია?მე ბავშვზე გელაპარაკები, ჩვენს ბავშვზე, პირველ ბავშვზე, თუ შენთვის მნიშვნელობა არ აქვს? ისე მიიღე ეს ამბავი, თითქოს ორი შვილის მამა იყო უკვე. ან იქნებ ასეც არის? რატომ არ მპასუხობ? წელან სალომეც რაღაცნაირი ირონიული თვალებით მიყურებდა აივნიდან, სანამ შენ გამოხვიდოდი...

- გინდა, ლექსი მოგიყვე? იცი, რა მაგარია, ზუსტად ჩვენზეა, მოგიყვები ამ წუთში...

- ვერ ხარ, ხო, შენ? რა მელექსება. მოდი, მოვბრუნდეთ, არ მიყვარს ეს ხიდი.

- იმ დღეს ძმაკაცმა თავისი კრებული დამიტოვა და ეს ლექსი შემომეზეპირა. ისე როგორც პოეტი სტრიქონად არ ვარგა, მაგრამ, როგორც ძმაკაცი, ერთი დიდი გულია... - ამომიყვანა ყელში ორი კინკილა ლექსის დაზეპირება ამ ჩემისამ, - ლელას და ნათიას ახსენებს ლექსში, თავის ჭკუით, ორივეს აბამს, მაგრამ მე ხო ვიცი, რო

მათზე არ აქვს დაწერილი, ან კი, საიდან ექნება, გამარჯობის თქმაზე
წითლდება გოგოებთან.... - წადი, შენი...

- არ მინდა-მეთქი.

- ვიცო, - უთხრა ამ კეთილისეთმა, ხიდის თავში, შუა გზაზე საზ-
ემო ვითარებაში გაჩერდა, ცალი ხელი გულზე ჩემსავით მიიღო,
მეორე გაურკვეველი მიმართულებით გაიშვირა და გაილექსა, ამ
სიტყვის ნაწილობრივი მნიშვნელობით:

ცოტას ზღვას ვბაძავ და ვღელავ,

ცოტას ქარს ვაჯავრებ-ვუქერი,

თავში ჩემს მეზობელ ლელას,

როცა ეძალება მწუხრი.

ლელა ვინ არის და... მართლა,

ლოყა სიცილის დროს, იცი,

როგორ ეჭყლიტება, - მარტო

უნდა უყურო და სიცილს

შენც ვერ შეიკავებ, მერე

კოცნაც მოგინდება, ბილიკს

სულ არ ემგვანება ფერი, -

მაინც დაკარგავ და ტკბილად

ველარ გაიხსენებ ამას...

უი, შენც აქა ხარ, ნათი?

მართლა რა ვუთხარი ღამეს,

როგორ ვერ შეგნიშნე, ნეტა.

გინდა, ერთ კვნიტს მოგცემ შაქარს,

ერთხანს დაიტკბობდი ენას,

შენთვის გეუბნები, აღარც

ჭირად აღიქვამდი ლხენას.

ვაი, შენ მოგიკვდი, როგორ

აგირ-დაგირიე ტვინი,

ჩემი გაბუსხული გოგო,

ნეტა, ვინ არისო, ვინო?...

ჰა, როგორი ვიყავი ცუნცულ? ჰა, ჰა, ჰა, - ვახ, რამდენი ვიცინე,
თირკმელი ამტკივდა, ბოზი ვიყო...

- გიაა! გადმოსწარი! - შიშით დაზაფრულმა თათიამ შეჰყვირა,
სწრაფად და უხმაუროდ მოახლოებული სახანძრო მანქანის დანახვი-
სას.

- ჩართე ეგ დედა-გადაღლეტილი სირენა, ცეცხლის ჩასაქრობად მიდიხარ თუ ყელის გასასველებლად? - ძლივს მოასწრო გიამ გვერდზე გადახტომა.

- ღირსი კი იქნებოდი, რომ გაეტანე. ესე იგი ლელას, ანუ სალომეს ლოყა ისე ეჭყლიტება, რო სიცილს მეც ვერ შევიკავებ, მერე კოცნაც მომინდება თურმე... „ლეზბიანკაც“ შეიძლება აღმოვჩნდე ეს ორსული გოგო... - ლმობიერების გარტყმაში არ იყო იმ წუთში თათიას გამომეტყველება.

- რა გესმის შენ.

- უნამუსო ხარ, შენი გულისთვის რას არ ვითმენ და ვიტან, შენ კი ვის დასდევ? გოგოს მაინც გავდეს, - თათია ისე ტიროდა, ცრემლის დათვლაც შეიძლებოდა უკვე, მაგრამ ვიზარმაცე.

- გაჩერდი, თორე მაგარს ინანებ!

- შენ გგონია, თეონაზე არაფერი ვიცი?

- თუ არ გაჩერდები, გადავხტები, იცოდე! -დაუყვირა გიამ და ჩაფიქრდა. უღვაშებში ეშმაკურად ჩაელიმებოდა ალბათ, რომ ქონოდა, რადგან თავში თავისნაირი უცნაური აზრი მოუვიდა. „მოდი, გადავხტები და შევაშინებ ამ სულელსო“, - გაიფიქრა. შეიძლება ცურვის კარგად ცოდნის იმედი ჰქონდა, ან ლუდ-ნასვამზე გაგრილება უნდოდა, „იტოგში“ არ ვიცი წესიერად, თავში რა აზრები უტრიალებდა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თათიას ახლა სამი სული ქურდიც ვერ „გააჩერებდა“.

გიამ ტროტუარის კიდეს ფეხი დაკრა, მარჯვენა ხელიც მოიშველია და ხიდის მოაჯირს ღიმილით გადაევიწყო.

- ასე როდისლა დაპატარავდა ეს პატრონძალლი? - წამოიყვირა სახიდან ღიმილგადარეცხილმა, შემცბარმა გიამ, ფეხქვეშ, აქა-იქ შერჩენილი, ჩაშავებული გუბების ფონზე თეთრად გამომკრთალი რიყის დანახვაზე. შემდეგ კი, სინანულით ჰკიდა თვალი მდინარეს, რომელიც იქვე ოთხი-ხუთი მეტრის იქით, თავისთვის საყვარლად მიპატარაობდა...

საბოლოო სიტყვაში, ბედისგან არა წყალ-მისჯილ გიას ალბათ სურდა, რომ ჩვენი და თათიას ყურადღება სახლისა და გულის საოცარ მსგავსებაზე გაემახვილებინა, მაგრამ არა მგონია, ეს საქმე წარმატებით გამოსვლოდა. სახლისათვის კარები, მისი აზრით, ერთ-ერთი ძვირფასი შემადგენელი ნაწილია, როგორც კედლები და ფანჯრები-გვერდებზე, მალლა-ჭერი და სახურავი, ქვემოთ იატაკი და ბალავერი... ამ ნაწილთა ერთობლიობით, ქვაზე ქვის დადებით ხდება

სახლი სრულყოფილი, - ფიქრობდა ის, - გასაგებად რომ ვთქვა, სულს იძენს - „სახლდება“... თუკი დავუშვებთ, რომ სახლს შეიძლება სული გააჩნდეს, მისი განხორციელებაც უნდა დავუშვათ. თუ ქვაზე ქვის დადება სახლს სულს უდგამს, მაშინ სული ამ ქვებს სხეულის თვისებას ანიჭებს. ბუნებრივ ძალებთან ფარულ, თუ დაუფარავ ჭიდილთა დროს სხეული სულს აღმოაცენებს, უკანასკნელ ძალთა მოკრება-გაერთიანებით ცდილობს მის გახარებას, ხოლო თავის მხრივ მოვლილი და გალალბული სული თავის ზებუნებრივ ფესვებს სხეულის ყველა უფრედში, ყველა ფორაჯსა თუ ბუსუსში იდგამს, რომ ეს უკანასკნელი არ ჩამოიქცეს წინაპარ-ნაწყენი ციხესავით... ეს ღვთაებრივი პროცესია, სხეულის სულად და სულის კვლავ სხეულად გარდაქმნას ვგულისხმობ, - მგონი თვალები უცნაურად უელვარებდა სულ სხვანაირ გიას, - სხეულის სულად გარდასახვის პროცესი თავიდან ძალიან ნელა მიმდინარეობს, სამაგიეროდ, სულის განსხეულება უმაღლესი ქმნადობა, ისეთი უმაღლესი, რომ ვერც ხედები, როდის ხდება ეს, ან საერთოდ, სული რომელია და სხეული რომელი... სუნზე და სისხლზე არ მითქვამს არაფერი ჯერ. სახლისთვის სუნიც ისეთივე არსებითია, როგორც ერთმანეთზე დადებული ქვები. სახლისთვის სუნი, ვიმეორებ, სისხლივითაა, რომელიც მის დაძარღვულ კედლებში აღფრთოვანებამდე, ტკბილ თავბრუსხვევამდე ტრიალებს და თან ამასთანავე იქამდე იტრიალებს, ვიდრე ღია კარით სახლი წყაროზე, ვენახის გასასხლავად ან უბრალოდ სასეირნოდ გასულ პატრონს ელოდება და ვიდრე ამ სახლში ღმერთის სახელს ახსენებენ... ღია კარები ხომ უფლის მადლია, რომლითაც სახლი სამყაროს ეზიარება, მისი ორგანული ნაწილი ხდება და პირიქით-სამყარო იღებს სახლის სახეს.

გულის შემთხვევაშიც ასეა. წარმოიდგინეთ, ჩაკეტილ-შერკინულ გულისკარს იქით დარჩენილი სიყვარული, რომელსაც სახეზე ადამიანის ფერი არ ადევს... ხოდა, თუ გული გენვით და გტკივათ, დაუბრუნეთ სიყვარულს ფერი, ნუ იქნებით, გულგრილნი! ნუ იცხოვრებთ ერთფეროვნების მეთექვსმეტე სართულზე, საიდანაც ქვემზირალნი სიკეთეს და პატიოსნებას ისე აღიქვამთ, როგორც ადამიანებს... ჩამოდით, მუხლი მოიდრიკეთ, უამრავი მიზეზი არსებობს მუხლის მოსადრეკად, უბრალოდ, ცოტა მეტი გრძნობაა საჭირო... გამოიჩინეთ უმნიშვნელო, უწვრილმანესი საქმე და თუნდაც ორიოდ ნაბიჯზე ჩამოდით სახლებიდან, მეზობლებთან გამარჯობის თქმის შემდეგ რამე თქვით ამინდზე, პირველივე თუ არა, მეორე ან მესამე სიტყვა

შუაზე განწყვიტეთ, მოიმიზეზეთ, ან გაიხსენეთ, რომ რაღაც დაგრჩათ სახლში, თუმცა მომიზეზება საჭირო არც არის, რაღაც ყოველთვის გრჩება და რჩება შინ... მობრუნდით, ფართოდ გამოაღეთ კარებები, ჭიშკრები, შემდეგ დახურეთ, ხელახლა რომ გამოალოთ... ამოაგდეთ ქარი, არაფერი უჭირს, თუ შეადვილებთ... რაზეთი დააცალეთ ჭიშკრებს, ნურასოდეს დაზეთავთ ამ ღვთის ხელით შებმულ ქმნილებებს — დაე, იჭრიალონ, ყოველთვის იჭრიალონ... ჭრიალი ხომ უნაზესი და უმშობლიურესი ჰანგია, ხოდა, შექმნით ამ ღვთაებრივ ჰანგზე ახალ-ახალი სიმღერები და მშობლიური სახლის სუნით გაჟღენთილი და გაჯერებული ფილტვებით ყოველდღე იმღერეთ... არა, „ყოველდღე“ მებევრება და მეშორება, ყოველ წუთს - ჯობია... მანამდე ძველი გაიხსენეთ, ეცით ლადოს პატივი, დაუკარით, რომ... სამწუხაროდ, ხიდიდან გადმოხტომის მომენტიდან დაცემამდე ამ მოსაზრების, გნებავთ მონოლოგის ასეთი თანმიმდევრობითა და მაშტაბით განვითარება, თქვენც დამეთანხმებით, შეუძლებელი იყო ხიდის სიმაღლის უკმარისობის გამო, რაც მშვენივრად იცოდა გიამაც, ამიტომ მხოლოდ მშრალი ხმით ასძახა მოაჯირზე გადმოყუდებულ, მკვიან და სახეშეშლილ თათიას, თუ გადავრჩი, არ გინდა, ნუ დამაბარებ, ჩემით მოვიკითხავ ციალასო და ღიმილის უვარგისი „აირბე-ქების“ იმედად რიყეზე დაეცა. ხიდზე კიდევ ერთმა სახანძრო მანქანამ ჩაიქროლა, ამჯერად სირენისა და საყვირის ოვაციებითა და აპლოდისმენტებით. პირველის მძღოლს, ეტყობა, მიპარვა სურდა, უფრო რომ არ გაელიზიანებია ცეცხლი. სიჩუმე სახანძროს შემდეგ, უკვე სულ რაღაც ორიოდ ფეხ-მოტეხილი კაცის კვილიმა გააპო. წუხანდელი ლამისტეხვის შემდეგ არ იყო მთვარე მაინცადამაინც კარგ ფორმაში. ღრუბელი ღრუბელს რაღაცას უყვებოდა, მე რომ დამინახეს, გაჩუმდნენ... მეც ლექსი მქონდა დასანერი...

- ნადი, თუ მიდიხარო! - შემომიღრინა ნაპატივებმა, კისერზე მედალიონშებმულმა ნაგაზმა და თავი ხიდის თავში მდგარ ნაგვის ბუნკერში ჩაჰყო ისევ.

- დაურეკე, თათია, სასწრაფოს!!

პროზა

ირმა კეკელიძე

აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი.



მართა

მაყვალა გონაშვილს

ორმოცი წლის შემდეგ, მეგობართან ერთად, ისევ იმ შარაგზაზე მიაბიჯებდა დინჯად, სადაც ბავშვობაში და შემდეგ უკვე ყმანვილ-ქალობაში უყვარდა სიარული. ზაფხული, კახეთი, სოფელი, შარაგზა... უყურებდა ლამაზ მოაჯირიან სახლებს, კარგად მოვლილ, ყვავილებით მორთულ-მოკაზმულ, მწვანედ მობიბინე ეზოებს და მის თვალსა და გულს საოცარი სიმშვიდე ეუფლებოდა. ახალაშენებული ლამაზი სახლის ლობესთან შეჩერდა. შემდეგ გვერდით მდგომ მეგობარ ქალს მიუბრუნდა და შეეკითხა:

- მაიკო, რა ლამაზი სახლი აუშენებიათ, ნეტავ ვისია? მიხარია, როცა სოფლად ახალაშენებულ სახლს ვხედავ ხოლმე.

გვერდით მდგომი მეგობარი ქალი უყურებდა ლამაზ, დიდ ეზოში, ახალაშენებულ თეთრი ფერის სამსართულიან ულამაზეს სახლს, ლამაზი მწვანე მოაჯირითა და სხვადასხვა ფერის კამელიებით მოხატულ ეზოს.

- არ ვიცი, ვერ ვიხსენებ. ნეტავი, აქ ადრე როგორი სახლი იდგა? - თავისთვის ჩაილაპარაკა ქალბატონმა მაიკომ და დაფიქრებული, შუბლშეკრული უყურებდა ულამაზეს ეზო-კარსა და მასზე თეთრად

ამობრწყინებულ სამეფო სახლს. უცებ რაღაც გაახსენდა და მეგობრისკენ მიბრუნდა.

- გამახსენდა, მაყვალა, გამახსენდა! აქ ხომ მართას პატარა ქვითკირის სახლი იდგა.

- რომელი მართასი, კარგად გამახსენე, ვერ ვიგონებ, - უპასუხა მაყვალამ.

- რომელი მართასი და პოეზიის საღამოზე რომ გამორჩათ და მერე თავისი გიტარით ხელში მარტო რომ მღეროდა...

მაყვალას უცებ თვალები გაუფართოვდა, მეგობარს გაოცებულმა შეხედა და ხმის კანკალით უპასუხა:

- რას ამბობ, მართას ეზოში ამხელა სახლს ვინ ააშენებდა? ის ხომ მარტოხელა იყო. მგონი გეშლება.

- არაფერიც არ მეშლება. ღობეს შიგნით გააყოლე თვალი. ვერ იცანი მართას კამელიები?... ისევ ისე ყვავიან... კამელიები ჩვენს სოფელში მართას გარდა არავის არ ჰქონდა. ეს ხომ ის ძველი კამელიების ხეებია. ახალ ნარგავებს ნამდვილად არ ჰგავს. ეზოს ბოლოში კი მუხის ხე დგას, - სწრაფად უპასუხა მაიამ.

მაყვალა ჩუმად იდგა და გაჰყურებდა აყვავებულ კამელიებს, ულამაზეს თეთრ სახლს და ეზოს ბოლოში, სახლის მარცხენა მხარეს მდგარ დიდ მუხის ხეს...



მხატვარი - ლელა ფერაძე

მეორე კურსის სტუდენტებმა ბოლო გამოცდა ჩააბარეს და გახარებულებმა სულმოუთქმელად ჩამოირბინეს უნივერსიტეტის კიბეები... ივნისის მზიანი დღე იდგა. ხელს აღარაფერი უშლიდათ, სადაც უნდოდათ, იქ წავიდოდნენ და რაც უნდოდათ, იმას გააკეთებდნენ. კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდები ჩააბარეს, ბედნიერი დღეები დაიწყო...

- ერთი-ორი დღე დავისვენოთ და შემდეგ ზღვაზე წავიდეთ... კარგი იქნება, თუ ბათუმში ან ქობულეთში წავალთ, - ხალისით ლაპარაკობდა მათა და თეთრი ფერის ხელჩანთას მთელი ძალით აქნევდა.

- რა დროს ბათუმი და ქობულეთია, არ გახსოვს, რაზე შევთანხმდით?! - მოკლედ მიუგო მაცყალამ.

- რაზე შევთანხმდით?! ზაფხულია, გამოცდები ჩავაბარეთ და აღარ უნდა დავისვენოთ? - არ ჩერდებოდა მათა.

მაცყალა უნივერსიტეტის წინ ავტობუსების გაჩერებასთან შეჩერდა. მეგობარს ხელი ხელში ჩაავლო და საუბარი განაგრძო:

- მომისმინე, მათა, ხომ შევთანხმდით, რომ სოფელში წავალთ, ჩვენს სოფელში, არბოშიკში და პოეზიის საღამოს მოვანწყობთ.

- ჰო, მართალი ხარ, შევთანხმდით, მაგრამ დავისვენოთ და ზღვიდან რომ დავბრუნდებით, კახეთში მერე წავიდეთ. კახეთი და პოეზია სად გაგვექცევა? ჩვენი მელექსე-მოშაირეები, ნეტავ, სად წავლენ? - თავისას აგრძელებდა მათა.

- არა, ასე არ გამოვა. მე უკვე ჩემს ძმას, ნიკოს შევეთანხმდი, რომელმაც საქმეები გადადო და ჩვენ უნდა მოგვემსახუროს თავისი მანქანით. არა მხოლოდ ჩვენი სოფელი, სხვა ახლო-მახლო სოფლებიც უნდა შემოგვატაროს. პოეზიის მოყვარულები და სახალხო მთქმელები უნდა მოვიძიოთ და კარგი საღამო მოვანყოთ! - საქმიანად უხსნიდა მაცყალა.

- პოეზიის საღამო!... უნივერსიტეტში არ კმარა?! ცოტა დავისვენოთ და მერე ვირბინოთ სოფელ-სოფელ, რა გვეჩქარება?! - თავისას არ იშლიდა მათა.

- მე გადაწყვეტილება მივიღე!... შენ როგორც გენებოს!... შეგიძლია, წახვიდე ზღვაზე და დაისვენო!... მარტო ვივლი ნიკოსთან ერთად და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ თავი არ შევირცხვინო, განსაკუთრებით შენთან. ზღვიდან რომ დაბრუნდები, მოსაწვევს გამოგიგზავნი და პირდაპირ მობრძანდი პოეზიის საღამოზე! - მკვახედ, გაბრაზებულნი ხმით მიახალა მაცყალამ.

- სად უნდა დავესწრო პოეზიის სალამოს? არბოშიკის კულტურის სახლში? - ღიმილით ჩაეკითხა მათ.

- არა, პარიზში! - მოკლედ უპასუხა მეგობარმა.

- ჰო, კარგი, კარგი!... ისე იყოს, როგორც შენ გინდა!... უშენოდ ზღვაზე რა მინდა?! მაგრამ პირობა მომეცი, როგორც კი მაგ საქმეს მოვრჩებით, მეორე დღესვე წავალთ ზღვაზე, - თავისას არ იშლიდა მათ.

- წავალთ!... აუცილებლად წავალთ!... - მაყვალას ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ავტობუსიც მოვიდა... გოგონები სწრაფად ავიდნენ ავტობუსში, სამგზავრო ბილეთები აიღეს, თავისუფალ სავარძლებში მოკალათდნენ და ერთმანეთს გაღიმებული, ბედნიერი სახით გადახედეს...

ერთი კვირის განმავლობაში რამდენიმე სოფელი შემოირბინეს. არბოშიკშიც მოძებნეს ხალხური პოეზიის მოყვარულები. ერთ დღესაც, ნაშუადღევს, სადილის შემდეგ, მაყვალას მამაპაპისეული სახლის ეზოში, ცაცხვის ხის ძირში ჩამომსხდარიყვნენ მეგობრები, მხიარულად ბაასობდნენ და კისკისებდნენ... როგორც იქნა, კულტურის სახლის ხელმძღვანელობასთანაც შეათანხმეს პოეზიის სალამოს ჩატარების ორგანიზაცია და დღეც დათქვეს დიდი სახალხო ზემისთვის... გოგონები საუბარსა და სიცილ-კისკისში ისე გაერთნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს ჭიშკართან მდგარი ხანშიშესული ქალბატონი, რომელიც უხმოდ იდგა და მორიდებული მზერით შორიდან შეჰყურებდა მათ... სახლიდან ეზოში გამოსულმა მაყვალას დედამ, სანდომიანი სახის ქალბატონმა იზომ, მყისვე შენიშნა ჭიშკართან მდგარი მანდილოსანი და ჩქარი ნაბიჯით გაემართა მისკენ. ახლოს რომ მივიდა, მეზობელს გულთბილად მიეგება:

- მობრძანდით, ქალბატონო მართა, მობრძანდით. რა უხმოდ დგახართ, შემოდით ეზოში.

გოგონები სწრაფად წამოდგნენ და მოხუცს სკამი შესთავაზეს. მოხუცი ჩამოჯდა. შემდეგ ახალგაზრდებს შეხედა და მორიდებით მიმართა:

- ბოდიშს მოგიხდით, შვილებო, მე მგონი უდროოდ დროს შეგანუხეთ.

- არა, რას ბრძანებთ, არანაირად არ ვნუხდებით, - მიაგება მაყვალამ.

- იზო, შენი გოგო რომელია, მაპატიე, მოვხუცდი და ველარა ვცნობ, - კვლავ მორიდებით იკითხა მოხუცმა.

- მე ვარ, ქალბატონო მართა, - კვლავ მიაგება მაყვალამ.

- გამახსენე, შვილო, რა გქვია, ამ ბოლო დროს სულ მავინყდება ყველაფერი.

- მაყვალა, მაყვალა მქვია!

- ჰო, გამახსენდა. მართლაც რომ შეგეფერება ეგ სახელი. შენს ლამაზ პირ-სახეს, სწორედ რომ მაყვალისვით თვალები გიმშვენებს, - მიუალერსა მოხუცმა.

მაყვალამ ლიმილით შეხედა მართას და ფრთხილად ხელზე მოეფერა. მოხუცმა კვლავ განაგრძო საუბარი:

- შვილო, მაყვალა! მთელი სოფელი ლაპარაკობს, რომ შაბათ საღამოს სოფლის კულტურის სახლში დიდ ზეიმს აწყობ. აქაურმა მცხოვრებლებმა თავიანთი ლექსები უნდა წაიკითხონ. ზოგმა იმღეროს და ზოგმაც კიდევ იცეკვოს.

მაყვალას სახე გაუბრწყინდა. შემდეგ მაიას გადახედა და ისევ მოხუცს მიუბრუნდა:

- მართალია, მართა ბებო, ვისაც რა შეუძლია, ის უნდა გააკეთოს. ზოგი თავის დაწერილ ლექსს წაიკითხავს, ზოგიც იმღერებს...

- ჰოდა, შვილო, მეც მაგ საქმეზე გეახელით. მართალია, ხშირად აღარ ვმღერი, მაგრამ ახალგაზრდობაში გიტარასაც ვუკრავდი და სოფლის პირობაზე კარგადაც ვმღეროდი, - გააგრძელა მოხუცმა ლაპარაკი და თან მაყვალას მიშტერებოდა მაყვალისვით შავ თვალებში.

- რა ხდება, მართა, დავიჯერო სცენაზე მოგინდა ახლა შენ შენი გიტარით სიმღერა? - ჩაეკითხა ქალბატონი იზო.

- ბებო, მართლა სცენაზე გინდათ იმღეროთ? - ველარ შეიკავა თავი მაიამ და მოხუცის პასუხს არც დაელოდა, სიცილი წასკდა.

დაბნეული მოხუცი ხან იზოს უყურებდა, ხანაც გაცინებულ მაიას. შემდეგ გაუხეშებულ, მომჭკნარ ხელებზე დაიხედა და აღარ იცოდა, რა ეთქვა. მაყვალამ არც აცია და არც აცხელა, დაუყვავა და უთხრა:

- სიამოვნებით, ქალბატონო მართა, თუკი თქვენ სურვილი გაქვთ, იმღეროთ, იმღერეთ!... ჩვენ ძალიან გაგვიხარდება!

მართამ ბედნიერი სახით შეხედა მაყვალას და გახარებულმა უთხრა:

- მაშ, მამღერებთ, შვილო?! უარს არ იქნებით?!

- არა, მართა ბებო, რა უარს... პირიქით, სიხარულით გელოდებით! მონაწილეთა სიაშიც შეგიყვანთ. აბა, თქვენ იცით! - კვლავ გაუმეორა მაყვალამ.

გახარებული მართა სკამიდან თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სისწრაფით წამოდგა. იქ მყოფთ გახარებული გამოემშვიდობა, ჭიშკრისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა და იქაურობა სწრაფად დატოვა.

იზო გაღიმებული გაჰყურებდა მოხუცს, შემდეგ გოგოებს მიუბრუნდა და უთხრა:

- მადლი ჰქენით, საწყალ ქალს გული გაუხალისეთ. ისეთი ლამაზი გოგო იყო. მე ბევრად უმცროსი ვარ, მაგრამ მაინც კარგად მახსოვს. ისეთ კარგ ბიჭებს უნდოდათ მისი შერთვა, მაგრამ არ გათხოვდა. ორი ობოლი ძმისშვილი გაზარდა. არაფერს აკლებდა. თავისი თავი არასოდეს ახსოვდა. იმათი ცხოვრებით ცხოვრობდა. ისინიც ნიჭიერები გამოდგნენ. ორთავე თბილისში ცხოვრობს, მშვენიერი და კარგი ცხოვრება მოიწყვეს... ეს საცოდავი სულ მათ გზას გაჰყურებს, იქნება და გამოჩნდნენო. წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვლენ, ისიც სააღდგომოდ მშობლების საფლავზე გასასვლელად, თორემ ამ საცოდავი მართასთვის ვისა სცალია?! ან ამაზე ვინ ფიქრობს?! არის ასე მარტო, მეზობლების ამარა.

იზომ ხელი ჩაიქნია და თავის ქნევით შინ შევიდა. გოგოები უხმოდ გარინდული ისხდნენ და თავისდაუნებურად დახურულ ჭიშკარს მიშტერებოდნენ.

ზაფხული იყო, მაგრამ საკმაოდ ღრუბლიანი და მოღუშული გახლდათ კახეთის ულამაზესი სოფლის, არბოშიკის ცა. მიუხედავად ამისა, ჟრიამულით, ხმაურით, შეძახილებით, ხალისითა და სიხარულით გაივსო სოფლის კულტურის სახლის ძველი დარბაზი. სოფელი ზეიმობდა. პოეზიის საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჭარმაგი თუ ახალგაზრდა... ქალი, თუ მამაკაცი... ლექსის მთქმელებს - მომღერლებს... მომღერლებს - მოცეკვავეები. ერთი სიტყვით მხიარული და საამო შაბათი გაუთენდა შუაგული კახეთის კოპნია სოფელს... საღამო სოფლის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს, გულნარას მიჰყავდა. ორმოცდათხუთმეტ წელს მიღწეული ქალბატონი, ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი იყო. ყელიც ლამაზად და ამაყად მოედერა და ისე აცნობდა ყოველ

გამომსვლელს იქ დამსწრე საზოგადოებას... მართა, რომელიც სულ-მოუთქმელად ელოდებოდა ამ დღეს, საგანგებოდ გამონწყობილიყო. თავისი ყმანვილქალობის დროინდელი მუქი წითელი ფერის ატლასის კაბა ჩაცვა, რომელიც სამი ზომით დიდი მაინც ექნებოდა, თუ მეტი არა. ფეხებზეც მისი ახალგაზრდობის დროინდელი, სათუთად და საგანგებოდ შენახული შავი ლაკის „ბასანოჩკები“ წამოეცვა, რომლითაც ძლივს მიბაკუნდა დარბაზამდე და, რაც მთავარია, ჭალარა თმა საგანგებოდ დაენწა და ნანწავის ბოლოზე ლამაზი წითელი ფერის ბაფთა დაემაგრებინა... იჯდა თავისთვის მართა დარბაზის ბოლოში თავის ძველ გიტარასთან ერთად და სულმოუთქმელად ელოდებოდა, როდის მოუხმობდნენ სცენაზე...

სალამო დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც დარბაზის წინა რიგში მსხდომი მაყვალა და მაია კულტურის სახლის დირექტორის, ნოშრევანის თხოვნით ცოტა ხნით გარეთ გავიდნენ... ნოშრევანმა გოგონებს ყელგამონევით სთხოვა:

- სალამოს დამთავრების შემდეგ, ძალიან გთხოვთ, არსად წახვიდეთ! რაიონის ცენტრში, რესტორანში ცოტაოდენი პატივი გვინდა გცეთ...

გოგონები შეიშმუშნენ. მაიამ სწრაფად უპასუხა:

- ჩვენ სტუდენტები ვართ. უბრალოდ, ქართულ პოეზიას და ფოლკლორს დიდ პატივს ვცემთ, ძალიან გვიყვარს.

- ჩვენი მომავლისათვის აუცილებელია და თანაც ჩვენ თვითონაც ლექსებს ვწერთ. დამწყები პოეტები ვართ, - მიეშველა მაყვალა.

- გასაგებია, ჩემო კარგებო, მაგრამ ჩვენც მოგვეცით ნება, რომ ეგ თქვენი თავგამოდება და მონდომება დავაფასოთ, - არ ეშვებოდა ნოშრევანი.

ნოშრევანს სოფლის რამდენიმე პედაგოგი ქალბატონიც შემოუერთდა და ბოლოს ყველამ ერთად შეძლეს გოგონების დაყოლიება...

გოგონები დარბაზში როცა დაბრუნდნენ, სალამო დაემთავრებინათ. მაყურებლები წამოშლილიყვნენ და დარბაზს ტოვებდა. დარბაზი დაცარიელდა და მაიაც სალამოს წამყვანთან ერთად საუბარში გართული გარეთ გავიდა. ის იყო მარტოდ დარჩენილი მაყვალაც ტოვებდა იქაურობას, უცებ სცენიდან გიტარისა და ხმადაბალი სიმღერის ხმა შემოესმა. გოგონა სცენისკენ მიტრიალდა და გაშრა, გაფითრდა, ცივმა ოფლმა დაასხა. სცენაზე წითელკაბიან და ბაფთიან მოხუც ქალბატონ მართას ხის მოკლე სკამი დაედგა, ზედ საცოდავად ჩამომჯდარიყო და ძველი გიტარით ხელში თავისთვის მღეროდა:

კამელია, კამელია,

სიყვარული გამელია,
ამდენ ტანჯვას და ნამებას,
სანამლავი დამელია.

გაოგნებული გოგო უყურებდა მართას და ყელში ბურთი მოებჯინა. თავი მაინც ვერ შეიკავა. მაცვლისფერი თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა. შემდეგ თავს ძალა დაატანა და სცენაზე ავიდა. მოხუცს მიუახლოვდა, იქვე ჩაიცუცქა და სახეში შეხედა... მართამ სიმღერა შეწყვიტა, გოგოს შეხედა და ნაღვლიანი ხმით თავისთვის ჩაილაპარაკა: „მართა, მართა, ეს რა დაგემართა“. შემდეგ მაცვალას ჩუმად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

- ვიცადე, ვიცადე, მაგრამ არ გამომაცხადეს.

მაცვალა ქალს მოეხვია და თვითონაც ჩურჩულით უპასუხა:

- ნამდვილად იყავით სიაში, ჩემი ხომ გჯერათ!

მართამ ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა:

შენი მჯერა, მაგრამ გულნარამ არ გამომაცხადა.

ნირნამხდარმა გოგომ კვლავ სცადა მოხუცის დამშვიდება:

- შემთხვევით გამორჩით, ალბათ, თორემ როგორ არ გამოგაცხადებდათ?!

გოგომ მოხუცს ხელი მოხვია და გარეთ გამოიყვანა. სოფლის მოსახლეობა ჯერ ისევ იქვე, ეზოში იყო, როდესაც მაცვალამ ხმა-მალლა, ყველას გასაგონად დაიწყო ლაპარაკი:

- თუ შეიძლება, ყურადღება მოგვაქციეთ, მართას მოვეუსმინოთ ყველამ. ის ჩვენთვის მღერის, გულით მღერის და გულით ვუსმინოთ.

ყველანი მოტრიალდნენ და დიდი წრე შემოარტყეს ნითელკაბიან მართას. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდათ რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო იქ მყოფთათვის. ამასობაში წვიმის წვეთებმა დაიწყო ნკაპა-ნკუპი. მართამ მაცვალას შეხედა და ჩუმად ჰკითხა:

- რა ვიმღერო, ისევ კამელია?

მაცვალამ ღიმილით უპასუხა:

- არა, კამელია არა, სხვა რამე იმღერეთ.

მართამ თავი მალლა ასწია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- კარგი, მაშინ „მაგნოლიას“ ვიმღერებ. კამელიას მაგნოლია მირჩევნია.

მაცვალამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მართამაც გიტარას ხელი ჩამოუსვა და ხმის კანკალით დაიწყო:

ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე

ქარებს აყოლია

და ნასულა შენგან, გაფრენილა შენგან,

მინას დაჰკონვია,
ისე გული ჩემი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა,
არ ვახსოვარ, ალბათ, არ ვახსოვარ, ალბათ,
ჩემო მაგნოლია...

წვიმამ იმატა. მართას ხმას წვიმის წვეთების ხმაც შეუერთდა, წვიმის ხმასთან შეზავებული და შეხმატკბილებული მისი სიმღერა: „როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია“, ისე ისმოდა, როგორც მძინარე, ჩვილი ბავშვის სუნთქვა ისმის ჩაძინებისას...

- ეგ ლამაზი თეთრი სახლი მართას ძმის შვილიშვილმა ააშენა. თვითონ ამერიკაში ცხოვრობს ოჯახით. წელიწადში ერთხელაც არ ჩამოდიან... მართა სანამ ცოცხალი იყო, საცოდავად ქვითკირის სახლში აცხოვრეს. როგორც კი გარდაიცვალა, არიქა და სასწრაფოდ სასახლე წამოჭიმეს, ვითომდა მამითადი არ დაეკარგოთო. ნეტავ კი, რად უნდათ? სახლის მომვლელი ჰყავთ აყვანილი, კარგადაც უხდიან, - ეუბნებოდა ქალბატონი იზო მაყვალას...

ორი მეგობარი ქალბატონი, მაყვალა და მათა კი სადილად გაშლილ სუფრას მისხდომოდა... მაყვალა გონებაში მისდაუნებურად იმეორებდა: „კამელია, კამელია, სიყვარული გამელია...“ ისადილა თუ არა, ადგა და გარეთ, ეზოში გავიდა. ხარბად გადახედა იქაურობას. ხვალ ისევ თბილისში უნდა დაბრუნდეს... ისევ ოჯახი, ისევ სამსახური, ისევ ყველაფერი თავიდან... იდგა და გაჰყურებდა კახეთის შუაგულში, მის მამითადში, ლამაზ ეზოში, ლამაზად გაშლილ ვარდისფერ ვარდებს. ირგვლივაც რა კარგი სურნელი ტრიალებდა... ბალახზე თეთრი ზენარივით მოფენილ გვირილებს კი ფუტკრების მთელი გუნდი შესეოდა და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ მათი ბზუილიდა ისმოდა...

პოეზია

ლევან ქართლელი (კილაძე)

დაიბადა 1995 წელს, ხაშურში. პირველი ლექსი 9 წლის ასაკში დაწერა, აქტიურად კი 13 წლიდან წერს პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა კაცი, რომლის გულწრფელი ნაფიქრალ-ნააზრევი, ნამდვილად, იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში.

„ქართლელი“ ლევანის ფსევდონიმია. ლექსების გარდა ამჟამად იგი რომანზე მუშაობს.



ჩვენ უკან მკვდარი ფოთლებია, ნუ შემფოთდები...
ვეღარ განკურნავ ცრემლის ფრქვევით იმათ იარებს.
გამწვანდებიან გაზაფხულზე კვლავაც ფოთლები,
ჩვენ? - ჩვენ დავრჩებით ორი სული, მოხეტიალე...
და ვის ავუხსნა, რატომ გვტყვივა ბალახის ღერი,
ობლად დათრთვილულს, ზამთრის სუსხში თუ როგორ სცივა.
ანდა, თუ გედი შორეულ ხმით, რა წამს უმღერის,
შემოდგომის ხე რას სწუხს, როცა ფოთლები სცივია...

ტყე შრიალებდა, ვით ბავშვი თოთო,
შორით ძახილი არ მოისმოდა,
მოთოვს და ზამთრის შეცივებულ ფოთოლს
სიმწვანე შეცვლის, სამაისოდაც.
გაუძელ, გულო, ცოტაც... წასვლამდის,
თვალო, გაუძელ ფერების ძარცვას.
მშვიდობით, ტურფავ, ან და მარადის,
უშენოდ ყოფა მიაგავს ჯვარცმას!
წყალს წაუღია უნჯი და სვავი!..

- 53 -

მნამლავ შორეულ სურვილით, ნელით,
სად, იმ მხარეში ყვავილი ყვავის, -
ქარს იასამნის დასდევს სურნელი.
მსურს და ვინატრი იმ მხარეს ახლა,
სადაც გმირივით კვდება ბუნება.
ეს არის ბედის შეხლა-შემოხლა
და სამუდამო განადგურება...

* * *

ნეტავ, თეთრგულა მერცხალი ვიყო,
რომ გაზაფხული ჩემით გჯეროდეს.
ფრთებმა, რაც უნდა, შორით გამრიყოს,
მაინც მელოდე, სადღაც მელოდე...
ეს შემოდგომაც როგორ ამძაფრებს
ნაფერებ სურვილთ, გულს შენახულთა,
შენც, უმონყალოდ, ცაო, გაგძარცვეს,
შენი სილურჯეც წამში გახუნდა.
როს საღამო ხანს, მზის მწველი დისკო
დაისში სისხლისფრად აბრიალდა!
მივხვდი, რომ რალაც დამთავრდა... იყო...
რალაც ძალიან დამაგვიანდა.

* * *

შორით ვიყოთ, ნეტავ,
ფეხ-უკვალო თოვლში
და მიცქერდე რეტით
თავდაკარგულს დროში...
დაფიფქულმა თეთრად
მინამ ზეცა მოსვა,
დაველოდოთ ერთად
გაზაფხულის მოსვლას.

დავუთბუნოთ ორთქლით
შეციებულ თითებს,
რომ ვინატროთ მოთქმით, -
ავვისრულდეს, იქნებ...
და სამყარო იქით
ჩანაცრულა თუნდაც...
მე გაგართობ ფიქრით,
დამადევნე გუნდა.

ჩვენ არც ცხადში ვართ და არც სიზმრად, მხოლოდ ვბერდებით,
სადღაც დანყველილ უცხო მხარეს ბედმა გაგვტყორცნა.
მაგრამ ხანდახან მცირედითაც ვბედნიერდებით,
როცა ვიგონებთ: „ჩაგვეხუტა, ანდა გვაკოცა“.
გავყურებ ზეცას და მათგებს ლაყვარდი უცხო,
თუ ჩვენ მივდივართ, ეს ღრუბლები რატომ რჩებიან?
რას ვერ იყოფენ სააქაოს, მითხარ, მოხუცო?
რომ გაჰყვირიან: „ის ჩემია, არა, – ჩემია!“
როგორ მცირდება ანგარებით მოკვდავი ნაზი,
განიკითხავენ, რომ ღმერთი სწამთ, თუნდაც – ალაჰი
და დედამინა, როგორც ერთი დიდი დარბაზი,
ომებში იწვის... საფლავებზე ხარობს ბალახი...
სისხლიან ხელებს ძველებურად სისხლით იწმენდენ,
მინა რისთვის გვაქვს, რა იციან, იგი ვისია?
ფეოდალები ხელქვეითთა საქმეს ინერენ...
რა სიმდაბლეა ყოველივე, საკმარისია!..

პოეზია

გიორგი ხორბალაძე

დაიბადა 1981 წლის 30 დეკემბერს.

2004 წელს დაამთავრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2013 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურა, ამავე წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“ და მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2010 წელს მუშაობდა გორის №3 საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე. 2010-2011 წლებში იყო გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი. 2011 წელიდან დღემდე გიორგი ხორბალაძე გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელია. ამავდროულად, არის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

არის ორი პოეტური კრებულისა (ლექსების პირველი კრებული „მთვლემარე განთიადი“, გამომცემლობა „სამშობლო“, 2003 წ.; მეორე კრებული „წვიმის სურათი“, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2007 წ.) და ოცდაათამდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.

2015 წელს გიორგი ხორბალაძის ავტორობით გამოიცა მონოგრაფია „იების სევდა“ (გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები).

მისი ლექსები შეტანილია უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.



თავზე შემომადნა შუქთა ილუზია,
ღამე სადაცაა, თვალწინ დამიჯდება,
შენზე გაგიჟება იქნებ ვირუსია?!
იქნებ ვირუსია შენით გაგიჟება?!

ყინვამ დააკანრა სარკმელს ყველა მინა,
ტკივილს უდრტვინველად იტანს დარაბები.
მე დღეს ავად ვარ და მე დღეს შველა მინდა,
შენ კი ისე ცხოვრობ - ვითომ არაფერი...

იქნებ ჩემი სენი ცოტა გადაგედოს,
თუნდაც ნახევარი, თუნდაც მეხუთედი,
თორემ ველარ მშველის ლექსად ქადაგება,
როცა შორსა ხარ და სულში მეხუთები...

მოდი, გამიბრაზდი თუ არ მეფერები,
მოდი, სიძულვილი გულში დამახალე...
ერთი გაღიმება თუკი გებევრება,
ერთი ღიმილითაც თუკი არ მახარებ...

თავზე ჩამომექცა შუქთა ილუზია,
დილა ფანჯარაზე როდის დამიჯდება?
შენზე გაგიჟება, მართლაც, ვირუსია,
მართლა ვირუსია შენით გაგიჟება...

ალარც გეხები და ალარც გეფერები,
შორი მანძილები ჩვენი საზღვარია.
ვგავარ დღეგამოცლილ, „ბებერ“ ეფემერიდს,
ალარც გეგმები მაქვს უკვე სახვალის...

ღრუბლებს ჩამოსცივდა ცრემლთა ნიაღვარი,
ირგვლივ ყველაფერი მუქად ჩანაცრისფრდა,
ცივი უშენობის სივრცეს მივეხალე,
თითქმის თვითმკვლელობის ვდგავარ ჩანაფიქრთან.

მარტო ველოდები უკვე სასწაულსაც,
ვხედავ, უკულმართი ბედის მსხვერპლი ვხდები,
ვიცი, უშენობას ვერსად ვერ წაუვალ,
მანინც შენით ვცოცხლობ, შენ კი ვერც კი ხვდები...

აქვე, შორიახლოს ვლანდავ აგონიას,
წამებს დამითვლიან, როგორც ეფემერიდს,
ხელი შემაშველო, რალაც არ მგონია,
რადგან თუ გადავრჩი - შემომეფერები...

არ შემაჩერო

არ შემაჩერო, შენში მოვდივარ!
უნდა ჩაგიკრა გულში ძალუმად...
მე უშენობის ლოტი როდი ვარ,
ან მოთაღლითო ვინმე ხანუმა.

კაცი ვარ ნალდი და პირდაპირი
და ალაღმართალ განცდებით ვცხოვრობ,
ვიდრე გრიგალი გამინაპირებს
ამ გარდაუვალ სათხოვარს გთხოვ, რომ:

გულში ჩავეკრათ, მოდი, ერთმანეთს
და სხეულები ავრივდავრიოთ,
ცუდი არ მინდა შენთვის, ღმერთმანი,
ეგ არ იფიქრო – არ გადამრიო!

მაგრამ სულ ცოტა ტკივილებამდე
კი შემოგახვევ ხელებს მარყუჟად,
ძარღვებში სისხლი კივის ნებაზე
და ყველა ნერვი შეაზარხოშა...

შემოგერევი ისე, არც კი ორს
არ ვემგვანებით – მე ვარ თავდები!
და ვისაც უნდა, იმან არკვიოს,
შენ სად იწყები, მე სად ვთავდები!

* * *

შეეშვი ამ ტვინის ჩახვეულ ლაბირინტს
არევა აკმარე გონებას, ეყოფა,
აბრუებს ეგ ტანი პირდაპირ ბანგივით,
კაცები საშენო მზერასაც ვერ ვიყოფთ...

მე უკვე მიყვარხარ საზღვრამდე სიგიჟის,
დამითმე მაგ გულის სულ ერთი კუთხე და
გულს გარეთ არ ვეძებ ანგელოსს - შიგ მიზის,
რომ ვხედავ შენს ღიმილს ზეციურ კურთხევად.

კრიალა ზეცაზე ვარსკვლავთა ჭორფლია...
იქნებ მთვარის ნაცვლად თავადვე აენტო...
ვის რაში სჭირდება უშენო მსოფლიო?
უშენოდ რად გვინდა სამყარო საერთოდ?

საგრძნობლად გამოდი გრძნობებით კავშირზე,
თორემ გათენებაც პრინციპში - ღამეა,
ბარემ მოექეცი ღრუბლების თავში მზედ,
მინაზე ხომ მაინც ვნებები ბლავიან...

იქნებ მთვარის ნაცვლად თავადვე აენტო...
კრიალა ზეცაზე ვარსკვლავთა ჭორფლია...
უშენოდ ვის უნდა სამყარო საერთოდ?
ვის რაში სჭირდება უშენო მსოფლიო?!

ტკბილი სალამო ექსპრომტი

ტკბილი სალამო გასხლტა ხელიდან
და თითქოს სევდა ერევა ამ ვალსს,
არც შენ კისკისებ, არც მე ვმღერი და
ჩანს – განშორებას ვუფრთხით, ვით მტარვალს...

როცა გარიჟრაჟს არღვევენ მთები,
იმ დროსვე გნახავ, ვიცი, თუმცა ხვალ,
მაგრამ დღეს ისე არ მემეტები,
მომკალი, ოღონდ ახლა ნუ ნახვალ!

* * *

ფუჭი სიცოცხლის მგომბი რადაც ვარ,
შენ კარგად უნყი, ჩემო ძმობილო!
უმაქნისობას ვარჩევ გარდაცვლას,
როგორც ურემს სჯობს ავტომობილი!

საქმე მართალი, მუხლჩაუხრელი,
ხოლო შედეგი საყოველთაო,
სამშობლოსათვის ფიქრი, ნუხილი
უცვლელი გზაა, არვინ მედაოს!

- 59 -

„სიზღი“. 2017. 3-4 (15-16)

სამშობლოვ ჩემო, მზევ მინიერო!
ამქვეყნიურო ჩემო სამოთხევ!
მე უშენობა შორს მივნიე, რომ
ერთ დროს შენეულ სივრცეს ჩამოვტყდე!

* * *

ცა პირადულად მევარსკვლავება,
ხვალაც არ ველით ნვიმას მეხიანს,
ისევ გაშალა ღამემ მკლავები,
რომ ძმაბიჭვით გადამეხვიოს...

მე სად ვიხილავ ღამეს მთანმინდის,
რიჟრაჟთან გორის მთვარე შედნება,
ეს სილამაზე, ნეტავ, სად მიდის
ღამით, რომელიც აღარ თენდება?!

ანდა თუ მიდის სადმე საერთოდ?!
ეჰ, რას გაუგებ ტიალ საწუთროს..
მე შენთან ყოფნას, ნეტავ, რად ვერ ვთმობ?!
და რაც დრო გადის, ვერ გთმობ ან უფრო..

ანდა რად უნდა ამას მჩხიბავი,
ან მკითხაობა, ანდა იჭვები,
ყოველთვის მნამდი, მუდამ მხიბლავდი
და ახლაც შენი ტრფობით ვინვები!

ეს არის განძი, სწორედ რაც მე მაქვს
და როგორც ყვაფი არ გათეთრდება...
ეს სიყვარული ყველგან თან მიმაქვს,
გათენდება თუ არ გათენდება!

პოეტის ძმაცაცია

მთვარე პოეტების ძმაცაცია,
მზე - უფრო მამიდა ყვავი-ჩხიკვის,
სხეულზე პირდაპირ ცა გვაცვია
და იღბალს არ ვეძებთ ყავის ჭიქით.

პოეტი არავის ემალება,
თუნდაც, ამინდებში ამ ქარიან,
დარდებს მუჟავედ ლეჭავს ტყემალივით,
გული ცხელი აქვს და ზამთარია...

ზოგჯერ ერთი ლექსის ფასად არ ღირს,
ურითმო სიცოცხლე თვალწინ როა,
პოეტს ყველასა ჰყავს ფარსადანი,
ისიც რალაცაში საჭიროა...

მაგრამ, პოეტები არ დრკებიან,
სიყვარულს ურევენ სიკეთეში,
სიბრძნის სამიჯნურო დარგებიდან
მაგარ კოქტილებს გვიკეთებენ...

პოეტებს სხეულზე ცა გვაცვია
და იღბალს არ ვეძებთ ყავის ჭიქით,
მთვარე - პოეტისთვის ძმაცაცია,
პოეტი მთვარისთვის და პირიქით....

უკვე შორს დარჩა ძველი ორგია,
ბუნდოვნად ჩანხარ წარსულის მტვერში,
სევდით გავცქერი წვიმას ქოლგიანს
და ათას სტრიქონს ათასჯერ ვწერ-ვშლი.

აღარ მახსოვხარ, არა და არა,
არადა, თბილად დაგვხვდა ცივი ტყე...
აღბათ, რომ შემხვდი, თავი დახარე
ვერ გიცანი და გადაგივიწყე...

დღეს კი მაგონებ გარეცხილ ფოტოს,
რომელიც ბედად ჯიბეში ჩარჩა,
არ მახსოვს შენი კისკისის ფორტე,
თუმცაღა თითქმის მახსოვდა შარშან.

ხსოვნაც შორეულ დღისა და ღამის,
სულ გაქრობისგან მთხოვს — დამიხსენო,
და მეც გიხსენებ სულ ერთი წამით,
რომ მერე ხშირად ვერ გაგიხსენო...

ლექსის გმოზღაბი

შენ ამ ლექსის დედა ხარ,
მე მამა ვარ ამ ლექსის,
გამახარე ხანდახან
და დამღალე ალერსით.

რთული არის სანუთრო,
რას გაიგებ ბედისას,
მენატრები ან უფრო,
რაც ამბორი მელირსა.

თუ ვერ შევექმნით ოჯახს და
თუ ჯვარსაც ვერ დავინერთ,
მაინც ვრჩები ყოჩაღად,
არც სიბრალულს არ ვინვევ.

რადგან მსუბუქ ფლირტიაც
ჩვენ შვილები გვიჩნდება,

მეტს მეც არას ვილტვი რას,
დაე, იყოს ღვთის ნება...

ჩვენ საერთო შვილი გვეყავს,
თანაც ეს მერამდენე...
ჩემი ხარ და შენი ვარ,
სხვა რას ფიქრობს, რა მერე?

შენ ამ ლექსის დედა ხარ,
მე მამა ვარ ამ ლექსის,
ამ გულს სხვა ვერ შელახავს
თუ შენ დამღლი ალერსით...

ნუ გოცებებს, რაც გესმის
და ნურც გრძნობებს დამღლავ,
შენ ხარ დედა ამ ლექსის,
მე ამ ლექსის მამა ვარ!

პოეზია

დათო ლომია

დაიბადა 1993 წლის 21 იანვარს ქალაქ გორში, დაამთავრა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ამჟამად არის აპოლონ ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვიზუალური კულტურის კვლევების მაგისტრანტი.



* * *

თუ მკერდში ქარი დაეხეტება,
მხოლოდ შენ ეტყვი, გულის მხარეს როგორ წავიდეს.
ოლონდ ნუ ჩადგება,
ოლონდ ნუ ჩადგება.

* * *

ამ ყვითელ ფოთოლს, ხელისგულზე რო ვაძინებ,
შემოდგომის სიზმარი უყვარს.
დედას ჰგონია, სახლის ჭერი
სიგარეტის კვამლით შავდება.
სინამდვილეში ჩემი სიზმრებისგანაა ასეთი შავი.
თეთრი საღებავი ვერაფერს შეცვლის,
თუ ერთხელ თოვლი არ დამესიზმრა.

* * *

შენს ოთახში უამრავი ნივთი ეტევა,
ნელინადის ოთხი დრო და გრძელი სიზმარი,
რამდენი თოვლი, ყვავილობა, ან ფოთოლცვენა,
თუმცა ამხელა სამყოფელში ჯერ რა ცოტაა
ადგილი ერთი სიყვარულისთვის.

* * *

ჩემი ზაფხული არ დადგა,
დამაქვს ზამთარი ბარგად,
როცა მგონია, კარგად ვარ,
მაშინ არა ვარ კარგად.

გიორგოზა

გრიგალად ისმის ქარის ფაჩუნნი,
მტკვრის აქეთა თუ ლიახვის იქით,
მივდივარ ფიქრებამოჩაჩული
გორიჯვრისაკენ სადგურის ხიდით.
მთამსვლელის მზერით გავყურებ აღმართს,
პატარაა და მწვერვალის ტოლი,
ღმერთო, რარიგად უხდება ახლა
თრიალეთს ღამით მოსული თოვლი.
ტაძარს წყალობა მიჰყვება ღვთისა,
ფერდობს – ურწმუნო მლოცველთა რიგი,
იქიდან როგორ ახლოა მიწა,
მიწიდან როგორ შორია იგი.
შესასვლელს ცხვრების ტირილი ღობავს,
ტირილს – სამსხვერპლოდ მოსული მრევლი,
თუ შესაძლოა, გტკიოდეს ცოტა,
ხომ შეიძლება, გიყვარდეს ბევრი?!
სისხლი მოდის და სისხლი არ არი,
ცრემლი მოდის და ცრემლი არ არი,
რა უნდა იგრძნოს ამაზე მეტი
სულმა დამზრალი და შემზარავი?!
სალოცავიდან გამოდის სითბო,
სურნელი ღმერთის და ცოტა სანთლის,
როგორ ძნელია, შენადვე იყო,
შენ სახლში იყო, შენში კი - სახლი.
ქვემოთ დაშვება უფრო რთულია,
ვფიქრობ და გულში მძლავრობს ზამთარი,
რამდენი მუჭა სიყვარულია
მთიდან ქალაქში ჩამოსატანი.

სურათი

მთელი წლის სათქმელს
ფოთლებზე წერდნენ ხეები და შემოდგომით
ერთმანეთს უგზავნიდნენ,
მეზობელ კი ტროტუარზე წერილებს წვავდა.

აპათია

მშრალი დღეები უწყლოობით იძირებიან,
შენს სიხშირეზე ველარ სუნთქავს ჩემი რადიო,
დღეს ვარსკვლავების ნაცვლად ცაზე წინილება
და სული ჩემი მინდა მათ წინ მიმოვაბნო.

ცხელა სოფელში და ბალახიც ღელავს უქაროდ,
ლოყები თიხის ქოთნებივით ირუჯებიან,
ვერ წარმოიდგენ, ახლა როგორ მტკივა, უფალო,
ღრუბლების ზურგზე დარჩენილი სილურჯეები.

აკურთხე ყველა ცრემლიანი პურის ნატეხი,
ნუ დააყოვნებ გულმშეირი კაცის წინაშე,
რადგანაც ახლა წვიმის წვეთში უფრო მეტი ხარ,
ვიდრე მწვერვალზე აშენებულ ეკლესიაში.

მინაზე ცივი, დაკბენილი – მკვეთრი სუნია
თვალუხლებელად დაშვებული სველი ფარდების,
ჩემთვის სანყისი თითქოს უკვე დასასრულია,
შენ კი იქა ხარ დასანყისი, სადაც მთავრდება.

* * *

ერთი კაცი და ერთიც ჩიტი,
სახურავზე გვერდიგვერდ დგანან.
ჩიტი გაზაფხულზე დაბრუნდება, კაცი - არასდროს.

* * *

მე მესმის შენი, მაშინაც კი, როცა არ მინდა,
ყური დაფუგდო სიტყვებისგან დაცლილ მოლოდინს,
როგორ ვიგრძნობდი საუკუნეს ერთი წამიდან,
როგორ ვიფრენდი, გულთან ახლოს რომ არ მყოლოდი?!

* * *

როცა კედლები ფანჯრებიდან გაიქცევიან, მე მოვალ შენთან
უნაპირო მინდვრების გავლით.
მართალი ცრემლის დასხმა უნდა, გულში რო ყვავილი ამოვიდეს.
ვერ გაიზრდება,
მინამ ფესვი თუ არ ატკინა.
ასეთი ტკივილები წამალს აყურებენ.

* * *

იქნებ თვალები გამომამტვრიონ
ხეებმა, სულ პატარები რომ დავრგე და ცრემლი დავუსხი.
ფესვი ჩემთან აქვთ,
მაგრამ ყვავილი
შენს თითებზე უნდა გაშალონ.

სუიციდი

ბევრი ვეხვეწე,
ბევრი ვთხოვე,
არ მიჯერებდა.
ისიც ვუთხარი,
რომ ამის შემდეგ
ღმერთის სასჯელი
არ ასცდებოდა.

დილით,
სადენით დაკიდული
ვიპოვე ჭერზე
შავი ნათურა.

ქველ ხიდთან

აღარც არავის მზე ვარ,
აღარც სინათლე სხვა,
მარტო ვარ - ხიდზე ვზივარ
და გადახტომას ვსვამ.

ვხედავ გორიჯვრის თავზე
თეთრად დაფენილ თოვლს,
აღარც არაფერს ვაძლევ,
აღარც არაფერს ვთხოვ.

მე გადავედი გზიდან,
თუ ამიცილა გზამ?!
ერთ მაღალ ხიდზე ვზივარ
და გადახტომას ვსვამ.

პოეზია

გიორგი გამსახურდია (გვიმრელი)

დაიბადა 1977 წლის 8 ივნისს თბილისში. 1994 წელს დაამთავრა თბილისის მე-6 გიმნაზია. ამავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. სხვადასხვა დროს მისი შემოქმედება და პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთებში: „ლიტერატურული პალიტრა“, „ჩვენი მწერლობა“, „მნათობი“, „დილის გაზეთი“ და ა. შ. 2002 წელს გამოსცა ლექსების კრებული „მთას მიდიოდა კაცი“. 2006 წელს საუკეთესო პუბლიცისტის ნომინაციაში მიენიჭა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ პრემია. 2015 წელს მისი მოთხრობა „გაბო“ შევიდა ლიტერატურულ კონკურს „წეროს“ კრებულში. 2016 წელს გამოსცა ლექსების კრებული „გატეხილ სარკესთან“. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ცხოვრობს და მოღვაწეობს ლონდონსა და ფრანკფურტში.



შეშლილი გოგო

წუხელ შეშლილი გოგო მესიზმრა,
ცათამბჯენები იქცნენ ჯიქებად,
იკლაკნებოდა „მაინი“, როგორც
დაპირებულის გადაფიქრება.
ვერ გავუსწორე ვერაფრით თვალი,
ბაღში ბიჭები გიჟად რაცხავდნენ
და მიყურებდა სარკიდან მხდალი,
საკუთარ თავის მამინაცვალი.
მითხრა გოგონამ: ამათ არ ესმით,
საფიქრალივით ბევრნი არიან...
შენ იცი მხოლოდ - მქვია ასმათი
მოდის, იყავი ჩემი ტარიელ.
კვლავ ავიშვიშდა მამრების ფარა,

დადგა სურნელი მძაფრი ობისა
და საამური, მსუბუქი ხანა
დაუნდობელი სტუდენტობისა.
გამიმეორა: - ამათ ნუ უსმენ,
გიჟს მიწოდებენ, რადგან მარტო ვარ.
და მწვანე თვალის დიაფრაგმანი
გამომიწოდა, როგორც მათხოვარს.
მე კი უწვევრულს, ჟინი ბალღობის
მდიოდა, სოფლის წყალივით მღვრიე,
იმ საიდუმლო თხოვნის განდობა
ეჭვის კენჭებზე გადავიმსხვრიე...
გატეხილ სიტყვის ჯავრმა მომცელა,
რომ თავპატიჟით დავპატარავდე...
და ბიჭების გუნდს მოხორხოცეთა
მეც შევეურთდი, როგორც არაფერს.

ახალი წელი მოვიდა,
მაგრამ არ დადო თოვლი და
თოვლის ბაბუამ ხურჯინი
ხალხს დაანახა შორიდან!
შენ გადმოილე კასეტა
გაუქმებული თაროდან...
და მიხვდი, წელი ახალი
რომ ისე არ გიხაროდა,
როგორც ოთხმოცდათერთმეტში
ან ათას ცხრაას ოთხმოცში,
სულ ყველაფერი გახუნდა
ალბომებსა და კომოდში.
მორჩა რაშებით თამაში!
იქნება ზევსის რისხვაა?
ცივ კორპუსების ქალაქში
დღეს სხვათა წელთაღრიცხვაა.

როზას

*მეორე მსოფლიო ომის დროს
დევილ რუმინეთის მოქალაქეს*

სწორედ ამ წუთას სიკვდილი გებრძვის
მბჟუტავ დერეფნებს ბოლო არ უჩანს.
ასე იოლად ვერავინ შეგცვლის,
შენთვის ღიღინებ „ბესამე მუჩოს“.
მწვავ და ეს ალი აღარ მორჩება,
თითქოს ადრეულ მზესთან მიმიშვი
და შენი რუჯით დანაოჭება
ზედ ანერია ყველა შვილიშვილს.
ტკივილმა იცის, მოვა და გულთან
გეტყვის - გამხდარა თურმე ავადო,
მაგრამ მგონია, დაფეთებულთა
სუფრას უზი და ისე თამადაობ.
ისმის ჩორთის ხმა, ის ესკადრონიც
გავეშებული, სადღაც აგცდება...
და ჩაჩანაკი მსოფლიო ომი
ათი წლის გოგოს ფეხთან მარცხდება.

ისევ თორმეტმა დარეკა,
სუსხიანი და მკაცრია მარტი,
როგორც ჭინჭარაული ბათარეკა.
სუნთქვას ნახარში ქაფის ფერი აქვს...
უარყოფილი, საბჭოთა ბავშვი
დაგვიანებით გაშლი კერუაკს.
მეგობრის სახელოსნო დალპა
და მასთან ერთად ჩვენი გონებაც.
გინდ აღფა იყავ, გინდა ომეგა,
უნდა იცვალო, ან უნდა გატყდე,
ან წყარო იყო, ან მინა, ან ტყე,
გახვიდე, სამზარეულოს მიღმა

და კვილს ატეხ, ან ჭკუას იხმარ.
ცა წარბებს ბურდავს...
კარგა ხანია, ხელისგულზე
დადებულ ხურდას
ვერ ვუწრუპუნებთ მე და მზია
მთვარეს ფანჯრიდან,
აღარც მზიაა ან მთვარე, თუნდაც
და ვერ ვიხსენებ, ახლა რა გვრჯიდა?
უსახსრობაზე მეტი იყო,
რასაც შევთხოვდით,
აღბათ მინდოდა სულ
მესმინა ცემა მაჯისა,
მაგრამ დავეშვი
საცალფეხოთი... მორჩა ოჯახი,
ამწეკრანზე ნათურა მოჩანს,
ვერტმფრენი რომ არ დაეჯახოს...

* * *

მე ასე მჯერა, ძალიან შორს
ვიღაცის მძევალს მაინც აქვს გზა,
მაგრამ ამბობენ, წინილი ქორს
მხოლოდ ზღაპარში დაუდებს ზავს.
ვერ წაულია საჩუქრად თან,
დაუშრეტელი წყარონი დევს
და აღბათ დღენიც, უღმობელ ხანს
მიაქვს და ძევს... მიაქვს და ძევს...
თუნდაც უნიოს მეთავე ჯავრს,
ისევე ნადავლად ჩაიგდებს უმს,
პირდაღებული უძირო ჭა,
მორიდებული კაცივით დუმს.
ვერსალში ქარი ღალატობს ქმარს,
სიამის ღამე კუნაპეტი.
და ისმის მინის ზრიალის ხმა:
- ბონ აპეტი...

თარგმანი

რეჰად ნური გუნთეჟინი

იღვლიანი ბავშვი

ერთ ძველ დიდ სახლში, მოსამსახურის ბნელ ოთახში რკინის სანოლზე შავთმაგაშლილი ავადმყოფი ლამაზი გოგო წევს თვალეზღა-ბინდული. სასთუმალთან მოხუცი ქალბატონი უზის, რომელსაც ხელში ვერცხლის შანდალი უჭირავს.

ქალბატონი: – შვილო, ნუ ჯიუტობ... დამალულმა ჭირმა კაცი მოკლაო, ხომ გაგიგონია... დღეს ერთი ჩვენი მოახლე ვნახე, ასე ადვილად არ მოვტყუვდები... ეს შენი გაცივება სხვა არაფერია, თუ არა... გაცივებამ მუცლის ასე დოლივით გაბერვა არ იცის... მოდი, სიმართლე მითხარი... კეთილი ქალი ვარ, შენთვის ცუდი არ მინდა, შეცდი, ხომ?...
-

– ვაი, ჩემს თავს! ამდენ ხანს როგორ ვუფრთხილდებოდი ჩემი ოჯახის ღირსებას! ახლა ასე ლაფი უნდა დამესხას?! რა ვქნა, რა ნყალში ჩავვარდე, დიდ ბატონს რა პასუხი გავცე?

-
– ბავშვის მამა ვინ არის? ეს მაინც მითხარი...

-
– მძლოლია? ალბათ დაგპირდა, ცოლად შეგირთავო და შენც დაუჯერე, არა? ეეჰ, სულელი გოგოვ!...

-
– არა, ნამდვილად არაფერი მესმის... დიდი ბატონი რალაც შეფიქრიანებულია, ორი დღეა, დაჟინებით მეკითხება: აიშე სად არისო. რომ გაიგოს, ღმერთმანი, მოგკლავს... ჩემს ვაჟებსა და სიძეებსაც ვერ გადაურჩები... ხომ იცი, ბატონები რა თავმოყვარე ხალხია!...

-
– გგონია დაგტოვებ? ვერა, შვილო, აქ ვერ გაგაჩერებ, ახლავე უნდა ნახვიდე აქედან შენი ბარგი-ბარხანით!

-

– შე დალოცვილო, ახლა რომ ცრემლად იღვრები, არ გერჩია, ჭკუა დროზე გეხმარა და მშვიდად, წყნარად გეცხოვრა, ვინ გიშლიდა?!

–

– აბა, მე რა გიყო, შვილო? დიდი, დიდი ერთი ორი ლირით შეგეწიო!

* * *

ათი თვის შემდეგ აიშესა და მის ძველ ამხანაგს შორის, რომელთანაც ერთად მსახურობდა, ნავმისადგომთან ასეთი საუბარი გაიმართა:

– ჩემი ამბავი რომ გაიგე, შეგეცოდე? – ახარხარდა აიშე, – მე კი არა, საკუთარი თავი შეიცოდე, გენაცვალე!.. ერთი ჩემს ამ მორთულობასაც შეხედე!

–

– როგორ დამემართა ეს უბედურება? ეს ბავშვი, გენაცვათ, ჩემთვის ღვთის რისხვა კი არა, წყალობაა, ბედნიერება!... მისი დამსახურებაა, ასე ქალბატონივით რომ ვცხოვრობ!...

–

– ენაზე კბილის დაჭერა რომ იცი, იმიტომაც გენდობი და სიმართლეს გეტყვი, მაგრამ, გაფიცებ, არავის უთხრა! პირველად, როცა მივხვდი, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, ძალიან შემეშინდა. მაშინვე დიდ ბატონს ვეცი: „შენ დამღუპე, შენ ჩამაგდე ამ დღეში!“ სანყალ კაცს კინალამ გული გაუსკდა: – „აიშე, მაპატიე, გევედრები... არავის უთხრა... მშობიარობის ხარჯებს, ბავშვის გაზრდას რაც სჭირდება, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ. თვეში 25 ლირას მოგცემ“, – მითხრა. კარგ ხერხს მივაგენი: ჯერ ბატონიშვილებს მივადექი, მერე სათითაოდ სიძე-ბატონებს ჩამოვუარე და პასუხი მოვთხოვე: „სანყალი, ღარიბ-ღატაკი გოგო შემაცდინეთ, ასეთ შავ დღეში ჩამაგდეთ!... საქვეყნოდ თავს მოგჭრით და მერე თავსაც მოვიკლავ!“... დიდი ბატონივით ისინიც ფეხებში ჩამივარდნენ და ბავშვისათვის – საკუთარი შესაძლებლობის მიხედვით – ვინ 20-25, ვინ 30 ლირა დამინესა თვეში. ახლა შენ თვითონ თქვი, ის ბავშვი, რომელიც ჯერ არ დაბადებულა და უკვე თავის სანყალ მშობელს 150 ლირით უზრუნველყოფს, არ უნდა გიყვარდეს?!

– ?!.

– ეეჰ, რას ვიზამთ, უფლის წყალობით ვცხოვრობთ... დიდხანს მიცოცხლოს გამჩენმა ჩემი პატარა. აბა, ბედნიერად!...

- 73 -

„სიბი“ 2017, 3-4 (15-16)

მორიალი

ერთმა ამხანაგმა გვიამბო: ჩემი ცოლი ანგელოზივით ქალი იყო, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა – სიზარმაცე. რამდენადაც მე ცოცხალი და ხალისიანი ვიყავი, სემიჰა იმდენად უსიცოცხლო და ზანტი გახლდათ. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მისი მოხუცი ძიძა თავისი გაზრდილისაგან დიდად არაფრით განსხვავდებოდა. სახლში ყველაფერს ქარაჯა აჰმედის აკლდამასავით მინა და მტვერი მოსდებოდა. ზოგჯერ ძიძა მუყაით მოსამსახურედ გადაიქცეოდა და სახლის გვას შეუდგებოდა. უბედურება მაშინ უნდა გენახათ! ფეხის კვრით შუა ოთახში მოაგროვებდა ტახტებისა და მაგიდების ქვეშ გაფანტულ ხილის ქერქებს, ასანთის დაცარიელებულ კოლოფებს. მტვერი ღრუბელივით დადგებოდა და ფარდებს, ბალიშებსა და სუფრებს ერთიანად ედებოდა. ძიძა რომ ჭუჭყსა და ნაგავს დაახვავებდა, იმის გასანმენდად ახალი მოსამსახურის მოყვანა იყო საჭირო, მაგრამ ამის არც საშუალება მქონდა და არც დრო. კარის დაკაკუნებაზე გული მისკდებოდა: ვაიმე, სტუმარი მოდის, ეს სიბინძურე რომ ნახოს, ხომ მოგვეჭრა თავი?! ზოგჯერ მეტის ატანა აღარ შემეძლო და გამწარებული ავყვირდებოდი. ამაზე სემიჰა აცრემლდებოდა, ძიძა ცუდად ხდებოდა და ამით თავდებოდა ყველაფერი.

ჩემს ნამებას რომ უყურებდა, ცოლს ეგონა, მისგან რაღაც შეუძლებელს მოვითხოვდი; თავს უღონოდ ჩაქინდრავდა და შეწუხებული მეტყოდა.

– რა ვქნა, რა შემიძლია... მე ხომ შენზე მეტად ვიტანჯები...

ჩემი ცოლის გამოღვიძება ერთ ნახვად ღირდა. მოგეხსენებათ, ყველაზე ენერგიული ადამიანებიც კი გაღვიძების შემდეგ ოდნავ მოდუნებული არიან. რაც შეეხება ჩემს ძვირფას მეუღლეს, იგი ამ დროს მკვდრეთით აღდგომის საიდუმლოებას ნაზიარებ მიცვალებულს ემსგავსებოდა. რომ გაიღვიძებდა, თვალების გახელა ეზარებოდა. მცირე ხნის შემდეგ მხოლოდ ცალ თვალს გაახელდა. კარგა ლაზათიანად რომ გამოშუშდებოდა, ხმას მერე ამოიღებდა. რა მშვენივრად გაუგია საყვარელ ქალს: თუ კაცი ნელ-ნელა შეეგუება, ყველა გაჭირვებას აიტანს და გაუძლებს. ერთ მშვენიერ დილას ვხედავ, ჩემმა ცოლმა „მიშველეთო!“ იკივლა და გულგახეთქილი საწოლიდან წამოვარდა. რა მოხდა?! სემიჰა კისერზე მომეხვია. ზენარზე რაღაც შავად ჩანდა, იმაზე მიმანიშნა:

– თუ ღმერთი გნამს, შეხედე, მორიელია?

სათვალე გავისწორე, დავიხარე, დავაკვირდი. თურმე მორიელი კი არა, აბლაბუდას ნაგლეჯი ყოფილა, ჭერიდან ჩამოვარდნილი. გული განვრილებული მქონდა, იმიტომაც ვუთხარი:

– ჰო, მკვდარი მორიელია.

სემიჰამ ერთი შემზარავად შეჰკვივლა და გული ნაუვიდა.

– ძიძავ, მიშველე...

მობუცს რომ ყვირილი შემოესმა, მაშინვე მიხვდა, რაღაც ამბავიო და სამზარეულოსაკენ გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ მკლავზე მისვენებულმა სემიჰამ თვალეები გაახილა და მკითხა:

– მითხარი, მართლა მორიელია? რას იზამ?

– რა უნდა ვქნა, არაფერი. ავიღებ და გადავაგდებ.

– არ გეშინია?

– მკვდარია და...

– შხამი რომ ხელზე მოგეცხოს? ნეტა, მკვდარი მორიელი აქ საიდან გაჩნდა?

ძალიან გავბრაზდი:

– მკვდარ მორიელს აქ ვიღაც საგანგებოდ ხომ არ დაგისვამს... ადგა, ბატონო, გაშალა თავისი მარნუხები და წყნარად, ნელ-ნელა თვითონ მოვიდა...

– მერე?

– რა მერე? სანამ კბენას მოასწრებდა, ეტყობა, გვერდი იცვალე და გაჭყლიტე კიდეც.

ცოლმა მწარედ დაიკვნესა, ცოტაც და გული ისევ ნაუვიდოდა. იმის წარმოდგენამ, რომ ცოცხალ მორიელთან იწვა, გააგიჟა:

– ჩემს სიცოცხლეში ამ სახლში გამჩერებელი არა ვარ! რანაირი სახლიც გინდა, კარგი თუ ცუდი, მოძებნე! სადაც გინდა, იქ იყოს, ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდაც აქედან გავიქცეთ. სანოლი, ქვესაგები გაყიდე...

– კი ბატონო, მაგრამ მორიელი იქაც რომ მოგვადგება?

– იქაც?!

– მაშ! შენ და შენი ძიძა ისეთი ფეთხუმები ხართ, სადაც იცხოვრებთ, იქ მორიელს კი არა, გველს დააბუდებთ...

– ჩემი სიკვდილი გინდა, რეფიკ?

ტრაგიკული გამომეტყველება მივიღე და ვთქვი:


- მე არა. მაგრამ ერთხელაც იქნება, შენცა და მეც ნამდვილად მორიელის წერა გავხდებით. მორიელი კი არაა, ყველაფერი შემოგვეჩვევა...

- მერე, რა უნდა ვქნათ?

- განსაკუთრებული არაფერი. სახლი, ავეჯი, მოკლედ, ყველაფერი ერთიანად უნდა დანმინდოთ და დაასუფთაოთ.

სემიჰას ჩემთვის აქამდე უცნობი თვისება აღმოვაჩინე: თურმე, სანყალს, მორიელები სცემდნენ შიშის ზარს. ამ ბედნიერ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი! რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მისი მეორე ჩვევა - სიზარმაცე - უნდა დამეძლია.

იმ დღეს სემიჰამ შარვლის ტოტები აიკეცა და ძიძასთან ერთად მთელი სახლი დაგავა და დააკრიალა. ერთი კუნჭული არ დარჩენიათ დაუსუფთავებელ-დაურეცხავი.



მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

ცოლსა და ძიძას ჯადო მოეხსნათ. ძველი ავადმყოფობა ზოგჯერ თითქოს თავს იჩენს, მაგრამ ნამალი ნაპოვნი მაქვს... რადგან ახლა სახლში ობობის პოვნა შეუძლებელი გახდა, სემიჰასა და ძიძას შავი ჩვრის პატარა ნაკუნი აფხიზლებს...

ერთმა ამხანაგმა, რომელიც სხვებთან ერთად ამ ამბავს უსმენდა, თქვა:

- ჩემს ცოლს კი ავი სულებისა ეშინია და მხოლოდ ამიტომ ასუფთავებს სახლს. როცა იატაკი გაჭუჭყიანდება, ჩუმად წინკარში გავდივარ და დუდუკზე ვუკრავ...

თურქულიდან თარგმნა მარინე შონიამ

სადაურსა სად წაიყვან

ომი ჩემში პაპის მოგონებებიდან შემოვიდა. ჯერ სკოლაში არ მქონდა ნასწავლი „დიიდი“ სამამულო ომი, რომელმაც ზოგადად გადანყვიტა ჩემი ინსტიტუტში ჩარიცხვაც - ისტორიის გამოცდაზე შემხვდა ერთ-ერთ საკითხად და, ასე ვთქვათ, ჩემი მომავალი განსაზღვრა.

პაპა ტყვედ იყო ნამყოფი და თუმცა არ უყვარდა ამაზე საუბარი, დედის მონათხრობიდან ბევრი საინტერესო ამბავი მაგონდება. პაპა ყიფიანი მყავდა, ყიფიანებისათვის გრძელი ცხვირი და ოდნავ წინ-გადმონეული დიდი თვალები საგვარეულო ნიშანია თითქმის. ჰოდა, ტყვეობაში პაპაჩემის ეს გრძელი ცხვირი მოხვედრია თვალში ერთ-ერთ ექიმ-ზედამხედველს და გამოლაპარაკებია: შენ რუსი არ იქნები, სადაური ხარო. როგორც კი გაიგო, რომ ქართველი იყო, სახე შეეცვალა თურმე - ქართველი ხალხისგან სითბო გამომყვა საქართველოდანო-უთქვამს. ბოლნისში მცხოვრები გერმანელი აღმოჩნდა. მეტი არაფერი შემიძლიაო, უთქვამს და ფქვილი და ტილო მიუტანია, ცომი მოზილე და ჭამეო. შიმშილით სიკვდილისგან ასე იხსნა თურმე... ის უკრაინულად მოქარგული ტილო პაპას ომიდან თან ჩამოუტანია.

ეს ამბავი გონებაში მიტრიალებდა, როცა ბორჯომში, დვირის მახლობლად გზისპირა ტყვეთა სასაფლაოს მივადექი ავსტრიელ მწერალთან ერთად. ერთ-ერთ საფლავთან სანთლები დაგვხვდა, აღდგომა ახალი ჩავლილი იყო და ვიფიქრე, ალბათ ქართველებმა მოინახულეს საფლავები-მეთქი. მე და ლუდვიგი ვსაუბრობდით ხალხთა შორის არსებული ურთიერთობის გრძნობიერ ძაფებზე, რომელსაც ომი და პოლიტიკაც ვერ ერევა. ჩემ წინ იმ ადამიანების საფლავები იყო, რომლებმაც იდეის ერთგულებით, თუ მმართველი ძალების საშინელი წნეხის გამო უამრავი ჩემი თანამემამულის სიცოცხლე შეინირეს, მაგრამ ახლა, მათი საფლავების წინ, მე არ მქონდა გამარჯვებულის ნიშნისგების, ან წყენის განწყობა.

ერთადერთი, რაც თავში მიტრიალებდა, ეს იყო სიტყვები - „სადაურსა სად წაიყვან“ და კიდევ, რაღაც პასუხისმგებლობა მათი ხსოვნის მიმართ. რამდენიმე საფლავი წარწერიანია და კიდევ უფრო

ამიჩუყა გული სიტყვებმა: „იაკობ კაცნი, 1907-1947. შორს გარდაცვლილი, სამშობლოსთან და ოჯახთან სამუდამოდ შეკრული. სიყვარულით ფრიდასა და შვილებისაგან“, - სულ რაღაც ორმოცისა ყოფილა...



შემდეგ თავს ბევრჯერ ჩავეკითხე კიდევ, რატომ მეამაყებოდა იმ წუთას ქართველის მიტანილი სანთელი მათ საფლავზე და რატომ მიხაროდა დაცული საფლავები: მართლა ასეთი კარგები ვართ ქართველები, თუ აქ ეროვნება არაფერ შუაშია და ხალხის ბრძნული მიდგომა და ურთიერთმიტევება ყველაფრის თავი და თავი.

ჰოდა, გადავწყვიტე ცოტა უფრო ღრმად შემესწავლა ტყვეების ბედი საქართველოში: ამ საკითხზე დოკუმენტური ფილმიც ვნახე და რამდენიმე წერილიც ბორჯომის რაიონულ გაზეთსა და გერმანულ Spiegel-ში გამოქვეყნებული, სპეციალურ ინტერნეტ-გვერდსაც ვენ-ვიე და მათგან მონაცემების გამოყენების უფლებაც მოვიპოვე.

დოკუმენტებიდან: 1946 წლის 8 აპრილს 1200- მდე სამხედრო ტყვე იქნა გადმოყვანილი ქალაქ ბრესლაუდან დვირის ბანაკში. მანამდე, 1945 წლის მარტ-აპრილიდან დვირის ბანაკში ზემოსილეზიელი

სამოქალაქო პატიმრები ცხოვრობდნენ, რომლებიც სამხედრო ტყვეების განთავსების შემდეგ იქვე, ქვაბისხევში გადაიყვანეს. დვირის ბანაკი 1989 წლის 22 ნოემბერამდე არსებობდა. სამხედრო ტყვეების ჩამოყვანამდე 4000 სამოქალაქო პატიმრიდან 2000-მდე გარდაცვლილი იქვე ახლოს მდებარე ფერდობზე იყო დაკრძალული. მას მიემატა სამხედრო ტყვეებიც და ამჟამად დვირის მიმდებარე ტერიტორიაზე სამი მოზრდილი სასაფლაოა შემოღობილი და დაცული.

ბანაკი ამჟამად დანგრეულია, მაგრამ ომის შემდგომ იქ ბათუმის პორტის საბავშვო ბანაკი იყო განთავსებული. ტყვეების ყოველდღიური საკვები: 670 გრ. პური, 70 გრ. დამარილებული თევზი, 17 გრ. შაქარი, 5 გრ. თუთუნის, დღეში ორჯერ 7/10 ლ. და 1 ჯერ ½ ლ წვნიანი. ოფიცრებს დამატებით ცოტაოდენი ცხიმიც ეძლეოდათ.

ეს მონაცემები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავიღეთ სპეციალური ინტერნეტ-გვერდიდან, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე ყველა ბანაკში ასეთი პირობები არ იყო. ავტორი, ფრიდრიჰ ჰაგენი, აღნიშნავს, რომ ამ ფაქტების შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთმა სამხედრო ტყვემ მიანოდა. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურებას, ბანაკში პატარა ლაზარეთი ყოფილა. რუსი ექიმები ემსახურებოდნენ. საერთოდ კი, უფრო ტყვე ექიმებს და აფთიაქრებს ავალებდნენ ავადმყოფების მოვლას, საამისოდ ერთი პატარა ოთახი იყო გამოყოფილი, სადაც კბილის ექიმიც მუშაობდა. მძიმე ავადმყოფები თბილისში გადაჰყავდათ. აქაც აღნიშნავს ავტორი, რომ ეს თითქმის გამონაკლისი იყო და სხვა ბანაკებში ასე არ ხდებოდა.

ტყვეები დასაქმებულნი იყვნენ ელექტროსადგურის და კაშხლის მშენებლობაზე. ნაწილი კი ზემოსილეზიელ სამოქალაქო პატიმრებთან ერთად მუშაობდა აწყურში ხე-ტყის სახერხზე და მტკვრიდან ქვიშის ამოღების სამუშაოებზე.

აი, რას გვიამბობს ზაურ ლაზარაშვილი, რომელიც ათეული წელი მუშაობდა ჩითახევჰესის ობიექტზე: ჩითახევჰესის მშენებლობა დაიწყო 1943 წელს და გაშვებულ იქნა 1949 წლის 21 დეკემბერს, სტალინის 70 წლისთავის აღსანიშნავად. ჰესის ჰიდროტექნიკური და ელექტრომონოპოლიტობა: ტურბინები, გენერატორები, ტრანსფორმატორები შემოიტანეს გერმანიიდან ომის შედეგად მოყვნილებული ზარალის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად. ჰესის მშენებლობაზე მუშაობდნენ სამამულო ომში ტყვედ ჩავარდნილი გერმანელი ჯარისკაცები,

სტალინგრადათან აყვანილი ტყვეები. მათივე აშენებულია ქალაქ ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე ღვარცოფული ღელის ნიაღვარსაგდები არხი, ასევე სოფელ დვირსა და ჭობისხევში არსებული რკინის კონსტრუქციის ხიდები, რომლებიც გერმანიიდან ჩამოიტანეს.

ქართველებს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ გერმანელ ტყვეებთან, პატივს სცემდნენ მათ, საკვებისა და ხილის მირთმევით გამოხატავდნენ მათდამი თანადგომას.

ბევრი გერმანელი ჯარისკაცი ფლობდა რამდენიმე სპეციალობას. 1949 წლამდე, ჰესის მშენებლობის დასრულებისთანავე, უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ წლების შემდეგ ბევრი მათგანი უკან ჩამოვიდა, მათ მიერ აშენებული ობიექტის სანახავად და დღემდე გერმანიაში მოხვედრილ ბორჯომელებს და ქართველებს დიდი პატივისცემით ხვდებიან, ჩვენდამი უდიდეს ყურადღებას და სითბოს გამოხატავენ.

თვითმხილველნი ამბობენ, რომ არავის უცდია ტყვეთა დამცირება, აბუჩად აგდება, პირიქით, ხეობელი მოსახლეობა ყოველმხრივ ამულავნებდა შემწყნარებლობას. ერთ-ერთი ყოფილი ტყვე, გვარად შნაიდერი, მესამედ ჩამოსულა დვირში.

ჰესის მშენებლობა ხუთ წელიწადს გრძელდებოდა. სამწუხაროდ, მშენებლობის პერიოდში ბევრი გარდაიცვალა. ისინი დაკრძალულნი არიან სპეციალურად მათთვის განკუთვნილ სასაფლაოებზე დვირსა და ქვაბისხევში. გარდაცვლილთა ასაკი დაახლოებით 35 წლიდან 50 წლამდე მერყეობდა. 1200 გერმანელი ჯარისკაცია ამ სასაფლაოებზე. სასაფლაოების მოვლა-პატრონობისთვის გერმანიამ და საქართველოს მთავრობამ გამოყო გარკვეული თანხა, რის მეშვეობითაც მოხდა ტერიტორიის კეთილმოწყობა და საფლავებზე ჯვრების აღმართვა. დღეს ამ ტერიტორიაზე ნაკლებად შეამჩნევთ ტურისტებს, მხოლოდ ძალიან იშვიათად თუ შეხვდებით, მათ შთამომავლებს, რომლებიც საქართველოში მოხვედრის შემთხვევაში წინაპრების საფლავებსაც მოინახულებენ ხოლმე“ (იზა იანვარაშვილი).

ვალერიან ლომიძე გაზეთ „ბორჯომის“ 2009 წლის 25 დეკემბრის ნომერში წერს: გერმანელ ტყვეთა შორის 1946-1949 წლებში მშენებლობაზე მუშაობდა ახალგაზრდა რობერტ გერმანი. ის გათავისუფლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, დაოჯახდა. 1967 წელს მას უკვე ჰყავდა ხუთი შვილი და ორი შვილიშვილი. იგი რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში და მოინახულა ჩითახევჰესის კომპლექსი,

შეხვდა ძველ ნაცნობს, დვირში მცხოვრებ ვასია შალიაკინს, რომელიც იმ დროს მშენებლობაზე ელექტრიკოსად მუშაობდა. 1998 წელს რობერტ გერმანი მეუღლესთან - ურსულასთან ერთად ჩამოვიდა ბორჯომში.

ამავე ნომერშია გამოქვეყნებული თამარ ყავრელიშვილის წერილი, რომელშიც ის მოგვითხრობს: „1949 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღისათვის უნდა დაემონტაჟებინათ ტურბინა და გაეშვათ ჰიდროელექტროსადგური, მუშაობა მიმდინარეობდა სამ ცვლად. ამ თარიღისათვის ჰესის აუქმუშავებლობა მოინათლებოდა სამშობლოს ღალატად და სასჯელს ვერავინ გაექცეოდა. ნერვიულობამ და დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, როცა ტურბინა ეშვებოდა მისთვის მომზადებულ ბუდეში, ყველა ნერვიულობდა, გერმანელების გარდა, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ სიზუსტეში. არც შემცდარან, ტურბინა ზუსტად მოერგო გამზადებულ ბუდეს. მინდა აღვნიშნო, რომ გერმანელი ტყვეების და ქართველი მუშა-მოსამსახურეების ურთიერთდამოკიდებულება ძალიან უბრალო, კეთილგანწყობილი იყო, მეგობრულიც კი. ძალზე მაღალი იყო ნდობის ფაქტორი. ეს ალბათ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხალხებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან გასაყოფი და ნყალს მხოლოდ ე.წ. ამბიციური ელიტა ამღვრევს ხოლმე“.

საფლავზე დატოვებული სანთლების და სასაფლაოს ისტორიის თემა მაინც არ მასვენებდა და გადავწყვიტე, სოფელ დვირს ვწვეოდი და სოფლის მკვიდრთაგან გამეგო გერმანელი ტყვეების ამბავი. დვირისკენ გზას გადავუხვიეთ თუ არა, ხანში შესული ქალი დავიმგზავრეთ, ფეხით მიუყვებოდა სოფლის გზას, გამოველაპარაკეთ და ჩემი სურვილი რომ გაიგო, სიმონ ლომსაძის ოჯახი მიმასწავლა. ენაწყლიანი ქალბატონი აღმოჩნდა 79 წლის მერი ბეშკენაძე-ლომსაძე. გზადაგზა გვაჩვენა გერმანელების მიერ აგებული ხიდი და ე.წ. გეოლოგების დასახლება, ყოფილი ამბულატორია-საავადმყოფო და თან გვიამბობდა: „გამოდიოდნენ ხოლმე, ვისაც გამოსვლის უფლება ჰქონდა და ეხმარებოდნენ სოფლის მოსახლეობას სამუშაოებში. ჭადს ვაჭმევდით, თავის გაკეთებულ ხელნაკეთობებს პროდუქტზე ცვლიდნენ ხოლმე. ერთხელ, მახსოვს, ჩვენთან კოვზი და პატარა სანვნი - „კატილოკი“ მოგვიტანეს და გავუცვალეთ საპონში. ბებიაჩემი დიდხანს უფრთხილდებოდა მათ ნივთებს, შვილი კი ომში ჰყავდა დაღუპული და მაინც მათში თავისი შვილის და ქვეყნის მტერს კი არ

ხედავდა, მისთვის ეს ტყვეები ადამიანები იყვნენ, რომლებსაც უჭირდათ და მისგან დახმარებას ელოდნენ. მასხოვს, ერთხელ ბაზარში მიყვავდი ჩემს ბიძაშვილს, განათლებული ბიჭი იყო, გერმანულიც იცოდა, მოვიდა ერთი გერმანელი და თავზე მოფერებით ხელი დამადო. არ დამავინყდება, ავკანკალდი - გერმანელებისა გვეშინოდა, კაციჭამიები გვეგონა. შენუხდა და ამ ჩემს ბიძაშვილს უთხრა, რატომ ეშინია, ამის ტოლი შვილი დავტოვე გერმანიაში და მინდოდა მოფერებოდიო. და მერე, როცა გავიცანით, ხალხს მოუბრუნდა მაგათზე გული. ომში დაღუპული შვილები, ქმრები ჰყავდათ და ამ დაჩაგრულ ხალხში იმათ ხედავდნენ. არ არის გასაკვირი?" - ხეობურად მოუქცია ქალბატონმა მერიმ.

მივადექით სიმონ ლომსაძის სახლს. მოვლილი ეზო კარი და მშრომელი ცოლ-ქმარი დაგვხვდა. ბატონმა სიმონმა არ დაიზარა, ნა-მოგვეყვა და სამივე სასაფლაო დაგვათვალაიერებინა. აღმოჩნდა, რომ ჯერ მამამისი უფლიდა გერმანელი ტყვეების სასაფლაოებს, შემდეგ კი თვითონ, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, რომელსაც გერმანიის საელჩო უხდიდა. ამჟამად აღარ მუშაობს, მაგრამ თავისი ნაშრომი ენანება და ხშირად ესტუმრება ხოლმე, ერთგვარ პასუხისმგებლობას გრძნობს ტყვეთა შთამომავლების, იმ სტუმართა მიმართ, რომლებიც რამდენჯერმე ესტუმრნენ ოჯახში. მამამისი - თენგიზ ლომსაძე, 14 წლის ასაკში ტყვეების გვერდით მუშაობდა, მათგან ბევრი რამ ისწავლა და ამან განაპირობა, რომ გულგრილი არ იყო მათი საფლავების მიმართ.

1968 წელს, გზის სამუშაოების დროს გამოჩნდა პირველი კვალი ამ საფლავებისა, სწორედ მამამისის ინფორმაციით შეიტყვეს გზის მშენებლებმა არსებული სასაფლაოების შესახებ და შეწყვიტეს სამუშაოები. შეცვალეს პროექტი და გზა საფლავების გვერდის ავლით გაიყვანეს. 1996 წელს შემოიღობა სამივე სასაფლაო, დაიდგა ქვის ჯვრები და წარწერები. შედარებით მაღლა განთავსებული, ჩითახევთან ახლომდებარე პირველი სასაფლაოსკენ გზაც საცალფეხოა. ის იხსენებს, თუ როგორ ზიდეს მხრებით ეს ქვის ჯვრები, რადგან ხარებითაც ვერ მიუდგნენ ამ ადგილს. კარგა ხანს თვითონ უფლიდა ამ სასაფლაოებს, ახლა კი, რაც ამ საქმეს სხვა ხელმძღვანელობს თბილისში, გაათავისუფლეს და პერიოდულად ჩამოჰყავთ მუშები, რომლებიც ასუფთავებენ საფლავებს. ის გულისტკივილით მაჩვენებს დაზიანებულ ჭიშკარსა და ეკალ-ბარდებს, გული შესტკივა ოდესღაც

განუელი შრომის გამო. უნდა ითქვას, რომ გზისპირას არსებული სასაფლაო, ასე თუ ისე, მოვლილია, დანარჩენ ორს კი არ ეტყობა მზრუნველი ხელი, შესასვლელი კარები ცალ სამაგრზე ჰკიდია და პირუტყვის ნაკვალევიც ეტყობა. ბალახი გადათელილია და არა გათიებული. არც ერთი სასაფლაო არაა გზის სანიშნი ფირნიშებით მითითებული, რაც გამორიცხავს, რომ აქ ტურისტებმა დამოუკიდებლად მიაგნონ საფლავეს. გზის პირას არსებული სასაფლაო, მესამეს რომ უნოდებს ბატონი სიმონი, ადვილად მისაგნებია მათთვის და ეს სანთლებიც ტურისტების ან ტყვეების შთამომავალთა დანატოვარი ჰგონია მას. მისი ეს სიტყვები აქარწყლებენ ჩემი გულჩვილობით წარმოსახულ სიუჟეტს და ჩემი სიამაყეც სადღაც ქრება. მე ვეშვები მიწაზე, რეალობაში, მაგონდება მამაჩემის საფლავი, სადაც კარებს იგივე პრობლემა აქვს და მე აღდგომიდან აღდგომამდე იშვიათად მახსენდება ის სინდისის ქენჯნა, რასაც აღდგომის დღეს განვიციდი ხოლმე. თუმცა მამის ხსოვნა ყოველდღიურად ჩემთანაა და დღემდე ვერ ვინელებ მის გარდაცვალებას. მაგონდება სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიტოვებული საფლავეები, თვალწინ მიდგას კადრი სატელევიზიო გადაცემიდან - აღდგომა დღეს მავთულხლართთან მდგარი მოხუცი, ხელში ღვინის დოქითა და სანთლით, საზღვარს მომდგარ, მავთულხლართის მიღმა დარჩენილ ქართველ მოსახლეს ახლობლის საფლავეების მოინახულებას და შვილის საფლავეზე სანთლის დანთებას რომ სთხოვს.

აქამდე რაღაც მინდოდა რომ წამომენყო, შემენუხებინა ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის ხელმძღვანელობა, მიმემართა გერმანიის საელჩოსათვის, მისანიშნებელი ფირნიშების გასაკეთებლად; მესამე სასაფლაოსთან, გზის პირას პატარა გერმანული „კნაიპეს“ ან დასასვენებელი სივრცის მოწყობა და აქედან ორი დანარჩენი სასაფლაოსკენ ლაშქრობებიც შეიძლებოდა დაგეგმილიყო, ან რამე ქართულ-გერმანული კულტურის ამსახველი მინიგამოფენა მოწყობილიყო, თუნდაც ყველა იქ განსვენებულის გვარი და სახელი მიგვეწერა აბრაზე....

მაგრამ მამის საფლავის, სხვა მიტოვებული საფლავეების გახსენება, ცოტა იმის შიშმაც, თუ როგორ შეხვდებოდნენ მავანნი ამ წინადადებას, იქნებოდა კი ეს პრიორიტეტი სხვებისათვის ამ პრობლემებით დატვირთულ ყოფაში? ამ ყოველივემ და ასევე ყოველ-

დღიური ფაციფუცით გადატვირთულმა ცხოვრებამ, სადაც ადამიანები უკანმოუხედავად და უმისამართოდ მიექანებიან და თან თვით ცხოვრებასაც ექაჩებიან, ეს ენთუზიაზმი ჩამიქრო.

დარჩა მხოლოდ ფრაზა- „სადაურსა სად წაიყვან!“

წყარო:

1. იზა იანვარაშვილი, გაზეთი „ბორჯომი“
2. ვალერიან ლომიძე, „ყოფილი ტყვე - ბორჯომის ტრფიალი“, გაზეთი „ბორჯომი“ 25.12.2009
3. თამარ ყავრელიშვილი - „წვლილი მეც მიმიძღვის“, გაზეთი „ბორჯომი“ 25.12.2009

ინტერვიუს ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, ფოტომასალა ინტერნეტმასალა:-<http://www.ostvermiste-1944.de/Kriegsgefangenenlager.htm>

ემიგრანტული პროზა

ნუნუ ლურჯუმალიძე, კანადა



სელმორედ დაბრუნება

მთელი დღე ძალიან ცხელოდა, იფიქრებდი, ასფალტი დუღსო, ისე იყო გახურებული.

გაკვეთილები ჩავატარე და ქალაქის ბალისაკენ გავწიე. იქვე, ჯიხურში ახალი გაზეთები ვიყიდე, ბალში დავეჯექი და კითხვა დავიწყე. მესიამოვნა ბალის სიგრილე და უკანასკნელი ჭირისუფალიც წავიკითხე გაზეთის მეოთხე გვერდზე. როცა კითხვა დავამთავრე, იქვე, სანაყინეში შევედი და, როგორც ყოველთვის, ორი პორცია მოვიტხოვე. ნელ-ნელა მივირთმევედი, მსიამოვნებდა სიცხეში ნაყინის ჭამა.

ქალაქის ბალში ჩადგმულ სანაყინეში უმრავლესობა მოსწავლე გოგონები და ვაჟები იყვნენ, რომლებიც სკოლას ამთავრებდნენ. გოგონები ფორმის კაბებით იყვნენ, ვაჟები კი - მოდური ჩასაცმელებით. რატომღაც, მეც გამახსენდა ჩემი მოსწავლეობა და გული დამწყდა. შევნატროდი მათ. ამ ფიქრებში ვიყავი გართული, თან ნაყინს შევექცეოდი, რომ ამ დროს ჩემს მაგიდასთან თავისუფალი ადგილი დაიკავა ახალგაზრდა ქალმა. ყურადღება მივაქციე. ისე გავთავხედდი, რომ თვალს ვერ ვაცილებდი, თუმცა მას მარჯვენა ხელზე გადამეტებულად ეკეთა ოქროს ბეჭდები, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ის გათხოვილი უნდა ყოფილიყო. თანაც ჩემი

შეხედულებით 26-28 წლისა. მას ჩემი ყურადღება არც შეუმჩნევია, ისე იჯდა, თითქოს მთელ ქვეყანაზე მის მეტი არავინ არსებობდა, თან ნაყინს მიირთმევდა.



მხატვარი - თამარ თამარაძე

ახალგაზრდა ქალი ადგა და ბალის კიდებზე, გზისკენ გასწია. მეც გადავწყვიტე, უკან გავყოლოდი. ოცდაათი წლისა ვარ და ასე, ქალით ჯერ არ მოვხიბლულვარ. მოხდენილად მიდიოდა, სწორი თმები ლამაზად დაეფინა მხრებზე. ავტობუსების გაჩერებასთან დადგა. კიდევ უფრო მომეწონა მისი თვალები, საოცრად ფიქრიანი თვალები. ავტობუსში ავიდა, მეც ავყევი. მინდა გავიგო, სად ცხოვრობს. იქნებ გათხოვილიც არაა, კიდევ უფრო მომეცა იმედი. დედას გულში შევპირდი, თუ ეს ქალი გაუთხოვარი იქნებოდა, აუცილებლად გავახარებდი. ბოლო გაჩერებაზე ჩამოვიდა, შესახვევში შეუხვია, მივყევი. ქალი ისევ მოხდენილად მიდიოდა, უკანაც არ მოუხედავს. მივდივარ და ერთი სული მაქვს, როდის მივა რომელიღაც ჭიშკართან და გამოალებს, მე ამოვიღებ ბლოკნოტს და მისამართს ჩავინერ.

ამ ფიქრებში ვარ და ქალი სასაფლაოს ჭიშკარში შევიდა... ჯერ შევჩერდი, ამას არ მოველოდი. ვიფიქრე, მეღანდება-მეთქი... უფრო მეტი მანძილით ჩამოვშორდი და ისევ უკან გავყევი და როცა ერთ სასაფლაოვთან შეჩერდა, მაშინ გამახსენდა მამაჩემი...

ცრემლები მოიწმინდა და სასაფლაოს მოწესრიგებას შეუდგა. კიდევ უფრო მივუახლოვდი, ნამდვილად მამაჩემის საფლაოვთან მისულიყო და ბალახს თხრიდა... მინდოდა, მეც მივსულიყავი და მომეწესრიგებინა იქაურობა, მაგრამ შემრცხვა. ორი წელია, რაც მამაჩემის საფლაოზე არ მივსულვარ და მოუვლელის ხელიც ეტყობოდა საფლავს. ჩემი დგომა უხერხული რომ არ ყოფილიყო, მე სხვა საფლაოვთან გავჩერდი, თითქოს იქ ყოფილიყოს ჩემი მიცვალებული.

ახალგაზრდა ქალი კარგა ხანს წმენდდა ბალახებისაგან საფლავს, შემდეგ მაგიდა მიაღაგა. ხელჩანთა გახსნა, მაგიდაზე წიგნი დადო და წავიდა. მივედი, ავიღე წიგნი – „ხელმეორედ დაბრუნება“ გადავშალე, და ყდაზე ლამაზი კალიგრაფიით ეწერა: „სახსოვრად ჩემს საყვარელ მასწავლებელს“ – ავტორი.

წიგნი დავხურე. იქვე ჩამოვჯექი. მამის სურათს შევხედე და თვალი ვერ გავუსწორე.

ბოზიტა

ტელეფონის ხმამ გამომადვილა, მარიკა მირეკავდა.

– გაგაღვიძე, ხომ...

საათს შევხედე, რვა სრულდებოდა.

– არა უშავს, ისედაც უნდა გამღვიძებოდა...

– დღეს ჩემთან გამოიარე და ერთად წავიდეთ უნივერსიტეტში.

– კარგი, – შევპირდი.

ჩავიცვი და მარიკას სახლისკენ წავედი. ასე ინსტიტუტამდე ცოტა შორი გზა უნდა გამევლო და რაკი მთხოვა, უნდა მივსულიყავი. მარიკას მამა, დავითი ეზოში საქმიანობდა. მართალია, პატარა ეზო ჰქონდა, მაგრამ სულ იქ ტრიალებდა, როცა მივდიოდი. ომგადახდილი, უკვე პენსიონერი, დამსახურებული პედაგოგი, უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა.

– ახლავე მოვალ, – გადმომძახა მარიკამ.

– როგორაა სწავლის საქმე? – მეკითხება დავითი.

– რომელი საგნებიც მაინტერესებს, ვსწავლობ და რომელიც არა, არ ვკიდებ ხელს.

– შენი ამბავი რომ ვიცი, ალბათ ფილოსოფიით ხარ გატაცებული, ეგზიუპერის ხსენება გიყვარს ხშირად...

– მართალი ბრძანდებით, ბიძია დავით, ფილოსოფიას გულდასმით ვსწავლობ, ამასთან, არც ჩემს სპეციალობას და პოლიტიკური ეკონომიის სწავლას ვაკლებ ხელს...

– კარგია, კარგი, მაგრამ ხომ იცი, ხვალინდელი პედაგოგისათვის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის სწავლაა აუცილებელი...

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ ვერ ვუდებ გულს, ვერ დავინტერესდი, იქნებ ეს იმის ბრალია, დაზუთხული ლექციების მოსმენა რომ არ მიყვარს, წიგნს უნდა გასცილდეს ლექტორი, რაღაც საკუთარის თქმა უნდა შეეძლოს, რომ დავინტერესდე.

– როგორი ხარ, როგორი, – იცინის, – როგორ გიყვარს კრიტიკა, მაგრამ რა მეთქმის, როცა მართალს ამბობ...

მე კიდევ მინდოდა დავითთან საუბარი. მიყვარს გამოცდილ პედაგოგებთან სჯა-ბაასი. ყოველგვარ წვრილმანს ვეკითხები და ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, ასაკი მაინც თავისას შერება, მაგრამ არ მინდა, ეს შევიმჩნიო და ვთქვა, რადგან ის ჩემი ხვალინდელი დღეა. თუ მათ დაფასება არ ექნათ,

მაშინ აღარა აქვს აზრი იმას, რისთვისაც ვსწავლობ და რაზედაც ვოცნებობ...

ვემშვიდობები დავითს და მე და მარიკა მივუყვებით დაღმართს.

– იცი, ელო, რისთვის დაგირეკე?

– რისთვის?

– გადავწყვიტე, გურამს გავყვე ცოლად.

– კი, მაგრამ მისი მშობლები რომ წინააღმდეგი არიან თქვენი შეუღლების. თქვენ სად უნდა იცხოვროთ?

– ჩემთან.

– გურამი თანახმაა?

– ის ყველაფერზე თანახმაა, მას არ უყვარს საკუთარი სახლი, დედინაცვლის გამო. ჩემგან უარის თქმას კი, აზრი არა აქვს.

– რატომ მარიკა?

– ჯერ ერთი, მიყვარს და მერე, ფეხმძიმედ ვარ, – განერვიულებული ამბობს და წყნარდება, – ეს მხოლოდ შენ გეცოდინება.

ამას არ მოველოდი. უცებ გამახსენდა დავითი და მისი სიტყვები, რატომ არ გგავს მარიკა შენ, საკუთარ შვილთან საერთო ენას ვერ ვპოულობ. და მართლაც, მარიკა ფიქრს მოკლებული გოგონა იყო, შექმლო, უაზროდ ეცინა, ემხიარულა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი იყო და მომავალი პედაგოგი, არ უყვარდა კითხვა და მხოლოდ დიპლომი იყო მისი მიზანი. ამიტომ აჯახიერებდა სემესტრიდან სემესტრამდე სამეზბე გამოცდებს. მაგრამ ისეთი კეთილი და გულუბრყვილო იყო, რომ უკეთური იქნებოდი, მასზე ცუდი გაგეკლო გულში და არ გყვარებოდა.

გურამსაც ნამდვილად უყვარდა. როგორ არ ეცადა, მშობლები დაეთანხმებინა, მაგრამ ამაოდ. ყველაზე მეტად დედინაცვალი იყო წინააღმდეგი. არ მოსწონდა სარძლო.

– დღეს თუ დაგირეკონ სახლიდან და მიკითხონ, უთხარი მამას – გურამს გაჰყვა ცოლად და თბილისში წავიდნენო.

ინსტიტუტის კარებთან გურამი იდგა. მივესალმე შორიდან, მარიკა მასთან დარჩა...

მზე აჭყიტებდა ჩვენს აუდიტორიას. ისეთი სიცხე იდგა, სუნთქვა ჭირდა. შესვენებაზე დერეფანში გავედი. გრილოდა. კედლებზე სურათებს ვათვალიერებდი. „მარიკა ალბათ თბილისისაკენ მიდის, – ღმერთმა აბედნიეროს“, – გავიფიქრე.

ქვემო სართულიდან სიცილის ხმა ამოდიოდა. „არა, ეს არ არის ეკა“ მესმის ვილაცის ხმა და რამდენჯერმე იმეორებს. „აბა, ზემო სართულზე ავიდეთ, იქნებ იქ იყოს ეკა“, „კარგი, ავიდეთ“. ამოვიდნენ ბიჭები. სტუდენტები იყვნენ – ისტორიკოსები. ერთი კი ვილაც თმახუჭუჭა, ტყავის ლაბადითა და მოდურ კაშნეშემოხვეული, ლამაზი ბიჭი იყო. „აგერ არის ეკა“ - ეუბნებიან ჩემზე. ბიჭი მომვარდა, ხელში ხელი მომიკადა, ფანჯარასთან მიმიყვანა, სახეში ჩამაჩერდა და მეკითხება: „შენ, შენა ხარ ეკა?“ - შეშინებული შევეყურებ და ხმას არ ვიღებ. ხელს მიშვებს და ამბობს: „არა, შენ არ ხარ ეკა“. თვალებზე ხელებს იფარებს და ტირის. ბიჭები იცინიან. „ვინ არის?“ - ვეკითხები. „აქაურია, ქუთაისელი, თბილისში სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში. გოგო ჰყვარებია ვილაცა, ეკა. მომკვდარა ის გოგო და ეს გასულელებულა. მის შემდეგ სამი წელია, სულ ასე დადის და ეკას ეძებს“. „მერე თქვენ რა გაცინებთ, რა არის აქ სასაცილო“, – გაბრაზებით ვეუბნები მათ.

უცებ ბიჭი მოწყდა ადგილიდან. „სად არის ეკაო“, – დაიყვირა და ქვემოთ ჩაუყვავა კიბეებს. ეძებდა ეკას.

უნებურად დავფიქრდი. ჩვენც ამ დღეში ხომ არ ვართ, თვით ჭკუაზე მყოფნიც. ვეძებთ რალაცას, ვპოულობთ, ვკარგავთ და ისევ ვეძებთ... როგორც იყო ეკა და აღარ არის.

ლექციის მეორე საათზე ლექტორისათვის არ მომისმენია. ვიჯექი ჩემთვის და ვფიქრობდი იმ ბიჭზე და ეკაზე...

შემდეგ ფილოსოფიის ლექცია იყო. იქაც გადამყვა ჩემი ფიქრები. ხომ შეიძლება მეც ასე დავუნყო ვილაცას ძებნა, ან უაზრო რალაც მოვიმოქმედო. ღმერთო, ჩემო, აი, თუ გინდა ორი სიკვდილი.

უნებურად დაუკითხავად ვდგები. ლექტორს საუბარს ვანყვეტინებ და ვეუბნები:

– ხომ არის შიში ფილოსოფიური ცნება?

– დიახ.

– არსებობს თუ არა შიშის შიში?

– რას ამბობ, ელისაბედ, ეს რამ მოგაფიქრა?

– არსებობს თუ არა, პატივცემულო?

– არა.

– არსებობს! ასეთი რამ, მე ახლა მას განვიცდი და რატომ არ არის ეს ცნება ფილოსოფიაში?

- აქ არ არის ისეთი რამ, რომ შენ ეს განიცადო... და შემდეგ შიშის შიში ხომ მაინც შიში იქნება, - ამბობს დაფიქრების შემდეგ.

- არა! - ცრემლები მერევა, მგონი ავტირდე, - შიში არის რალაციის, შიშის შიში კი სულ სხვა რამეა, - და ვჯდები.

ლექტორი მხრებს იჩეჩავს. ლექციას აღარ აგრძელებს. მიყურებს და ფიქრობს. ამხანაგებიც მიყურებენ. მე უხერხულად ვგრძნობ თავს და ლექციიდან გამოვდივარ. მომდევნო საათი გაცდება. გაცდება და გაცდეს. ლექციების გაცდენაც მიყვარს და სწავლაც. ნელი სიო უბერავდა. გაზაფხულის სურნელი იდგა და მსიამოვნებდა. მალე ჩემი დაბადების დღე მოდიოდა, როგორც ყოველთვის პირველი მომილოცავდა დედა და ...

ავტობუსის გაჩერებასთან ვილაც სქელი ქალი და უღვაშა კაცი იდგა. ქალი, ეტყობოდა რუსი იყო, ორმოცდაათ წლამდე. კაცი უფრო დიდი ხნის. საწოლი აკლდათ, თორემ ყველაფერი დამთავრებული ექნებოდათ. გული მერევა მათი ყურებით და საგაზეთო ჯიხურს ვეფარები.

მოპირდაპირე მხარეზე გაჩერდა ექსპრესი. გოგიტა გადმოვიდა. გამახსენდა, რომ ისინი სკოლაში იყვნენ კურსებზე და ალბათ, რაიმე საქმისათვის თუ მოვიდა ინსტიტუტში.

- აი, უსაქმური! - მაბრაზებს, - რატომ არ ხარ, ქალიშვილო, ლექციებზე?

- რა ვიცი, ცუდად გავხდი და წამოვედი.

- რა გტკივა?

- არაფერი.

- მაშინ კარგად ყოფილხარ, ახლა წამოდი კინოში და კარგ ხასიათზე დადგები, „ნატვრის ხე“ გადის. შენ ხომ გიყვარს ეს ფილმი.

- კი, მაგრამ შენ გცალია?

- მაგი არაა შენი საქმე.

მივდივარ. გოგიტას თავზე ტყავის „კეპკა“ ახურავს. დიდი უცნაური ვინმეა, რამდენჯერ ვუთხარი, ნუ იხურავ მეთქი და მაინც, თითქოს ჯიბრზე იხურავს. „რომ განვიმდე“, - იცინის და მეუბნება „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“. ამაზე მეც მეცინება და ვეუბნები „კარგი, ნუ მოიშორებ, აგვისტომდე გეხუროს“.

- შენ სულელი ხომ არ გგონივარ, ელო?

სულელი კი არა, ვფიქრობ, ამქვეყნად შენნაირი არავინ მგონია. ზოგჯერ რომ ჩაივლი, ამხანაგები შენზე ამბობენ, რა მახინჯიაო, ჩემთვის კი ყველაზე ლამაზი ხარ”.

– არა, რას ამბობ, – ვეუბნები და ჩემი ფიქრის მრცხვენია. ცოტა დაგვაგვიანდა.

ეკრანზე „ნატვრის ხე“ გადიოდა. კინოდარბაზში ვირთხები და ადამიანები ერთად უყურებდნენ ფილმს.

ბილეთები ავიღეთ და ჩვენს ადგილზე დავჯექით.

– იცი, დათომ ვინ მოიყვანა ცოლად, ელო?

– არ ვიცი, მე მხოლოდ ის გავიგე, რომ დაქორწინდა.

– შენი მეგობარი, ლეილა ერისთავი.

– აბა, ქორწილში აუცილებლად დამპატიყებენ.

– ნამდვილად. შენც არ ჩამორჩე დათოს და შენც დაქორწინდი.

გოგიტა გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ მითხრა: – ახლა მუხლის ოპერაციას ვიკეთებ; ფეხბურთის თამაშის დროს დამიზიანდა. თუ ცოცხალი დავრჩი და განგრენა არ დამერთო, აუცილებლად დავქორწინდები. იცი, ელო, ბიჭი უნდა მეყოლოს და ლევანი უნდა დავარქვა, კარგი სახელია, ხომ?

– რაკი შენ მოგწონს, მაშასადამე კარგია. გინდა, მე მოვნათლავ შენს შვილს, გოგიტა.

– არა, მე ნათლიაც შერჩეული მყავს, ამიტომ შენ არ იქნები ჩემი შვილის ნათლია.

– რა გაეწყობა.

ფილმი დაიწყო. საერთოდ როცა ფილმს ვუყურებ, ძალიან განვიცდი. თითქოს მეც იქ ვზივარ ელიოზთან და ვეძებ ნატვრის თვალს, როგორც ის ბიჭი ეძებდა ეკას... თითქოს მეც მნადია, შევხვდე სიყვარულს პირისპირ, როგორც ამ ფილმში და თუნდაც ვირზე, ისე შემსვან და ტალახი მესროლონ, ჩამქოლონ, ოღონდ ის არ მოკლან, ის... გოგიტა. გოგიტა, რომელიც ჩემს გვერდით ზის და ვერაფერს ხვდება, როგორ მიყვარს, ან როგორ უნდა მიხვდეს, როცა საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელ.

– ელო, რამდენწლიანია შენი სპეციალობა, – მეკითხება კინო-თეატრიდან გამოსვლის შემდეგ.

– ოთხწლიანი...

– კარგია... - ამბობს ჩაფიქრების შემდეგ.

– რა არის კარგი?

– ჩვენ ერთად რომ დავამთავრებთ, ის...

დავფიქრდი. რა იყო კარგი იმაში, რომ ჩვენ ერთად უნდა დაგვემთავრებინა, იქნებ მასაც...

– ხვალ ოპერაციას ვიკეთებ, მეუბნება, – შენს დაბადების დღეზე ინსტიტუტში არ ვიქნები და წინასწარ გილოცავ და ჯიბიდან ამოიღო სუნამო, რომელსაც გარედან საქანელაზე მოქანავე გოგონა ეხატა.

– მადლობა, გოგოცა.

– ოჰ, რას ამბობ...

სახლთან მივედი.

– კარგად ყოფნას გისურვებ, – ვეუბნები, – ხომ არ გეშინია?

– არა, აბა, რა არის საშიში. კარგად იყავი ელო, ლექციები არ გააცდინო, თორემ გაგრიცხავენ ინსტიტუტიდან და თუ არ გაგრიცხეს, მე გავარიცხინებ შენს თავს, საქმეს ჩაგინყო, – მეხუმრება, იცინის და მიდის...

– კარგად! – ვეუბნები და ღმერთს მის კარგად ყოფნას ვთხოვ მთელი სულით და გულით, თან ყურში ჩამესმის მისი სიტყვები: „მე ჩემს ბიჭს ლევანს დავარქმევ... შენ არ იქნები ჩემი ბიჭის ნათლია“.

შურისძიება (ნამდვილი ამბავი)

**„ქვეყანა მცირეოდენი სიმართლითა
და დიდი სიცრუით იკვებება“
(რომენ როლანი)**

ქმრისა და შვილის საფლავებს შორის ჩამდგარა ქალი. გაოგნება ჩასდგომია თვალბუბში. „შვილო“, – ხანდახან ოხვრით ამოიკვნესებს ჩუმად გულმკვდარად, მწარედ. ასე იყო ერთხანს. შემდეგ ხელები გადაუსვა შვილის საფლავს, მოეფერა...

ოთხი წლის იყო მაშინ. ორი წელი გავიდა. მისთვის ისევ ოთხი წლისაა. ისევ ისეთი პატარა. როგორ არ უნდა სიცოცხლე ახლა, როგორ უნდა ისიც აქ ესვენოს, მის ოჯახთან ერთად... მას ხომ ყველა აქ ჰყავს, სასაფლაოზე...

„ბელაკუნა, დედა, დედა“, – ჩურჩულებდა ქალი, ორივე მომუჭულ ხელს გულზე ირტყამდა. გადაემხო შვილის საფლავს, უნდოდა მისი სითბო მიწას ჩაჰყოლოდა და შვილი გაეთბო. მიწას დაუნყო კოცნა. პირი მინით ევსებოდა, თვალებიდან ღაპაღუპოთ მოდიოდა ცრემლები. ტიროდა ქალი ჩუმად, ტიროდა და მიწას კოცნიდა. მიწაც ტიროდა...

უცებ ქალი რალაცამ შეაძაგძაგა... ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, შემდეგ თითებზე დაიხედა და თვალები გაუფართოვდა. „მენატრები“, – ვილაცამ ჩაიჩურჩულა-ჩაიგმინა... „მენატრები, დედა“, – მოესმა ისევ.

სასაფლაოზე განოლილმა ქალმა შავი თავსაფარი მოიცვალა.

„მენატრები“, – ჩურჩულებდა ბავშვის ხმა კენესით.

ქალი უკვე მიწას თხრიდა, ნაწვიმარი იყო და ხელებით სწრაფად თხრიდა. შვილის ნახვის საშინელ სურვილს შეეპყრო იგი. სისხლი მოდიოდა ფრჩხილებიდან, მაინც თხრიდა შეუსვენებლად... მალე გონი დაკარგა.



მხატვარი - თამარ თამარაძე

გზაზე მანქანით მიმავალმა კაცმა ერთ საფლავზე მიწის გროვასთან ფეხები შენიშნა, შეაჩერა მანქანა. გადავიდა. მივიდა თუ არა, იცნო... ამ პატარა ქალაქში ყველა იცნობდა გულმკვდარს, გაუბედურებულს.

მიიყვანა სახლში უგონო ქალი, მეზობლებს გადასცხა. მოასულიერეს.

„სხვას უარესი მოსვლიაო“, – ეუბნებოდნენ... „გულიდან გადაიყარეო ჯავრი, შენი სიკვდილით რა გაკეთდებაო“, – ამასაც ეტყოდნენ. დამშვიდება უნდოდათ მისი. განა თვითონ არ იცოდნენ, მეტი უარესი რაღა იქნებოდა, მაგრამ არ უნდოდათ, ისიც მომკვდარიყო. ამ შავბნელ მიწას ხომ სიკვდილი არ აკლდა. ამ ეზოს ხომ ტირილი არ აკლდა.

წავიდნენ მეზობლები. ქალი ისევ ფიქრებმა შეიპყრო. არ უნდა სიცოცხლე... რამდენჯერ დააპირა თავის მოკვლა, თავისი ავადმყოფი დედა გაახსენდა.

იცნო ქალმა, რა არის შვილის სიკვდილი. გამოაცდევინა ცხოვრებამ.

ქალმა ცოცხი დაიჭირა ხელში. ეზოს დაგვა დაიწყო. არავინ ჰყავდა სახლში, ეზოს კი მაინც ჭირდებოდა დაგვა. წამსვლელს და მომსვლელს რა დალევს ამ წუთისოფელში. საქმეს არ გამოგილევს ღმერთი. „ღმერთი“, – შეაჟრჟოლა ქალს. „ეხ!“ – ამოიოხრა.

გაზაფხული იყო, ქმარი რომ მოუკვდა. ყვაოდა არემარე. ახალგაზრდა იყო იგი და ლამაზი. დღე და ღამე ტიროდა ქალი. ცრემლებს წმენდდა შვილი. შვილმა არ იცოდა, რა იყო სიკვდილი: – „მამა წასულია და მალე მოვაო“, – ყველას ეუბნებოდა.

„გამიზარდეო, შვილი“, – ლოცულობდა ქალი.

ორი წლის შემდეგ, ზაფხულში, საღამო ხანს კივილმა შესძრა მთელი ქუჩა. ქალი აუთოებდა. კივილზე შეჩერდა. სისხლი გაეყინა თითქოს. გაახსენდა, შვილი მეზობლის ბავშვთან თამაშობდა. გამოვარდა ქუჩაში. „ამ ოჯახს კიდევ გაუბედურება უნდოდა?“ – მოჰკრა ყური. მთელი ქუჩა სავსე იყო. კაცების ღრიალი და ქალების კივილი არემარეს იკლებდა. მიხვდა ქალი, რომ გასწირა წუთისოფელმა. „ვინ, ვინ მომიკლა შვილი!“ – მიაკივლა გამწარებულმა, მომავალ მანქანისაკენ გაიქცა, გაუნვა. მანქანამ მოასწრო შეჩერება, შემდეგ თავი

დაუშინა ასფალტს. დაიხოკა სახე. სისხლით დაიფარა, მთელი ქუჩა დაეხვია, ძლივს შეაჩერეს.

ძლიერი იყო ქალი, ათ შვილს ისე გაზრდიდა, ერთს არ დაიკუნესებდა, ათ სახლ-კარს ისე მოუვლიდა, ერთს არ დაისვენებდა...

გაექცეოდა ქალი მეზობლებს, დასცხებდა თავს ასფალტს, საშინელი ხმით კიოდა... დაესეოდნენ, ისე შემოიყვანდნენ...

სასწრაფო დახმარების ექიმები დროდადრო აძინებდნენ გაგიჟებულ ქალს.

მანქანაში, რომელმაც გაიტანა ბავშვი საკუთარი სახლის წინ, ისხდნენ ნასვამები, ლეინის ქარხნის მთავარი ტექნოლოგი და მისი მძღოლი. საჭესთან ვინ იჯდა, ვერავინ დაინახა. მძღოლმა თავისი თავი აღიარა დამნაშავედ. დასაფლავების დღეს შეიყვანეს ქალი შვილის ოთახში. იქ, სადაც მისი შვილი თოჯინას ათამაშებდა, ახლა მისი ცხედარი ესვენა. ვინ მოვიდა და ვინ წავიდა, არაფერი გაუგია. გულში ჩაკლა ტირილი. გმინავდა მხოლოდ, ოხრავდა მხოლოდ, შვილის ცხედარზე თავდადებული.

გული ტიროდა მწარედ, დედის გული. ისე ხმამაღლა ტიროდა, ყველას ესმოდა. მონასტრის კედელზე ღვთისმშობელმა დახუჭა თვალები; ვერ გაუძლო ამ ტირილს. ცა და დედამინა აირია თითქოს, თითქოს ვიღაცამ მოიპარაო სვეტიცხოველი, თითქოს ვიღაცამ მოიტაცაო დედა ენა.

ქალი მალ-მალე წუხდებოდა.

ქმარი იტირა ხმამაღლა. მისი ტირილი მაშინ ხალხს არ აძინებდა, ქუჩაზე უჭირდათ გავლა, ისე ხმამაღლა გამოიტირა ქმარი და ახალგაზრდობა. ახლა კი გული ძალიან, ძალიან ტიროდა, ხმა არ ისმოდა, მაგრამ ისე ხმამაღალი იყო მაინც ეს ტირილი, გეგონებოდათ დაიშალაო კავკასიონი.

სულ სხვა ყოფილა ქმარი და სულ სხვა – შვილი.

დაასაფლავეს ბავშვი.

გავიდა ხანი.

ქალი უკვე ხმამაღლა ეძახდა შვილს, კოცნიდა მის ტანსაცმელს, მის შეჭრილ თმებს, ადრე რომ შეუნახავს.

დაიჭირეს მკვლელები. ქალს ფული შესთავაზეს. დაენვა გული. ვისთვის ან რისთვის უნდოდა ფული.

გავიდა ორი წელი. როგორაა ცოცხალი, თვითონაც უკვირს. „მაინც რა ქვა ვყოფილვარ, რომ არ ვკვდები“, – ამოიხსრებდა ზოგჯერ.

სკოლაში ჩაატარა გაკვეთილი. უკან დაბრუნებისას დაინახა, მისი შვილის მკვლელი. მანქანით ჩაუარა გვერდი. „გამოსულა ციხიდან“, – ჩაარტყა თავში თითქოს ვილაცამ. მკვდარი ნაბიჯებით მივიდა სახლში. შევიდა ქმრისა და შვილის სურათებით მოფენილ ოთახში. მოიკრიბა ძალა და დაფიქრდა. „უნდა მოვკლა“ – გადანწყვიტა მთელი დღის ფიქრის შემდეგ. აკანკალებული ხელებით გამოძებნა დიდი, ალესილი დანა. ბალიშის ქვეშ ამოიღო. „ფულმა გამოიყვანა“, – დაჰკიოდა სანოლში ვილაც, – „ფულმა, ფულმა, ფულმა!“

„მოვკლავ“, – აზვირთდა ქალი, – „ამოიყვანს მინიდან ფული, ა?“

„ვერ მოკლავ, ვერ მოკლავ, ვერა!“ – დასისინებს ვილაც გველივით. „რომელი მკვლელი შენა ხარ, საბრალოვ?!“

„მოვკლავ!“ – დაიმეხა ქალმა და კედელს ხელი დაარტყა, – „შურს ვიძიებ!“

შუალამე იყო. ვერ იქნა და ვერ დაიძინა. „მოვკლავ“, – იძახდა ერთი. „ვერ მოკლავ“, – პასუხობდა მეორე. სისხლი მოანვა კისერში, დაიხრიალა.

„შვილო“, – თქვა უკანასკნელი სიტყვა.

გაკვეთილები გაცდა სკოლაში. სკოლის დირექტორი სახლში მივიდა, იფიქრა, რაიმე უჭირსო. ნახა, რომ მომკვდარიყო.

დასაფლავების დღეს საოცარი მზე იყო. ცხედარს უკან თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობა მიჰყვებოდა. ყველა თავდახრილი, ცრემლებით სავსე. არავინ კიოდა, არავინ ტიროდა ხმამაღლა.

ხელებგაშლილი მიდიოდა ქალი შვილთან. დედას ელოდებოდა პატარა გოგო.

ბილეთი

კვირა დღეა. ორი ბილეთი ავიღე, ერთი ჩემთვის, ერთი ბავშვისთვის. ავტობუსში ავედი. ადგილები დანომრილი არ იყო. დავსხედით. არ გასულა სამი წუთი, ახალგაზრდა კაცი ამოვიდა. გადაათვალიერა ავტობუსში მსხდომნი. შემდეგ ჩემთან მოვიდა და მეკითხება:

– თქვენ ბილეთები გაქვთ?

- დიას, - ვეუბნები და ვაჩვენებ.

- მოძებნეთ თქვენი ადგილები!

- ბრძანებით მეუბნება და ჩემს მოპირდაპირე მხარეს ისეთნაირად გაიხედა, გავიფიქრე, არ მეცეს, თორემ ერთ ლუკმად არ ვეყოფი-მეთქი. ავდექი, გადავითვალე ადგილები და ჩემს კუთვნილ სკამზე დავჯექი.

კაცმა იქ შვილები დასვა.

პატარები იყვნენ. შეიძლება ერთი სკოლის მოსწავლედ ყოფილიყო. თვითონ უკან ჰქონია ადგილი და იქ დაჯდა. ამასობაში ავტობუსიც გაივსო მგზავრებით, მძლოლიც გამოვიდა ავტოსადგურის შენობიდან, დაჯდა საჭესთან და მანქანაც დაიძრა ადგილიდან.



მხატვარი - თამარ თამარაძე

- გააჩერე, შოფერ! - დაიძახა, ადგილიდან სწრაფად წამოხტა, ძირს ჩავიდა. შემოიყვანა ქალი, რომელიც რაღაცის საყიდლად წასულიყო და შეგვიანებოდა, სანამ ბავშვებს შეავიწროვებდა და მეუღლეს დასვამდა, ავტობუსში უკანა კარებიდან ძლივს შემოვიდა მოხუცი კაცი კვნესა-კვნესით, სამად მოხრილი. ეტყობოდა, სიბერესთან ერთად ავადმყოფობასაც დაეჩაგრა. მოხუცს გზა მისცეს მგზავრებმა ცარიელი ადგილისაკენ. ისიც დაჯდა. ცოლ-შვილის მონესრიგების შემდეგ მიუახლოვდა კაცი მის ადგილს და რას ხედავს: დაკავებულია. ნითლად აენტო უღალ თმებსა და დაბერილ ლოყებს შორის მოქცეული სახე, ჭრელი თვალები კიდევ უფრო გაუწვრილდა, ისევ გვერდზე გაიხედა და გულმოსულმა თქვა:

- არ იცოდა, მისი ადგილი რომ არ იყო?!

- რა ქნას, - მიეშველა მოხუცს ვილაც, - უჭირს, ძლივს დგება ფეხზე. კიდევ გვერდზე იხედება და ტურის გვერდზე განწევით ირო-ნიულად ამბობს:

- ვა, რა ჩემი ბრალია მერე, გამაგიჟებს ეს ხალხი.

- ნუ სცოდავ შვილო, ღმერთს, - თქვა ავტობუსში ვილაც ქალმა, ვერ დავინახე, ვინ იყო, - შენც მოხუცდები.

კაცი კიდევ უფრო დაიღრჩია და თქვა:

- მივანევ მე იქომამდის, ა?

გულში გავიფიქრე, „ღმერთმა უშველოს“, - თან მეუღლეს მივაჩერდი: „ფერი ფერს, მაღლი ღმერთს“, ისეთი სახე ჰქონდა ამ ქალს, თითქოს ზედ ენერა: „რას ვაკეთებ, სულ ერთია, კარგია თუ ცუდი, ვაკეთებ ღორივით იმას, რასაც ჩემი მოკლე ჭკუა მიკარნახებს“. კაცს მეუღლე დაეხმარა: „ფეხი სტკივა, ფეხზე დგომა არ შეუძლიაო“, - ეს ცხადი ტყუილი ისე წამოისროლა, წარბიც არ შეუხრია. კაცმა კი დახმარებისთვის ძვირფას მეორე ნახევარს მაღლიერი თვალებით შეხედა.

- ნუ კამათობ ხალხო, - თქვა მოხუცმა, რომელიც გვიან მიხვდა, რაში იყო საქმე, - არ ვიცოდი, აქ თუ ვინმე იჯდა, მოდი, შვილო, დაჯექი.

ახალგაზრდა კაცმა მოიხედა:

- არა, ბატონო, ბრძანდებოდეთ, როგორ გეკადრებათ.

მოხუცი საავადმყოფოსთან ჩავიდა, ვილაც ახალი ამოსული ჯდებოდა იმ ადგილზე, მაგრამ ერთმა მგზავრმა აუხსნა, რომ ეს ადგილი იმ კაცისაა და ფეხი სტკივაო, თან ჩვენი დღის გმირს მიმართა:

– მობრძანდით, დაბრძანდით თქვენს ადგილზე, თქვენ ხომ ფეხი გტკივთ და არ შეგიძლიათ ფეხზე დგომა.

– არ გამხადეს ინვალიდი? – ჩურჩულით ჩაუქირქილა ცოლს და გაელრიჯა, ხალხი რომ არ ყოფილიყო, ალბათ გვარიანად ჩაკოცნიდა ამისთანა კარგი ტყუილის მოგონებისათვის და თავისი ადგილისაკენ წავიდა.



მხატვარი - თამარ თამარაძე

- 100 -

„არსი“, 2017, 3-4 (15-16)

ტორტი თუ შორტი?

გლიფადაში ბერძნებს ძირითადად საკუთარი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ორსართულიანი, სამსართულიანი და ოთხსართულიანი სახლები აქვთ. არის საერთო ბინებიც. როცა მუშაობა დავინწყე, ცოტა ხნის შემდეგ გავიგე, მოპირდაპირე სამსართულიან სახლში ქართველი გოგო მუშაობდა. ძირითადად შორიდან ვხედავდით ერთმანეთს და ცოტას გავისაუბრებდით ხოლმე.

იმ დილით ბავშვს ეზოში ვასეირნებდი. მართალია, აპრილი იყო, მაგრამ სიცხემ დილიდანვე შემანუხა. არ ვარ მცივანა, ზამთარი ათენში მოკლემკლავიანი ზედატანით გავლიე. სამაგიეროდ, ზაფხული მიჭირს აქ. მომავალ ზაფხულის სიცხეზე დაფიქრებულმა მოპირდაპირე სახლის III სართულის აივანზე იმ ქართველ ლალის მოგვარი თვალი. ხელი ავუწიე:

– როგორ ხარ?

– კარგად, შენ?

– მეც კარგად ვარ ახლა, მაგრამ რომ დაცხება მერე რა ვქნა, არ ვიცი, ახლა ვინები და ზაფხულში რა მეშველება!.. შორტები უნდა ვიყიდო ზაფხულისთვის, შარვალში რა გაძლებს. შენ დიდი ხანია, გლიფადაში ხარ, იქნებ იცი, სად ვიყიდო შორტები აქ იაფად.

– კი ვიცი. ეკლესიის წინ ჩაუხვით და იქ არის მაღაზია.

– ეკლესიის წინ პირდაპირ არაა ჩასახვევი, ეკლესიამდე და ეკლესიის შემდეგ.

– ეკლესიამდე ჩაუხვით, იქ სულ ახლოს არის. ოღონდ კილოობით იყიდება.

ჩაფვიქრდი. კილოობით თბილისში ძველმანები იყიდება. ალბათ ძალიან იაფია და კილოობით მიტომ იყიდება-მეთქი.

– რა ანერია იმ მაღაზიას?

– „ზახაროპლასტიო“.

– „ზახაროპლასტიო“ ნამცხვრების მაღაზია არაა ქართულად?

– ხო, ნამცხვრების მაღაზიაა.

– მერე, ნამცხვრების მაღაზიაში რა ჯანდაბა მინდა.

– აბა, ტორტები იქ იყიდება...

– ტორტები კი არა, შორტები მინდა, – ხმამალა ვეძახი.

– უი, მე გავიგონე „ტორტები“.

- ტორტების საყიდლად ვარ, გოგო, აქ ჩამოსული? იქნება გაუფძლო ამ სიცხეს და ვიმუშაო ცოტა ხანს.

- აბა, შორტებს ჩვენს ქვედა პარალელურ ქუჩას გაუყვები, მაღაზიას „ზარა“ აწერია და იქ იყიდი. უნდა შევიდე, მეძახიან, კარგად!

- კარგად იყავი.

ასე წავისაუბრეთ აივნიდან აივანზე ორმა ქართველმა...

ბაი-ბაი

ტურისტულ ოფის - „პანაიოტიდის ტრაველში“ სინყნარე იყო. ბატონი ცეზარი ოფისს წყნარად აწესრიგებდა. იქვე დივანზე ორი შემოსული ქალბატონი იჯდა და გაზეთებს კითხულობდა. ერთი ორმოც წლამდე იქნებოდა ასაკით, მეორე - ოცდაათამდე. ხანდახან ერთმანეთს გაესაუბრებოდნენ.

ოთახში ცისფერთვალეა, ჯანიანი ახალგაზრდა ქალბატონი შემოვიდა:

- გამარჯობა, - თქვა, ცეზარის ხელი ჩამოართვა, რაღაცები ჰკითხა და რომ გაარკვია, რაც უნდოდა, შემდეგ დივანზე მჯდომ, შედარებით ახალგაზრდას მიუბრუნდა:

- როგორა ხარ, ირმა, ისევ ძველ სამსახურში მუშაობ?

- კარგად ვარ, ისევ იქ ვმუშაობ, დაბალი ხელფასი მაქვს, მაგრამ კარგი ხალხია, მეშინია, რომ შევიცვალო სამსახური, უბედურებას არ გადავეყარო, შენც ისევ იქ ხარ?

- რას ამბობ, მას შემდეგ ორჯერ გამოვიცვალე სამსახური.

- კი მაგრამ რატომ? ხელფასიც კარგი გქონდა და ხალხის კმაყოფილიც იყავი.

- იცი, რას გეტყვი? მე ვილაც ბერძენ შტერს თავს არ დავამცირებინებ, მერე რა, ფული რომ არ მაქვს, მე ჩემი თავმოყვარეობა მაქვს. ჩემს ქალბატონს მეზობელთან უჭორავია, ასე უთქვამს საქართველოდან არის და მეტი არ იცისო.

- გურული ხომ არ ხარ? - ჩაერთო საუბარში მესამე ქალბატონი.

- საიდან მიხვდით?

- კილოთი.

- ჰო, გურული ვარ. ჰოდა, ჩავალაგე ჩემოდანში ჩემი ტანსაცმელი. ნახევარი თვის ხელფასი 300 ევრო ასალები მქონდა, ჭირს ნაუღია-თქვა ვიფიქრე და დაველოდე ქალბატონს და მის მეუღლეს. როცა მოვიდნენ, თქვენთან საქმე მაქვს-მეთქი, ვითხარი. დავუდექი წინ და მოვახსენე: მე იცით, საიდან ვარ? საქართველოდან ვარ და ქართველი ვარ და ბაი, ბაი, მოვდივარ თქვენი სახლიდან. „რა გენყინა, რად მიდიხარ?“ – დამეკითხა ორივე. თქვენმა ცოლმა იჭორავა და დამამ-ცირა, – საქართველოდან არის და მეტი არ იცისო, – მე არ ვიცი და თქვენ იცით? რას გეტყვით, იცით? „აკროპოლიო“ – დაგიყინებიათ. ეს აკროპოლი თქვენი წინაპრების კულტურა იყო. ახლა რა ხართ, ეს მითხარით. სახლში რომ შემოხვალთ, ერთ ფეხსაცმელს სასტუმრო ოთახში ტოვებთ, მეორეს - აბანოში, წინდებს სამზარეულოში... მივდივარ, ბაი-ბაი. „ხელფასი გაქვს ასალებიო“, მითხრა კაცმა. ნადი, თქვენი ხელფასიც-მეთქი და გამოვიხურე კარები.

- მეორე სამსახური რატომ გამოიცვალე? – დაეკითხა ირმა.

- ის ქალბატონი მხატვრობდა, რალაც იდეები აწუხებდა. მე კარ-გად მექცეოდა, მაგრამ ვერ შევეგუე, ხან მთელი ღამე მთვარეს მისჩერებოდა, ხან მთელი დღე მზეს. ვერ გავეუგე, რა უყვარდა, რა არ უყვარდა, რა მოსწონდა, რა არ მოსწონდა. ვერც მის ნახატებს გავეუგე რამე. გაუსობდა ტილოს თავზე ნითელს, ცოტა ქვევით შავს, მათ შორის ხან თხილს აწებებდა, ხან ლობიოს, ხან ბუმბის ნაჭრებს... მერე შორიდან დაუდგებოდა, ხან ერთ თვალმოჭუტული მისჩერებოდა, ხან მეორე თვალმოჭუტული, „ტროას ომი“ დავხატეო, მეტყოდა. რა ტროას ომი, სად იყო აქ ომი, ნითელი ფერი, შავი ფერი, ლობიოს კაკლები, სიმინდის ფუჩიჩი, გამხმარი ფოთოლი, – ტროას ომი როგორაა, კაცო? არ მესმის ამნაირი მხატვრობის არაფერი. დახატავენ „გარშოკს“ და კაციო, გეუბნებიან. თუ კაცი გინდა დახატო – კაცი დახატე, რა გინდა „გარშოკთან“. ოჰ, არა, დაო, ვერ გავეუძელი. არადა, რა მეთქვა, რატომ მოვდივარ-თქვა; ვუთხარი, შეყვარებული მომიკვდა საქართველოში და მის დასაფლავებაზე რომ არ ჩავიდე, გავგიჟდები-მეთქი. სად მყავს შეყვარებული, ან მყოლია?

- შეყვარებული როგორ არ გყოლია? – ჩაერთო საუბარში ისევ მესამე.

- რა, შენ გყავს?

- მე ბებია ვარ, შემოგველე, შვილიშვილები მყავს.

– არ თქვა, არ თქვა, ჩემი ხნის იქნები და ბებია ხარ, უი, ნენა, რა მეშველება, მე ჯერ არც გავთხოვილვარ... წამოვედი იქიდანაც. ახლა ბებიასთან ვმუშაობ. მოვითქვი სული. ბებია არაბია, არაბულს მასწავლის. ვარ ტყუილა. კარგი ზნისაა, დღეში ხუთჯერ ვაძინებ, ღამე ხომ სძინავს და სძინავს.

– თუ სულმთლად დააძინებ დღე და ღამე, ისევ მოგიწევს სამსახურის გამოცვლა, – უნინასწარმეტყველა მესამე ქალბატონმა.

– მომიწევს და მომიწევს, აქაური ქალები ათ ქმარს იცვლიან და მე თუ სამსახურები ვიცვალე, დეიქცა ქვეყანა?– ღიმილით იკითხა.

– ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ დაზარალებები ცოტა.

– მეტს რაღას დავზარალებები, ჩემო დაიკო, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვმუშაობდი და ახლა ბერძნების დაქირავებული მოსამსახურე ვარ, მეტი დაქცევა რა გინდა, რა? ჩვენთვის ასედაც დაქცეულია ქვეყანა და ისედაც.

თარგმანი

კიკი დიშულა (1931-2016)

თანამედროვე ბერძენი პოეტი. ნლების განმავლობაში მუშაობდა საბერძნეთის ეროვნულ ბანკში. იყო ურანისის ფონდის პრეზიდენტი. ლექსების წერა მოგვიანებით დაიწყო. მისი შემოქმედება ნათარგმნია მრავალ ენაზე, მათ შორის - გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, პოლონურ, ბულგარულ, შვედურ, ესპანურ და ქართულ ენებზე. უკვე რამდენიმე ათეული წელია, კიკი დიშულას ნიგნები ყველაზე პოპულარულ ლიტერატურად რჩება საბერძნეთში.

კიკი დიშულამ საბერძნეთის სახელმწიფო პრემია ორჯერ მოიპოვა (1978, 1988), 2002 წლიდან კი ათენის აკადემიის საპატიო წევრია. მას არაერთ სხვა ჯილდოსთან ერთად, 2010 წელს ევროპის ლიტერატურის პრიზი გადაეცა.



გამოვიარა

**რადგანაც უკვე არც ეს ფრთები არ არის ფრთები
ტ. ს. ელიოტი**

ნაბიჯს გადავდგამ და ლამდება,
მტკიცედ გადავწყვეტ და ლამდება,
არა, არა ვარ მოწყენილი!

ცნობისმოყვარე და კირკიტა ვიყავ ოდესღაც,
ვიცი ყოველი, ყველაფრიდან ვიცი ცოტ-ცოტა,
ვიცი ყვავილთა სახელები, როცა სიცივით ფოთლები სცვივათ,
როდის მწვანობენ სიტყვები და ჩვენ როდის გვცივა,
და ისიც, თუ რა ადვილად და უცებ იხსნება ჩარაზული
გრძნობების კარი,

თუკი მოარგებ დავინწყების მრუდე გასაღებს.
არა, არა ვარ მოწყენილი, სულაც არა ვარ!

გამოვიარე,
წვიმიანი დღეებიც განვვლე,
მათ უკან სველი, ეკლიანი მავთუხლართები
ისე მშვიდად და შეუმჩნეველად, ჩუმად გავაბი,
როგორც ხეების იდუმალი და ღრმა ტკივილი,
უკანასკნელი ფოთოლი როს წყდებათ ტოტიდან
და ვით მამაცთა ჩუმი შიში ბოლო ბრძოლის წინ.
არა, მე არ ვარ მონყენილი.

გამოვიარე ბაღნარები
და შადრევნებთან შევდექ – ვიხილე
უმიზეზოდ მოცინარი ქანდაკებები,
ვნახე პატარა ეროსებიც – ეგ მკვეხარები,
მათი მშვილდებით მორკალულმა ნახევარმთვარემ
ჩემს ბნელ ღამეებს ოცნებებში კვდომა ასწავლა.
ვნახე სიზმრები, უამრავი ტკბილი სიზმარი,
და გამოვცადე დავინყების ტკბილ-მწარე სევდა.
არა, არა ვარ მონყენილი, სულაც არა ვარ!

ბევრი ვიარე შეგრძნებებში – ჩემთა და სხვათა,
და მათ შორისაც სულ ყოველთვის რჩებოდა სივრცე,
რომ ფართე დროის მდინარებას შიგნით გაეველო.
საფოსტო ყუთებს ვუტრიალე, ბევრჯერ მივედი,
ვნერე მრავალი წერილი და ვგზავნე და ვწერე,
პასუხმიგების ღმერთს შევთხოვედი, რომ შემწეოდა.
მერე პატარა ბარათებსაც ხშირად ვიღებდი:
ხან „მშვიდობითო“ – გულითადად მწერდნენ პატრადან
და ხანაც სალამს მიგზავნიდნენ პიზას კოშკიდან,
უმისამართოდ რომ გაურბის სადღაც ფერდები,
არა, არა ვარ მონყენილი დღე რომ ბერდება.
ბევრს ვსაუბრობდი ხალხთან, ღამის ღამპიონებთან
და ფოტოებთან, უფრო ხშირად – მძიმე ჯაჭვებთან,
ვისწავლე ხელის ამოცნობა,
ხელის დაკარგვაც,
არა, არა ვარ მონყენილი, სულაც არა ვარ!

გზები გავლიე, აქეთ-იქით ბევრი ვეხეტე,
სადაც არ ვიყავ, ყველგან ვნახე, რომ სიბერისთვის
მუდამ მზადაა ეს სამყარო და ბევრი ვკარგე,
აქეთ-იქით ბევრი დაგვარგე,
ზოგი ზედმეტი ზრუნვით ვკარგე,
ზოგიც პირიქით – უზრუნველობის მსხვერპლი გახდა,
ზღვასაც მივაღექ.

ზღვამ – აჰა, გქონდეს ეს სივრცეო –
და მეც მივიღე,
მერე შევშინდი,
მარტოობის შემიპყრო შიშმა,
ადამიანთა ახლოს ყოფნაც მაშინ ვინატრე,
დავინახე, თუ ვით ცვიოდა ზოგი მათგანი
მტერისგან ნაძერწი დინჯი ხელიდან,
მზე სხივებით, რომ აფერმკრთალებდა,
ხოლო ზოგი კი პატარა ზარის ხმით ცვიოდა
და მეც მყის ქრისტეს უდაბნოში ვიქეც ზარის ხმად.
არა, მე არ ვარ მოწყენილი.

ცეცხლი მომედო, იქნებ, ცოტა კიდევ დავინვი,
ვნახე ყოველი,
გამოვცადე მთვარეების ბილიკზე სვლაც და
მათმა დაკარგვამ ზღვებისა და მზერის გადაღმა
კი გამომანართო, თუმც ნათელი მათ თან გადაჰყვა.

მთელი ძალღონით აღვუდექი წყალუხვ მდინარეს,
რომ არ წავეღე, ხელებს მტკიცე ნიჩბებად ვშლიდი,
ბოლოს კი მცირე ნაკადულთა მსხვერპლი შევიქენ,
რომლებსაც ტალღამძლავრ ნაკადთა სწორფერად ვთვლიდი,
არა, მე არ ვარ მოწყენილი,
სწორ დროს დამღება!
არა, არა ვარ მოწყენილი,
დრო ზუსტად მიდის!!!

ყვავილთმოძულე ხალაბი

ქანდაკება ლუქსემბურგის ბალში - პარიზი

საგანგებოდ შეუკვეთეს შენი თავი სწორედ ასეთი:

ყმანვილი ქალი, ძალით სავსე,

შენი ტანიკი

ჩვენს სხეულებს არაფრით არ ჰგავს -

ჩვენი სხეულის მაგალითზე არ გაქვს ნაძერწი.

აკრძალული გაქვს ნებისმიერ ცვლილებასა თუ

გარდასახვასთან ზიარება -

როგორც თავდაცვა,

რომელიც ჩვენს ძალასა და ყვავილობებს

წილად არცერთი ხელოვნებისგან ჯერ არ ხვდომია.

ერთი ხელი იმგვარად გაქვს ნაქანდაკარი,

თითქოს თმას მსუბუქე, თხელ სავარცხლად ეფინებო,

მეორე ხელს კი საკუთარი როლი თავად შეურჩევია -

აღერსით, ნაზად დასდებია მუცელს -

აკრძალულ შვილოსნობას.

თავის საშოზე უარის თქმას ვერ ახერხებს, ჩანს, თავად ქვატ კი.

საგანგებოდ შეუკვეთეს შენი თავი მარადფხიზელი:

ძილი ვერასდროს მოგერიოს

და ვერ შეძლოს სიზმარმა გითხრას ის,

რაც არასდროს ცხადდება ხოლმე.

მარადფხიზელი - ვარდების ფერთა მეთვალყურე,

ყვავილთმოძულე ხელებმა მათი მოწყვეტა რომ ვერ მოახერხონ.

შენ, ჩემო ქვისგან ჩამოთლილო განდევილო,

ვაი, რომ სულ, სულ ფუჭად ფხიზლობ,

ვაი, რომ სულ ფუჭად არ გძინავს

და სულ ტყუილად არ ანებებ სიზმარს გითხრას ის,

რაც არასდროს ცხადდება ხოლმე,

რადგან ჯერ არსად მოვლენილა

ისეთი მტკიცე მეთვალყურე,

ანდა ცდუნება,

ან პოეტი,
ვინაც შეძლებდა შემოდგომის ყვავილთმოძულე
ხელების შეკვრას,
ასე უგულოდ, უსულგულოდ რომ აოხრებენ,
აცამტვერებენ
ათასობით ვარდისა და ცხოვრების ფურცლებს.

დანაკლისთა მინა

შენ ახლა მზერას ზღვას მიაპყრობ.
ეს განწყობა - ჩემში მბრუნავ
დანაკლისთა მინაზე რომ დაგაფიქსირო,
სწორედ ამგვარად წარმოგსახავს:
ზღვისპირა მწარე უსაზღვროება.
იქ ჯერ ბინდი არ ჩამომდგარა,
მერე რა, რომ აქ უკვე სრული წყვილია,
ადგილთათვის საბედისწეროდ მძიმე ნუთები
იშვიათად თანხვდება ერთურთს..
თითქოს სინათლე მოჩანს, თუმცა სინათლეს არც ჰგავს,
ეს ალბათ უკვე იმას ნიშნავს, რომ შენმა დრომაც ჩაიარა.
და როკავენ წყლის ბროლის ქვეშ
წყალმცენარენი
და წყალმარჩხები, მათაცა აქვთ საკუთარი ჭირი და ლხინი.
ალბათ უკვე თმასაც ვნებით ჩამოიშლიდნენ
მათ გარშემო დავანებული ის უნმინდესი სიმშვიდენი,
რომელთაც მალე მაგ დუმილით დანებებულ ქალებად აქცევენ.
გვერდით გინვანან.
შენი ფიქრი კი საფეხურებს ჰკიდებს ჰაერში
და ადის... კიბეს მიუყვება, მიგაქროლებს ნისკარტჩაველებულს.
მე საიდან უნდა ვიცოდე ზღვის მგრძნობიარე წერტილები,
რომ უსიტყვოდ მესმოდეს შენი?
მშვიდ ზღვას გახედავ,
შენი მზერა არ სცილდება
იმ მხარეს, სადაც
განშორებაში ჩაძირვისას,
თავად სიტკბოც კი შვებით მუქდება.

ხარბად ისუნთქავ იმ შორეულ მკაცრ უდაბნოებს,
რომელთა ყოფის შესახებ მე მხოლოდ ჩემს ძვირზე ძვირ ჯაფაში
თუ წამიკითხავს.

შენს ერთადერთ, თავთხელ ოხვრაში კი მთელი გემი ჩაიძირა.
იქნებ გემი სულაც არ იყო? ოდენ გაქცევის სველ ბალებში
ჩაჩხერილი საფრთხობელა თუ იქნებოდა,
განწყობებმა რომ არ გაგკენკონ.

ზღვის ურჩხული ძლიერება კი,
სივრცის ბარბაცი,
შენს ფეხებთან ქაფებად აღწევს –
პირველ კენჭთა ეგ ცრუ მიჯნური –
ერთს აკოცებს და ამით ათრობს.

აღბათ უკვე ყოველი გითხრეს ტალღათა იმ ლეგიონებმაც,
ყველაფერი, რაც უნდა ეთქვათ, რაც კი სურდათ, რომ შენთვის
ეთქვათ

და შენც აღბათ სადღაც ბრუნდები.

დაბრუნების რომელიმე ბილიკს ადგახარ,
უფრო უსაფრთხოს, უფრო მშვიდს და დაღმართებიანს,
ზოგან ხრიოკს, ზოგან ბუჩქნარებს..

შენი ფიქრი კი, ამდენი ზღვის დათმენის შემდეგ,

თოლიიდან ჩამოვიდა და,

ხვლიკისფერი კანი მოირგო,

ისწავლა, როგორ უნდა გამწვანდეს იქ, სადაც მხოლოდ
ბუჩქნარია,

როგორ გამუქდეს, სადაც ბნელა,

ხოლო სადაც კი ბამბუკები სტვენას თესავენ –

ვით იქცეს სტვენად,

სადაც ფესვია – გაფესვიანდეს,

სადაც ნაკადი მოჩქეფს – როგორ იქცეს მდინარედ

და სადაც კი ქვა იკბინება – როგორ გაქვავდეს.

შენს სულამდე ვერავინ აღწევს –

ვერც წყლით, ვერც ხმელით.

ეგ ფირფიტა კი –

შავ, ატმოსფერულ მაგიდაზე რომ დაყრდნობილა,

რომელსაც შენ ისე, ვით სხვები,
მთვარედ მიიჩნევ,
მანდვე დატოვე!
მთვარე კი არა,
ჩემი სალამოს აბებია –
ფსიქოტროპული!

ჩემი უკანასკნელი სხეული

უცაბედობავ, შენ მოგმართავ!
უცაბედობავ – სიზმრით ნაკვებო,
სულელურად გამბედავო,
მხნე ლამაზმანო,
უცნობ მშობელთა ნაბუშარო,
შენ, ვინც იშვიათს იშვიათადვე ინარჩუნებ,
შენ, ვინც გულგრილი მზერით უცქერ ყველა ქრილობას
და ყველა იმ ავხორც ვნებას, რომლებსაც შენთვის ჰკვებავს
სიხშირე.

შენ, შენ გგულისხმობ,
მოლოდინის და ხელჩაქნევის
დაჟინებული ხახუნისგან გამოვარდნილო ნაპერწკალო,
შენ, ვინაც ქვევრებს ავსებ და წყურვილს კლავ იმგვარად, რომ
არასოდეს არცერთ წყალთან,
არცერთ წყაროსთან თანამშრომლობაც არ გიცდია.
ღვთითმოვლენილო დროვ,
შენ გგულისხმობ,
ჩია ტანით და გაჯანჯლებათა დაგროვებით
უზარმაზარ ძალას რომ იხვეჭ,
შენ, მესიავ ერთსიტყვიანო,
შენ – მიწისძვრაო,
ერთიანად რომ ანადგურებ
ჩვენს უცვლელობებს, მიწისძვრაგამძლე შენობებად
რომ აღგვიმართავს.
უცაბედობავ, შუაღედთა შემამკობელო,

მთელი გულით მოგმართავ, გიხმობ,
რომ მოხვიდე, გამოიხსნა ჩემი სხეული,
უკანასკნელი ჩემი სხეული,
გამოიხსნა მისი მონა გულისცემა
ყველაზე უფრო სისხლისმსმელი,
ყველაზე მკაცრი,
ყველაზე უფრო ჭკუამცდარი ბატონისგან,
ვინც კი მყოლია,
დღენიადაგ რომ მიბრძანებს ასე:
„სდექ! დაჯექი!“
„სდექ! დაჯექი!“
„სდექ! დაჯექიო!“..

სულვარსკვლავიანი კონიაკი

სულ ფუჭია ცრემლები ენა, სულ ტყუილად იხარჯება მისი სიტყვები.
სადაც ქაოსი ღალადებს, იქ წესრიგს სიტყვა არასდროს ეთქმის –
რადგან მდიდარი გამოცდილება აქვს დანაკარგს.
თუმც ახლა ჩვენ „სულ ფუჭიას“ მხარეს უნდა დავდგეთ,
რათა ნელ-ნელა თავის სათქმელს მიაგნოს ხსოვნამ –
დიდხანს სიცოცხლის საიდუმლოს შესახებ, რომ
ლამაზ-ლამაზი რჩევები მისცეს
ყველაფერ იმას, რაც უკვე მოკვდა,
მაგრამ, მოდი ამ პანანინა ფოტოს მხარეს გადავინაცვლოთ,
მომავლით ტკობის მოლოდინი რომ შეუნახავს:
ახალგაზრდები - ნაზად, მაგრამ სულ ამაოდ ჩახუტებულნი
რომელიღაც უცნობ, ლამაზ სანაპიროზე.
იქნებ ნაუპლიო, ან ევბეა, ანდა სკოპელოს?
და კიდევ იტყვი, სად იყო ზღვა, აბა, მაშინ.

ჰაეროვანი ქალბატონი

წვიმს...

ვილაცა, უცნობი ქალი შეზრდია წვეთებს,
დგას უბატონო აივანზე, წვიმას გასცქერის.
და არის წვიმა, ვით სიბრაღული,
და არის ქალი ვით შუშის წვიმის
ერთი ბზარი.

წვეთების ფარდას მიუყვება მისი მზერა და
მწუხარების მძიმე ნაბიჯით ავსებს მის სველ გზას.
უმზერს...

უეცრად იცვლის ადგილს, გვერდით ინაცვლებს,
თითქოს რალაცა უშველებელს,
მზერაგაუმტარს

სწორედ მის თვალწინ აღუმართავს ზანტი სხეული,
გულქვად ჩამდგარა მის სამზერსა და თვალებს შორის.
კვლავ ადგილს იცვლის, ტანს ახლა გვერდზე იმგვარად ხრის,
თითქო ცდილობსო, აღმაცერ წვიმას გაუსწოროს თავისი პოზაც,
დიდ წვეთს ჩამოჰგავს -
მაგრამ ის, რალაც ვეებერთელა, გაუმჭვირვალი კვლავ მის წინ რჩება.
და ჰგავს წვიმა სინდისის ქეჯნას.

უმზერს...

მერე მოაჯირს მიღმა ხელებს სთავაზობს წვიმას,
წვეთებს ესათუთება
ისე, თითქოს რალაც უტყუარს,
ხელშესახებს, რალაც ნამდვილს სთავაზობდეს საკუთარ ხელს...
გულს...

უმზერს...

და უცებ,
თითქოს ვილაცამ უარყო, თითქოს „არა“ უთხრა ვილაცამ,
პირგამეხებით შედის შიგნით,
მაგრამ სად შიგნით?
ნეტავ, სად შიგნით?
ის ხომ წვიმაში მარტოდმარტო ამოზრდილიყო,
ის ხომ წვეთებს ისე შეზრდოდა, იმ უბატონო აივნიდან..
ნეტავ, სად შიგნით?...

უნდობლობის სარბაქელი

არ მწამს სიტყვების, მაგრამ რასაც კი მთავაზობენ,
ვინერ ყველაფერს,
ეს მახედვინებს სიმართლის თქმას, რადგანაც ვფიქრობ,
სულ არ მამდაბლებს ის, რომ ხანდახან
მშველის და ვიღებ აზრს სწორედ მისგან, რისიც არა მწამს.

არც ღმერთს სწამს ჩვენი,
მაგრამ რასაც აძლევს მას ჩვენი არსებობა,
თავის აზრებში ათავსებს და სულ არ ამდაბლებს
რომ გვამყოფოს თავისთან ახლოს –
ის ასე ამბობს.

ღაღოცე არსი უენი

პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს...
არა, დღეს არა, მოგვიტევე, უფალო, მაგრამ გადავიფიქრეთ...
სჯობს – მოგვეც ხვალ ჩვენ,
რადგანაც თითქმის ჩავლილია დღევანდელი დღე,
თან ყოველი დღე,
დღევანდელი ეთქმის რომელსაც,
ისე ილევა, ისე სწრაფად ილევა, რომ
ჭამისთვის მოცლას ვერც კი ვასწრებთ,
სწრაფმოკვდავია დღევანდელი დღე.

და ამას გარდა, დღევანდელისთვის რაღაც მაინც
ყოველთვის რჩება გუშინდელ დღიდან,
ჩვენ ხომ არც ისე მრავალი ვართ,
ჩვენ ვართ დათვლილი ნამცეცები,
რომელთაც შენ სათითაოდ სცნობ,
უთვალავი კი ჭიანჭველები არიან მხოლოდ,
ჩვენს ბუდეებში სწორედ ისინი გვინახავენ,
გვიმარაგებენ.

და თუ მოგვივლენ უცაბედად სტუმრად ისინი,
ვისაც არ ველით, იმ მონვეულ სტუმრებთან ერთად,
ვინაც ისე დააგვიანეს, რომ ჩვენ თავადვე შეგვეჭამა
ჩვენი ლოდინი,
(კაციჭამიებს ამადაც ხომ ვგავართ ყველანი),
ან თუ შემთხვევით უფრო მეტი სტუმარი მოვა,
ვიდრე გვეგონა,
გთხოვ, შეინყალო და დალოცო ისინიც, ღმერთო,
რათა იმრავლონ,
იმრავლონ და ერთმანეთს ვეყოთ.

მაგრამ უფალო, აქამდე რომ დაგელოცა შენივე არსი,
დღევანდელი დღე ასე მშვივრებს არ დაგვტოვებდა.

ყურადღებით!

როცა სუფრას შლი,
სანამ მაგიდას მიუჯდებოდე,
გულისყურით შეამონმე
მეორე სკამი
მყარი თუა, იქნებ ჭრიჭინებს?
ნაჭდევებიც ეგებ დაბლაგვდა,
იქნებ გამოხრა კუთხეები ჭიამ,
ჩონჩხად ხომ არ აქცია?
რადგან დღითიდღე
სულ უფრო და უფრო მძიმდება
ის, ვინც იქ არ ზის.

ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ

თარგმანი

გალატია კაზანძაკი (1881-1962)

გალატია ალექსიუ დაიბადა 1881 წელს კუნძულ კრეტაზე, ქ. ირაკლიოში. 1911 წელს დაქორწინდა ცნობილ ბერძენ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე ნიკოს კაზანძაკისზე, რომლის გვარიც სიცოცხლის ბოლომდე ატარა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მალევე დაშორდნენ და სხვა ოჯახი შექმნა.

სამწერლობო ასპარეზზე 1906 წლიდან გამოჩნდა.

მისი ცნობილი ნაწარმოებებია „ქალი“, „კაცი“, „პატარა გმირი ქალი“, „ადამიანები, რომლებიც იხოცებიან და რომლებიც იბადებიან“, „ადამიანები და ზეადამიანები“ და სხვ.

გარდაიცვალა 1962 წელს, ავტოსაგზაო კატასტროფის დროს.



ქალბატონი მარილო

თავგადასავალი ძველი ... დიდებისა!

... ერთხელ მეც შევესწარი ერთ ისეთ სცენას, რომელიც ნამდვილად ღირს, მოგიყვებ. ჩემი მიზანია, სრულად დაგიხატოთ ერთი ქალის სახე. ქალისა, რომელიც იმდროინდელი საზოგადოების წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს. 1915 წლის მობილიზაციის დროს გამოძახებული ვიყავი ქვეითი ნაწილის II სასწავლო საავადმყოფოში. რადგან არ ვიცოდი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს დრო, არ დავიქირავე ოთახი. რამდენჯერაც კი თავისუფალი დღე გამომიჩნდებოდა, ღამეს ვათევდი ქალბატონ კ.-სთან, რომელსაც ოთახები გაქირავებული ჰქონდა და ქირად ვინდიდი სიმბოლურად ერთ დრახმს.

ერთ ღამესაც დავბინავდი მეორე სართულის ერთ-ერთ გრძელ და ვიწროაივნიან ოთახში, სამზარეულოს გვერდით. ზაფხული იყო და აივნის კარიც და ფანჯარაც ღია მქონდა. შუალამე გადასულიყო,

მთელი სამეზობლო სიჩუმეს მოეცვა, რომ უეცრად მომესმა საშინელი ღრიალი:

- კოსტააა! კოსტააა!...

შეშინებული წამოვვარდი. ისევ მომესმა ძახილი „კოსტააა“. ხმა სამზარეულოდან მოდიოდა. გავიქეცი ნახევრადშეშინებული და რას ვხედავ - ერთი სერჟანტი - ლელე (მანამდე არ ვიცოდი მისი სახელი, სანამ... ოცი წელი დასჭირდა ბედს, რომ ერთმანეთი გაგვეცნო) და ერთი ჯარისკაცი, ორივე გაღეშებული მთვრალი. დაეჭირათ ქალბატონი კ. და ცდილობდნენ, მისთვის ეკოცნათ.

- კოლეგებო, - ვეუბნები მათ, - არ იქცევით სწორად, დაანებეთ თავი სანყალ ქალს.

- ვინ ხარ? - მომიბრუნდა ლელე.

- ჯარისკაცი.

- ჯარისკაცო, - მომმართა ბრძანებით, - შეუკარი ხელები!

- მე, რა თქმა უნდა, მათ შორის ჩავდექი და ერთმანეთს დავაშორე.

ქალბატონი კ. შიშით კანკალებდა. ეროტიკის ძველ ვეტერანს რაიმე ძვირფასის დაკარგვის კი არ ეშინოდა, რაც არ გააჩნდა, უფრო იმას უფრთხოდა, პოლიციას არ გაეგო და არ მოსულიყო სამეზობლოში. მდგმურებისაც ერიდებოდა, რომლებიც სასაცილოდ აიგდებდნენ...

- დაბრძანდით, ყავას მოგიდუღებთ... ტკბილეულით გიმასპინძლებთ... თქვენ ძალიან კარგები და მშვენიერები ხართ, ჩემთან რა გინდათ?

- შენ გვინდისხარ, - უპასუხა ლელემ და მე თვალი ჩამიკრა, მაგრძნობინა, რომ მხოლოდ არეულობისთვის და დასაცინად ვარ მოსული.

- მე რად გინდივართ, მოხუცი ვარ, აქეთ მოდით, - და აივნის კარის გაღებისას თითით ანიშნა სახლის მინისქვეშა სართული.

- იქ მიაკითხეთ, ორი ახალგაზრდა და ცხოვრობს, ყველას უღებენ კარს, ვინც დაუკაკუნებს.

- ელენიიი, პიპიცააა, ამოდით ზევით, გეძახიან, - მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარგად ჩაერაზათ კარი და პასუხს არავინ იძლეოდა.

- ისინი არ გვინდა, შენ გვინდისხარ, - ეუბნებოდა მოფერებით ლელე სიმთვრალისგან ნახევრადმოჭუტული თვალებით და ჩუმი ღიმილი ტუჩზე დასთამაშებდა.

ქალბატონ კ-ს ესლა უნდოდა. ძლივს შეფრატუნდა შიგნით, მოიხსნა პარიკი და მელოტი თავი უჩვენა. შემდეგ ჩამოიხსნა კბილის პროტეზი და თავისი პირის ღრუ უჩვენა - შავი უფსკრული, სადაც ენას პირის სიღრმეში ათამაშებდა და თან ეუბნებოდა - აი, აი, თითქოს მოჭრილი ჰქონდა.

ამ საშინელების მომსწრე ორი მთვრალი „კოლეგა“, რომელთაც არ შეეძლოთ ფეხზე დგომა და ერთმანეთს ილლიიდან იჭერდნენ, ბარბაცით გაეშურნენ კარისკენ და მძიმე ფოლადისნალიანი ჩექმების ხმაურით ჩაირახუნეს სახლის გარეთა ხის კიბეებზე.

ხალხის ეს „ბოროტება“ მალევე დაივინყა ქალბატონმა კ.-მ, რადგან აღარ ჰქონდა არც რეალობის შეგრძნება, არც დროის, არც ადგილის და არც რაოდენობის... აღარც მეხსიერება ჰქონდა. ამ ქაოსში არეული რითმით დომინირებდა ისევ ნეტარება და უკვდავება, რადგან სიკვდილზე ფიქრი არც არასდროს გაუვლია გონებაში.

ბერძნულიდან თარგმნა მაია ქუქჩიშვილმა

თარგმანი

მარგარეტე ნოიმანი (1917-2002)

ცნობილმა გერმანელმა ლირიკოსმა და პროზაიკოსმა მწერალმა შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 50-იან წლებში ლექსებითა და მოთხრობებით. მისი მნიშვნელოვანი ნივთია „მწვანე სალონი“.



თეთრი „ფიატი“

ჩვენს ქალაქში ერთი მეტად უცნაური და უჩვეულო ამბავი მოხდა. ქალაქი ისეთი პატარაა, რომ ადამიანები ერთმანეთს სახით იცნობენ, ხოლო ძალიან დიდი ეთქმის საიმისოდ, რომ ამ სახეებთან ადამიანებმა ერთმანეთის ვინაობა, და მით უფრო, ცხოვრების ამბები დააკავშირონ.

ადგილობრივი გაზეთის იმ გვერდზე, ჩვენი ქალაქის ამბებს რომ ეთმობა ხოლმე, ერთხელ ასეთი განცხადება გამოქვეყნდა: „იყიდება კარგად შენახული „ფიატი“, 250 მარკად“.

ერთ-ორ დღეში განცხადება კვლავ გამოქვეყნდა, კვირის ბოლოს კი, აი, უკვე მესამედ დაიბეჭდა.

რამდენიმე წელი იქნება, რაც გრეგორ ს. ჩვენს ქალაქში რედაქტორად მუშაობს. ეს თავაზიანი ახალგაზრდა ყველგან პოპულარობით სარგებლობს, რადგან გულწრფელობით, თავაზიანობითა და გულითადობით გამოირჩევა.

გრეგორი მთელი არსებით ყოველთვის იქ არის, ვისთანაც იმ წუთში იმყოფება ხოლმე. ისინი კი, ვისაც ჯერ კიდევ გუშინ მისი ახლობლები ეთქმოდათ, შეუძლია საერთოდ აღარ გაახსენდეს. ამიტომ,

თუ კაცი მასთან ხანგძლივ მეგობრობას მოიწადინებდა, მისთვის ყელზე მუდმივად საბელი უნდა ჰქონოდა გამობმული.

სწორედ ამ გრეგორ ს.-მ განცხადება სამჯერ წაიკითხა. თავდაპირველად მანაც სხვების მსგავსად იფიქრა, როგორც ჩანს, ბეჭდვის დროს შეცდომა დაუშვეს, ფასი არასწორად მიუთითეს, ნამდვილად ნულები აკლიაო, მაგრამ მერე ისიც გაიფიქრა, მეორედაც შეცდომით ხომ არ დაბეჭდავდნენო, ამიტომ ეს ამბავი ფრიად უცნაურად ეჩვენა.

რედაქტორმა საინფორმაციო განყოფილებაში რომ დარეკა, უთხრეს, განცხადება სწორად არის დაბეჭდილიო. იფიქრა, მანქანა ავარიში იქნება მოყოლილი, ძალზე დაზიანებულია და ასეთი ფასი ალბათ იმიტომ ადევსო.

მაგრამ განცხადება ხელახლა რომ გამოქვეყნდა, გრეგორ ს.-მ გადაწყვიტა, საქმის ვითარება გამოერკვია.

რა თქმა უნდა, გრეგორს დაუჯერებლად ეჩვენებოდა ის ამბავი, რომ მანქანას ასე ჩალის ფასად ჩაიგდებდა ხელში. მაგრამ, როგორც ჩანს, მის ამ დიდ ცნობისმოყვარეობას, იმედის პანია ნაპერწკალიც ახლდა თან.

რედაქტორმა მისამართი ჩაინიშნა და ქალაქის გარეუბნისაკენ ავტობუსით გაეშურა.

კარი ხანდაზმულმა ქალმა გაუღო, რომელსაც უფრო პუტკუნა ეთქმოდა, ვიდრე მსუქანი. ასაკის მიუხედავად, მხნედ გამოიყურებოდა, ჭალარა თმის ნაწნავი თავზე შემოეგრაგნა და სიტყვებს სწრაფად, გარკვევით წარმოთქვამდა; ლაპარაკის დროს ქალს ზედა ტუჩზე ღინღლი უთრთოდა; თითებზე ბეჭდები აეჩონჩხა; რაკი პაპანაქება სიცხე იდგა, ქალი ჭრელი ხალათის ამარა გამოსულიყო და გამუდმებით ცდილობდა, მისი კალთები ერთმანეთთან მიეტანა.

- ალბათ, ავტომანქანის ნახვა გნებავთ, არა? - ჰკითხა ქალმა.

მანქანის ხსენებაზე, მოსული კიდეც უფრო შეიპყრო ცნობისმოყვარეობამ.

ქალი მასთან დერეფანში გამოვიდა და ხის კიბეს დაუყვა. კიბე სახლის მცხოვრებლებს ისე გაეპრიალებინათ, რომ აქ მოსულ სტუმარს აშკარად ელოდა კისრის ნატიხვა.

გრეგორი ქალს გაჰყვა, რომელმაც ისე მარდად ჩაირბინა კიბეზე, რომ მოაჯირისათვის ხელი არც კი მოუკიდა. ავტოფარები მეზობელ ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსების უკან მდებარეობდა. ქალმა ფარების კარი გააღო და მოსულს უთხრა:

- გთხოვთ, მობრძანდით!

გრეგორი ადგილზე გაქვავდა: მის წინ თეთრი, გაკრიალებული „ფიატი“ იდგა.

- ალბათ, ერკვევით ამ საქმეში, - უთხრა ქალმა, - მხოლოდ ათი ათასი კილომეტრი აქვს გავლილი და ამაში შეგიძლიათ თავადაც დარწმუნდეთ. ჩემმა მეუღლემ ეს მანქანა ზამთარში იყიდა: მანამდე „ვარტბურგი“ ჰყავდა.

გრეგორმა თავი დააქნია.

- გენბავთ, მანქანა გასინჯოთ და კორპუსს შემოუაროთ? - ჰკითხა ქალმა და ხალათის ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

- მართლაც, რომ მშვენიერი მანქანაა, მაგრამ გასინჯვას აზრი არ აქვს, მაინც ვერ ვიყიდი.

- როგორ თუ ვერ იყიდით? - იკითხა ქალმა, - განცხადებაში ფასი ხომ ზუსტად მივუთითეთ?! მანქანა 250 მარკა ღირს, თუ ფარეხიც გინდათ, მაშინ შემიძლია თვეში 50 მარკად ფარეხიც მოგაქირაოთ.

- ეს მანქანა ორას მარკად? ის ხომ ასჯერ უფრო მეტი ღირს!

- ბოლოსდაბოლოს, გინდათ თუ არა მისი ყიდვა? - უთხრა მოთმინებადაკარგულმა ქალმა.

მას მანქანის კარი უკვე გაეღო და ჩაჯდომას აპირებდა.

- მართვის უფლება არ მაქვს; ჩემი გარდაცვლილი მეუღლე ამის წინააღმდეგი იყო; ამიტომ, თქვენ მოგიწევთ მისი წაყვანა.

გრეგორმა ღრმად ჩაისუნთქა და მანქანაში ჩაჯდა. ძრავა ადვილად ჩაირთო და „ფიატიც“ მსუბუქად გასრიალდა, მერე გზაჯვარედინზე გავიდა და შუადღის გაცხოველებული მოძრაობის ნაკადს შეუერთდა.

- მაპატიეთ, მაგრამ ვერაფერი გამიგია, ამ მანქანის გაყიდვას ნამდვილად 250 მარკად აპირებთ? - ჰკითხა გრეგორმა.

- განა უკვე არ გითხარით? - მიუგო ქალმა და კვლავ შეეცადა, ქრელი ხალათის კალთები ერთმანეთთან მიეტანა.

გრეგორმა მანქანა ქალაქიდან გაიყვანა; ახლა მათ წითლად, ლურჯად და სოსნისფრად აყვავებულ ბალებს ჩაუქროლეს.

მერე ქალმა თქვა:

- უკან უნდა დავბრუნდეთ, ქურაზე წვნიანი მიდგას!

- სამწუხაროა, მაშინ მანქანა უნდა მოვატრიალო, - თქვა გრეგორმა.



მხატვარი - ბექა კობახიძე

- 122 -

„არსი“, 2017, 3-4 (15-16)

- თუ მანქანა მოგწონთ, შეგიძლიათ ახლავე წაიყვანოთ, მაგრამ მანამდე ნასყიდობის ხელშეკრულებას უნდა მოაწეროთ ხელი, ეს მნიშვნელოვანია! - უთხრა ქალმა.

კაცმა თავი იჭვენულად დააქნია. გაიფიქრა, ახლა კი გამოჩნდება, სად არის ძაღლის თავი დამარხულიო, თუმცა ყოველგვარი მოულოდნელობისთვის უკვე მზად იყო. გული საშინლად უცემდა და თითქმის თავბრუს ახვევდა იმის გაფიქრება, რომ შეიძლებოდა ეს საოცრება მისი საკუთრება გამხდარიყო.

- რა თქმა უნდა, გაკვირვებული ხართ, მაგრამ საქმე ძალიან მარტივად არის, - უთხრა ქალმა, - იცით, ჩემს მეუღლეს 15 წლის განმავლობაში საყვარელი ჰყავდა. პირველ ხანებში ახერხებდა ჩემთვის ამ ამბის დამალვას, მაგრამ მერე თვალთვალი დავეწყე.

ქალმა მსუქანი, ნაცრისფერი სახე გრეგორისკენ შეატრიალა და განაგრძო:

- ეს ამბავი უკვე ვიცოდი. ჩემი ქმარი კვირაში ორ ღამეს სახლში არ ათევდა, მაგრამ არაფერს ვეუბნებოდი, რადგან ამას აზრი არ ჰქონდა. მეუბნებოდა მუშაობდა და რალაც ფული გადადებული ჰქონდა. პენსიაზე რომ გავიდა, უკვე ავად იყო. საავადმყოფოში ანდერძის დაწერა ისურვა, რომ სახლი და შემნახველი სალაროს წიგნაკი ჩემთვის დაეტოვებინა. მანქანის გაყიდვის შემდეგ მიღებული თანხა კი იმ ქალისა უნდა ყოფილიყო. ჩემმა ქმარმა ყველაფერი ამისხნა. მაშინვე მივხვდი, რომ ახლა ნამდვილად შევძლებდი იმ ქალის გაპამპულავებას. ამ შემთხვევას ხომ ამდენ ხანს, მთელი თხუთმეტი წელი, ველოდი! აი, ასეა საქმე, ყმანვილო, ამ „ფიატს“ ვერ გავაჩუქებ; ანდერძში ნათქვამია: „მანქანა გაიყიდოსო“, მაგრამ რა ფასად, მითითებული არ არის.

ქალმა შუბლზე ჩამოყრილი კულულები უკან გადაიყარა, ხალათის კალთების გასწორება კი დაავინწყდა. ცოტა არ იყოს, შეშინებულმა და შემცბარმა კაცმა შენიშნა ქალის ახალგაზრდული მუხლები, ასე რომ არ ესადაგებოდა მის ნაცრისფერ, ჭკნობაშეპარულ სახეს.

- მაშ, ყიდულობთ თუ არა? - ჰკითხა ქალმა.

- რა თქმა უნდა! სწრაფად მიუგო გრეგორმა და თან გაიფიქრა: „მანქანა სასწრაფოდ უნდა წავიყვანო“.


გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა

თარგმანი

ლეონჰარდ ფრანკი (1882-1961)

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის გერმანული მწერლობის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ლეონჰარდ ფრანკი მარტივად ახერხებს, გვაჩვენოს მისი გმირების საზოგადოებრივი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ფსიქოლოგიური სიღრმე მისი ნაწარმოებების მთავარი მახასიათებელია.

მას რომანებმა „ყაჩაღთა ბანდა“, „მარცხნივ, სადაც გულია“, „იესოს მონაფეები“, „მატილდა“, „ოქსენფურტელ მამაკაცთა კვარტეტი“ მსოფლიო აღიარება მოუპოვა.



ბერლინური სიყვარულის ამბავი – 1945

უკიდურესი დაღლილობით აკანკალებულმა ექიმმა, ბოლოსდაბოლოს ყვირილით აუხსნა კაროლას, რატომ არ მოიძებნებოდა ბერლინის არცერთ ჰოსპიტალში თავისუფალი საწოლი ფილტვების ანთების მქონე პაციენტისათვის. კაროლას სწორად უნდა გაეგო ექიმისთვის.

ამით იმის თქმა კი არ უნდოდა, რომ კაროლა გასამრჯელოს ვერ გადაიხდიდა, არა, საქმე იმაში იყო, რომ საჰაერო დაბომბვის შედეგად მძიმედ დაჭრილი ათასობით მსხვერპლი სარდაფებიდან ჯერ კიდევ არ გამოეყვანათ და ათეულობით მათგანი ყოველდღიურად იღუპებოდა, ჰოსპიტალში მოვლა კი, მათ უთუოდ გადაარჩენდათ.

კაროლა, შეძლებისდაგვარად, კარგად უვლიდა ძმას, რომელიც ვილმერსდორფთან*, ახლოს სამ ხანშიშესულ მამაკაცთან ერთად სარდაფში იწვა. ექიმის ნყალობით ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა ექვს კვირაში მოერია ავადმყოფობას, მაგრამ ბოლო შეხვედრის დროს ექიმმა კაროლას უთხრა: „როგორც გატყობთ, გონიერი პიროვნება ბრძანდებით, ამიტომ არაფერს დაგიმალავთ. თქვენს ძმას ბავშვობაში

* რაიონი დასავლეთ ბერლინში.

ერთხელ უკვე ჰქონია ტუბერკულოზი. ახლა ავადმყოფობამ ისე დაასუსტა, რომ ძალიან საშიშია, კვლავ არ დაავადდეს, შეიძლება გამოვთვალოთ კიდევ, როდის შეეყრება ჭლეტი, თუკი ამ სარდაფში კიდევ დიდხანს იცხოვრებს და ისე ცუდად იკვებება, როგორც დღემდე. ჩვენ შემთხვევაში მხოლოდ დაავადების საფრთხეზე ლაპარაკი პრობლემის გაიოლებას ნიშნავს. იქნებ გადარჩენაც უნერია, თუ მოახერხებთ და მას ვინმესთან სოფელში წაიყვანთ, სადაც უხვად ექნება სუფთა ჰაერი და მზის სხივები და, რაც მთავარია, აქა-იქ ჭიქა რძესა და კვერცხსაც მიიღებს.

ამ ექვს კვირაში კაროლამ ყველაფერი გაყიდა, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. ბოლოს თავისი ქუდი, ალუმინის ქვაბი და ორი პირსახოციც კი. ექიმთან შეხვედრიდან უმწეო და იმედდაკარგული გოგონა კვლავ სარდაფში დაბრუნდა. ლეიბზე მწოლიარე გაძვალტყავებული ძმის სახის დანახვისთანავე მიიღო გადანყვეტილება. უკან დასახვევი გზა აღარ ჰქონდა, ძმა ტყუილით ანუგემა, ჩვენი სახლის ნანგრევებში დედის ძვირფასეულობის ყუთი ვიპოვეთ: ფერადი შუშის სამი მძივი, რომელშიც ალბათ ბევრს ვერაფერს აიღებდა, მაგრამ, აი, ბრილიანტის პატარა ბეჭედში კი, იმდენ ფულს მისცემდნენ, რომ საკმარისი იქნებოდა, რათა ძმას ზაფხული სოფლად გაეტარებინა. კაროლა ბერლინელი მოსამსახურის ოჯახიდან იყო. სავიგინს** მოედნის მახლობლად მდებარე მშობლიურ სახლში პაპამისს, წელიწადში ერთხელ მაინც, კაიზერ ვილჰელმის უმასპინძლია.

მამა, მაღალჩინოსანი ჩინოვნიკი, დიდხანს საგარეო საქმეთა უწყებაში მუშაობდა, იმ პერიოდში იგი ანტისემიტი*** იყო და მხოლოდ ნოდებრივი ამპარტავნობის გამო შეიკავა თავი პარტიაში შესვლისგან. ეს ბევრი ვერაფერი შელავათიაო, წამოაძახა ერთხელ სადილობისას აღელვებულმა კაროლამ მამას.

ეს ის დრო იყო, სტალინგრადში დამარცხების შემდეგ ფრონტიდან დაბრუნებული ასიათასობით დაჭრილი და გაბოროტებული ჯარისკაცის ნახვამ შეძრწუნებული გერმანელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სერიოზულად რომ ჩააფიქრა. სახლს ყუმბარა დაეცა. ჩამონგრეულ

** დასავლეთ ბერლინის ცენტრალური მოედანი.

*** ანტისემიტიზმით გამსჭვალული ადამიანი; ებრაელების მოძულე.

სახლში, საკუჭნაოლა გადარჩა, სადაც მხოლოდ მისადგმელი კიბით თუ ავიდოდა ვინმე, ისიც სამზარეულოს წინა მხრიდან. ერთმანეთზე გადადებული სამი ჩამონგრეული კარები წვიმას ვერ აკავებდა, თუმცა კარგა ხანს რომც არ ეწვიმა, ოთახის კედლები მაინც ვერ შრებოდა. ფასადის კედელში მრგვალი საჰაერო ხვრელი იყო, ილუმინატორს რომ წააგავდა. მის ქვეშ კი, ოთახში სარეცხი თასი და დოქი იდგა, სკამის ადგილიც კი აღარ დარჩენილიყო. ლეიბი ძირს ჰქონდა გაშლილი.

ორი კვირა გავიდა იმ დღიდან, რაც კაროლამ გადანყვიტა, საფრთხეში მყოფი ძმის საშველად ის ერთადერთი რამ გაეყიდა, რაც ჯერ კიდევ გააჩნდა. ფეხს ითრევდა და ამის წარმოდგენაც კი ზარავდა. სასონარკვეთილებისაგან გახევებული ყოველთვის მეორე დღისთვის გადადებდა ხოლმე მსხვერპლად შეწირვას. ძმის მზერა კი ყველგან თან სდევდა.

კაროლამ ლეიბზე ჩაიმუხლა. კედელზე დაკიდებული სარკის წინ თმებზე შავი, მოვერცხლისფერო-ნაცრისფერი წინწკლებიანი აბრეშუმის ფეტრის ვუალი მოიხვია და გაბანტა.

ბაფთის ბოლოები კეფაზე შეკრულ, მოგრძო, მუქნაბლისფერ და მჭიდროდ დანულ თმასთან ერთად ეშვებოდა. ტუჩები გაფითრებოდა, სიგამხდრისაგან გალეულ სახეზე თაფლისფერი თვალებიც უფრო ფართო უჩანდა. კაროლა ერთხანს ჩაფიქრდა. კაცები ქუჩაში შეხვედრისას ადრეც ცდილობდნენ მასთან გამოლაპარაკებას, მაგრამ მაშინ უკეთესად გამოიყურებოდა და მოხდენილადაც ეცვა. საპუდრე და პომადა, უნებურად, ისევ ჩანთაში ჩააბრუნა, არ გაუაზრებია, რომ შელებვას ერიდებოდა, რათა ნაკლებად გამომწვევი ყოფილიყო მამაკაცებისათვის და იქნებ, არც გამოლაპარაკებოდა ვინმე. ეს მისი გაქცევის ბოლო ცდა იყო.

კაროლას ტუჩები კი გაცრეცოდა, მაგრამ შავ კაბაში მისი თხელი ტანი, სწორი, ჩამოქნილი ფეხები მაინც მიმზიდველად და მაცდუნებლად გამოიყურებოდა. შებინდებულზე გაუბედავად ჩაუყვავა ქუჩას, მოკლე ქალური ნაბიჯებით და ოდნავ წინწახრილი. ის მხოლოდ 21 წლისა იყო.

უცნობი მამაკაცი გამოეშურა მისკენ, კაროლამ მყისვე ჩაღუნა თავი, მზერადახრილი და დამფრთხალი სწრაფად გაშორდა იქაურობას. სასონარკვეთილმა სირბილით ჩაუხვია თითქმის მთლად დანგრეული ქუჩისაკენ, სადაც კაცის ჭაჭანება არ იყო, ბოლოს შეჩერდა

და მსუბუქი ყოფაქცევის ქალივით აიტუზა გარშემო მიმოფანტული ნაგვის გროვებთან. უცნობმა გაოცებით გააყოლა თვალი და გზას გაუყვა.

ოფიციანტები ლანგრებით ხელში მოიჩქაროდნენ კურფიურსტული ჯვბირის ნანგრევებიდან, რომელიც დაბლა ფიცრული კედლებით იყო გადატიხრული. ივლისის მშვენიერი საღამო იყო. კაფესთან, ღია ცის ქვეშ სტუმრებს მოეყარათ თავი. ბევრი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ, რაც მთავარია, აღარ იყო ომი. ათასობით ადამიანი სეირნობდა, მათი ერთი ნაწილი ელეგანტურად იყო ჩაცმული, ნაწილი კი – ძონძებში გახვეული. ფულის საშოვნელად გამოსული ქალებისა და გოგონების შოვნაც არ ჭირდა. ახლა ბევრად უფრო იაფადაც ფასობდნენ ისინი, ვიდრე წინათ.

კაროლას სულ დაავიწყდა მთავარი მიზანი. მას ხომ კაცი სჭირდებოდა, ვისაც ფულიც ექნებოდა და მისთვის საჭირო თანხის გადახდაც არ დაენანებოდა, იმდენს მაინც გადაუხდიდა, რომ ამ ფასად მსხვერპლის გაღება ღირებულყო. იმაზე კი არც უფიქრია, რომ საამისოდ ორი, ან სამი, ან იქნებ სულაც ათი კაცისთვის დანებება გახდებოდა საჭირო.

აქ მოხეტიალე მამაკაცები კი ბევრად უფრო გამოცდილნი იყვნენ, ვიდრე კაროლას წარმოედგინა. ისინი, ერთი შეხედვით, გამოხედვაზე და გარეგნობაზეც კი ცნობდნენ დამყოლებს. გამხდარ, შავკაბიან, უქუდო გოგონას, რომელსაც წამწამები დაბლა დაეხარა, გამომცდელი მზერით ათვალთვლებდნენ. ის ამკარად ყველასაგან გამოირჩეოდა. ბევრი რამ იყო მასში განსაკუთრებული და სხვაგვარი. გარეგნულად ამაღლევებელი და მაცდუნებელი კი ჩანდა, მაგრამ მასში მთლად დარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ არ ცდებოდნენ. სად ჰქონდათ საიმისო დრო, ერკვიათ ცდებოდნენ, თუ არა, არჩევანი ხომ საკმაოდ დიდი იყო. ახალგაზრდები, რომლებიც ყველას უხეშად ელაზღანდარებოდნენ და სწორედ ამისთვისაც იყვნენ აქ მოსულნი, გვერდზე ჩავლისას კაროლასაც მიაძახებდნენ ხოლმე ერთი-ორ უწმინურ სიტყვას.

ის უცხო მამაკაცი კვლავ დაჟინებით მისდევდა კაროლას. ბოლოს მოახერხა და წინ გადაუდგა, სერიოზულად შეათვალთვალა და ისევ უკან აედევნა. ყველაზე მეტად ქალის სახის გამომეტყველებამ მოხი-

ბლა. უნებლიედ გაიფიქრა: რა ლამაზად მიაბიჯებსო... მერე აღფრთოვანებული მზერა ააყოლა სხეულს, ვუალისა და მუქი თმების ნასკვით დამშვენებულ კეფამდე. ქალს ნაზად მოეღერებინა ყელი.

მიხაელს რამდენიმე თეორიული ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული და თავის დროზე, როგორც ახალგაზრდა დოცენტი, ბერლინის უნივერსიტეტში, ეროვნული ეკონომიკის ლექციებსაც კითხულობდა. ცამეტი წელი ემიგრაციაში – პარიზში, მადრიდში, ნიუ-იორკში, ლონდონში გაეტარებინა და ეს ესაა დაბრუნებულიყო ბერლინში. მკაცრ სახეზე ამკარად ემჩნეოდა მძიმე ცხოვრების დაღი და მის უძირო თვალებში თითქოს მთელი სამყარო ირეკლებოდა. მიხაელი 39 წლისა იყო.

კაროლამ, ჩვეულებისამებრ, აარიდა თავი, გზიდან ჩამოეცალა, როგორც სხვა მამაკაცებს ექცეოდა ხოლმე, გამოლაპარაკებას რომ ცდილობდნენ. სურდა სწრაფი ნაბიჯით გასცლოდა იქაურობას, მაგრამ ტანჯვის განცდამ, რომელიც ამ ორი კვირის მანძილზე თავისი გადაწყვეტილების მუდმივი გადადება იწვევდა, შეაჩერა და გაუჯიუტდა შინაგან იმპულსს, ამჯერად ხომ ყველაფერი სხვაგვარად იყო.

მიხაელმა მორიდებით ჰკითხა ის, რასაც, ჩვეულებრივ ეკითხებიან ხოლმე ქალს – ნებას თუ დართავდა, მასთან ყოფილიყო. რა კითხვაა, რაკი არ გაეცალა, ესე იგი, თანახმაც იყო. კაცი წინააღმდეგობას ელოდა, შიშობდა, მაგრამ ქალის საქციელმა ფრიად გააოცა და გაახარა.

მიხაელს მეუღლე 1940 წელს, საფრანგეთში, საკონცენტრაციო ბანაკში დაეღუპა. ეს მისთვის უმძიმესი დარტყმა იყო. სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა შეგუებოდა იმას, მხოლოდ დრო რომ იყო მისი მდგომარეობის მკურნალი და მხსნელი. წლების შემდეგლა დაუნყო ქალებს ყურება, როგორც მამაკაცმა, იმ იმედით, რომ მოძებნიდა გულისწორს, თუმცა ხშირად უფიქრია კიდევ, ძებნას აზრი არა აქვსო. მიუხედავად იმედგაცრუებისა, დარჩენილ ცხოვრებას ქალის ძებნაში ატარებდა. კაროლას გამოჩენამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და გაოცებულმა თავის თავს ჰკითხა – რა იყო ის, რამაც განსაკუთრებით მოხიბლა? ქალის თვალებში ჩამდგარმა შიშმა და უცნაურმა მზერამ მამაკაცი აიძულა შეჩერებულიყო: „ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს, რა გემართებათ?“.

კაროლა კვლავ მინას ჩაშტერებოდა გაოგნებული და მიხაელს სასხვათაშორისოდ მიუგო: „ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის ხომ არაფერი დამიშავებია?“

ზოგან ისეთი ხალხმრავლობა იყო, გამვლელებს გვერდს ძლივს უვლიდნენ და გზის გაკვლევა ზიგზაგურად უწევდათ. მიხაელმა ნაზად მოჰკიდა ხელი მკლავზე და გადამკვეთ ქუჩაზე ჩაუხვია. ერთი პანანინა საკონდიტროს წინ შეჩერდა, რომელშიც, როგორც სიცილით ჩაილაპარაკა, „ასეული წლების წინ“ თავისი სადოქტორო ნაშრომის ნაწილი დაენერა. მერე თავაზიანად ჩაეკითხა ქალს, ხომ სწორად იქცეოდა, და საერთოდ, სურდა კი კაროლას მასთან ყოფნა? ის ერთხანს სდუმდა, შემდეგ კი, თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

მეპატრონემ წყვილი გააფრთხილა, რომ ლიმონათის გარდა, ვერაფრით გაუმასპინძლდებოდა. მოიტანა ორი პატარა ბოთლი. საკონდიტროში მარტონი დარჩნენ ერთმანეთის პირისპირ. კაროლა გვერდზე გადაიხარა და სულით ავადმყოფივით დაშტერებოდა იატაკს.

მიხაელმა პირდაპირ ჰკითხა: მითხარი გოგონავ, რატომ დამრთე ნება, რომ შენთან ერთად წამოვსულიყავი, არ გეუხერხებულა?

კაროლას სახე თაბაშირის ნილაბივით გაუქვავდა. „მარტო ხომ არ გსურთ ყოფნა? კითხვა შეუბრუნა უცებ გულმისუსტებულმა კაროლამ - „თქვენ რატომღა გამომელაპარაკეთ“?

ახლადგაცნობილმა კარგა ხნის შემდეგ უპასუხა. „ვინ იცის. გულახდილად რომ გითხრათ, ჯერ არც კი ვიცი. თქვენ სერიოზული და ძალიან მომხიბლავი ხართ. თქვენი გაცნობა მინდოდა“ და რაკი ქალმა, უნებლიედ, თავი და მხრები შეაბრუნა, მიხაელმა ისევ მოკრძალებით ჰკითხა, წასვლას ხომ არ აპირებთო.

კაროლა გაქვავებული იჯდა და ხელები ტანზე მჭიდროდ მიეკრა. უარის ნიშნად თავი გააქნია. აქ კი მიხაელი კვლავ ჩაფიქრდა და თავის თავს ჩაეკითხა, მაინც რამ ააღელვა იგი ასე ძლიერ, ნუთუ მხოლოდ იმან, რომ ქალი ასე ლამაზი იყო?

პატარა, ვიწრო მაგიდა ნითლად შეეღებათ. კაროლა მთელი ძალით ჩაბლაუჭებოდა მოკუმშული ხელებით მის კიდევებს, მკლავები კი მაგიდის პერპენდიკულარულად დაეჭიმა.

მიხაელმა ველარ გაუძლო ქალის ასეთ მდგომარეობას, ხელი გადაუსვა მის დაკრუნჩხულ ხელებს და გამომცდელად ჩააშტერდა თვა-

ლებში. კაროლამ უნებლიედ გასწია ხელი, ერთხანს თითქოს ჩაფიქრდა, რატომ მისცა თავს და სულ ახლახან გაცნობილ მამაკაცს ამის უფლება.

მიხაელი კი ისევ განაგრძობდა საუბარს: ხშირად თუ შევხვდებით ერთმანეთს, ალბათ მერე უფრო მეტად მენდობითო. სახლში ხომ არ წაგიყვანო – დასძინა შემდეგ.

კაროლას ტუჩები აუცახცახდა. სახე სისხლისგან დაეცალა, თვალები თითქოს ჩაუქრა და გაოგნებული მზერა მიაპყრო მიხაელს: – თქვენ შეგიძლიათ წამომყვეთ იმ შემთხვევაში, თუ ფულს გადამიხდით.

მამაკაცი სახტად დარჩა და ალღევებული, იმედგაცრუებული და სიძულვილით აღსავსე წამოხტა ადგილიდან. ახლალა მიხვდა, რა დიდი გავლენა მოუხდენია მასზე ქალს. ბოლმა ახრჩობდა, რომ ამ ქალისადმი ასეთი ნაზი გრძნობები გაიშვებოდა. ალბათ სილატაკემ აიძულა, თუმცა ეს არგუმენტიც არაფერი შეღავათი იყო მისთვის. მიხაელი არ იყო სენტიმენტალური ადამიანი, მაგრამ მაინც ზარავდა ქალის სიტყვები: „თქვენ შეგიძლიათ ჩემთან წამოხვიდეთ, თუ ფულს მომცემთ!!! დედამინა ხომ ბრუნავს, მაგრამ ახლა, ეტყობა, ზურგზეც ამობრუნდა, თავისთვის ჩაილაპარაკა ბოლოს. ოცი დოლარი, მარკაზე გადახურდავებული, საჭიროზე მეტიცაა. კაცმა ხელჩანთაში ჩაუჩურთა ფული - „წავიდეთ?“

წანგრევებს შორის რამდენიმე სახლი იდგა, უვნებლად გადარჩენილი. პატარა მანძილი ჰქონდათ მხოლოდ გასავლელი, არავინ შეხვედრიათ. ხომ უთხრა უკვე, რაც ჰქონდა სათქმელი. რალაც შვება იგრძნო, ეს მისთვის თვითგანადგურებას უდრიდა, მაგრამ კაროლა უკვე აღარაფერს გრძნობდა. თითქოს საერთოდ დაკარგვოდა შეგრძნების უნარი.

სახლის კედლები გარედანაც ჩამონგრეული იყო. ნაგვის გროვა სიბნელეში უზარმაზარ აფოფრილ ცხოველს წააგავდა. ქალმა მისადგმელი კიბისკენ მიუთითა. კაცს სასაცილოდ ეჩვენა, კიბეზე რომ უნდა ასულიყო: „ჩემზე წინ რატომ არ ადის ვითომ? იქნებ ცოტაოდენი სირცხვილის გრძნობა მაინც შემორჩა?“ – გაიფიქრა უცებ.

ქალს ბოლო წამს თავში გაუელვა: მოშორდი აქაურობას, ვიდრე ის ზემოთაა. მაგრამ ინსტიქტურად მაინც ავიდა მაღლა. არც ერთი სიტყვა არ თქმულა. სანთელი აანთო და კარები დაკეტა. ფეხები გაუშეშდა და დაებორკა, თითქოს ჯაჭვით დაუბიათო. რალაცა ძალამ

შინაგანად შებოჭა მისი სხეული, წინააღმდეგობის განევის თავი აღარ ჰქონდა. კაროლა, უცბად, თავბრუდახვეული დაეშვა იატაკზე. კუნთები მოუდუნდა, მთელი სხეულით მოეშვა, თავი გვერდზე გადაუვარდა და სახეზე მკვდრისფერი დაედო.

წყლის გრაფინის თავზე, რომელიც ილუმინატორის ქვეშ, ბეტონის იატაკზე იდგა, მიხაელმა დაკეცილი ტილო შენიშნა, იგი წყლით დაასველა, შუბლზე დაადო და კაბა ჩამოუნია მუხლებზე.

ასეთ დროს სად მოექებნა ექიმი, საათებს გასტანდა ძებნა. მარტო კი ვერ დავტოვებ – გაიფიქრა მიხაელმა. ათ წუთზე მეტ ხანს იცადა, ხშირად უცვლიდა ტილოს, გულყრა საკმაოდ ძლიერი იყო. მეზობელი ოთახის კარები შეაღო. მთვარის შუქზე ქალაქის გიგანტური ნანგრევები სამარისებული სიმშვიდით გარინდულიყო. ამის დანახვამ ლეიბზე მწოლიარის მკვდრისფერი სახე მოაგონა. რალაც საერთოს ხედავდა მათში და იმწამსვე მიხვდა, რომ კაროლა უმანკო იყო. არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც ვფიქრობდი, მადლობა ღმერთსო, თავისთვის ჩაილაპარაკა, კაროლას გვერდით ჩამოჯდა და ხელზე შეეხო. კაროლასადმი უცნაური გრძნობა უნებლიედ ისევ დაეუფლა. აღარაფერი უცდია და დაჰყვა გულისთქმას.

კაროლამ მოულოდნელად თვალები გაახილა და მიხაელს ისე მშვიდად გადახედა, თითქოს გაიფიქრა: თუ ცოცხალი აღარა ვარ, არც არაფრის შიში უნდა მქონდესო, მიხაელმა გოგონას ხელი ნაზად გადაუსვა თმებზე.

სანოლზე მჯდომმა მიხაელმა ოდნავ მალლა წამოსწია კაროლა და მკერდზე მიიკრა, მისი თვალები ყველაფერს ეუბნებოდნ მას. ისიც მშვიდად მიენდო და თავი მის მკლავებში ჩარგო, კარგა ხნის შემდეგ ოცნებაში ჩაფლულ კაროლას მშვიდად ჩაეძინა.

სამი კვირის შემდეგ ისინი დაქორწინდნენ.

გერმანულიდან თარგმნა ნინო ნათენაძემ

ინტერვიუ ქალაქის მერთან

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ზედგინიძე 1947 წლის 8 მარტს ბორჯომში დაიბადა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი — ისტორიის (1969 წელს) და იურიდიული (1980 წელს) ფაკულტეტი. მუშაობდა სკოლაში პედაგოგად. ახალციხეში საცხოვრებლად 1981 წლიდან გადმოვიდა. 36 წლის განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ორგანოში. 1975-1995 წლებში შსს-ს ბორჯომისა და ახალციხის რაიონულ განყოფილებებს ხელმძღვანელობდა, ასევე გახლდათ ნალკის მილიციის უფროსი. 1985-1986 წლებში მუშაობდა რეგიონის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ და რეგიონის ადმინისტრაციის უფროსად. 2005 წლიდან კლინიკა „ჯანმრთელობის სახლის“ („ნათია 777“) დამფუძნებელი და მენეჯერი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მონვეული პედაგოგის სტატუსით 26 წელია, კითხულობს ლექციებს. ვლადიმერ ზედგინიძე ახალციხის მერად აირჩიეს 2016 წლის ნოემბრიდან. ჰყავს ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი. ამასთან, ბატონი ვლადიმერი გახლავთ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის გიორგი ზედგინიძის ვაჟი. ბატონ ვლადიმერთან ინტერვიუ სწორედ მამასთან დაკავშირებული კითხვით დავიწყეთ.



– ბატონო ვლადიმერ, რას ნიშნავს თქვენთვის მწერლის შვილობა? მისი სახელი თქვენს საქმიანობაში იყო დახმარება თუ დაბრკოლება?

– მამა, გიორგი ზედგინიძე, თავისი განათლებით, საქმიანობით, ერისშვილობით, ყმანვილკაცობიდან სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ყველაფერს აკეთებდა მესხეთ-ჯავახეთის წარმოსაჩენად არა მარტო სამწერლო მოღვაწეობით, არამედ ეთნოგრაფიული ხაზით. მამას აქვს

ისტორიული კვლევები, უზარმაზარი ბიბლიოთეკა და არქივი, რომელიც არის ჩემი სიამაყე. მამა იყო არა მარტო საზოგადო მოღვაწე და დამსახურებული პედაგოგი, არამედ, პიროვნება, ბრწყინვალე მამა და სათნოების განსახიერება. დიდი პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო ჩვენს მხარეში, არამედ რესპუბლიკის მასშტაბით. მამა გახლდათ ექვსი ისტორიული რომანის და ხუთი დრამის ავტორი. მათ შორის ერთ-ერთი 1979 წელს მესხეთის თეატრში დაიდგა. მამა აქტიურად მუშაობდა რუსთველის წარმომავლობის საკითხებზე და არაერთი კვლევა მიუძღვნა რუსთველის მესხობის დადასტურებას. აქვს შეკრებილი ჩვენი კუთხის ზეპირსიტყვიერების და თქმულებების უამრავი ნიმუში. უახლოეს ხანში გამოიცემა ამირანის შესახებ მესხურ სოფლებში შეკრებილ თქმულებათა 29 სხვადასხვა ვარიანტი. 2015 წელს ჩვენ მიერ და უნივერსიტეტის აქტიური მხარდაჭერით გამოცემულ იქნა მამაჩემის ფუნდამენტური ნაშრომი: „ჯავახური ლექსიკონი“. ნიგნი მოიცავს 18 500-მდე სიტყვათა კონას და წარმოადგენს ქართული ლექსიკოგრაფიის შესანიშნავ ნიმუშს, რომელიც მოიცავს უამრავ ეთნოგრაფიულ მასალასაც მესხეთში გავრცელებული ტრადიციული დღესასწაულების, თამაშობების, ქორწინების, საყოფაცხოვრებო და საოჯახო საქმიანობის განმარტებებსა და წესებს. რომ გითხრათ, დიდი მფარველობა მქონდა მამის სახელის გამო-მეთქი, ასე არ ყოფილა. ვამაყოფ, რომ მყავდა ბრწყინვალე მამა. მამა ოცნებობდა, ვყოფილიყავი ისტორიკოსი და ამან განაპირობა, რომ 1964 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1969 წელს დავამთავრე წარმატებით.

კარგი იქნება, თუ დამისვამთ კითხვას, რა ღვანლი მიმიძღვის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. ერთ-ერთი ინიციატორი ჩვენი მესხეთის უნივერსიტეტის დაარსებისა ვიყავი მეც - ვლადიმერ ზედგინიძე, 1989 წელს, როდესაც ახალციხეში „რუსთაველის საზოგადოების“ ჩამოყალიბება ხდებოდა. მაშინ დავაყენე უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობის საკითხი. ეს ხდებოდა აქ, ახალციხეში, მუსიკალური სკოლის შენობაში, სადაც ტარდებოდა „რუსთაველის საზოგადოების“ დამფუძნებელთა შეკრება, რომელშიც კულტურისა და განათლების მინისტრებიც იღებდნენ მონაწილეობას. იკითხეს მატერიალურ შესაძლებლობაზე. მივუთითე 121-ე პროფესიულ ტექ-

ნიკურ სასწავლებელზე, სადაც დღეს არის განთავსებული უნივერსიტეტი. ეს შენობა ნამდვილად შეესაბამებოდა ყველა იმ პარამეტრს, რომელიც უნივერსიტეტისთვის მისაღები იქნებოდა. ამ საკითხმა არ დააყოვნა და დაახლოებით ოთხ-ხუთ თვეში მხარეში უნივერსიტეტის ფორმირება დაიწყო და სათავეში ბატონი მერაბ ბერიძე ჩაუდგა, რომელიც იმ პერიოდში აქტიურად სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა.

- 36 წელი სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობდით. ამჟამად ბრძანდებით ქალაქ ახალციხის მერი. რომელ სფეროში გრძნობთ თავს უფრო კომფორტულად?

- 36 წელზე მეტი ვიმუშავე სამართალდამცავ სტრუქტურაში და სიამოვნებით ვიმუშავებდი დღესაც. ეს იყო ჩემი შესაძლებლობების გამოვლინების აქტიური ფაზა ადამიანებთან ურთიერთობაში. მემამყება, რომ ვიმუშავე მილიციაში და, რა თქმა უნდა, პოლიციაში. ვარ პოლიციის პოლკოვნიკი. მიღებული მაქვს არაერთი ჯილდო და მედალი, ნახალისება და სასჯელიც. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 25 წელია, ვკითხულობ ლექციებს მონვეული პედაგოგის სტატუსით და ვარ პირველი იურისტი, რომელმაც იურის-პრუდენციაზე ლექციების კითხვა დაიწყო ჩვენს უნივერსიტეტში დაარსებიდან დღემდე. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, გამომეძენა დრო სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს აქტიურად ვმუშაობდი ეთნოგრაფიის ხაზით აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით. მაქვს გამოუქვეყნებელი კვლევები. ვიყავი არაერთი საკავშირო კონფერენციის მონაწილე და პირველი ხარისხის დიპლომებით შეფასებული.

- სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტებისთვის ქალაქის მერია გაცემს სტიპენდიებს. ხომ არ იგეგმება სხვა პროექტების განხორციელება სტუდენტებთან მიმართებაში?

- სტიპენდიების გაცემა გრძელდება. უნივერსიტეტის რექტორატის წარდგენის საფუძველზე ექვს სტუდენტს ვაფინანსებთ. ამ ეტაპზე ეს არის ის მაქსიმუმი შესაძლებლობა, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ წარჩინებული სტუდენტები წავახალისოთ.

- სტუდენტთა საერთო საცხოვრებელთან დაკავშირებით გკითხავთ. ჩვენ არაერთხელ დაგვინერია ამ თემაზე. შენობები, რომელზეც არის საუბარი (რუსთაველის ქუჩა №124-ში მდებარე მესაზღვრეთა შტაბის

ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები), არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. თქვენი წინამორბედი მერი ამბობდა, რომ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან ქალაქ ახალციხის მერიის ბალანსზე გადასვლის შემთხვევაში, მოხდებოდა ამ შენობების განკარგვა, მათ შორის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისთვისაც. თუ არის წინსვლა ამ საკითხთან დაკავშირებით?

– გეტყვით სიმართლეს, რომელიც ყოველთვის მისაღები არ არის, მაგრამ ეს არის გულახდილი აღსარება. ვფიქრობ, დაპირებებისა და მოლოდინის რეჟიმში ყოფნას, სჯობია გულწრფელი პასუხი. თქვენ ბრძანეთ, რომ მანამდეც ხშირად იყო დასმული ეს საკითხი. ჩვენც მზაობას გამოვთქვამთ, რომ, თუ ეს ტერიტორია გადმოგვცეს, უნივერსიტეტს დაუთმობთ გარკვეული წილი საერთო საცხოვრებლისთვის. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აქედან გასვლა მოხდა საბჭოთა კავშირის შესაბამისი ჯარების ნაწილებისა, რუსთაველი ქუჩაზე შენობების ნაწილი პრივატიზებულ იქნა საცხოვრებელ ფართებად. ხოლო ქვედა მხარისთვის, იქ, სადაც სასაზღვრო ნაწილი იყო განთავსებული, უკვე რამდენი წელია, ვიბრძვით, რომ გადმოგვეცეს ქალაქს. ერთადერთი პერსპექტივა ქალაქის მომავალი ურბანული განვითარებისა მხოლოდ მაგ ტერიტორიაზეა შესაძლებელი. სხვა ტერიტორიების უმრავლესობა კერძო საკუთრებაშია გადასული.

დიდი ხანია, იბრძვის ბატონი მერაბი იმისთვის, რომ სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებელი გაკეთდეს. მახსოვს, რომ ამისი შესაძლებლობა მოგვეცა ადრე, როდესაც ყოფილი ტექნიკუმის, ანუ დღეს უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე უნივერსიტეტს გადმოგვეცა ორი შენობა. დგება საკითხი უშუალოდ მესაზღვრეთა ტერიტორიაზე კიდევ რაიმე შენობის გამოძებნისა, რომელიც სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისთვის იქნება მიზანშეწონილი. რა თქმა უნდა, კარგი ინიციატივაა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, თუ მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ უნივერსიტეტს დაუთმობთ ფართი, რომელიც გამოყენებული იქნება ხელმოკლე ყმანელებისათვის. ჩვენ განმეორებით მივმართეთ მთავრობას, რომ ეს ტერიტორია ინგრევა, ფუჭდება და საჭიროებს მიხედვას. ე. წ. „ადინაცატლომიკების“ ზემოთმდებარე ტერიტორიაზეც გვაქვს მიწერა. პრემიერ-მინისტრს, თავდაცვის მინისტრს, ქონების მართვის უწყებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს მივმართეთ. ამ საკითხის დადებითად გადაჭრის შემდგომ შესაძლებლობა იქნება,

ვისაუბროთ, შევძლებთ თუ არა საერთო საცხოვრებლისათვის ფართის გამონახვას. 360 ოჯახია ქალაქში უსახლკარო, რომელთა დაკმაყოფილებაც ასევე აუცილებელია.

- ბრძანეთ უნივერსიტეტისათვის გადაცემულ ორ შენობასთან დაკავშირებით. ვაპბობთ, რომ ეს უნივერსიტეტისათვის უკვე ბევრია?

- არასაკმარისი. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისათვის შესაძლებლობის მიხედვით შეიძლება რამდენიმე ოთახი გამოვყოთ და არა მთლიანად კორპუსი. ხალხს რა ვუყოთ, ოჯახებს რა ვუყოთ, სხვის შვილებს რა ვუყოთ? მათი გაჭირვების გათვალისწინება აუცილებელია. აგეტირებათ, ისეთ მდგომარეობაში არიან.

- ანუ, კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგა ეს საკითხი?

- კითხვის ნიშნის ქვეშ არა. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ იმედი, თუნდაც იმიტომ, რომ ეს საკითხი მოსაგვარებელია და წინასწარ ვერ გავცემთ პირობებს. ამიტომ, როდესაც შენობებს რეალურად შევხედავთ, რისი საშუალება არსებობს, მერე გადავწყვიტოთ ეს საკითხი. ჩემი უნივერსიტეტი უყურადღებოდ არ დამრჩება.

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ბატონი ვალერი სილოგავას სახელი მიენიჭა რუსთაველის ქუჩიდან ზარზმელის ქუჩისაკენ მიმავალ ქუჩას (აღმართს). მიმანიშნებელი ნიშანი თუ დაიდგმება ამის აღსანიშნავად?

- მანახეთ ქალაქში ერთი ქუჩა, რომელსაც გააჩნია მანიშნებელი წარწერა. ჩვენ ამ საკითხის მოსაგვარებლად დავინწყეთ მუშაობა. ამისათვის დიდი თანხაა საჭირო. ამ აღმართს სულ მალე ექნება ლამაზი წარწერა. ბატონი ვალერი ჩემი თანაკურსელი იყო და დიდ პატივის ვცემ მის ხსოვნას.

- ცხრა აპრილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სკვერს უნდა მიენიჭებოდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დამაარსებლის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელი. რა ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით?

- ეს საკითხიც მოგვარდება. უფრო უკეთესი რამ უნდა გითხრათ. უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსის ეზოში რამდენი წელია, დევს ივანე ჯავახიშვილის ბიუსტი. ეს ბიუსტი ადრე გაკეთდა და ქალაქის შემოსასვლელში უნდა განთავსებულიყო. მაგრამ პროცესი გადაიდო. ბიუსტს ადგილი მოეუძებნეთ და რაბათში, ასასვლელში, საზეიმო ვითარებაში დაიდგმება შესაბამისი შეთანხმების შემდგომ.

- უნივერსიტეტის მეორე კორპუსში საზოგადოებასთან შეხვედრის დროს, როდესაც ბიუჯეტს იხილავდით, ბრძანეთ უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტების თაობაზე. აქვე მინდა გკითხოთ, უნივერსიტეტის I კორპუსიდან ე.წ. საავადმყოფოს ასახვევამდე (რუსთაველის ქუჩა) მარცხენა მხარეს არსებული ტროტუარის შეკეთების თაობაზე. ასევე საერთოდ არ არის ტროტუარი უნივერსიტეტიდან ქალაქის მიმართულებით მიმავალ მარჯვენა მხარეს.

- დიას, მაშინ მე ეს საკითხები გავაშუქე და ვთქვი, რომ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ, სადაც ავტომანქანები დგება, როგორც კი დაიწყება გზების რეაბილიტაცია, დაიგება ასფალტი. გარდა ამისა, ჩართული გვქონდა გარე განათების სისტემაზე უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოს წინა განათებაც, რომელიც გაითიშა და მალე ჩაირთვება. რაც შეეხება ტროტუარებს, ბრძანეთ, რომ ხელმარჯვნივ საერთოდ არ არის ტროტუარები. ტროტუარები ნამდვილად კეთილმომოსაწყობია. უახლოეს ხანში, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ ჩაიდგმება ლამაზი ახალი გაჩერება, რომელიც გათვალისწინებულია 30 მოქალაქეზე.

- გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ლექტორებსა და სტუდენტებს აქვთ ინიციატივა, მოხატონ ქალაქში შენობები. აქ საუბარია ცნობილ ნახატებზე, „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებზე და სხვა. თუ თქვენ მათ შეხვდებით, ისინი დეტალურად გაგაცნობენ ამ პროექტის შესახებ. მისაღები იქნება თქვენთვის ეს იდეა?

- ნებისმიერ დროს შევხვდები მათ. ძლივს შევლებეთ ქალაქი, ამიტომ ტერიტორია უნდა შევარჩიოთ, რომელიც მოუხდება ამ საქმეს. ახლა ცხრა აპრილის მთლიანი ქუჩის ფასადების გარემონტებას ვიწყებთ. გავითვალისწინოთ, რომ ძალიან ბევრი შენობა არის კერძო, კერძო საკუთრება კი ხელშეუხებელია. ნახატები, რომლის გაკეთებაც უნდათ სტუდენტებს, უნდა იყოს ისეთ ადგილას განთავსებული, ხალხმა რომ დაინახოს და აღიქვას. ასეთი შენობები ცოტა გვაქვს. მოვიდეს ჩემთან ეს ჯგუფი და ერთად შევჯერდეთ. ხელოვნების მიმართულების სტუდენტებთან ვითანაშრომლებ. ქალაქში ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი. შეიძლება მათი ინიციატივებიც იყოს მოსაწონი. თუნდაც რომელიმე სკვერის მოწყობაში დაგვეხმარონ, სიამოვნებით მივიღებ მათ პროექტებს.

- რამდენიმე თვეა, რაც ქალაქის მერი ბრძანდებით. რა პრობლემები დაგზვდათ და რისი გაკეთება შეძელით?

- ბრძანეთ, რომ რამდენიმე თვეა, როგორც ახლადარჩეული მერი შევუდექი საქმიანობას. პრობლემები არასდროს არ დაილევა, თუნდც იმიტომ, რომ საზოგადოება ვითარდება და ახალი პრობლემები ჩნდება. ამ პრობლემებს როგორმე გავართმევთ თავს. ეს მარტო პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული, მერზე, არამედ მთლიანად მერიაზე და იმ შესაძლებლობებზე, რაც მერიას გააჩნია. საინტერესოა, რა კუთხით მივუდგებით პრობლემებს, სოციალური, თუ თუ ინფრასტრუქტურული განვითარების მხრივ. როდესაც ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებ, ამ შემთხვევაში სოციალურად დაუცველისათვის მისი პრობლემების გადაჭრა პირველხარისხოვანი. როდესაც რაღაცები გავაკეთეთ, ზოგიერთმა მოქალაქემ შეგვიფასა, რომ მე ასფალტით ვერ გავძლები, მე მშაო. აქ დგება შრომითი დასაქმების საკითხი. ქალაქში ჩვენ არცერთი საწარმო არ გაგვაჩნია, სადაც შევძლებთ ადამიანები დავასაქმოთ. ამისათვის ხელისშემწყობი პირობები უნდა ჰქონდეს მერიას, მერია საწარმოს ვერ შექმნის. ეს არის მმართველობითი სფერო. ამიტომ, ჩვენ ხელი უნდა შევუწყობ სხვას, რომ ეს ინიციატივა ჰქონდეთ. ღმერთმა ქნას, რომ გამოჩნდეს ინვესტორი, რომელიც ქალაქში რაიმე საწარმოს გააკეთებს, თუნდაც ათკაციანს. ჩვენ მხარში დავუდგებით ყველანაირად, ოღონდ გვყავდეს ასეთი ადამიანები. ძირითადად სავაჭრო ობიექტები გაგვაჩნია, რომელიც არის კერძო. ინფრასტრუქტურულ პრობლემებს რაც შეეხება, 17 ქუჩა მოენყო, ნაწილის მოწყობა დაგეგმილია ამ წელში. როგორც კი შეიქმნება შესაბამისი პირობა, თუნდაც კლიმატური, განახლება სამუშაოები. აუცილებელია გზის შეკეთება, რომელიც ყინვებმა გააფუჭა, არაერთხელ მოხდა მარილის მოყრა. ამან კი მთლიანად დაგვინგრია ქუჩები, გარდა ახლად დაგებული ქუჩებისა. ამიტომ აუცილებელია, ამ ორმულების ამოვსება. ბევრჯერ დაგვცინეს, რომ ორმოებში ტალახს ვყრიდით. ეს იყო ცემენტი შერეული ქვიშაში, მაგრამ ყინვა მეორე დღეს ისევ აფუჭებდა. სამჯერ შევაკეთეთ ქალაქში გზები და ნაწილი ასფალტით შევავსეთ. ვნახოთ, რამდენ ხანს გაძლებს. თუმცაღა, ბევრი დაგვრჩა გასაკეთებელი. არის ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელიც ვალდებულია, ორმოები შეაკეთოს. უახლოეს ხანში დაიწყება რეაბილიტაცია ქუჩების და გზების შესავლელიდან დაწყებული, დამთავრებული ქალაქის ზედა ქუჩებით. გარე განათების შეცვლარეაბილიტაცია დაწყებულია. შეიძლება ვიღაცა თვლის, რომ, რა

საჭიროა განათების შეცვლა. საჭიაროა. მით უმეტეს, მონტაჟდება ნათურები, რომლებსაც გასხივოსნება მეტი აქვთ და ბევრად ეკონომიურია. ჩვენ უნდა წარვმართოთ მუშაობა იმ უბნებში, სადაც საერთოთ არ არის განათება. როდესაც პრიორიტეტზე ვსაუბრობთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის შესაძლებლობი, რომელიც ჩვენ გავაჩნია. ჩემი ინიციატივით შევქმენით კომისია, რომელიც ყოველ კვირას იკრიბება და გვანვდის წინადადებებს. ჩვენ 23 საგზაო ნიშანი ავსენით, რომელიც უმიზნოდ იყო განთავსებული ამა თუ იმ ტერიტორიაზე. ეს ქალაქი და ქუჩა არ უნდა დავამსგავსოთ ნაძვის მორთვას. საგზაო ნიშნებს აქვთ თავიანთი დანიშნულება და მიზანი. ჩვენ გვაქვს კატეგორიული მოთხოვნა, რომ ვერცერთი ნიშანი ქალაქში ვერ დაიდგმება ჩვენთან შეთანხმების გარეშე. უახლოეს ხანში სამ ქუჩაზე გვექნება ცალმხრივი მოძრაობა აღდგენილი, რომელიც ჯერ კიდევ ჩემი მილიციის უფროსობის პერიოდში გვექონდა დანერგული და ეს საფუძველი იქნება კოსტავას ქუჩისა და მისი პარალელური ორი ქუჩის განტვირთვისათვის. მოინიშნება ავტომანქანების მოსაცდელები, შეიძლება რამდენიმე ადგილზე შემოვიღოთ ფასიანი პარკირებაც. სულ ქალაქში განთავსდება 12 ახალი მოსაცდელი.

– თქვენ პასუხი არ გაცით ჩემი კოლეგების კითხვას, რამდენიმე ქალაქში მერიის გაუქმების შესახებ დაწყებულ საუბართან დაკავშირებით. საინტერესო იქნება თქვენი მოსაზრება?

– მიუხედავად იმისა, რომ არაერთ კორესპონდენტს ჰქონდა მცდელობა ამ საკითხზე კომენტარი გამეკეთებინა, მე მათ არ ვუპასუხე. საერთოდ სჯობია, რომ თავი შევიკავო მანამ, სანამ არ გავეცნობით, ვინ არის ინიციატორი ამ საკითხის და რას ისახავს მიზნად. გეტყვით, რომ ეს ძალზედ დიდი შეცდომა იქნება. გვაქვს საერთაშორისო ურთიერთობები ჩვენს მოსახელე ქალაქებთან, ასეთი შვიდი ქალაქია, რომელთა მონვევას ვგეგმავთ უახლოეს ხანში შალვა ახლციხელის სახელობის სადღესასწაულო ღონისძიებაზე, 25 კაციანი დელეგაცია ჩამოვა სამხრეთ აფრიკიდან, ინგლისიდან, პოლონეთიდან, ჩეხეთიდან და რუმინეთიდან, იმათ რა ვუთხრათ, ქალაქის მერია აღარ არსებობს? მითუმეტეს, ჩვენ დამეგობრების რამდენიმეწლიანი გამოცდილება გავაჩნია ამ საერთაშორისო საქმიანობაში. ასევე ჩვენ ვართ მონაწილე იმ საპილოტე პროგრამის, რომელიც მოიცავს რესპუბლიკის ხუთ ქალაქს, რომელიც საერთაშორისო

ფონდით ეწევა საქმიანობას. ამას თავად უნდას მისცენ შეფასება. 12 ქალაქია, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა გააჩნია. 2014 წელს დაიწყო მერიებმა ფუნქციონირება და უცებ ვამბობთ, რომ 2016 წელს არ გაამართლა. ექსპერიმენტების ტარება თვითმმართველობაზე დიდი დანაშაულია, მითუმეტეს საარჩევნო წლის პერიოდში. ეს ვერც ინიციატორის საკეთილდღეოდ და ვერც ჩვენი ეკონომიკური ბაზის თუ შესაძლებლობის გაჯანსაღებაზე სასიკეთოთ ვერ იმუშავებს.

- ჩვენი საუბარი ბატონ გიორგიზე, თქვენს მამაზე კითხვით დავამთავროთ. მის ნაშრომებს, იმ გამოუქვეყნებელ მასალას, რომელიც ინახება ხელნაწერების სახით, ხომ არ გადასცემდით უნივერსიტეტის მუზეუმს, რომელიც სულ მალე გაიხსნება?

- დაახლოებით 15 წლის წინ, როდესაც მამას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე გადავიხადეთ, ბატონი მერაბიც გახლდათ ერთ-ერთი ინიციატორი ამ საქმის, მასთან ერთად ბატონი სერგო მელიქიძე, ბატონი ვალერი სილოგავა, მაშინ იყო შემოთავაზება, რომ უნივერსიტეტში გაკეთებულიყო მამას სახელობის კაბინეტი, სადაც განთავსდებოდა მამას არქივის ნაწილი. შემდეგ, ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ასეთი კაბინეტი შეგვექმნა ჩვენი ქალაქის სახელმწიფო მუზეუმში, მაგრამ ახალციხის ციხეზე მიმდინარე სამუშაოების შემდეგ ამ იდეამ აზრი დაკარგა. ჩავთვალე საჭიროდ, თუ ვინმეს დასჭირდება მასალებზე მუშაობა, მე აქტიურად დავეხმარები. მამას არქივი ჩემთვის უძვირფასესია.

- მაღლობა, ბატონო ვლადიმერ, საინტერესო საუბრისთვის.

- არაფრის. მაღლობა საინტერესო კითხვებისთვის.

ინტერვიუერი ლია ზაზაშვილი

ინტერვიუ

ზაზაძეთა შთამომავალი თურქეთში¹

სტამბოლში თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისისთვის უჩვეულოდ თბილი ამინდი დაგვხვდა. თავიდანვე ვიცოდით, თითოეული წუთი უნდა გაგვეთვალა. მხოლოდ რამდენიმე დღე გვქონდა, საქმე კი ბევრი უნდა მოგვესწრო. პირველივე დღეს მივედით სტამბოლის ცენტრალურ უბანში აღმართულ დიდებულ ტაძართან, ქართული წარწერა იუწყებოდა, რომ ეს იყო ფერიქიის ქართველ კათოლიკეთა სავანე.



და გაჩერდა დრო... უფრო სწორად წაიშალა დროის საზღვრები. აღმართენ წინაპართა აჩრდილები... დავდიოდით მათ ნაკვალევზე, ვეხებოდით მათ ნამოღვანარს... ვისმენდით მათი დიდკაცობისა და ქართველობის ამბებს, კიდევ ბევრ თაობას რომ ეყოფა სულიერ საზრდოდ. მთავარი კი იმის შეგრძნება იყო, რომ სავანე არ არის მხოლოდ წარსულის კუთვნილება, ის დღესაც აგრძელებს არსებობას თანამედროვე ცხოვრების საჭიროებებს მორგებული. გრძელდება იმ ქართველთა გენი, რომელთაც თავად ვერ შეძლეს სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ემიგრაციაში შექმნეს სავანე — პატარა საქართველო.

პავლე და სიმონ ზაზაძეების მაღლცხებული ოჯახის ღვანლის შეფასება შეუძლებელია. გაორმაგებული პასუხისმგებლობით, სიამაყით, საკუთარი ფესვებისა და მამა-პაპის წინაშე უსიტყვოდ ნაკისრი ვალდებულებით უხმაუროდ აგრძელებს სავანის მოვლა-პატრონობას სიმონ ზაზაძის ოჯახი მისი ვაჟის, პოლ (პავლე) ზაზაძის თაოსნობით.

- ბატონო პოლ, თქვენ საუბრობთ ინგლისურად, თურქულად, ფრანგულად და გერმანულად. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია, ფლობდე განსხვავებულ ენებს?

¹ ინტერვიუ შედგა ინგლისურ ენაზე. გთავაზობთ მის ქართულ ვერსიას (რედ.).

- ძალიან მნიშვნელოვანია. ეს თქვენ გაძლევთ შესაძლებლობას, გაიგოთ განსხვავებული ადამიანების, განსხვავებული ცივილიზაციის. მე ვფიქრობ, ჩემს შემთხვევაში ცუდია, რომ მე არ ვიცი კარგი ქართული, რადგან ახლა ძალიან ვარ ჩართული ჩვენი ფონდის საქმიანობაში. ვიზრდებოდი დედასთან, რომელიც ფრანგია და ბუნებრივია, მესაუბრობდა ფრანგულად, თუმცა ყოველთვის ვისმენდი საუბრებს ქართულ ენაზე. ვფიქრობ, რომ ენების ცოდნა არის ძალიან მნიშვნელოვანი. მოუფნოდებ ნებისმიერ ადამიანს, ისწავლოს მრავალი ენა. ეს შესაძლებელია, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება, იქცეს კაცობრიობა ერთ მთლიანობად. ყველა ადამიანი ფიქრობს და ჰგონია, რომ ძალიან განსხვავებულია, არადა, ჩვენ ყველანი ერთნაირები ვართ.

- თქვენ ხართ წარმატებული ბიზნესმენი. რომელ უნარს გამოყოფდით ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად, რომელიც ხელს უწყობს წარმატების მიღწევაში?

- ვფიქრობ, მნიშვნელოვანია იყო პოზიტიური და პატივი სცე ადამიანურ რესურსს, კაპიტალს. თქვენ შეგიძლიათ, შეიძინოთ მანქანები, შეგიძლიათ, შეიძინოთ შენობები, შეგიძლიათ, შეიძინოთ უახლესი ტექნოლოგია, თქვენ, ბოლოსდაბოლოს შეგიძლიათ, იყიდოთ ფულიც კი, მაგრამ შეუძლებელია კარგი გუნდისა და მისი მხარდაჭერის ყიდვა, შეუძლებელია, შეიძინოთ კარგი ადამიანები. ასე რომ, თქვენ გჭირდებათ სერიოზული ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში. მე ვარ ორმოცდაექვსი წლის და ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო ბიზნესში, მაგრამ ამ საქმიანობას 30-ზე მეტი წლის განმავლობაში ვწევი და ვფიქრობ, ადამიანი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია საქმიან ცხოვრებაში.

- თქვენ გაიზარდეთ თურქეთში, გვიამბეთ, რა გახსენდებათ ბავშვობიდან?

- გავიზარდე სტამბოლში, თურქეთში. ჩემი დები ჩემზე ექვსი და შვიდი წლით უფროსები არიან. ისინი შვეიცარიაში სკოლაში სასწავლებლად რომ გაემგზავრნენ, მე მხოლოდ სამი წლისა ვიყავი. ამის გამო, ვიზრდებოდი ძირითადად, როგორც დედისერთა შვილი და არ ვიყავი კონტაქტური, სკოლის სხვა მოსწავლეებით. ხშირად ვთამაშობდი მარტო. ძალიან მომწონდა განმარტოებით თამაში, მომწონდა

საერთოდ მარტოობა, მიყვარდა დარჩენა საკუთარ თავთან. ვიყავი დაინტერესებული და გატაცებული მუსიკით. გამუდმებით ვუსმენდი მუსიკას. ბავშვობაში ვუკრავდი ვიოლინოზე. მიყვარს სხვადასხვა სახის მუსიკა - განსაკუთრებით ჯაზი და ელექტრონული, გატაცებული ვარ სპორტით, ძირითადად, წყლის თხილამურებით.

- ჩვენ ვნახეთ ეკლესია. იგი დააარსა პეტრე ხარისჭირაშვილმა, რომელიც იყო ახალციხიდან და შეინარჩუნა, დაიცვა თქვენმა პაპამ, პავლე ზაზაძემ, შემდეგ თქვენმა მამამ სიმონ ზაზაძემ. ისინი მართლაც დიდებული ადამიანები იყვნენ. რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ ასეთი ცნობილი ოჯახიდან?

- ეს არის კარგი კითხვა. პირველ რიგში, მე ვარ ძალიან ბედნიერი, ეს ღვთის მადლია და ჩემთვის უდიდესი პატივია. ჩვენ ყველაფერს უნდა ვუმადლოდეთ პაპაჩემს. ის იყო უბრალო, ღარიბი წრიდან, ჩამოვიდა უცხო ქვეყანაში და დაიწყო ყველაფერი ნულიდან. მან შეძლო, მიეღწია დიდი წარმატებისთვის. იგი დაეხმარა ბევრ ადამიანს. ის იყო ძალიან ლამაზი კაცი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მან შეინარჩუნა ქართული ძირი, როგორც ქრისტიანმა ქართველმა ამ მუსლიმურ ქვეყანაში. ამის გაკეთება ძალიან რთულია. მამაჩემი აგრძელებდა ამ მისიას უმძიმეს პერიოდებში.

მამაჩემმა და პაპაჩემმა გაუძლეს და გადაიტანეს უმძიმესი დრო. მათი სიცოცხლე ხშირად დამდგარა რისკის ქვეშ, დევნიდნენ და ცდილობდნენ, მათზე მოეხდინათ დიდი ზენოლა. ისინი იყვნენ იმ ქართველთა შორის, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი იდენტობა და გვარი. მათ ჭეშმარიტად უერთგულეს საკუთარ მემკვიდრეობას და ეს მათგან დიდ გამბედაობას მოითხოვდა.

ჩვენ ვიცით, შემთხვევები, როდესაც უამრავმა ქართველმა, როდესაც ჩამოვიდა თურქეთში, შეიცვალა გვარი. მათ შეიცვალეს რელიგიაც, რადგან სურდათ გადარჩენილიყვნენ. მიიღეს თურქული გვარები და ახლა მომავალმა თაობამ, შეიძლება ითქვას, არც კი იცის, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ. მე მაქვს ქართული ფესვები და ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ოჯახმა შეინარჩუნა ეს ყოველივე. მე მიყვარს ჩემი გვარი, ვფიქრობ, რომ მართლაც მაგარი გვარია, მე არ ამირჩევია, მაგრამ ღვთის წყალობით მივიღე ის.

- თქვენი მშობლიური სოფელია უდუ, სამხრეთ საქართველოში. გაქვთ რაიმე ბიზნესინტერესი თქვენი მშობლიური ქვეყნის მიმართ?

ჩვენ არასდროს გვქონია ასეთი ბიზნესინტერესი. ბიზნესი არ არის პრიორიტეტი ჩვენთვის, როდესაც გონებაში იბადება საქართველოზე ფიქრი. თუ რაღაცა ფორმით შევძლებ საქართველოს დახმარებას, ვიქნები ძალიან ბედნიერი. მე არასდროს მქონია ბედნიერება, პაპა-ჩემთან ერთად ჩავსულიყავი საქართველოში. მას ყოველთვის სურდა დაბრუნება, ეს იყო მისი ოცნება. იგი გარდაიცვალა 1999 წელს და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გაიხსნა საზღვრები. მაგრამ მამაჩემი, როგორც მოგეხსენებათ, არაერთხელ გაემგზავრა სამშობლოში, მეც მქონდა რამდენიმე შესაძლებლობა, მომენახულებინა საქართველო.

- ოდესმე მოგიძებნიათ ქართული ფესვები?

- თუ მიცდია ეს? არა! ეს არის ის, რაც მინდა რომ გავაკეთო ჩემი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში, ასევე ავუხსნა ჩემს შვილს. იგი არის ძალიან ბედნიერი, რომ აქვს საინტერესო გვარი. ის ცხოვრობს თურქეთსა და ამერიკაში, რადგან ჩემი მეუღლე ამერიკელია. ჩემი შვილი გრძნობს, რომ მისი გვარი არის იშვიათი, არ არის ხშირი, იგი ატარებს ქართულ გვარს და ამაცობს ამით. მან იცის, რომ ჩვენ ვართ ქართველები. ახლა გამახსენდა ერთი შემთხვევა. მამამ გადასცა მას ტრადიციული ტანისამოსი, საცეკვაო ჩოხა, რამაც ძალიან ააღელვა იგი. მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ რასაც ვაკეთებთ, საკმარისია. მე ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ჩემი ნვლილი შევიტანო ქართული კულტურის შენარჩუნებაში სტამბოლში ქართული კათოლიკური ფონდის მოვლა-პატრონობით. ვცდილობ, ჩვენი საოცარი ბიბლიოთეკისა და ეკლესიის შესაძლებლობების გაფართოებას.

- ქართველ კათოლიკეთა სავანე ინახავს უნიკალურ ბიბლიოთეკასა და საარქივო ფონდს. ჩვენ ვიცით, რომ გაქვთ სერიოზული გეგმები ამ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. გვიამბეთ მის შესახებ.

- პირველი ნაბიჯი იყო იმის მოფრთხილება, რაც ჩვენ გვაქვს. როგორც ხედავთ, უნდა შევძლოთ, ისე შევინარჩუნოთ ყველა-

ფერი, რომ არ დაგვკარგოთ რამე. შემდეგ, მეორე ნაბიჯი იყო, მოგვეთავსებინა მასალა დაცულ ადგილას. ვფიქრობ, არ იყო ადვილი ამის გაკეთება და მესამე ნაბიჯი ამჯერად არის ორგანიზება და გაზიარება. იმდენად, რამდენადაც ეს არის კულტურული მემკვიდრეობა, ჩვენ გვჭირდება მისი გაზიარება იმიტომ, რომ ეს არ არის ჩვენი მონოპოლია, ცოდნა ყველასია და ყველასთვისაა. ეს უნდა მოხდეს ფრთხილად და პასუხისმგებლობით, ეს არის ჩვენი სამომავლო მიზანი. ბევრი ადამიანია დაინტერესებული ფონდში დაცული მასალით, ათვალიერებენ მას. ჩვენ ვერ შევძლებთ ვუპასუხოთ ყველას საჭიროებას, უნდა გავცეთ პასუხი პროფესიონალებს, აკადემიურ საზოგადოებას, ვინც არის სწორად ორიენტირებული და ავტორიტეტული. ჩვენ გვჭირდება სწორი გზის არჩევა.

- მნიშვნელოვანი იქნება მასალის ინტერნეტში განთავსება, რაც, როგორც ვიცით, დაწყებულია...

- ეს ის განსაკუთრებული საკითხია, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ. ვაპირებთ, თანდათანობით გავაზიაროთ ინდექსი ჩვენს საკუთარ, ფონდის ვებგვერდზე, რაზედაც ამჯამად მიმდინარეობს მუშაობა და იქმნება. მოვიწვიეთ ძალიან კვალიფიციური საერთაშორისო ექსპერტი იტალიიდან, რომელსაც თურქეთში ბევრი ბიბლიოთეკისთვის გაუწევია დახმარება. ასე რომ, როდესაც ინტერნეტში გავაზიარებთ ამ ინფორმაციას, მე ვფიქრობ, ბევრი უნივერსიტეტი, თქვენს მსგავსად, შეძლებს, იხილოს ეს ყველაფერი, ისინი გამოხატავენ ჩვენ მიმართ დაინტერესებას და როდესაც შევიტყობთ, ვინ არიან და რა უნდათ, ვითანამშრომლებთ.

- კიდევ რას გვეტყვით თქვენი ოჯახისა და სპორტული მიღწევების შესახებ?

- ჩემი მეუღლე წარმოშობით არის ამერიკის პატარა ქალაქიდან, მაგრამ პაპაჩემის მსგავსად, ჩამოვიდა ნიუ-იორკში და დამკვიდრდა ბიზნეს სამყაროში მარტო, დამოუკიდებლად. ის იყო მოდის საგამომცემლო ბიზნესში და უკვე ქმნიდა რალაცას ჯერ

კიდევ 20-25 წლის ასაკში. მე პატივს ვცემ მას, ჩვენ გვაკავშირებს სიყვარული და სულიერი ერთიანობა.

ჩვენი შვილი ლუკა არის ცხრა წლის. ის არის შესანიშნავი ბიჭი. ძალიან ნიჭიერი, ძალიან საყვარელი, ძალიან ძლიერი. ის არის ბრწყინვალე მოსწავლე, მან წყალზე თხილამურებით სრიალში დაიკავა ამერიკის შეერთებულ შტატებში მესამე ადგილი. ის ასევე შთაგონებულია ამერიკული ფეხბურთით, სწავლობს კარგად. ლუკა ლაპარაკობს ფრანგულად, თურქულად, ინგლისურად, სამ-წუხაროდ, ვერ საუბრობს ქართულად.

რაც შეეხება სპორტს, მე წარმოვადგინე თურქეთი სლალომით წყლის მოთხილამურეთა მსოფლიო თასის ასპარეზობაზე. დავამყარე თურქეთში სლალომის რეკორდი და ამ წელს გავხდი 21-ე მსოფლიო თასის შეჯიბრებაზე. ღვთის შენევნით მოვიგე თურქეთის ეროვნული შეჯიბრება 11-ჯერ ჩემი კარიერის განმავლობაში. ასევე სიამოვნებას ვიღებ მწვრთნელობით და ბევრს ვეხმარები საუკეთესო შედეგების მიღწევაში. ჩემთვის ყველაზე გამორჩეული და დაუვიწყარი იყო 1999 წელს საერთაშორისო შეჯიბრებაში ასპერეზობა, რომელიც გაიმართა საქართველოში, ქალაქ ფოთში.

ინტერვიუერი მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

ბამონხმეშობა

ვახტანგ ინაური

სოსო ალიმბარაშვილის „ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში“

ლეკიანობა ქართულ ცნობიერებაში გაიაზრება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომელიც დამკვიდრდა ავბედითი დროის აღმნიშვნელ ტერმინად. იგი თავისი ტრაგიზმის, ქვეყნის აოხრების, ქართველთა ხოცვა-ჟლეტის შინაარსობრივი მნიშვნელობით აღემატება არაბობას, მონგოლობას, ხვარაზმელობას, ყიზილბაშობას, თურქობას და სხვ.

ეს აზრი ნათლად ჩანს სოსო ალიმბარაშვილის წიგნში „ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში“. საკითხი აღმოსავლეთ საქართველოს ეხება, მაგრამ ისტორიაში ცნობილი ფაქტია, რომ ლიხს აქეთ დატრიალებული უბედურება, თავისთავად გადადის დასავლეთ საქართველოში. ასე რომ, ლეკიანობა მთელი ჩვენი ქვეყნის დამანგრეველი მოვლენა იყო. მისი გამომწვევი მიზეზები და ხელისშემწყობი პირობები საფუძვლიანად და სრულყოფილად არის გაანალიზებული ს. ალიმბარაშვილის წიგნში.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ქართველ მეფეთა ორიენტაცია რუსეთისაკენ, რეგულარული ჯარის უქონლობა, სამეფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა, ღარიბი ხაზინა, რასაც დაერთო ვახტანგ VI-ის რუსეთში წასვლა და ქვეყნის მიტოვება მტრის ხელში. ეს ყოველივე ხელს უხსნიდა ჩრდილოკავკასიის მცირემიწიან და ღარიბ მთიელებს ეძარცვათ და მოეოხრებინათ საქართველო, რომელიც მათთვის საშოვარი და საზრდო იყო, სადაც შეეძლოთ როგორც საკვები პროდუქტების, ისე ფულის შოვნა, რასაც ძირითადად მოტაცებული ადამიანების - ბავშვების, ქალების და ჭაბუკების გაყიდვით ახერხებდნენ.

ს. ალიმბარაშვილი აანალიზებს „ლეკიანობის“ ბუნებას და დაასკვნის, რომ „მონგოლები, ოსმალები, ყიზილბაშები საქართველოს დაპყრობისას იძულებულნი იყვნენ, მოსახლეობის გადასახადების გადამხდელუნარიანობაც გაეთვალისწინებინათ (ს. ალიმბარაშვილი გვ. 11).

ეს გასაგებიცაა. ისინი თავიანთი სახელმწიფო ინტერესებიდან ამოდიოდნენ - ჯარის შენახვის, შემდგომი ბრძოლებისა და თავიანთი ქვეყნების განვითარებისთვის აუცილებელი იყო გადასახადების აკრეფა, ამიტომ დაპყრობილი ქვეყნის აოხრება-გაჩანაგებას უჯობდათ, დაპყრობილ ხალხს გადახდა შესძლებოდა, ლეკებს კი არც სახელმწიფო ჰქონდათ, რომ მის აღმავლობაზე ეზრუნათ, არც დაპყრობითი ომების წარმოების სურვილი და შესაძლებლობა ჰქონდათ. ამიტომ ისინი იტაცებდნენ ყველას, ვისაც მოიხელთებდნენ. ძარცვავდნენ, ხოცავდნენ და შეუბრალებლად ანადგურებდნენ ქვეყანას. სულ არ ანუხებდათ საქართველო ამონყებოდა და გადაშენდებოდა თუ არა. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლუკიანობა“, თავისი მტაცებლური ბუნებით, მნიფე თავთავს შესეულ უამრავ „მკალს“ შეიძლება შევადაროთ, რომელმაც მთლიანობაში გამოფიტა და სისხლისაგან დაცალა ქვეყანა (იქვე).

მკვლევარს ლეკების თავხედობის ცოცხალი ფაქტობრივი მაგალითი მოჰყავს დავით გურამიშვილის დატყვევების სახით. შუაგულ ქართლში, ქსნის ხეობაში, სადაც ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა“ ისტორიული პერსონაჟი სოლომონ ლიონიძე თავის ცოლშვილს გახიზნავს, როგორც დაცულ და მტერთაგან მიუწვდომელ მხარეში, იქ, სოფელ ლამისყანაში, ილტოზის გორიდან გადმოსული ლეკები იტაცებენ თავადის შვილს, 20-22 წლის ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ასევე საიმედო თავშესაფრად მიაჩნდა ეს ადგილი და საგურამოდან იქ იყო გახიზნული. მოსავლის ასაღებად გასული დავითი გაიტაცეს ლეკებმა. ამით ოჯახის ტრაგედიას მოსავლის აღების შეფერხება და ზარალიც დაერთო.

ამ ფაქტის გათვალისწინებით შეიძლება გავიაზროთ, რომ თუ თავადის შვილს ასე იოლად იტაცებენ ლეკები, რა დღეში იქნებოდნენ გლეხის შვილები, რომლებიც უფრო დაუცველები იყვნენ.

ს. ალიმბარაშვილი იხილავს ლეკთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სისტემასა და მათ ურთიერთობას ქართველებთან, რომელიც XVIII საუკუნიდან წყდება, მცირდება კახელი მეფეების გავლენა მათზე. ეს გამოიწვია, როგორც დაღესტანში შიდა სოციალურმა ცვლილებებმა, ასევე მაჰმადიანური რელიგიის მიღებამ და მათი საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების ზეგავლენამ. ეს აზრი აქვს გადმოცემული ი. გოგებაშვილს თავისი მოთხრობის – „იავნანამ რა ჰქმნა?!“ შესავალ ნაწილში.

ს. ალიმბარაშვილი მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ასაბუთებს გოგებაშვილის მხატვრული ფირმით ასახულ ლეკებისა და ქართველების ურთიერთობას. ეს ფაქტი „ქართლის ცხოვრებაშიც“ ფიქსირდება, რომლის მიხედვით ლეკოსი ქართლოსის ძმაა. მაგრამ „ლეკიანობის“ დროს ეს ლეკებს აღარ ახსოვთ და აღარც ის ლეკები არიან სუფთა სისხლის, რომლებიც ქართველებს არბევენ და ძარცვავენ. მათ მიწაზე ბევრმა მტერმა გადაიარა და ბევრიც დარჩა და იქ დაიდო ბინა: პაჭანიკები, ჰუნები, ხაზარები, ყივჩაღები და სხვა მრავალი, რომლებიც შეერივნენ და ნალეკეს მკვიდრი მოსახლეობა. ამიტომ საფიქრებელია, რომ XVIII საუკუნის ლეკები აღარც ანთროპოლოგიურად და შეიძლება აღარც ეთნიკურად აღარ არიან ძველი, ქართლოსის ძმის შთამომავლთა ნაშეინი. რომც ყოფილიყო მათში ლეკოსის სისხლი, სავარაუდოდ, მაინც იმას იზამდნენ, რასაც აკეთებდნენ, რადგან ტყვეთა სყიდვაზე ჩვენი თავადები და ერისთავებიც არ ამბობდნენ უარს, რატომ შეიკავებდა თავს გადამთიელი ლეკი, ავარიელი, ლაკი, დარგოელი თუ დიდოელი, თუ მათ – დამშუულებსა და უსახსროებს, საქართველოში დიდი საშოვარი ეგულუბოდათ.

ნიგნში განხილულია აგრეთვე ლეკიანობის ეკონომიკური ფაქტორები და მათი მხარდამჭერი და წამქეზებელი ქვეყნები, ირანი და თურქეთი. XVIII საუკუნეში „ლეკიანობის“ მთავარი ხელშემწყობი თურქეთი იყო.

„ლეკიანობის“ ეკონომიკური ფაქტორის აღნიშვნისას, - წერს ავტორი, აუცილებლად გასათვალისწინებელია დაღესტნელთაგან ტყვეებით მოვაჭრეთა მთავარი „ინვესტორი“ თურქეთი. საქმე ის არის, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ტყვეებით ვაჭრობა მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიან „პროფესიად“ იქცა. ქართული „პროდუქტი“ სტამბოლ-კაიროს ტყვეთა ბაზრებზე საკმაოდ კონკურენტული იყო (ს. ალიმბარაშვილი გვ. 21). ამიტომაც მომრავლდნენ ქართველი ტყვეები მამლუქთა შორის, რომლებმაც ეგვიპტეში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს და დიდხანს მართავდნენ ეგვიპტეს. ხოლო თურქეთში მოხვედრილი ქართველი ახალგაზრდები ძირითადად იანიჩართა რიგებში ირიცხებოდნენ და ოსმალეთის იმპერიის გაძლიერებას ემსახურებოდნენ. ლეკების მიერ გატაცებულ ქართველობას ემატებოდა დასავლეთ საქართველოდან მთავართა მიერ გაყიდული და გატაცებული ქართველობა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დიდი დანაკლისი

იყო, ხოლო მტრის რიგების დიდი შევსება. ეს ფიქსირდება ი. ჭავჭავაძის ლექსში „იანიჩარი“, კ. თათარაშვილის (უიარაღო) მოთხრობაში „მამლუქი“, მისიონერთა ჩანაწერებში და სხვა.

ს. ალიმბარაშვილი საფუძვლიანად აანალიზებს XVIII საუკუნის პირველ და მეორე ნახევარში ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასა და ლეკიანობის საკითხს. მრავალი ისტორიული ფაქტი აქვს განხილული ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც ღიად ამხელენ ქართველთა დაღატაკსა და ქართველ ერისთავთა გაორებულ პოლიტიკას. ავტორი მრავალ მნიშვნელოვან თარიღსა და მოვლენას იხილავს, რომელიც შეუსწავლელი, ან ნაკლებ ცნობილი იყო ფართო საზოგადოებისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე „ლეკიანობა“ რუსული ხელისუფლების დროს, ამ თავში ლეკებთან ქართველების ურთიერთობის ფონზე კიდევ ერთხელ ვლინდება რუსეთის ანტიქართული პოლიტიკა. ეს ფაქტი დასტურდება ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაშიც, როდესაც ლეკებმა ყვარლის ციხე მოიქციეს ალყაში, რუსთა ჯარი იქვე იდგა და ხელი არ გაუძძრევია ლეკებისაგან ქართული დასახლებული პუნქტის დასაცავად. ილიას მამამ გრიგოლ ჭავჭავაძემ იხსნა ყვარელი აოხრებისა და გაძარცვისაგან.

წიგნში ნათლად არის გამოკვეთილი მეფე ერეკლეს ისტორიული სახე, მისი ღვაწლი ქართლ-კახეთის ლეკთა შემოსევებისაგან დაცვის საქმეში. აქ ვლინდება, რატომ არის ერეკლე მეფე ქართველი ერის საყვარელი გმირი და მეფე, რატომ არის „უკანასკნელი იბერიის სიმტკიცის ბურჯი“. ერეკლემდე და ერეკლეს მერეც ქართველთაგან ვერავინ შეძლო მასავით ნარმატებული ბრძოლა „ლეკიანობის“ წინააღმდეგ. იგი არა მარტო მამაცობითა და შეუპოვარი ბრძოლით ცდილობდა ლეკთა თარეშის აღკვეთას, არამედ დიპლომატიური და პოლიტიკური გზითაც მოქმედებდა. უთანხმდებოდა ჩრდილო კავკასიის ტომებს ურთიერთთავდაუსხმელობასა და თანამშრომლობაზე, რის შედეგადაც იკლო ლეკთა თარეშმა.

ერეკლე II-მ შეთანხმება დადო ახალციხის ფაშასთან, რომელიც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო როგორც თურქეთის ხელისუფლებასთან, ისე მოთარეშე ლეკებთან ურთიერთობაში. ფაქტობრივად, იგი ლეკებს მფარველობდა და საქართველოდან გატაცებული ქართველი ტყვეების ყიდვა-გაყიდვით მტერის წისქვილზე ასხამდა წყალს. ეს განსაკუთრებით იუსუფ ვაშას ხელისუფლების დროს იყო. ანგარების გარეშე არც შემდეგი ფაშა, სულეიმანი თანხმდებოდა

ერეკლე მეფეს თავდაუსხმელობაზე. ამით მხარეს, რომელმაც IX-X-XI საუკუნეებში დაიწყო საქართველოს გაერთიანებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა, ლეკიანობის პერიოდში რენეგატი ფაშების მეშვეობით სამშობლოს დაშლის, გადაშენებისა და გაჩანაგებისაკენ მიჰყავდა საქართველო.

ს. ალიმბარაშვილი ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის“ საკითხებიდან ციტირებით ადასტურებს ჩვენი ერისათვის ახალციხის საფაშოს დამლუპველ საქმიანობას. „ოსმალთა ხელში ახალციხე ის პუნქტი იყო, სადაც თავს იყრიდა, თავშესაფარსა და დასაყრდენს პოულობდა საქართველოს ყველა მტერი, ლეკი მტაცებელი, ტყვის მსყიდველი, თავდა-აზნაური, მეფის წინააღმდეგ აჯანყებული რეაქციონერი თავადი თუ მეფობის მაძიებელი ბატონიშვილი. ერთი სიტყვით, საკუთარი ქვეყნის ყველა მოღალატე“.

ჩრდილო-აღმოსავლეთით ჭარ-ბელაქანი, სამხრეთ-დასავლეთით ახალციხე იყო ლეკების ძირითადი დასაყრდენი ცენტრი ქართლ-კახეთზე თავდასხმისა და თარეშისათვის. ამ ორი ბუდის განადგურების გარეშე „ლეკიანობის“ შეჩერება შეუძლებელი იყო. ეს კი კარგად ორგანიზებულ და სათანადოდ შეიარაღებულ ჯარსა და ამასთან მთასა და ტყეებში გამოცდილ მეომრებს შეეძლოთ. პირველი რუსეთის სამხედრო ნაწილები იყო, ხოლო მეორე ქართველი მებრძოლენი. ეს პრობლემა რუსეთის საქართველოში შემოსვლიდან კარგა ხნის შემდეგ გადაიჭრა. 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად სამცხე-ჯავახეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შემდეგ ახალციხე სამხრეთის კარიბჭედ და მტკიცე ზღუდედ იქცა. ხოლო, რაც ლეკებმა დაიწყეს რუსეთის საჯარო შენაერთებზე თავდასხმა და მათი ძარცვა, რუსეთმა ჭარ-ბელაქანიც დაიკავა.

მართებულად მიუთითებს მონოგრაფიის ავტორი, რომ „ლეკიანობა“ მხოლოდ საქართველოსათვის კი არ იყო დამლუპველი, არამედ საკუთარი ქვეყნისთვისაც. ეს მოვლენა მეურნეობის ძირითად დარგად სხვისი ქვეყნის ძარცვას გულისხმობდა და საკუთარი ქვეყნის სანარმოო ძალების განვითარებას გამორიცხავდა, ამასთანავე მუდმივი ომები არა მარტო მოწინააღმდეგეს, არამედ საკუთარ ხალხსაც ანადგურებდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ დალესტინის სასაფლაოებზე მამაკაცთა მხოლოდ 2%-ია დაკრძალული, თვალნათლივ მიუთითებს საკუთარი ქვეყნის უბედურებაზე.

ს. ალიმბარაშვილის აზრით, „ლეკიანობა“ შემცირდა, მაგრამ იგი მცირე მასშტაბებით მაინც გრძელდებოდა საბჭოთა პერიოდის სანყისს წლებშიც. ეს დასკვნა რეალურია. ამის შესახებ ფაქტები ინაურის ხეობაშიცაა შემორჩენილი. ამ მხარეში სამოცდაათიან წლებში შინაურებმა მაჩვენეს ის ადგილები, სადაც ქურდობის დროს დაღუპული ლეკები იყვნენ დასაფლავებული.

საბჭოური მკაცრი რეჟიმის საბოლოოდ დამკვიდრების შემდეგ ცხადია, არანაირი, ყაჩაღობა და ქურდობა არ შერჩებოდა არავის, შეიძლება ითქვას, რომ ჩეჩნეთში ხუჩბაროვის ბანდის განადგურების შემდეგ აბსოლუტურად დასრულდა „ლეკიანობა“ და ქართველმა ერმა ამოისუნთქა, რაც ხალხის ცხოვრების მატერიალურ დონეზე მალევე აისახა.

სოსო ალიმბარაშვილის მონოგრაფია „ლეკიანობა“ აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი შენაძენია ისტორიის მეცნიერებისათვის. ამ წიგნმა ნათლად დაანახა მკითხველს ლეკიანობის სიმკაცრე, რომლის შედეგი იყო მეურნეობის ნგრევა, ქვეყნის ეკონომიკური გაპარტახება და ერის დემოგრაფიული შემცირება.

დიდია ამ წიგნის სამეცნიერო-ისტორიული მნიშვნელობა თანამედროვე, პოსტსაბჭოურ ეპოქაში. ანმყოს სწორი შეფასებისა და მომავლის განჭვრეტისათვის ქართველმა კაცმა უნდა იცოდეს მეზობელი ერების ისტორიული ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასთან. ამ პრობლემის ობიექტურ დანახვასა და გააზრებაში მკითხველს დიდ დახმარებას გაუწევს სოსო ალიმბარაშვილის წიგნი „ლეკიანობა“ აღმოსავლეთ საქართველოში“.

ჯავახეთი

ირინა ნოზაძე

ჩემი თვალთ დანახული ჯავახეთი

ჯავახეთი – საქართველოს ულამაზესი კუთხე, მრავალჭირგამოვლილი და ომგადახდილი. ვინ არ დაინტერესებულა ამ ძირძველი მიწით და მეც მომეცა საშუალება, ჩავბმულიყავი განათლების სამინისტროს პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის.“

გამიძნელდა ჩემი სამუშაო ადგილის დატოვება (ხაშურის №2 საჯარო სკოლა), მაგრამ სამშობლო ამ ეთნიკურად განსხვავებულ კუთხეში მიხმობდა და მეც უყოყმანოდ წავედი. პირველ რიგში, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო რელიგიურად განსხვავებული საზოგადოება. აქ ცხოვრობენ მუსლიმები, კათოლიკები, გრიგორიანელები, თუმცა ჩასვლისთანავე ვიგრძენი მათი გულთბილი დამოკიდებულება. დავინტერესდი მათი ტრადიციებით, ყოველდღიური ცხოვრების წესით. მინდა აღვნიშნო, რომ თურქეთ-სომხეთის საზღვარზე მდებარე ეს უძველესი რაიონი – ნინოწმინდა – დასახლებულია უაღრესად შრომისმოყვარე, სამშობლოსმოყვარე, ზნეობრივი ღირებულებებით შემკული ადამიანებით, რაც, ალბათ, მიაღვილებს მათთან ურთერთობას. მოცუბს მოსწავლეთა დამოკიდებულება ჩემდამი, ვერც კი ვგრძნობ, რომ მოწყვეტილი ვარ ჩემს ოჯახს.

ვიღვიძებ დილით და ვფიქრობ: ალბათ, წმინდა ნინომაც დაიბერტყა თავისი მადლიანი კალთა და ამიტომაც უწოდებენ მას წყლითა და ჰაერით მდიდარ „გრილ კუნძულს.“ დავინტერესდი ამ კუთხის სოფლის მეურნეობთაც. ხშირად მიწვევს მიმოსვლა ჩემს მშობლიურ მხარესა და ჯავახეთს შორის და გაცოცხლებული ვარ ფუტკართა ჯიშების მრავალფეროვნებით; როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწვენ წივასა და მოსავლითაც ეგრეთვე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მსგავსი გარნა უმჯობესიცა. ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათაგვარობენ მრავალნი. თაფლნი მრავალნი“

(ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია, I ნიგნი, სამცხე-ტიფლისი. 1892 წელი, გვ. 22).

ჯავახეთი საინტერესოა ხუროთმოძღვრებითაც. აქ მდებარეობს კუმურდოს ტაძარი უამრავი ქართული წარწერით. იგი მეათე საუკუნეშია აშენებული და საქართველოს ამ უძველესი კუთხის კულტურულ ცხოვრებაზე მეტყველებს. ინახავს მრავალ საიდუმლოს ჩვენი ცხოვრებისას. განვითარებულია მესაქონლეობა, რაც ამ რაიონის მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. შრომის-მოყვარე ჯავახები ადრეული გაზაფხულიდან იწყებენ კარტოფილის თესვასა და მოვლას. ცნობილია ამ კუთხის კარტოფილის გემოც.

ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხისთვის დამახასიათებელია მრავალი წეს-ჩვეულება და ტრადიცია, რელიგიური და სახალხო დღესასწაული, რომელიც გამოირჩევა რიტუალთა მრავალფეროვნებით. ეს ტრადიციები ახლაც გრძელდება. უკვე ორი ახალი წელი გავატარე მათთან და ვგრძნობ, რა დიდი ძალა აქვს ტრადიციებს. განსაკუთრებით გამოაცა საახალწლო ტაბლაზე დალაგებულმა ქათამ-წინილას პურებმა.

ზემოთ ბევრი ვისაუბრე ამ კუთხის მოსახლეობის დადებით თვისებებზე, მაგრამ არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ ნაკლებად დაცულია გენდერული თანასწორობა. ამ კუთხის ქალები, ძირითადად, საოჯახო საქმეებით არიან დაკავებულნი. ისინი ასრულებენ სასოფლო სამეურნეო სამუშაოებს და უფლიან ოჯახებს. ცხადია, ეს ქალის პირველი მოვალეობაა, მაგრამ ისინი მოკლებულნი არიან კულტურულ ცხოვრებას. მიყვარს ჯავახეთის ლურჯი ცა, აბულის აქოჩრილი მთა და ჯავახეთის ზეგანი, კალმახიანი მდინარეები და პურის ოქროსფერი ყანები. ვიცი, ამ ნაომარ მიწაში ჩემი წინაპრების ძვლებია ჩაფლული, სისხლია დაღვრილი;


ეს კუთხე ჩემი ისტორიაა. მეც მინდა, ამ ისტორიის მცირე ნაწილი გავხდე. ამიტომ ყოველ დილით მივუყვები გზას ჩემი სკოლისაკენ. იქ მელოდება ბევრი, ბევრი წიგნი, ჩემი მოსწავლეების სიყვარულით სავსე თვალები და წრფელი ღიმილი...

ნესტან კუტივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

არის 90-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი, გამოცემული აქვს წიგნები: „ადამიანის არსის ძიება შიო არაგვისპირელის ნოველებში“, „გალაკტიონი და ქუთაისი“, „ქართული ლიტერატურული ზღაპარი“, „უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილთან ერთად), ამასთან არის სტუდენტებისათვის შექმნილი რამდენიმე სახელმძღვანელოს თანაავტორი.

ნესტან კუტივაძე არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო უფროსის - „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბის“ მთავარი რედაქტორი, კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) წევრი.



ლოტოთი მთვრალი ქალაქი

ბრძოლისაგან დაღლილიყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო. რუსეთის იმპერიას დაქვემდებარებული თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები ახალ რეალობას ეგუებოდა. მას თავისი კანონზომიერება მოჰქონდა და მიწიერი განცდებითაც ისევე იყვინთებოდა, როგორც წინააღმდეგობის სულისკვეთებით, მაგრამ მუდმივად შემართული და დაძაბული სივრცე აუცილებლად გულისხმობდა თვითდინებისა და განტვირთვის ოაზისებსაც, სულის მოსათქმელად და სასიცოცხლოდ ასე მნიშვნელოვანსა და საჭიროს.

აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და სხვა გამოჩენილ მამულიშვილთა წერილებმა დიდ სატკივართან, პრობლემებსა და სამომავლო გეგმებთან ერთად, ამ პერიოდის ძალზე ცოცხალი და შთამბეჭდავი სურათები შემოგვინახა. დღეს სწორედ ეს ჩანაწერები გვაძლევს შესაძლებლობას, ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურობა მთელი ცხოველმყოფელობით წარმოვიდგინოთ.

დროს აჰყოლოდა ქუთაისიც. 1850 წელს ქალაქის ცენტრში არსებული ძველი ბაღის ადგილას პარიზის მსგავსი ბულვარი მოეწყობა საცეკვაო მოედნით, მოგვიანებით აუზი, არხები და არხებზე პატარა

ხიდებიც გაეკეთებინათ. კვირაობით უკრავდა მუსიკა და იკრიბებოდა ხალხი, აქ აფარებდა თავს „სიცხისაგან განწვალებული ქუთაისი“ (ა. წერეთელი).

ფეხი მოეკიდებინა აზარტულ თამაშებსაც, რომლებიც 1853 წლიდან, ანუ „ოსმალოს ომის“ დაწყებიდან, შემოსულა. ყოველ შემთხვევაში, ასე მონიშნავს აკაკი წერეთელი კონკრეტულ თარიღს. მოკლე დროში კი, იმდენად გავრცელებულა, რომ განსჯის საგნად ქცეულა მაშინდელი მონინავე ქართველების მიერ. როგორ ყოფილიყვნენ მშვიდად, როდესაც ეს ჩვენთვის „არაბუნებითი“ თამაშები მოსახლეობას საქვეყნო საქმეზე ზრუნვას ატოვებინებდა, „ქალთა საამო შეკრებას არღვევდა“ და სხვა ჟინით აღავსებდა მასში მონაწილეებს.

განსაკუთრებულად პოპულარული ლოტო და პრეფერანსი გამხდარიყო. ქალებს ბაიათიც გამოეთქვათ: „ოჰ, ჩვენი ლოტო! შენ ჩვენო ლოტო! შენ გეთაყვანოს იარღაში, შენ ჩვენი ლოტო, ეხლა თუნდ პროფერანსიც“ (აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. XI, თბ., 1964: 9). ეს თავისთავად მხატვრული ღირებულებით არაფრით გამორჩეული ლექსი უტყუარად გვარწმუნებს, რომ შემთხვევით არ წერდნენ ამ თემაზე ისინი, ვინც ქვეყნის მომავალს უყრიდა საფუძველს.

და რადგან ხაზარდა კაბებში გამოწყობილი ბანოვანნი შესაშური ერთგულებით მისდევდნენ ამ კაბებივით, დიდი მოცულობის ნაჭერი და მავთულები რომ სჭირდებოდა ფორმის შესანარჩუნებლად, მოძველებულ თამაშს, „ქუთაისის მეჭორე“ (ნიკო ნიკოლაძე) სპეციალურ კორესპონდენციას აქვეყნებდა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე („ცისკარი“, №9, №10, 1860) „ძალიან გამაგრებულათ ბუდობს აქ ერთი ძველი მოდა: ლოტო, აქაურ ქალებს არ შეუძლიან ერთი ღამე გაატარონ ისე, რომ ლოტო არ ითამაშონ... ეს თამაშობა ქალებისათვის და პრეფერანსი კაცებისათვის არიან აქ უპირველესი თამაშობანი“, - ასე ახასიათებდა მაშინდელი ქუთაისის ყოველდღიურობას შემდგომში საქვეყნოდ აღიარებული პუბლიცისტი (ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1962: 73)

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაწყენი ლოტო უფრო უსაფრთხო იყო და „ჯიბეს ისე არ ათხელებდა“, როგორც სხვა თამაშები, ვითარება მაინც იქამდე მისულიყო, რომ ერთნი ლოტოვობდნენ ქალებს ამ გართობისთვის თავი დაენებებინათ, მეორენი კი წუხდნენ, რომ ფრთხილი ადამიანები ღამით ბულვარში მარტო სიარულს

ველარ ბედავდნენ. ეს ისტერიამდე მისული გატაცება, ლოტოთი ლოთობა რომ ეწოდებინა აკაკი წერეთელს და სპეციალური წერილი მიეძღვნა „ცისკარში“ („ცისკარი“, №3, 1861), ქალებს ავიწყებდა ოჯახებს, შვილებს, აშორებდა რწმენას. მართალია, ისინი წირვა-ლოცვაზე ისევ დადიოდნენ და პირობასაც დებდნენ, რომ დიდმარხვაში მაინც გაანებებდნენ თავს ამ ჩვეულებას, მაგრამ ვერც ამას ასრულებდნენ და ეკლესიაში ყოფნის დროსაც ციფრებზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე ლოცვაზე. ერთი ასეთი შემთხვევაც ყოფილა, თამაშის დროს ქალებისათვის უთქვამთ, სევასტოპოლი დაკარგეს რუსებმაო, მათ კი მხოლოდ გაუღიმიათ და გართობა გაუგრძელებიათ. თუ ამგვარ ამბავს არ შეუძლია ამ ჩვეულების შეჩერება, ძნელად იქნება სხვა რამ მიზეზი, რომელიც ქალებს ხელს ააღებინებთ ამ გართობაზეო, - იქნებ ცოტას აზვიადებდა ან სულაც ქილიკობდა აკაკი წერეთელი, მაგრამ უფრო მეტად წუხდა, ალბათ, იმიტომაც, რომ შიშობდა, დაუძლეველი არ გამხდარიყო ეს სენი. მით უმეტეს, რომ კარგად ამჩნევდა, ქალები როგორ უნარსა და ორგანიზებულობას ავლენდნენ, შეუპოვრობითაც გამოირჩეოდნენ, ხანდახან ჩხუბი მოსდიოდათ და საქმე მოწმებამდეც მიდიოდა, რასაც ყველა თავს არიდებდა, მათ შორის, დიდი პოეტიც.

ქუთაისელი ბანოვანებისათვის არც იუმორის გრძნობას ეღალატა. რაკი ლოტოში ყველაზე მაღალი ციფრი 90-ია, მისთვის იმჟამად ქუთაისში მცხოვრები უზნიერესი სტეფანე ქორქაშვილის სახელი ეწოდებინათ, მისი ახალგაზრდა მეუღლის გასაჯავრებლად.

ნებსით თუ უნებლიეთ, იცვლებოდა ქალაქური ყოფა. „ლოტოს თამაშობა იყო ათ და თერთმეტ საათამდე ღამისა, ეხლა ამა დროს ვარენიები შემოაქვთ და ისე მოჩქარებით სჭამენ ქალები, უთუოდ იფიქრებს მაყურებელი: „ამათ ან მტერი მისდევთ, ან გაპარული არიან დამნაშავეობისთვისო“ და ეს სულ ის მიზეზია, რომა ჩქარა ჩაუსხდნენ ლოტოს თამაშობას“, - კინოკადრით აღიბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში აკაკის მიერ აღწერილი სურათი (აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XI, თბ., 1960: 8). ღამის ცხოვრება შესაფერის გარემოს მოითხოვდა, ამიტომ კარგად გასანათებლად ზამთარში საგანგებოდ დიდი ფარნებიც დაეყენებინათ. გამართლებოდათ მათაც, ვინც ვაჭრობას მისდევდა: „პირველი, იარმუკა და მეორე ეს ლოტო. ოთხ ოთხი პოლსაპოშკი თითო ქალს არ ყოფნისთ თვეში გასაცვეთათ, დიდის მიმოსვლით ლოტოს მიზეზით. ღმერთმან

აცოცხლოს ჩვენი გუბერნატორი ივანოვი! ასეთ ნაირათ დააგებინა ქვეები, რომ პოლსაპოშკზე კალოშები თვითქმის აღარ არის საჭირო. წარსულ წელიწადებში ისეთი ქუჩები იყო, ბევრჯელ პოლსაპოშკები ლაფში რჩებოდათ“ (იქვე: 10). მართალია, ქალები „პოლსაპოშკებს“ უფრო სწრაფად ცვეთდნენ, თუმცა მათ საყიდელ ფულსაც არცთუ იშვიათად კვლავ ლოტოს თამაშში აგებდნენ და ვერც „ფერჩატკებისა“ და სხვა ამგვარი საგნების შექენას ახერხებდნენ, მაგრამ ვაჭრები მაინც არ უნდა ყოფილიყვნენ უკმაყოფილონი, მათი ასპარეზი ამკარად იზრდებოდა.

არადა, მშვენივრები იყვნენ „ქუთაისის ქალები“, ბევრ მათგანს წუნსაც კი ვერ უპოვიდით, ოღონდ ამ თამაშს, როგორც ეშმაკს ისე დაებუდებინა მათში და მთლიანად შეესრუტა მათი ენერგია, შეეცსო მათი ინტერესი. ამიტომ ძველებურად ველარ უვლიდნენ ოჯახებს, ოთახის კედლებზე თამარ მეფის სურათი კი ეკიდათ, მაგრამ მის შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ, რადგან კითხვისთვისაც აღარ რჩებოდათ დრო და საქვეყნო საქმეზეც აღარ შეტკოდათ გული. „ლოტოთი მთვრალი ქალი“ არ დაგიდევათ არც „ცისკარსა“ და მის გამონერას და არც სხვა სასიკეთო საქმეს, თუმცა პოეტი იმედოვნებდა, რომ ეს დასრულდებოდა „წაკითხვისთანავე ამ წერილისა“. მან ხომ კარგად უწყოდა, რომ „ხშირათ არიან ჩვენ ქალებში მისთანა ნიჭიერნი, რომელთაც კარგი თხზულების დანერა გარკვევით და საამოთ მკითხველთათვის შეუძლიანთ. განა ქალებს კი არ მართებთ ჩვენის ლიტერატურისათვის ზრუნვა?“ - შეახსენებდა საქვეყნო მოვალეობას და ჯერჯერობით „მრთელს საქართველოში“ მხოლოდ ბარბარე ჯორჯაძეს დაუსახავდა სამაგალითოდ (იქვე: 11). და თუ ქალები მოუსმენდნენ აკაკის რჩევას და „განსაკუთრებით მიაქცევდნენ ყურადღებას“ ძველსა და ახალ ქართულ ნაწარმოებებს, შეისწავლიდნენ საქართველოს ისტორიას, შეუდგებოდნენ საქვეყნო საქმეზე სჯა-ბაასს, იამაყებდა და „ააყვავებდა“ მათ სპეციალურად მიძღვნილ სტატიაში, - სტიმულს აძლევდა დიდი მგოსანი, რომელსაც არც მამაკაცებში გავრცელებული პრეფერანსის გამო გამოუჩენია შემწყნარებლობა (იქვე: 12).

სერგეი მესხიც სხვაგვარ აქტივობას ითხოვდა ქართველი ქალებისაგან. მართალია, დრო გადიოდა და ლოტოთო გატაცებაც თანდათან იკლებდა, მაგრამ 1868 წელს ახლა უკვე „დროების“ კორესპონდენციაში შეახსენებდა ქართველ ქალს, რომ „თუ თავის თავი

და თავისი ოჯახი არ აწუხებს – მაშინ ის ვალდებულია, იზრუნოს სხვებზე, რომლებიც არიან შეწუხებულნი და შეინრობულნი ბედისაგან და მოჰკიდოს ხელი რაიმე საზოგადო სასარგებლო საქმეს“ (ს. მესხი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962: 15). აფიქრებდა ისიც, რომ ლოტო ლოტოდ და მამაკაცებში იარალაში იკიდებდა უკვე ფეხს. ფაქტია, ქალებს მანც განსხვავებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

ქუთაისელ ბანოვანებს თავადი ზ. ერისთავი ესარჩლებოდა. ოპონენტებს ზომიერებისაკენ მოუწოდებდა, „უკიდურესობაში“ არ უნდა ჩავარდნილიყვნენ, თამაში „ბალებსა“ და „ვეჩერინკებს“ არაფრით ჩამოუვარდებოდა, შეახსენებდა, რომ ის გონიერი კაცების მოგონილი იყო და თავისი დანიშნულება ჰქონდა, ამასთან, ქალები ბევრ სასიკეთო საქმეში მონაწილეობდნენ და „თავის შესაქცევად“ არაფერს აშავებდა ლოტო („ცისკარი“, №3, 1861). არც ჩვენი დიდი წინაპრების ასეთმა შეუწყნარებელმა დამოკიდებულებამ უნდა გავაკვირვოს. მათ ყოველი ნუთი, საათი, დღე, თავის სამშობლოს საკეთილდღეოდ დაკარგული, ენანებოდათ.

რა საკვირველია, ეს მხოლოდ ერთი მხარე იყო. არსებობდნენ ქვეყნის გულშემატკივარი ქალბატონები, რომლებიც შესანიშნავი მასპინძლები იყვნენ და ასეთ შეკრებებზე საჭირობოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ, „დედაენის“ უცოდინარობაზე ჩიოდნენ, „ცისკრის“ ახალ ნომრებსაც არჩევდნენ და საკრებულოს საქმეებსაც ხშირად განიხილავდნენ. ერთი ასეთი საუბარი ნიკო ნიკოლაძესაც მოუსმენია და იმდენად შეუძრავს, „ცისკარშიც“ დაუბეჭდავს ამის შესახებ. მოსულიყო ეპოქა, როდესაც „დანინაურების შემთხვევაშიც კი“ მხოლოდ სინდისის ქენჯნას თუ იგრძნობდა ადამიანი იმის გამო, რომ დედაენა არ იცოდა და თუმცა წერილს „ქუთაისის ქორიკანაობა“ უწოდა, მასში აღწერილი რუსეთის იმპერიის დამანგრეველ შედეგებს აჩვენებდა ცხადად და შორს იყო გამონაგონისაგან (ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1962: 78).

საბედნიეროდ, უნიჭიერესი ახალგაზრდების სიმრავლეც თვალში საცემი იყო, ქალაქის სასწავლო დაწესებულებები რომ ვერ იტევდა და, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მანც იხსნებოდა ახალი სასწავლებლები, იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, რომლებსაც საქველმოქმედო ხასიათიც არაერთხელ ჰქონიათ, 60-იან წლებში სწორედ ქუთაისში დგებოდა ფეხზე კვლავ, და ამჯერად

სამუდამოდ, ქართული თეატრი, „თეატრალური ტრუპებიც“ სტუმრობდნენ ქალაქს. გუბერნიის მარშალ ნესტორ წერეთლის, გიორგი ლოლობერიძისა და სხვათა სახლებში კი თავს იყრიდა რჩეული საზოგადოება და ე. წ. ჟურფიქსებს მართავდნენ. მათ ესწრებოდნენ ახალგაზრდებიც და „აქედან სწავლობდნენ, რომ არა პურითა მხოლოდ შეეძლო კაცს ცხოვრება, რომ მამულის შვილთათვის, გარდა საგნების შესწავლისა და სამსახურის ერთგულებისა, საჭირო იყო ეროვნული გრძნობის აღზრდა და განმტკიცება, სიყვარული ქართული ენისა, მწერლობისა, ისტორიისა და კულტურისა“ (ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, თბ., 1944: 163).

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, XIX საუკუნის ქუთაისი ვერ მისცემდა საქართველოს გამოჩენილ მამულიშვილთა თაობებს, რომლებიც ბედს არასდროს შერიგებიან, არ შეშინებულან იმპერიის სადამსჯელო მანქანის წინაშე, ღირსებით ემსახურნენ თავის სამშობლოს და მყარი საფუძველი ჩაუყარეს შემდგომი ეპოქების კიდევ უფრო მნიშვნელოვან მოვლენებს. ამაში კი ერთ დროს ლოტოთი ასე გატაცებულ ქალებსაც თავისი წილი ედოთ.

ქალაქში ამგვარად შემოდიოდა ახლა ასე გავრცელებული აზარტული თამაშები და მას მაშინაც იგივე პრობლემები სდევდა, რაც დღეს, თუმცა სხვა სახით და მასშტაბებით. ამჯერად მასზე შევაჩერეთ ყურადღება, რადგან ესეც ჩვენი ისტორიის ნაწილია, ჩვენი ყოველდღიურობის წიგნის ფერადოვანი გვერდია და არ ღირდა მისი წაუკითხავად გადაფურცვლა.

ისტორია

ოთარ გოგოლიძევილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.



ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში

მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმი უკვე მოზრდილი ქალაქი იყო. მოკირწყლული და ქვაფენილიანი ქუჩებით, ელსადგურით, ნყალსადენებით, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებით, სკოლებით, თითქმის ყველა ეროვნებისთვის სამოქალაქო სასწავლებლით, 120-სანოლიანი საავადმყოფოთი, ნურიის მოედანზე აგებული დახურული ბაზრით. მოასფალტებული ტროტუარებით, ფოსტით, ქალაქის გამგეობის ახალი შენობით, რომელიც დღეს ამშვენებს ბათუმს. გაიხსნა ბანკები და მათი ფილიალები, დაწესდა ლომბარდი, და ა.შ. გახშირდა კულტურული ღონისძიებებიც. მთელი დატვირთვით მოქმედებდა ე.წ რკინის თეატრი. უკვე აღარავის აოცებდა დედაქალაქიდან ჩამოსული თეატრალური დასების მიერ დადგმული წარმოდგენები. გამოჩნდნენ ადგილობრივი თეატრალური ჯგუფებიც. ყველაფერი ეს ქალაქის თვითმმართველობის დაუღალავი უნარიანი საქმიანობის შედეგი იყო. გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი, საერო და საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მოღვაწე, რომლებმაც საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ

ქართველობას სხვაზე უკეთესადაც კი შეუძლია ხელმძღვანელობა და საზოგადო საქმეთა კეთება. თვითმმართველობაში მომუშავე მამულიშვილთა თანამოაზრენი და თანამოსაქმენიც იყვნენ ქალაქის სამხედრო ნაწილებში მომსახურე ქართველი ოფიცრობა და ჯარისკაცები. ზოგიერთი თვითმმართველობის ხმოსნადაც იყო არჩეული და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადო საქმიანობაში. მაგალითად, ციხის სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი იოსებ მდივანი, პოდპოლკოვნიკი ნიკო დუმბაძე და რა თქმა უნდა პოდპოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი, დიდი ქართველი მწერალი და მამულიშვილი. იყვნენ სხვებიც რომელთა წარმოჩენა და სათანადო პატივის მიგება მომავლის საქმა. მათი ეროვნული მოღვაწეობაც არანაკლები გმირობაა, რადგან იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკა სამხედრო ნაწილებში უფრო ძლიერი იყო: „შენი სამშობლო რუსეთია და შენც რუსი ხარ, რუსი“, – ასე უტენიდნენ თავს ქართველ ახალგაზრდებსაც სამხედრო ნაწილებში და ცდილობდნენ, ექციათ მორჩილ, ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელ მანქანებად. ჩვენი ეროვნული მოღვაწეები შეერთებული ძალით ცდილობდნენ, წინ აღდგომოდნენ ამგვარ ანტი-ადამიანურ და ანტიეროვნულ პოლიტიკას და ეშველათ, ცხოვრების სამზეოზე გამოეყვანათ ეს ახალგაზრდები.

„ჯერ ადამიანი ვარ და მოქალაქე, შემდეგ კი სამხედრო მოსამსახურე“, – ასეთი სულისკვეთებით მუშაობდნენ დავით კლდიაშვილი და მისი თანამოაზრე სამხედროები ჯარისკაცებთან. ზრუნავდნენ მათი განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებაზე, ასწავლიდნენ შეეცნოთ ცხოვრება, დაეცვათ ეროვნული და პიროვნული ინტერესები, ადამიანური ღირსება. ცხადია ეს ხდებოდა შესაბამისი ლონისძიებების და საუბრების მეშვეობით და განაპირობებდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა დაახლოვებას რაც მიუღებელი იყო მაშინდელი მკაცრად იერარქიული სამხედრო წესრიგისთვის. ჯარისკაცისადმი ადამიანური მოპყრობა დანაშაულადაც კი ითვებოდა. სწორედ ასეთი სულისკვეთებით მუშაობის გამო აითვალწუნეს და პოლიტიკურად არასაიმედოდ სცნეს წარჩინებული ოფიცერი დავით კლდიაშვილი და ოცდაექვს წლიანი სამსახურის შემდეგ აიძულეს თავი დაენებებინა სამხედრო სამსახურისთვის, მაგრამ საქმე კეთდებოდა. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ ახალგაზრდებს, თავიანთ სოფლებში თან მიჰქოდნათ შექენილი ცოდნა და კულტურული ღირებულებები, ეროვნული და სოციალური თავისუფლებების იდეები.

ანალოგიური შეიძლება ითქვას მუშათა შემთხვევაშიც. ამ დროისთვის ბათუმის მოსახლეობის ნახევარზე მეტს გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და აჭარის მთის სოფლებიდან გამო-სული მუშა-ახალგაზრდები შეადგენდნენ. მათი ეროვნული გამო-ფხიზლებისა და ახალი ცხოვრების ასპარეზზე გამოსაყვანად, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად დიდი საგან-მანათლებლო და კულტურული მუშაობა იყო საჭირო. უკვე ვთქვით, რომ ჩვენმა ეროვნულმა მოღვაწეებმა ამ ამოცანასაც წარმატებით გაართვეს თავი. კიდევ ვიმეორებ, რომ ესაა კულტურულ-საგანმა-ნათლებლო მუშაობის ერთიანი ჯაჭვი, რომელიც გაბმულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი სკოლის გახსნი-დან ბათუმში, აჭარის მთიანეთში ჩვენი საზოგადო მოღვაწეების მისიონერულ მოღვაწეობამდე.

ერთობ კოლორიტულად იხსენებს დავით კლდიშვილი თბილისიდან თეატრალური დასის ერთ-ერთ ჩამოსვლას ბათუმში.

„...დასის ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს გავეცანი ქართველ არ-ტისტებს: მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ქეთო ანდრონიკაშვილისას, ვასო აბაშიძეს, სანდრო ყაზბეგს, ლადო მესხიშვილს, ნატო გაბუნias, ესენი თამაშის გარდა საზოგადოებას ხიბლავდნენ თავიანთი სიმ-ღერებით, საუბრებით. ძლიერ იზიდავდა საზოგადოებას ქეთო ან-დრონიკაშვილის ლეკური. ხანჯლებით ლეკურის პირდაპირ გიჟური მოთამაშე იყო სანდრო ყაზბეგი... ვის არ გამოაღვიძებდა ლამაზი, ცქრიალა, საუცხოო კილოზე მოლაპარაკე საფაროვა-აბაშიძისა ან ნა-ტოს თამაში-სიმღერა, ვასოს უნიჭიერესი თამში და კუპლებები, მესხიშვილის დანახვა და მოსმენა“... [1]

ამგვარ თეატრალურ დასებს დედაქალაქიდან ბათუმში ჩამოჰ-ქონდათ ეროვნული სული და ახალი ცხოვრების წყურვილი, გამო-ცოცხლების განცდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლის მატე-რიალური გაღონიერებისათვის ყოველწლიურად, 12 იანვარს, გ. ვოლ-სკისა და ი. მესხის თაოსნობით, ქალაქის საკრებულო დარბაზში იმართებოდა ნინოობის დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, თეატრალური დასები.

კულტურული-საგანმანათლებლოდ და საერთოდ საზოგადო მუ-შაობა არ შენელებულა ლუკა ასათიანის გარდაცვალებისა და ივანე ანდრონიკაშვილის ქალაქისთავად არჩევის შემდეგაც. იგი ასათიანის ღირსეული მემკვიდრე გამოდგა. 14 წელი უმეტაურა ქალაქს და მისი

აღმშენებლობის, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის ნამდვილი ორგანიზატორი იყო. მას კიდევ უფრო ხშირად უწევდა ბენვის ხიდზე გავლა, რომ ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისთვის ბრძოლა შეეთავსებინა სოციალური და პიროვნული თავისუფლებისა და თანასწორობისათვის ბრძოლასთან. ამ იდეებით სულ რომ ხშირად გამოდიოდა უკვე მომძლავრებული მუშათა კლასი. ეს იყო ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი ინტერესების დაცვა ეროვნულ-განმანათავსუფლებელი მოძრაობის ნაწილი იყო.

„მუშებმა ნელ-ნელა ერთგვარი ორგანიზაციის შემოღება იწყეს. ხელმძღვანელებიც ამისთვის ბათუმში ბლომად მოიპოვებოდნენ. ამასთან მესამე დასელები დღითიდღე აძლიერებდნენ მუშაობას მათ შორის. აქ მათ ჰყავდათ უფროსი ხელმძღვანელები... ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა ნულუკიძე... ნოე ჟღდანია, ფილიპე მახარაძე.

ამათ იმდენი მოახერხეს, რომ ქალაქში გახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც მოუგროვეს მრავალი წიგნი და უწერდნენ ჟრნალ-გაზეთებს. სამკითხველო ნურიში იყო და მუდამ სავსე იყო მკითხველით. დიდი მეცადინეობის შემდეგ გაიხსნა საკვირაო სკოლა ბარცხანაში... როტმილდის ქარხანაში. სკოლის პასუხისმგებელ გამგედ იყო მღვდელი სიმონ თოთიბაძე... თოთიბაძე ახალგაზრდა მღვდელი იყო, გულწფელი, განვითარებული, მოწინავე აზროვნების მქონე პიროვნება.

...სკოლაში აუარება ხალხი დადიოდა. სწავლის გათავების შემდეგ იმართებოდა ერთგვარი საუბრები“[2].

ასეთივე სკოლა, ოღონდ იატაკქვეშ, მუშაობდა ნობელის ქარხანაშიც. როტმილდის ქარხნის მუშებმა კი სკოლა არ იკმარეს და დრამატული დასიც შეადგინეს. გადანყვიტეს მუშებისთვის ერვენე-ბინათ ცხოვრებისეული პიესები. დანიშნული ხელმძღვანელი ვერ გაუძღვა ამ საქმეს და მის ნაცვლად მოიწვიეს დავით კლდიაშვილი, შედეგიც წარმატებული იყო. მუშა არტისტებმაც და მათმა ხემძღვანელმაც გამოიჩინეს თავი, ოღონდ ქარხნის ადმინისტრაციას და სამხედრო ნაწილის ხემძღვანელობას არ მოსწონდა ყველაფერი ეს, რასაც კომფლიქტები მოსდევდა ხოლმე. [3]

ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ დედა სამშობლოს, თანამოძმეს რამდენიმე საუკუნით ჩამოშორებული და თითქმის გაუცხოებული აჭარელი კაცის ეროვნული გათვითცნო-

ბიერება ვერ მოხდებოდა აქ ქართული სკოლების, სხვა სასწავლებლებისა და კულტურული დაწესებულებების უქონლობის პირობებში. თუ აქაური ქართველი თავის მშობლიურ ენაზე არ შეისწავლიდა შოთას, ილიას, აკაკის, და საერთოდ ქართულ მწერლობას, მათში ვერ გაიღვიძებდა ქართული სული... და დაიწყო კიდეც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა, ქართული წიგნის გავრცელება. თუ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ამ საქმეს ბათუმში ივანე მესხი და მიხეილ შარაშიძე უძღვებოდნენ, აჭარის მთიანეთში ამ მისიას ჩვენი მოგზაური საზოგადო მოღვაწეები ასრულებდნენ. სხვა ეროვნულ საქმიანობასთან ერთად ისინი მოსახლეობაში ავრცელებდნენ ქართულ წიგნებს, უპირველესად დედაენას. ესაუბრებოდნენ სამშობლოს ისტორიაზე, ასწავლიდნენ ახალი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას.

მაშინ ბათუმის ქუჩებში თურმე ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით გაცაცებით მოსაუბრე ადამიანებს ქართული ჟურნალ-გაზეთებით ხელში. მუდამ ხალხმრავლობა იყო ნურიის ბაზარზე სპირიდონ ჭელიძის ბუკინისტური წიგნების მაღაზიაში. მაღაზიის პატრონი იაფად ჰყიდდა სიმწრით მოგროვილ წიგნებს ღარიბ, მაგრამ ცოდნას მოწყურებულ ხალხზე, უფრო ხშირად ჩუქნიდა მათ. მისი ასეთი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი აჭარის მთის მოსახლეობა იყო, სადაც ზაქარია ჭიჭინაძისთვის ხშირად სტუმრობდა წიგნებით დატვირთული.[4]

ესეც ბრძოლა იყო, საკმაოდ მკაცრი და დაუნდობელი, რადგან რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგობა ეროვნულობის მიმართ, აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ინტრესების უგულვებელყოფაშიც ცხადდებოდა. განსაკუთრებით მთიანი სოფლების დაბეჩავებული და ეკონომიკურად უაღესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მცხოვრებნი იყვნენ შეჭვივებულნი. მაგრამ ქართულ მოღვაწეთა დახმარებით ახალგაზრდობა მაინც იკვლევდა გზას ბათუმის სასწავლებლისაკენ და აქტიურად ერთვებოდა საზოგადო საქმიანობაში.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ქართელ ეროვნულ მოღვაწეთა მოგზაურობების ჩანაწერები აჭარის მთიანეთში.

„შარვაშიძეთა გარდა, (იგულისხმება თუფალ-ბეგ შარვაშიძე ო. გ.) ქედის მიდამოებში სახლობენ ბეგები ბეჟანძიძეები... მათი ოჯახი განთქმულია შეძლებით, დარბაისლობით და განსაკუთრებით, ქართული

ენის ცოდნით. როგორც სხვაგან, აქაც ჩვენი ენის ბურჯებად მანდილოსნები ითვლებიან. მათ შორის არის დაცული ძველებული ქართული წერა“... 24 მარიამობისთვის მშვენიერ დილას, სოფელ ქედასაც თავი დაუკარით. თანამგზავრებად მომყვებოდა ოთხი მოზარდი ყმაწვილი: ორი თოფალ-ბეგ შარვაშიძის შვილი და ორიც მისი ნათესავი. ოთხივე ბათუმში, ახლად გახსნილ გიმნაზიაში უნდა მიეზარებინათ. ორ მათგანს ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში უსწავლია და ცდილობდნენ ჩემთან რუსული ენის ცოდნით თავი გამოეჩინათ, თუმცა მეტად უჭირდათ ამ ენაზე ლაპარაკი. სამაგიეროდ მათ ქართული ლაპარაკის სმენას არა სჯობდა რა. მეტად საამო საყურებლნი იყვნენ ეს თავისუფალი შვილნი აჭარის მშვენიერი ბუნებისა, აჭარულად კოხტად გამონყობილნი, თავზე სირმიანი ყაბალახით... ოთხსავეს ცხენებზე ისე მაგრად ეჭირათ თავი, თითქოს ზედ დაბადებულანო. ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ბათუმელი ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, მეტად კოხტა აჭარულადვე სირმიან ტანისამოსით გამონყობილი. ქართულს წმინდად ლაპარაკობდა... აღმოჩნდა, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებულ მოსე ნათაძის ხელში, სასოებითაც იხსენებდა თავის დაუვიწყარ მასწავლებლის სახელს, მის გულკეთილობას და შეგირდების სიყვარულს. რაც ვიცი სულ „ჩვენმა მოსემ“ მასწავლაო, მაჰმადიანი ქართველები განსაკუთრებით ვუყვარდითო და მამასავით ზრუნავდა ჩვენზედაო. რომ უფრო ვესიამოვნებინეთ, მოგვიყვა აკაკის, ჭალა დიდელის, გურიელის ლექსები. იმღერა „სამშობლო ხევსურისა“, რომლისაც როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მოსწონდა. ბოლოს ნაღვლიანად დასძინა: უფრო მეტი მეცოდინებოდა მაგრამ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაშიო. შეყვებით ლაპარაკს. საგნად ჩვენი ლაპარაკისა თავისთავად, ბუნებრივად შეიქმნა ის კითხვა, რომელიც აქეთ სტუმრად გადმოსულ ქართულ კაცს ყოველთ უწინარეს ებადება – კითხვა ეროვნული. თანამოსაუბრემ, 16-20 წლის ყმაწვილმა ქართველის გულს დაკოდილს უაღერსა და უსალბუნა“.[5].

ამ რწმენით, ამ გრძნობითა და სულისკვეთებით მოგზაურობდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები აჭარაში, აღწერდნენ მის ყოფას, მძიმე მემკვიდრეობას და სახავდნენ უკეთესი მომავლისკენ წინსვლის გზებს, დედასამშობლო საქართველოსთან ერთად. ეროვნული ცნობიერების გაძლიერება, სწავლა-განთლება, კულტურის დონის ამაღლება, ახალი ცხოვრების ასპარეზზე თამამად გამოსვლა, – ნივთიერი

ცხოვრების გაუმჯობესებასთან ერთად, იყო ქართული საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანი ამ მხარეში, და არა მხოლოდ ამ მხარეში. მსგავს ზრუნვას მოითხოვდა აფხაზეთი, სამხრეთ საქართველოში ახლად განთავისუფლებული მაჰმადიანი ქართველობა და სხვა მხარეებიც, რომლებისთვისაც მეტად მტკივნეული იყო რუსული იმპერიული მმართველობა ამ მმართველობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში გაერთიანდა ეროვნული თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა. ეს განსაკუთრებით მძაფრად აისახა მუშათა მოძრაობასა და არმიასში, ამ შემთხვევაში ბათუმის სამხედრო ნაწილებში, სადაც ჯარისკაცთა უმრავლესობა ქართველი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1980, გვ. 32
2. იქვე, გვ. 39
3. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 76, საქ. 143, ფურც. 11
4. იქვე, ფურც. 45
5. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1978, გვ. 28



მხატვარი - ბექა კოპაძე

ისტორია

ვახტანგ გურული

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

დაიბადა 1953 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარაში. დაამთავრა ქალაქ ზესტაფონის N4 საშუალო სკოლა. 1971-1976 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, ხოლო 1976-1980 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1980 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1981-1984 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. 1998-2005 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.



1997-2009 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 2009 წლიდან 2016 წლამდე – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი.

ბრძოლა სამცხისათვის (1828-1829 წწ.)

რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომი ისე დასრულდა, რომ რუსეთის იმპერიამ ოსმალეთს სამხრეთ კავკასია (აჭარა, სამცხე-საათაბაგო) ვერ დაათმობინა. ბუქარესტის ზავმა (1812 წ.) სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის ინტერესები ვერ შეათანხმა. რუსეთიც და ოსმალეთიც ახალი ომისათვის ემზადებოდნენ, რომელსაც სამხრეთ კავკასიის ტერიტორია უნდა გადაენაწილებინა. ეს ომი 1828-1829 წლებში მიმდინარეობდა. ორი იმპერიის ინტერესები ამჯერადაც ბალკანეთსა და კავკასიაში შეეჯახა ერთმანეთს. დაიწყო თუ არა ომი, სამხრეთ კავკასია და საქართველო ფრონტისპირა რეგიონად იქცა.

რუსეთის იმპერიის სამხედრო სამინისტროსა და მთავარი შტაბის მთელი ყურადღება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე იყო გადატანილი. დუნაისპირეთში იყო დაჯგუფებული რუსეთის არმიის უდიდესი ნაწილი. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, აქ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარები აშკარად არასაკმარისი იყო. ვითარებას ართულებდა ისიც, რომ ჩრდილო კავკასიის მთიელები რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდნენ, რაც აუცილებელს ხდიდა ამ რეგიონში ჯარის გარკვეული რაოდენობის მუდმივად შენარჩუნებას. რუსეთის მდგომარეობას ამსუბუქებდა ოსმალეთის სარდლობის მიერ დაშვებული შეცდომები და არზრუმში ანატოლიის არმიის თავმოყრის პროცესის გაჭიანურება. შექმნილ ვითარებაში კავკასიის მთავარ-სარდალმა ინფანტერიის გენერალმა **ივან პასკევიჩმა** გადანყვიტა, ოსმალებისათვის დაესწრო და საბრძოლო მოქმედებები დაეწყო.

1828 წლის 5 ივნისს ივან პასკევიჩი თბილისიდან გავიდა, რათა საბრძოლო მოქმედებებისათვის ადგილზე ეხელმძღვანელა. კავკასიის მთავარსარდალი **გიუმრში (ალექსანდროპოლში)** ჩავიდა და ჯარებს მდინარე **არპაჩაის** მარჯვენა ნაპირზე გადასვლა და ოსმალეთის საზღვრებში შეჭრა უბრძანა. მდინარეზე პირველი დონის კაზაკთა პოლკები გადავიდნენ. შეტევაზე გადასული რუსეთის ჯარების საერთო სარდლობას გენერალ-ლეიტენანტი **ივან ვადბოლსკი** ახორციელებდა. გენერალმა ჯარები სამ ბრიგადად დაყო. **პირველ ბრიგადაში**, რომელსაც გენერალ-მაიორი ნიკოლაი მურავიოვი სარდლობდა, შედიოდა: ერენის კარაბინერთა პოლკი, ქართველ გრენადერთა პოლკი, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის 1 ასეული 8 ზარბაზნით. **მეორე ბრიგადაში** (მეთაური გენერალ-მაიორი ალექსანდრ ბერხმანი) შედიოდა: ეგერთა 39-ე პოლკი, ეგერთა მე-40 პოლკი და მე-20 საარტილერიო ბრიგადის 1 ასეული 8 ზარბაზნით. **მესამე ბრიგადაში** (მეთაური გენერალ-მაიორი ნიკოლაი კოროლკოვი) შედიოდა: შირვანის ქვეითთა პოლკი, ეგერთა 42-ე პოლკი, ქვეითთა 1 ბატალიონი, 21-ე საარტილერიო ბრიგადის 1 ასეული 8 ზარბაზნით. კავალერია, რომელსაც გენერალ-მაიორი **ნიკოლაი რაევსკი** მეთაურობდა, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკისა და ულანთა პოლკისაგან შედგებოდა. კაზაკთა პოლკებს საერთო მეთაურობას გენერალ-მაიორი **სტეპან ლეონოვი** უწევდა.

ყარსის აღება. რუსეთის ჯარის სამივე ბრიგადას მდინარე არპაჩაი ერთდროულად არ გადაუღაბავს. 1828 წლის 14 ივნისს არპაჩაი

გადაიარა ერთმა ბრიგადამ, მომდევნო დღეებში – დანარჩენმა ჯარებმა. გიუმრიდან ყარსამდე 65 ვერსი იყო. 19 ივნისს ბრიგადას პირველი შეჯახებები მოუხდა ოსმალთა პიკეტებთან. რუსეთის ჯარებმა ყარსთან მოიყარეს თავი. ოსმალთა ჯარის ნაწილი ყარსის ციტადელში იყო გამაგრებული, ნაწილს კი ქალაქის გარშემო ეკავა სტრატეგიული პოზიციები. 23 ივნისს რუსების არტილერიამ დაბომბა ყარსის გარშემო განლაგებული მონინალმდეგის პოზიციები. ოსმალები მედგრად იცავდნენ თავს, განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები მიმდინარეობდა ყარსის ციტადელის გარეთ, სომხურ უბანში. რუსების არტილერიამ თითქმის მთლიანად დაანგრია ქალაქ ყარსის გარშემო არსებული სიმაგრეები. დაიწყო მზადება ყარსზე შეტევისათვის. ციტადელის დაბომბვას გარნიზონმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლით უპასუხა, მაგრამ მალე ყარსის ფაშა ემინმა ციხის გალავანზე თეთრი დროშა გადმოკიდა. რუსებმა ემინ ფაშას შემდეგი პირობები წაუყენეს: 1. ყარსის ფაშა თავს რუსების სამხედრო ტყვედ აღიარებდა; 2. ყარსის ციტადელის გარნიზონი იარაღს ჩააბარებდა, რის შემდეგაც ოსმალებს შეუფერხებლად უნდა დაეტოვებინათ ციხე-სიმაგრე, რუსებს გარნიზონის ოფიცრები და ჯარისკაცები ტყვედ არ უნდა აეყვანათ; 3. ყარსის მიდამოებში განლაგებული ოსმალეთის ჯარის ბედი რუსეთის სარდლობის შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვეტილიყო. ემინ ფაშა დროის მოგებას ითხოვდა, რისთვისაც ორი დღე ითხოვა. ამ დროისათვის მუჰამედ ფაშა 20.000 მეზრძოლით ყარსიდან ერთი დღის სავალზე იმყოფებოდა. კაზაკთა პიკეტებმა მუჰამედ ფაშას მზვერავი რაზმები ყარსიდან 5-6 ვერსის მოშორებით შენიშნეს. ივან პასკევიჩმა გადაწყვიტა, სწრაფად ემოქმედა და ემინ ფაშას პასუხს აღარ დალოდებოდა. ყარსის ციტადელისა და ქალაქის დაბომბვა მთელი ღამე გრძელდებოდა, პრაქტიკულად, ქალაქი უკვე გადამწვარი იყო. 1828 წლის 23 ივნისს, დილით ყარსის გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა. რუსებს ნადავლის სახით დარჩათ 151 ზარბაზანი, ტყვედ აიყვანეს 1.350 მეზრძოლი. ბრძოლაში დაიღუპა 1, დაიჭრა 13 რუსი ოფიცერი, დაიჭრა 248 ჯარისკაცი. 24 ივნისს პასკევიჩი თავის შტაბთან ერთად ყარსში შევიდა და 25 ივნისს იქ რუსებმა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დაბადების დღე აღნიშნეს.

ყარსის გარნიზონი 1828 წლის 23 ივნისს დილის 10 საათზე დანებდა. მალე გაირკვა, რომ მუჰამედ ფაშა 20.000 მეზრძოლით

ყარსიდან 1 საათის სავალზე იმყოფებოდა. მის შესახებედრად ივან პასკევიჩმა გენერალ ნიკოლაი მურავიოვის ბრიგადა გაგზავნა. მუჰამედ ფაშამ გაითვალისწინა, რომ **არზრუმი** სრულიად დაუცველი იყო, უკან დაიხია, გაიარა **არტაანი (არდაგანი)** და არზრუმის დაცვისათვის მოემზადა. ოსმალო ფაშამ არ იცოდა, რომ პასკევიჩი არზრუმზე შეტევას არც აპირებდა. რუსეთის ჯარში შავმა ჭირმა იჩინა თავი. ერთ დღეში ბევრი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა, 203 ოფიცერი და ჯარისკაცი 8-9 დღე კარანტინში იმყოფებოდა. შავი ჭირის ჩაცხრა თუ არა, კავკასიის მთავარსარდალმა ახალციხეზე სალაშქროდ იწყო მზადება.

ახალქალაქის აღება. ყარსიდან ახალციხემდე ორი გზა მიდიოდა: პირველი **არტაანის (არდაგანის)**, ხოლო მეორე **ახალქალაქის** გავლით. ივან პასკევიჩმა მეორე გზა არჩია, რადგან იგი რუსეთის საზღვართან უფრო ახლოს გადიოდა. მის დაქვემდებარებაში მყოფი 15 ბატალიონიდან ყარსის საფაშოს დასაცავად პასკევიჩმა 6 ბატალიონი დატოვა, სულ ახალციხეზე სალაშქროდ ის 9 ბატალიონით, დონის კაზაკთა 6 პოლკითა და 46 ზარბაზნით გაემართა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ ძალებით ახალციხის აღება ძალზე გაჭირდებოდა, მით უფრო, რომ ჯერ ახალქალაქის დაკავება იყო აუცილებელი. ყარსის საფაშოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარების (ყირიმის ქვეითთა, ეგერთა 39-ე, ეგერთა მე-40 პოლკები, დონის კაზაკთა, მე-20 საარტილერიო ბრიგადები, 12 ქვემეზი) მეთაურად კავკასიის მთავარსარდალმა გენერალ-მაიორი **ალექსანდრ ბერხმანი** დატოვა, ხოლო თავად ძირითადი ძალებით 1828 წლის 17 ივლისს ახალციხისაკენ დაიძრა. 19 ივლისს რუსები უკვე **ჩილდირის** ტბას მიაღწენ, ხოლო 22 ივლისს ახალქალაქს მიაღწიეს. დაღამდა თუ არა, რუსმა არტილერიისტებმა გენერალ-მაიორ ნიკოლაი კოროლკოვის ხელმძღვანელობით ახალქალაქის გარშემო სააღყო ზარბაზნების განლაგება დაიწყეს. ზარბაზნების განლაგება წარმატებით დასრულდა 23 ივლისის დილისათვის და რუსებმა ახალქალაქის ციტადელის ძლიერი დაბომბვა დაიწყეს. 18 სააღყო ზარბაზანი გამუდმებით უშენდა ყუმბარებს ციტადელს. დაბომბვის შედეგად ახალქალაქის ციხე სერიოზულად დაზიანდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგ ახალქალაქიდან ოსმალთა გარნიზონი გაიყვანეს და იგი ლაზებით ჩანაცვლეს. საარტილერიო დაბომბვის დროს ლაზების ნაწილმა ბრძოლა მიატოვა და გაიქცა. გაიქცა ციხის კომენდანტი

ფარჰად ბეგიც. გაქცეულებიდან ცოცხალი თითქმის არავინ არ გადარჩენილა, 24 ივლისს რუსმა კავალერისტებმა ისინი დახოცეს. ახალქალაქში 23 ივლისს რუსებმა ტყვედ აიყვანეს ახალქალაქის ბეი სანჯაყი, 16 ოფიცერი და 300 რიგითი მებრძოლი, ხელთ იგდეს 14 ზარბაზანი. ახალქალაქის ციტადელის დაუფლებიდან დიდი დრო არ იყო გასული, როდესაც რუსებმა შეიტყვეს, რომ არტაანიდან ახალქალაქისაკენ ოსმალეთის კავალერია მიემართებოდა, რათა ციხეში მყოფ ლაზებს დახმარებოდა. ოსმალთა კავალერიასთან შესახვედრად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი გაემართა. ოსმალეთის კავალერიის მეთაურმა შეიტყო თუ არა, რომ ახალქალაქი უკვე რუსების მიერ იყო დაკავებული, მაშინვე უკან გაბრუნდა. რუსი გენერლებისა და ოფიცრების ნაწილი ახალქალაქის ციხის საფუძვლიანად დანგრევას უჭერდა მხარს. პასკევიჩი მიიჩნევდა, რომ ახალქალაქი მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაგრე იყო, რის გამოც მის დანგრევაზე უარი თქვა და იქ რუსეთის ჯარის გარნიზონი ჩააყენა.

ხერთვისის აღება. ახალქალაქის დაკავების შემდეგ ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა **ხერთვისი**. ხერთვისში თავს იყრიდა არტაანიდან, ახალქალაქიდან და ახალციხიდან მომავალი გზები. ხერთვისის ციხის დასაკავებლად ივან პასკევიჩმა გამოყო გრენადერთა 1 ბრიგადა, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის 1 დივიზიონი და 200 თათარი ცხენოსანი. ჯარის მეთაურობა გენერალ-მაიორ **ფონ დერ ოსტენ-საკენს** დაევალა. 26 ივლისს ხერთვისისაკენ პოლკოვნიკ **რაევსკის** მეთაურობით კავალერია დაიძრა და მალე ციხეს მიუახლოვდა. ციხის გარნიზონს რუსებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ხერთვისის ციხის დაკავების შემდეგ რაევსკიმ ნადავლის სახით ხელთ იგდო 13 ზარბაზანი. მან ციხეში მცირერიცხოვანი გარნიზონი დატოვა.

ახალციხის აღება. ხერთვისის აღების დროისათვის რუსეთის ჯარის მთავარი ძალები ჯერ კიდევ **ახალქალაქთან** იდგა, საითკენაც გადასროლილ იქნა ახალი ძალები: მანგლისიდან – ერევნის ქვეითი პოლკის 1 ბატალიონი; ბაშკირეტიდან – ეგრეთა 41-ე პოლკის 1 ბატალიონი და 21-ე საარტილერიო ბრიგადის 2 ზარბაზანი; გიუმრიდან – კოზლოვსკის პოლკის 2 ასეული; წალკიდან – ხერსონის გრენადერთა პოლკის 2 ასეული. უფრო ადრე ახალქალაქში გადაიყვანეს 250 დონელი კაზაკი და 200 თათარი ცხენოსანი ბორჩალოდან.

მტკვრის ხეობით ახალქალაქისაკენ მიემართებოდა ხერსონის გრენადერთა პოლკის 6 ასეული.

ახალქალაქიდან ახალციხისაკენ ორი გზა მიდიოდა: **პირველი**, რომლის სიგრძე 160 ვერსს უდრიდა, **არტაანზე** გადიოდა და ვარგისი იყო როგორც ქვეითი ჯარის გადასაყვანად, ისე ალაღის მოძრაობისათვის. **მეორე გზა**, რომლის სიგრძე 60 ვერსი იყო, **ციხისჯვარზე** გადიოდა. ამ გზაზე ალაღის მოძრაობა ძალზე გაჭირდებოდა. ივან პასკევიჩმა მაინც მეორე, უმოკლესი, გზა არჩია, რადგან შიშობდა, რომ შემოვლითი გზა ჯარს დააგვიანებდა, რაც ოსმალებს ახალციხის გარნიზონის გასაძლიერებლად დროს მისცემდა. დაიძრა თუ არა ჯარი, რუსებმა საგანგაშო ცნობა მიიღეს: მუჰამედ ფაშა ყარსის ციხიდან რუსების გარნიზონის განდევნა გადაიფიქრა, ყარსს გვერდი აუარა და არტაანისაკენ აიღო გეზი. თვითმხილველები ამტკიცებდნენ, რომ ოსმალო ფაშას 30.000 მეზრძოლი ჰყავდა, ხოლო შეიარაღებაზე 15 ზარბაზანი გააჩნდა. შექმნილ ვითარებაში პასკევიჩის წინაშე კვლავ დადგა ახალციხისაკენ მიმავალი გზის არჩევის საკითხი. თავდაპირველად კავკასიის მთავარსარდალი ფიქრობდა, ახალციხეზე არტაანის გავლით (ე.ი. შემოვლითი გრძელი გზით) დაძრულიყო და, პირველ რიგში, მუჰამედ ფაშას ჯარი გაენადგურებინა. ამავე დროს, პასკევიჩს ეჭვი ეპარებოდა იმ ცნობების სიზუსტეში, რომლებიც მუჰამედ ფაშას ჯარის რაოდენობისა და მოძრაობის მარშრუტის შესახებ მიიღო. იგი არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ ხმები ფაშას არტაანის მიმართულებით გალაშქრების შესახებ თავად ოსმალების მიერ იყო დარხეული, რათა პასკევიჩი აეძულებინათ, ახალციხისაკენ შემოვლითი, 160-ვერსიანი, გზით დაძრულიყო, რაც ახალციხესთან რუსეთის ჯარის სწრაფად მისვლას გამორიცხავდა. ბოლოს კავკასიის მთავარსარდალმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: კავალერისტთა რაზმი არტაანის მიმართულებით გაგზავნა, რათა მუჰამედ ფაშას განზრახვის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მიეღო, თავად პასკევიჩი კი ციხისჯვრის გავლით (ე.ი. მოკლე, 60-ვერსიანი გზით) ახალციხისაკენ დაიძრა. მთებზე გამავალი გზა ძალზე ძნელი დასაძლევია აღმოჩნდა რუსებისათვის. ურთულესი გზა ჯარმა სამ დღეში გაიარა და 1828 წლის 3 აგვისტოს ახალციხეს მიუახლოვდა. პასკევიჩმა ჯარი მტკვრის ნაპირზე შეაჩერა და უკან ჩამორჩენილ ნაწილებს დაელოდა. 4 აგვისტოს მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებულ რუსების ბანაკში ჯარების თავმოყრა დასრულდა.

რუსები ახალციხიდან 6,5 ვერსის მოშორებით იყვნენ დაბანაკებულნი. 4 აგვისტოს პასკევიჩთან გამოცხადდა მუჰამედ ფაშას ჯარების შესახებ ცნობების შესაგროვებლად გაგზავნილი კავალერისთა რაზმის მეთაური კაპიტანი **ბეგლიარევი** და მთავარსარდალს მოახსენა: მუჰამედ ფაშამ არტაანი გამოიარა და დღესვე, ე. ი. 4 აგვისტოსვე, ახალციხეს მოადგებაო. მალე ახალციხის ციტადელიდან რუსების ბანაკის მიმართულებით ზარბაზნებიდან ცეცხლი გახსნეს. პასკევიჩი მიხვდა, რომ ოსმალებმა მუჰამედ ფაშას მოახლოების ამბავი შეიტყვეს. 4 აგვისტოს მონაცემებით პასკევიჩის დაქვემდებარებაში 8.000 ოფიცერი და ჯარისკაცი იყო. ჯარი, რა თქმა უნდა, მცირე იყო, მაგრამ ოფიცერთა და ჯარისკაცთა უმრავლესობას ჯერ კიდევ ალექსეი ერმოლოვის მთავარსარდალობის დროს დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა მიღებული, ისინი სულ ცოტა ხნის წინ ყარსთან გამართული ბრძოლების მონაწილე იყვნენ. სულ მალე 8.000 რუსი 40.000 ოსმალოს დაუპირისპირდებოდა.

1828 წლის 4 აგვისტოს, შუადღისას, ახალციხის ციტადელიდან საარტილერიო დაბომბვა შეწყდა, სამაგიეროდ, გარნიზონმა თოფებიდან ძლიერი ცეცხლი გაუხსნა რუსების საინტენდენტო ნაწილებს, რომლებიც ციხის გალავანსა და რუსების ბანაკს შორის ცხენებისათვის თივას ამზადებდნენ. პასკევიჩმა ეგერთა 39-ე პოლკის 1 ბატალიონი პოდპოლკოვნიკ **მიკლაშევსკის** მეთაურობით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა და სასწრაფოდ რედუტის აგება უბრძანა. რედუტის აგება გონივრული გადანწყვეტილება გამოდგა. 5 აგვისტოს პასკევიჩმა ჯარის დანარჩენი ნაწილიც მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა. ჯარების მდინარეზე გადასვლას იცავდა ეგერთა 42-ე პოლკი 12 ზარბაზნით. ოსმალებმა როგორც ეგერთა 42-ე, ისე მდინარეზე გადასვლისათვის მომზადებულ დანარჩენ პოლკებს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. მტკვარზე გადასვლა შეფერხდებოდა, რომ პოდპოლკოვნიკ მიკლაშევსკის რედუტიდან საპასუხო ცეცხლი არ გაეხსნა. რუსებმა მტკვარი გადალახეს, წინ წაიწიეს და შუადღისას მდინარე **ფოცხოვის** ნაპირზე, ახალციხის გალავნის სამხრეთი კედლის სიახლოვეში შეჩერდნენ.

ივან პასკევიჩმა ახალციხეზე შეტევის გეგმა შეადგინა. მან ყურადღება მიაქცია ერთ-ერთ გორაკს, რომელიც ზედ დაჰყურებდა ახალციხის ციტადელს. კავკასიის მთავარსარდალმა გადანწყვიტა, ეს გორაკი გამოეყენებინა ახალციხეზე შტურმისათვის. 5 აგვისტოს

რუსები შეტევაზე გადავიდნენ და ეს სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაღლე უბრძოლველად დაიკავეს. 5 აგვისტოს ჯარები ახალციხეზე შეტევისათვის უკვე მზად იყვნენ. 4-5 აგვისტოს გამართული შეჯახებებისას აშკარა გახდა, რომ ოსმალებს რუსებზე გაცილებით ძლიერი კავალერია ჰყავდათ, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ოსმალთა ქვეითი ჯარიც რამდენიმეჯერ აღემატებოდა რუსებისას. პასკევიჩმა მალე შევსება (13,5 ბატალიონი) მიიღო. ოსმალთა სარდლობამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა: 5 აგვისტოდან 3 დღის განმავლობაში ოსმალები სრულ ინერტულობას იჩენდნენ, რამაც რუსებს საშუალება მისცა, საფუძვლიანად მომზადებულიყვნენ იერიშისათვის. 8 აგვისტოს პასკევიჩმა ცნობა მიიღო: ოსმალთა ჯარი, 10.000 გამუსლიმებული ლაზი მებრძოლი, ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად მოემართებოდა. პასკევიჩი მისვდა, თუ წინა დღეებში რატომ არ აქტიურობდა ახალციხის გარნიზონი: ოსმალები ლაზების გამოჩენას ელოდნენ. კავკასიის მთავარსარდალმა სასწრაფოდ შეკრიბა სამხედრო საბჭო. მდგომარეობა საგანგაშო იყო: **ოსმალები ლაზების ჯარის გარეშეც ბევრად აღემატებოდნენ რუსებს.** შექმნილ ვითარებაში ოფიცერების ნაწილი პასკევიჩს ურჩევდა მტკვრის ხეობით სასწრაფოდ დაეხიათ უკან თბილისისაკენ და ახალციხეზე ლაშქრობა ჯარის შევსების შემდეგ დაენყოთ. სამხედრო საბჭომ უკან დახევას მხარი არ დაუჭირა. გადანყდა, მოულოდნელად მთელი ძალებით შეეტიათ ოსმალებისათვის. 8 აგვისტოს საღამოს პასკევიჩმა შესაბამისი ბრძანებები გასცა: გენერალ-მაიორი ნიკოლაი მურავიოვი გრენადერთა ბრიგადით რუსების ბანაკში უნდა დარჩენილიყო. ჯარის ძირითადი ნაწილთა (8 ბატალიონით) და 25 ზარბაზნით ივან პასკევიჩს შეტევა უნდა დაენყო. რუსეთის დაზვერვის ცნობით, ოსმალთა ჯარი ოთხ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი ციხის ჩრდილოეთით იდგა, მეორე – დასავლეთით, ხოლო მესამე და მეოთხე – ახალციხიდან არტანისაკენ მიმავალი გზის დასაწყისში. პასკევიჩმა გადანყვიტა, რომ პირველად ციხის ჩრდილოეთით განლაგებული ოსმალთა ბანაკისათვის შეეტიათ. შეტევისათვის გამზადებული ჯარი ასე განლაგდა: **მარცხენა ფლანგზე** იდგა ერევნის ქვეითი პოლკის 1 ბატალიონი და ეგერთა 41-ე პოლკის 1 ბატალიონი 6 ზარბაზნით; **ცენტრში** – ხერსონის გრენადერთა პოლკის 6 ასეული 4 ზარბაზნით; **მარჯვენა ფლანგზე** – შირვანის ქვეითი პოლკი, კოზლოვსკის ქვეითთა პოლკის 2 ასეული, ქვეითთა 1 ასეული 2 ზარბაზნით. რეზერვში იდგა მთელი

კავალერია და ეგერთა 42-ე პოლკი. რეზერვის განლაგებაში იმყოფებოდა კავკასიის მთავარსარდალიც. დონის კაზაკთა 2 პოლკს გენერალ-მაიორ მურავიოვსა და შეტევაზე გადასულ ჯარს შორის კავშირის უზრუნველყოფა ევალებოდა.

1828 წლის 9 აგვისტოს დილის 6 საათზე ოსმალთა ქვეითი ჯარი შეტევაზე გადმოვიდა, იმავდროულად, ოსმალთა კავალერიამ გენერალ-მაიორ ნიკოლაი მურავიოვის ბანაკს შეუტია, მაგრამ დონის კაზაკთა ორმა პოლკმა ოსმალთა კავალერია უკუაქცია. ყველა მიმართულებით ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. რუსებმა პირველ იერიშს მეორეც მიაყოლეს, მაგრამ მალევე უკუიქცნენ. 30-წუთიანი შესვენების შემდეგ ოსმალებმა მეორე იერიში დაიწყეს. დღის 2 საათზე ორივე მხარემ ბრძოლა დროებით შეწყვიტა. განახლდა თუ არა ბრძოლა, შეტევაზე 42-ე პოლკი გადავიდა გენერალ-მაიორ **ნიკოლაი კოროლკოვის** მეთაურობით. ოსმალებმა ძლიერი ცეცხლით რუსების შეტევა შეაჩერეს. ჯარისკაცების გამხნეების მიზნით გენერალ-მაიორი კოროლკოვი წინ გაიჭრა. ოსმალებმა გენერალი სასიკვდილოდ დაჭრეს, რამაც რუსთა რიგებში არეულობა შეიტანა. მდგომარეობა შირვანის ქვეითთა პოლკის გამოჩენამ იხსნა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ახალციხის გარშემო განლაგებულმა ოსმალთა დამხმარე კორპუსმა უკან დაიხია. პასკევიჩმა საყოველთაო შეტევის დაწყება ბრძანა. რუსებმა ერთმანეთის მიყოლებით გაანადგურეს ოსმალთა ოთხივე ბანაკი. უკან დახეული ოსმალთა ქვეითი ჯარისა და კავალერიის განადგურებაში თავი გამოიჩინეს ნიჟეგოროდის დრაგუნთა და დონის კაზაკთა პოლკებმა, რომელთაც ტყვედ ჩაიგდეს 500 ოსმალთა, ზარბაზნები და ალალი. რუსების კავალერიამ ოსმალების დევნა ახალციხიდან 20 ვერსის მანძილზე გააგრძელა და ახალციხეში მხოლოდ 10 აგვისტოს დაბრუნდა. ახალციხესთან განლაგებული ოსმალთა ჯარის ოთხი ბანაკის განადგურებისათვის ბრძოლაში რუსებმა 1 გენერალი, 32 ოფიცერი და 495 ჯარისკაცი დაკარგეს.

ახალციხის გარშემო განლაგებული ოსმალთა ჯარები განადგურდა, მაგრამ ბრძოლას განაგრძობდა ახალციხის ციტადელში განლაგებული ოსმალთა გარნიზონი. ივან პასკევიჩმა ციტადელზე შეტევის დროდ 15 აგვისტოს ნაშუადღევს 4 საათი დანიშნა. რუსებმა შეტევა ზარბაზნებიდან ციტადელის ძლიერი დაბომბვის შემდეგ დაიწყეს.

ოსმალები ორგანიზებულად იცავდნენ თავს. ნაშუადღევის 6 საათისათვის ციტადელის შტურმში პასკევიჩმა დროულად მისული ახალი ძალა (ხერსონის გრენადერთა და ეგერთა 42-ე პოლკები) ჩააბა. 50 ზარბაზანი განუწყვეტილვ ბომბავდა ქალაქ ახალციხესა და ციტადელს. 15 აგვისტოს საღამოს 7 საათისათვის ამკარა გახდა, რომ ოსმალთა გარნიზონი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, თუმცა ციტადელის ჩაბარებას ოსმალები არ აპირებდნენ. 15 აგვისტოს ქალაქში გაჩენილი ხანძარი ღამით კიდევ უფრო გაძლიერდა, 16 აგვისტოს დილით მთელი ქალაქი იწვოდა. 16 აგვისტოს დილით მუჰამედ ფაშამ ხუთდღიანი დროებითი დაზავება ითხოვა. პასკევიჩმა ფაშას დანებებისათვის 5 საათი მისცა. კავკასიის მთავარსარდალი მუჰამედ ფაშას დაემუქრა: თუ ოსმალები ქალაქს 5 საათის განმავლობაში არ ჩააბარებდნენ, დაუყონებლივ განახლდებოდა ზარბაზნებიდან ქალაქის დაბომბვა. დანებების შემთხვევაში ახალციხის გარნიზონის შეიარაღება და მთელი ქონება, მათ შორის საბრძოლო დროშები, უკლებლივ უნდა ჩაებარებინათ რუსებისათვის. მუჰამედ ფაშამ ხანმოკლე ფიქრის შემდეგ კაპიტულაცია გამოაცხადა და თავისი გადაწყვეტილება ოფიციალურად აცნობა კავკასიის მთავარსარდალს. 1828 წლის 16 აგვისტოს, დილის 8 საათზე, ქართველ გრენადერთა პოლკი ახალციხეში შევიდა და ციტადელზე რუსეთის იმპერიის დროშა აღმართა. პასკევიჩი ახალციხეში მხოლოდ ციტადელზე დროშის აღმართვის შემდეგ შევიდა.

უშუალოდ ქალაქ ახალციხისა და ციტადელისათვის ბრძოლაში ოსმალებმა დიდი დანაკარგი განიცადეს. ახალციხის გარნიზონიდან (4.000 მებრძოლი) ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 50 ოსმალო, ცოცხალი გადარჩა ასევე ციტადელში მყოფი 100 იანიჩარი. ახალციხეში მყოფი 1.800 გამუსლიმებული ქართველიდან (ლაზიდან) ბრძოლაში დაიღუპა 1.300, ქალაქის დაბომბვისა და რუსეთის ქვეითი ჯარის შტურმის დროს დაიღუპა ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 3.000 კაცი, მათ შორის რამდენიმე ასეული ქალი). რუსების დანაკარგი შედარებით ნაკლები იყო: დაიჭრა და დაიღუპა 62 ოფიცერი და 600 ჯარისკაცი. რუსებს ნადავლის სახით დარჩათ ოსმალთა 52 დროშა და 67 ზარბაზანი.

ახალციხის დაკავების შემდეგ ქალაქის მთავარი მეჩეთი მართლმადიდებლურ ეკლესიად გადაკეთდა და იგი ღვთისმშობლის მიძინების სახელზე ეკურთხა.

1828 წლის 17 აგვისტოს ივან პასკევიჩმა ახალციხის საფაშოს გაუქმება და რუსული მმართველობის შემოღება გამოაცხადა. ყოფილი საფაშოს ტერიტორიაზე **ახალციხის ოლქი** შეიქმნა, ოლქის უფროსად გენერალ-მაიორი **ვასილი ბებუთოვი** დაინიშნა.

ანყურის აღება. 1828 წლის 17 აგვისტოს ივან პასკევიჩმა გენერალ-ლეიტენანტი **ივან ვადბოლსკის** მეთაურობით ანყურის დასაკავებლად დაძრა ჯარი. გენერლის დაქვემდებარებაში იყო ქვეითთა 1 ბატალიონი, კაზაკთა 2 პოლკი და 6 ზარბაზანი. ანყურში ოსმალებს არცთუ ისე ძლიერი გარნიზონი ჰყავდათ. ციხეში გამაგრებული იყო 500 გამუსლიმებული ქართველი (ლაზი) და 1.000 გამუსლიმებული ადგილობრივი მცხოვრები (მესხი). ივან ვადბოლსკიმ დაასკვნა, რომ ქვეითი ჯარით ანყურის ციხეზე შეტევა რუსებს დიდ მსხვერპლად დაუჯდებოდათ. გენერალი მზად იყო, რომ ანყურის ციხის ალყა დაენყო, თუმცა აფიქრებდა ერთი რამ: ანყურის ციხეში არსებული საბრძოლო მასალისა და სურსათის დიდი მარაგი გარნიზონს საშუალებას მისცემდა, ციხე დიდხანს და წარმატებით დაეცვა. ბოლოს ვადბოლსკიმ ანყურის ციხეში ახალციხიდან ჩამოყვანილი გამუსლიმებული მესხების წარმომადგენლები შეგზავნა. მესხებმა ლაზები დაარწმუნეს, რომ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ლაზებმა ციხე დატოვეს, ბრძოლაზე უარი თქვეს ადგილობრივმა მესხებმაც. რუსეთის ჯარმა ანყურის ციხე უბრძოლველად დაიკავა.

არტაანის დაკავება. ანყურის დაკავების შემდეგ რუსეთის ჯარმა **არტაანი (არდაგანი)** დაიკავა. არტაანის დაკავების პატივი ქალაქ ყარსის რუსულ გარნიზონს ხვდა. მას შემდეგ, რაც 1828 წლის 9 აგვისტოს ახალციხის გარშემო განლაგებული ოსმალთა ჯარის ოთხი ბანაკის განადგურების ამბავი შეიტყო, ყარსის საფაშოში განლაგებული რუსეთის ჯარის მეთაურმა გენერალ-მაიორმა **ალექსანდრ ბერხმანმა** ქვეითთა 2 ბატალიონი და კაზაკთა 3 ასეული 4 ზარბაზნით არტაანის დასაკავებლად გაგზავნა. ამ ჯარის მეთაურობა გენერალ-მაიორ **ფიოდორ ბეკოვიჩ-ჩერკასკის** დაევალა. ყარსიდან არტაანისაკენ ჯარი 17 აგვისტოს დაიძრა. ახალციხიდან უნესრიგოდ უკან დახეულმა ოსმალებმა არტაანის გარნიზონს დახმარება ვერ აღმოუჩინეს, ბეკოვიჩ-ჩერკასკის შესაჩერებლად დაძრულმა ოსმალთა ცხენოსანმა ჯარმა მალევე უკან დაიხია, რუსებს სასტიკი წინააღმდეგობა მხოლოდ ქურთებმა გაუჩინეს. ოსმალთა ცხენოსანი ჯარისა და ქურთების დამარცხების შემდეგ ბეკოვიჩმა შეიტყო, რომ

16 აგვისტოს რუსებმა ახალციხე აიღეს. არტაანის გათავისუფლებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ოსმალებმა წინააღმდეგობა ვეღარ გასწიეს და არტაანი დატოვეს. მალე პასკევიჩი თავისი შტაბით არტაანში გადავიდა. არტაანის მიდამოებში დაიწყო თავმოყრა რუსეთის ჯარის მნიშვნელოვანმა ძალებმა. არტაანთან დაჯგუფებულ რუსეთის ჯარების უმთავრეს ამოცანად კავკასიის მთავარსარდალი ყარსის საფაშოს ტერიტორიის დაცვას და არზრუმის მხრიდან ოსმალთა მოსალოდნელი შემოტევის მოგერიებას მიიჩნევდა. არტაანში მყოფმა პასკევიჩმა მოულოდნელად შეიტყო, რომ გენერალ-მაიორმა **ალექსანდრე ჭავჭავაძემ** მასთან შეუთანხმებლად მთელი ბაიაზეთის საფაშო და ბაიაზეთის ციხე დაიკავა.

ოსმალეთი არ შერიგებია 1828 წელს განდილ მარცხს და ცდილობდა, რევანში სწრაფადვე აეღო. ოსმალთა სარდლობამ საქართველოს საზღვართან სერიოზულ ძალებს მოუყარა თავი. ოსმალები მთელ იმედებს მოულოდნელ და სწრაფ შეტევაზე ამყარებდნენ.

ოსმალთა შემოტევა ახალციხის დაკავების მიზნით. 1829 წლის 26 იანვარს ოსმალთა ცხენოსანმა ჯარმა **ფოცხოვის** სანჯაყის ყოფილი მმართველის **თეიფურ ბეის** მეთაურობით **ახალციხეზე** დაიწყო შეტევა და ქალაქს 5-6 ვერსის მანძილზე მიუახლოვდა. ოსმალებს გზა გადაუღობა შირვანის ქვეითთა პოლკმა. ოსმალები უკუიქცნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალციხის ოლქის მმართველი გენერალ-მაიორი ვასილი ბებუთოვი ზემო აჭარის მმართველ აჰმედ ბეი ხიმშიაშვილის გადაბირებას ცდილობდა. მოლაპარაკებას წარმატება არ მოჰყოლია. აჰმედ ბეიმ აჭარაში 15.000 მებრძოლი შეკრიბა და ახალციხეზე სალაშქროდ გაემზადა. აჰმედ ბეი ახალციხეზე შეტევის დაწყებას არ ჩქარობდა, არზრუმიდან ოსმალთა ჯარის მოსვლას ელოდა. 16 თებერვალს იგი მდინარე ფოცხოვის ნაპირზე დაბანაკდა. აჰმედ ბეიმ გადაწყვიტა, ახალციხის გარნიზონისათვის თბილისიდან დამხმარე ჯარის მიშველების საშუალება მოესპო. ამიტომ იყო, რომ 1829 წლის 17 თებერვალს მან თავისი ძმა **ავდი ბეი** ძლიერი რაზმით მტკვრის ხეობაში გადაიყვანა, რათა თბილისიდან ახალციხისაკენ მიმავალი გზა გადაეკეტა. ვასილი ბებუთოვმა სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინა, მან მხოლოდ 18 თებერვალს შეიტყო, რომ მოწინააღმდეგე ახალციხიდან 15 ვერსის მოშორებით იმყოფებოდა.

1829 წლის 20 თებერვალს ოსმალთა და აჭარელთა გაერთიანებულიმა ჯარმა (20.000 მებრძოლი) ქალაქი ახალციხე დაიკავა და

ციტადელს შემოარტყა ალყა. მოალყე ჯარს აჰმედ ბეი ხიმშიაშვილი მეთაურობდა. ახალციხესთან ოსმალთა მოულოდნელი გამოჩენისა და ქალაქის ალყის დაწყების შესახებ არც თბილისში მყოფმა ივან პასკევიჩმა იცოდა. ახალციხესთან დაწყებული ბრძოლების შესახებ კავკასიის მთავარსარდალმა ხერთვისის ციხის კომენდანტისაგან შეიტყო. კავკასიის მთავარსარდალმა სასწრაფოდ მიიღო ზომები ახალციხის ციტადელში გამაგრებული გარნიზონის დასახმარებლად. გორში დაბანაკებულ ხერსონის გრენადერთა პოლკის მეთაურს **პოლკოვნიკ ივან ბურცევს** ებრძანა, სასწრაფოდ გაემაგრებინა **ანყურის** ციხე, რათა ახალციხიდან დაძრული ოსმალები მტკვრის ხეობით ქართლში არ შემოჭრილიყვნენ. გენერალ-მაიორი **ნიკოლოზ მურავიოვი** ქვეითთა 5 ბატალიონითა და 13 საველე ზარბაზანით სასწრაფოდ ახალციხისაკენ უნდა დაძრულიყო. დიდთოვლობისა და ცუდი ამინდის გამო ბურცევის პოლკი ნელა მოძრაობდა. ბურცევმა დროის მოგების მიზნით სურამში განლაგებულ ხერსონის გრენადერთა პოლკის ასეულის მეთაურს კაპიტან **კიშკინს** უბრძანა, ასეული სასწრაფოდ ანყურში გადაეყვანა. კიშკინმა ანყურს 25 თებერვლის დილით მიაღწია. ამ დროს ანყურიდან 4 ვერსის მოშორებით სოფელ **წინუბანში** უკვე იდგა ავდი ბეი ხიმშიაშვილის 5.000 მებრძოლი. ავდი ბეიმ არ იცოდა რუსეთის ჯარის რაოდენობა და ამიტომ ბრძოლაში ჩამბისაგან თავი შეიკავა. ამან კაპიტან კიშკინს საშუალება მისცა უბრძოლველად შესულიყო ანყურის ციხეში. ანყურის კომენდანტმა სურამიდან დამხმარე ძალის მისვლამდე სოფელი ანყური გადაწვა და თავდაცვისათვის მოემზადა. პოლკოვნიკი ბურცევი ხერსონის გრენადერთა პოლკის ძირითადი ძალებით გორიდან მხოლოდ 24 თებერვალს გავიდა. ცუდი გზებისა და უამინდობის გამო პოლკი ნელა მოძრაობდა. 26 თებერვალს რუსებმა მტკვრის ხეობაში გოგიას ციხეს მიაღწიეს. ბურცევი აქ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასვლას აპირებდა. მაგრამ წყლის დონე ძალზე ანეული იყო, ასე რომ, გადასვლა თუ საერთოდ შესაძლებელი გახდებოდა, ძალზე გაჭიანურდებოდა. გარდა ამისა, ვიდრე ახალციხეს მიაღწევდა, ჯარს კიდევ ორჯერ მოუხდებოდა მტკვრის გადალახვა. გოგიას ციხესთან არსებული ფონის დასაცავად ოსმალთა რაზმი არ იდგა, მაგრამ ბურცევმა იცოდა, რომ მეორე და მესამე გადასასვლელთან ოსმალები დახვდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ გოგიას ციხესთან არსებულ ფონზე გადასვლის შემდეგ ბურცევმა კაზაკთა 2 ასეული მეორე და მესამე

გადასასვლელის დასაცავად გაგზავნა, რომ კაზაკებს ოსმალები-სათვის ფონების დაკავების საშუალება არ მიეცათ. გაუფალი გზით მოძრაობის გამო კაზაკები შეფერხდნენ, რის გამოც ავდი ბეის ცხენოსნებმა ორივე ფონის დაკავება მოასწრეს. პირველსავე ფონთან კაზაკებს აჭარელთა ცხენოსან ჯართან მოუხდათ შეტაკება. კაზაკებმა 2.000 ცხენოსნის შემოტევას ვერ გაუძლეს და სასწრაფოდ დაიხიეს უკან. ცხადი გახდა, რომ მტკვრის ორივე ფონზე რუსები ბრძოლით უნდა გადასულიყვნენ, რაც ძალზე ძნელი იყო. მდგომარეობას ამსუბუქებდა ის, რომ ფონებს აჭარელთა ცხენოსანი ჯარი იცავდა, მონინაალმდეგეს იქ ქვეითი ჯარი არ ჰყავდა. ავდი ბეი ხიმშიაშვილი პოლკოვნიკ ბურცევის ხერსონის გრენადერთა პოლკის წინსვლას ხელს ვერ უშლიდა, რადგან აწყურის ციხის ალყით იყო დაკავებული. პოლკი ბრძოლით მიიკვლევდა გზას. ბედად, ავდი ბეიმ ჩათვალა, რომ რუსების შეტევას ვერ შეაჩერებდა, უკან დაიხია და სოფელ **წინუბანში** გამაგრდა. წინუბნის დაკავების გარეშე რუსები ახალციხემდე ვერ მივიდოდნენ. აწყურის ციხის გარნიზონმა მონინაალმდეგის რამდენიმე შეტევა მოიგერია. ამან ბურცევს საშუალება მისცა სოფელ წინუბანზე გალაშქრებისაგან თავი შეეკავებინა და გენერალ-მაიორ ნიკოლაი მურავიოვის გამოჩინას დალოდებოდა. მურავიოვის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარი კი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო (ქვეითთა 2 პოლკი, კაზაკთა 1 პოლკი, ქვეითთა 1 ბატალიონი, 13 საველე ზარბაზანი). მურავიოვის ჯარიც ნელა მოძრაობდა, იგი ლაშქრობის დაწყებიდან ახალციხეს მხოლოდ მეათე დღეს თუ მიაღწევდა. ეს კი მნიშვნელოვნად ართულებდა სოფელ წინუბანთან შეჩერებული რუსების მდგომარეობას. ბურცევი დარწმუნდა, რომ ახალციხის გარნიზონი მოალყე ჯარის შეტევას დიდხანს ვეღარ გაუძლებდა და ამიტომ გადაწყვიტა მურავიოვს აღარ დალოდებოდა და ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად დაძრულიყო. ბურცევს სწრაფად უნდა ემოქმედა, რადგან მას ზურგში ავდი ბეის ძლიერი ცხენოსანი ჯარი ედგა. 1829 წლის 2-3 მარტს ღამით რუსებმა სოფელ წინუბანთან გამაგრებული მონინაალმდეგე დაამარცხეს, რის შემდეგაც გზა ახალციხისაკენ გაიხსნა. წინუბნიდან ბურცევმა მცირერიცხოვანი რაზმები გაგზავნა ახალციხისაკენ, რათა სასიგნალო მამხალეებით გარნიზონისათვის ემცნოთ, რომ ქალაქს რუსეთის ჯარი უახლოვდებოდა. აჰმედ ბეი ხიმშიაშვილმა ბურცევის რაზმის მისვლამდე 3 მარტს ახალციხეს ალყა მოხსნა და უკან დაიხია.

ბურცევის რაზმი ახალციხეში 4 მარტს, ნაშუადღევს, შევიდა, სამი დღის შემდეგ ახალციხეში გამოჩნდა გენერალ-მაიორ მურავიოვის ჯარის მონინავე რაზმებიც.

წურწკაბის ბრძოლა. 1829 წლის აპრილში კავკასიის მთავარ-სარდალ ივან პასკევიჩისათვის ცნობილი გახდა, რომ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი (80.000 მეზრძოლი 60 ზარბაზნით) ერთ-დროულად აპირებდა შეტევას **ყარსის, ახალციხის** და **ბაიაზეთის** დაკავების მიზნით. იმავდროულად, ტრაპიზონის ფაშა 70.000 მეზრძოლით იმერეთსა და გურიამი შეჭრას გეგმავდა. ვითარება ძალზე საგანგაშო იყო, კავკასიის მთავარსარდალს დაუყონებლივ უნდა გაეტარებინა გადამწყვეტი ღონისძიებები. ივან პასკევიჩმა გენერალ-მაიორ ივან ბურცევს უბრძანა ხერსონის გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონით გორიდან დაუყონებლივ გადასულიყო აწყურში და იქ დალოდებოდა ახალციხეში მოვლენათა განვითარებას. დიდთოვლობის გამო დაზიანებული გზები, მტკვარზე დანყებულნი წყალდიდობა ხელს უშლიდა ჯარის გადაადგილებას. ივან ბურცევმა აწყურს მხოლოდ 17 აპრილს მიაღწია, მაგრამ არ შეჩერებულა, გზა გააგრძელა და ახალციხიდან 40 ვერსის მოშორებით **აბასთუმანში** დაბანაკდა. ახალციხის ოლქის უფროსმა გენერალ-მაიორმა ვასილი ბებუთოვმა ბურცევს მოსთხოვა დაესაჯა იმ სოფლების მოსახლეობა, რომელთაც ახალციხის ალყის დროს ოსმალებს დაუჭირეს მხარი. ბურცევმა აბასთუმნიდან აჭარის საზღვრამდე ბევრი სოფელი გადანვა, მოსახლეობა ბინებისა და სურსათის გარეშე დატოვა. დამსჯელი ექსპედიციის დასრულების შემდეგ ბურცევი აწყურთან დაბანაკდა. 1829 წლის 25 აპრილს აჰმედ ბეი ხიმშიაშვილი ახალციხეზე სალაშქროდ დაიდრა. ბებუთოვმა აჭარელთა ძლიერი ჯარის შეჩერება გენერალ-მაიორ ბურცევს დაავალა. 30 აპრილს ხერსონის გრენადერთა პოლკი აწყურიდან ახალციხისაკენ დაიდრა. ივან ბურცევს გზაში შეუერთდა ახალციხიდან დაძრული შირვანის ქვეითთა და დონის კაზაკთა პოლკები. ივან ბურცევმა შეიტყო, რომ აჰმედ ბეი ხიმშიაშვილი არტანისაკენ მიემართებოდა. ბურცევი სწრაფი მარშით სოფელ **წურწკაბისაკენ** გაემართა, რათა აჰმედ ბეისათვის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტის დაკავება დაესწრო. აჰმედ ბეიმ რუსების მანევრი ამოიცნო და წურწკაბი მათ მისვლამდე დაიკავა. წურწკაბთან მისული ბურცევი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: თუ რუსები უკან დაიხევდნენ, მონინალმდევე

50 ვერსის მანძილზე მათ დევნას არ შეწყვეტდა, ამიტომ იყო, რომ ბურცვემა შეტევა გადანყვიტა. ხელჩართულ ბრძოლებში დიდი მსხვერპლის ფასად რუსებმა აჰმედ ბეის წურნკაბის გარშემო ყველა პოზიცია დაატოვებინეს. აჰმედ ბეის განკარგულებაში რჩებოდა მხოლოდ ხის მაღალი გალავნით შემოზღუდული წურნკაბის სიმაგრე. სოფელში გამაგრებული იყო ყველა სახლი. ბურცვემა ჯარი შეასვენა, მაგრამ აჰმედ ბეისაც დამხმარე ძალა მოუვიდა და მანაც დაუყო-ნებლივ შეუტია რუსებს. ცხარე ბრძოლები დაღამებამდე გაგრძელდა, ბურცვემა დაკავებული პოზიციები შეინარჩუნა, მაგრამ სოფლიდან აჰმედ ბეის განდევნა ვეღარ შეძლო. მეორე დილით რუსები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე და სოფლის დაკავება სცადეს. მართალია, მონინაალმდეგემ რუსების შეტევა მოიგერია, მაგრამ აჰმედ ბეიმ მოულოდნელად სოფელი დატოვა. დილით ბურცვეი წურნკაბში შევიდა და სოფელი გადანვა. წურნკაბთან მიმდინარე ცხარე ბრძოლების დროს ბებუთოვს აცნობეს, რომ ბურცვეის ხერსონის გრენადერთა პოლკის ზურგში მონინაალმდეგის რაზმები გამოჩნდნენ. ბებუთოვმა ბურცვეის დასახმარებლად დაუყოვნებლივ გაგზავნა შირვანის პოლკის 1 ბატალიონი. ამის შემდეგ ახალციხის ციტადელში რუსეთის ჯარის 3 ასეულილა დარჩა. ახალციხეზე ოსმალთა შეტევის შემთხვევაში გარნიზონი ალყას დიდხანს ვერ გაუძლებდა. აჰმედ ბეი ხიმშიაშვილის სოფელ წურნკაბიდან უკან დახვევის შემდეგ ახალ-ციხეზე ოსმალთა შეტევის საშიშროება აღარ არსებობდა. წურნკა-ბიდან გენერალ-მაიორი ივან ბურცვეი მტკვრის ხეობაში დაბრუნდა და აწყურსა და ახალციხეს შორის შეჩერდა.

ოსმალთა ახალი შემოტევა ახალციხის დაკავების მიზნით. მართალია, გენერალ-მაიორმა ივან ბურცვემა აჰმედ ბეი ხიმშიაშ-ვილის დამარცხება შეძლო, მაგრამ ოსმალები ამის შემდეგაც ცდი-ლობდნენ **ყარსისა** და **ახალციხის** დასაბრუნებლად შეტევის დაწყებას. აუცილებელი იყო ორივე სტრატეგიული მიმართულების (ყარ-სისა და ახალციხისა) დაცვა, გარნიზონების გაძლიერება და რეზერვების შექმნა. ამ მიზნით **ბურცვეის** ხერსონის გრენადერთა პოლკი კვლავ ახალციხესთან დადგა, რათა არტაანიდან ოსმალთა შემოტევას აღდგომოდა წინ. გენერალ-მაიორ **ნიკიტა პანკრატიევის** ყაბარდოს ქვეითთა პოლკს, სევასტოპოლის ქვეითთა პოლკსა და დონის კაზაკთა 2 პოლკთან ერთად ყარსი უნდა დაეცვა. ყარსის დასაცავად დამატებით გადაისროლეს ეგერთა 42-ე პოლკი და მე-40

და 41-ე პოლკების თითო ბატალიონი 12 სააღმოსავლეთო და 8 მსუბუქი ზარბაზნით. რეზერვს შეადგენდა ახალციხეში განლაგებული გენერალ-მაიორ ნიკოლაი მურავიოვის კავკასიის გრენადერთა ბრიგადა 28 ზარბაზნით. კავკასიის კორპუსის მთელი კავალერია ორ ნაწილად გაიყო. მუსლიმთა 2 პოლკი, ულანთა და შავი ზღვის კაზაკთა პოლკები გენერალ-მაიორ პანკრატიევის განკარგულებაში გაიგზავნა, ხოლო ნიჟეგოროდის დრაგუნთა, ჩრდილო კავკასიის კაზაკთა, დონის კაზაკთა და მუსლიმთა პოლკები მურავიოვის სარეზერვო ჯარს შეუერთდა. თბილისში დარჩა მხოლოდ ყირიმის ქვეითთა პოლკი და მე-20 საარტილერიო ბრიგადის 2 ბატალიონი. თბილისში განლაგებული ჯარი არასაკმარისი იყო, პასკევიჩი იძულებული გახდა ქართლისა და საკუთრივ თბილისის დასაცავად ქართული მილიციის (სახალხო ლაშქრის) მობილიზაცია გამოეცხადებინა. გორის, დუშეთის, სიღნაღისა და თელავის მაზრებში 2.000 ქართველი ცხენოსანი შეიკრიბა. ქართული მილიცია ორ ნაწილად გაყვეს, ერთი ნაწილი ალაზნის ნაპირებზე განლაგდა, ხოლო მეორემ პოზიციები მტკვრის ხეობაში დაიკავა. 1829 წლის 16 მაისს კავკასიის მთავარსარდალი პასკევიჩი ახალქალაქში ჩავიდა. მას აცნობეს, რომ ოსმალთა ჯარი (15.000 მებრძოლი) კიაჰი ბეის მეთაურობით არტაანს უახლოვდებოდა. კავკასიის მთავარსარდალმა გენერალ-მაიორ მურავიოვის სარეზერვო ჯარის 1 კოლონა კიაჰი ბეის წინააღმდეგ დაძრა. მოწინააღმდეგე ბრძოლაში არ ჩაება და აჭარის ტერიტორიაზე დაიხია.

ოსმალთა დამარცხება მდინარე ფოცხოვზე. აჰმედ ბეი ხიმშიაშვილის დამარცხების მიუხედავად, ვითარება არტაანის რაიონში კვლავ დაძაბული იყო. ივან პასკევიჩის ბრძანებით ყარსიდან ეგერთა მე-40 პოლკის 1 ბატალიონი 4 ქვემეხით არტაანში გადაიყვანეს. ეს ბატალიონი ჯერ კიდევ გზაში იმყოფებოდა, როდესაც ნიკიტა პანკრატიევის აცნობეს: ოსმალთა დიდი ძალები **ოსმან ფაშას** სარდლობით ყარსის მიმართულებით აპირებდა შეტევას, ხოლო კიაჰი ბეი ახალციხეზე სალაშქროდ ემზადებოდა. მალე კიდევ ერთი საგანგაშო ცნობა მიიღეს, ვანის ფაშა ბაიაზეთზე შეტევისათვის ემზადებოდა. შექმნილი ვითარება პასკევიჩს აიძულებდა, კავკასიის კორპუსის ჯარები გადაეჯგუფებინა. გენერალ-მაიორ მურავიოვისა და გენერალ-მაიორ ბურცევის ჯარები გაერთიანდა, რათა მდინარე ფოცხოვის ხეობიდან გამოსასვლელი ჩაეკეტა. ამ განკარგულების შემდეგ 1829 წლის 30 მაისს პასკევიჩი ნიჟეგოროდის დრაგუნთა, ჩრდილო

კავკასიის კაზაკთა პოლკებით და ქვეითთა 2 ასეულით ახალქალაქიდან ყარსისაკენ გაემართა. პასკევიჩის ყარსში ჩასვლის შემდეგ ყარსის გარნიზონის რაოდენობა 8 ბატალიონამდე გაიზარდა, თუმცა ოსმალთა ჭარბი ძალების შემოტევის შემთხვევაში გარნიზონი მაინც ძალზედ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. პასკევიჩი ყარსში 1829 წლის 1 ივნისს ჩავიდა. 2 ივნისს გენერალ-მაიორი ნიკიტა პანკრატიევი ოსმალთა შესახვედრად დაიძრა, მაგრამ მათ სასწრაფოდ უკან დაიხიეს. 5 ივნისს გენერალ-მაიორმა მურავიოვმა ყარსში მყოფ პასკევიჩს აცნობა, რომ კიაჰი ბეის ჯარი დამარცხებული იყო. მურავიოვმა და ბურცევმა არაფერი იცოდნენ ყარსთან შექმნილი ვითარების შესახებ. ყარსიდან პასკევიჩმა ახალციხეში ბურცევთან კურიერი გაგზავნა, მაგრამ გენერალი ახალციხეში არ აღმოჩნდა. კურიერი ბურცევს დაედევნა და მხოლოდ 30 მაისის ღამით დაენია. ბურცევი იმ სოფლების გადანვით იყო დაკავებული, რომელთაც რუსეთს მორჩილება არ გამოუცხადეს. კურიერმა ბურცევს პასკევიჩის ბრძანება გადასცა, რომ იგი დაუყოვნებლივ შეერთებოდა მურავიოვს. ბურცევს ამ ბრძანების შესრულება არ შეეძლო, რადგან პოლკის ძირითადი ნაწილი მას ახალციხეში დაეტოვებინა. შექმნილ ვითარებაში ბურცევმა ასეთი გადანყვეტილება მიიღო: მასთან მყოფი ხერსონის გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი და 200 კაზაკი 4 ზარბაზნით პოლკოვნიკ **ჰოფმანის** მეთაურობით დაუყოვნებლივ მურავიოვს ჯართან შესაერთებლად გაგზავნა, ხოლო თავად ახალციხისაკენ გაემართა. პოლკოვნიკი **ჰოფმანი** 1829 წლის 1 ივნისს მდინარე ფოცხოვს მიუახლოვდა. კაზაკები მდინარეზე გადავიდნენ თუ არა, ოსმალებმა საბრძოლო განგაში გამოაცხადეს და შეტევა წამოიწყეს. მურავიოვმა არ იცოდა, რომ პოლკოვნიკი **ჰოფმანი** მასთან შესაერთებლად მიემართებოდა, როდესაც მან **ჰოფმანის** მიახლოება შეიტყო და მდინარეზე გადასული კაზაკები შენიშნა, ბრძოლისათვის მოემზადა. გენერალმა კაზაკებს 60 ქვეითი დაახმარა და ფოცხოვზე გადასასვლელის დაცვა უბრძანა. თავად მურავიოვი ხერსონის გრენადერთა პოლკის 3 ასეულითა და 4 ზარბაზნით მდინარე ფოცხოვის მარჯვენა მხარეზე გამაგრდა და მოწინააღმდეგეს დაელოდა. დღის 12 საათზე ოსმალებმა მურავიოვის პოზიციებს შეუტიეს. რუსებმა მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების (6.000 მებრძოლი) შეტევას ნაშუადღევს 3 საათამდე გაუძლეს. მოწინააღმდეგე უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, როდესაც ბურცევის ხერსონის

გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონი და შირვანის ქვეითთა პოლკი გამოჩნდა. ოსმალებმა ბრძოლა მაშინვე შეწყვიტეს და უკან დაიხიეს. 1829 წლის 3 ივნისს ყარსში პასკევიჩმა დიდი ზეიმით აღნიშნა მდინარე ფოცხოვის ნაპირზე ოსმალთა დამარცხება.

არზრუმის დაკავება. ახალციხის რაიონში ოსმალთა ახალი შემოტევა მოსალოდნელი აღარ იყო, ივან პასკევიჩმა გადანყვიტა მთელი ძალები ყარსის მიმართულებით გადაესროლა. ამ დროისათვის კავკასიის მთავარსარდლის დაქვემდებარებაში ქვეითთა 14 ბატალიონი, 12 საკავალერიო პოლკი და 70 მძიმე და მსუბუქი ზარბაზანი იყო. ყარსიდან **არზრუმის** მიმართულებით შეტევის დაწყებისათვის რუსებს მოწინააღმდეგის ძალების შესახებ ცნობები უნდა მოეპოვებინათ. ასეთი სანდო ცნობები პასკევიჩს არ ჰქონდა, სხვადასხვა გზით მოპოვებული ცნობები კი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. 1829 წლის 12 ივნისს პასკევიჩმა ყარსიდან არზრუმის მიმართულებით გენერალ-მაიორ ფიოდორ ბეკოვიჩ-ჩერკასკის მეთაურობით კაზაკთა მზვერავი რაზმი გაგზავნა. მზვერავები მეორე დღეს დილით დაბრუნდნენ და მოპოვებული ცნობები მთავარსარდალს წარუდგინეს. პასკევიჩმა გადანყვიტა დაუყონებლივ დაენყო **სოლანლულის** მთების გადალახვა. 1829 წლის 13 ივნისს კავკასიის კორპუსის მოწინავე ძალები ბანაკიდან გავიდნენ. 5 ვერსის გავლის შემდეგ პასკევიჩმა ჯარი ორ ნაწილად გაყო. ხერსონის გრენადერთა პოლკი და კაზაკთა ბრიგადა 10 ზარბაზნით მარცხენა ფლანგზე იმოქმედებდა. ჯარის დანარჩენი ნაწილი ბანაკად იდგა და მოვლენათა განვითარებას ელოდა. მეორე დღეს გენერალ-მაიორი ივან ბურცევი 15 ვერსზე მიუახლოვდა ოსმალთა ბანაკს. ყველასათვის მოულოდნელად, ოსმალებს რუსებისათვის წინააღმდეგობა არ გაუნევიათ. 14 ივნისს, გამთენიისას, რუსების კავალერიამ სოლანლულის ქედის ჩრდილოეთ კალთები გადალახა და სამხრეთ კალთებზე დასაშვებად მოემზადა. რუსები კარგად ხედავდნენ დაბლობში განლაგებულ ოსმალთა ჯარს. რუსების კავალერიის მოულოდნელმა გამოჩენამ და სოლანლულის მთების ქედზე პოზიციების დაკავებამ ოსმალთა ბანაკში დიდი არეგ-დარევა გამოიწვია. 14 ივნისს დილის 8 საათზე სოლანლულის სამხრეთ კალთებზე დასაშვებად გამზადებულ რუსეთის კავალერიას ცხენოსანთა ახალი რაზმები მიემატა. პასკევიჩმა დაუყონებლივ შეტევისაგან თავი შეიკავა, რადგან ჯარმა თითქმის

შეუსვენებლად გაიარა 40 ვერსი და შეტევის წინ დასვენებას საჭიროებდა. რუსებმა შესვენება მაინც ვერ შესძლეს. 14 ივნისს შუადღისას ოსმალთა ცხენოსანი ჯარი თავს დაესხა რუსების პოზიციის წინ განლაგებულ კაზაკთა საგუშაგოებს. კაზაკებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან. რუსთა ბანაკში საბრძოლო განგაში გამოცხადდა. გენერალ-მაიორი ნიკოლაი რაევსკი კაზაკთა 3 პოლკით მონინალმდეგის ცხენოსნებთან შესაბრძოლებლად გაემართა. კაზაკებს უკან მიჰყვა ქვეითთა 2 პოლკი ზარბაზნებით. ოსმალები ბრძოლაში არ ჩაებნენ და უკან დაიხიეს. 14 ივნისს კაზაკებმა ხელთ იგდეს 3 ოსმალო ჯარისკაცი. ერთ-ერთმა ტყვემ რუსებს აცნობა, რომ ბანაკიდან რამდენიმე ვერსის მოშორებით ოსმალთა საქონლის დიდი ჯოგი ძოვდა. ამ ცნობის შესამოწმებლად დაუყონებლივ გაიგზავნა ცხენოსანთა 2 ასეული. როგორც აღმოჩნდა, ტყვემ იცრუა, რუსებმა ჯოგი ვერ იპოვეს. ცხენოსნები ოსმალთა ჩასაფრებას წააწყდნენ და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს. შეტევისათვის გამზადებული რუსეთის ჯარი სოღანლუღის ქედზე იდგა და სურსათითა და ტყვია-წამლით დატვირთული ალაღის მოსვლას ელოდა. რუსთა ალაღი სოღანლუღის მთების ჩრდილოეთ კალთებთან მხოლოდ 15-16 ივნისს გამოჩნდა. ალაღს უკან მიჰყვებოდა გენერალ-მაიორ ბურცევის კოლონა. ალაღისა და დამხმარე ძალის გამოჩენის შემდეგ პასკევიჩმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტა მონინალმდეგე ძალების დაზვერვა. მზვერავი რაზმები 17 ივნისს შეუდგნენ მიღებული ბრძანების შესრულებას. მცირე მანძილის გავლის შემდეგ მზვერავები ოსმალთა ჩასაფრებას წააწყდნენ. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ რუსებს ტყვია-წამალი გაუთავდათ, მდგომარეობა იხსნა მზვერავთა დასახმარებლად გაგზავნილმა ერევნის ქვეითთა და დონის კაზაკთა პოლკებმა, რომელთა საერთო მეთაურობას პოლკოვნიკი **ფრიდერიქსი** ახორციელებდა. ოსმალებმა შეტევას ვერ გაუძლეს და დიდი ზარალით უკან დაიხიეს. რუსებმა დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. მალე პასკევიჩს მზვერავებმა აცნობეს, რომ ოსმალთა სარდალმა **ოსმან** ფაშამ ძალები გადააჯგუფა და ძლიერი კორპუსით (12.000 მეზობლი) კვლავ შეტევისათვის ემზადებოდა. ოსმან ფაშას განზრახვის შესახებ რუსებმა 1829 წლის 17 ივნისს შეიტყვეს. 18 ივნისს პასკევიჩმა შეტევის დაწყების ბრძანება გასცა. რუსეთის ქვეითი ჯარის 6 ბატალიონი 20 ზარბაზნით იმ პოზიციაზე განლაგდა, რომელიც სოღანლუღის ქედზე რუსმა კავალერისტებმა ჯერ კიდევ

14 ივნისს გამთენიისას დაიკავეს. 19 ივნისს დაიწყო შეტევა. შეტევაზე პირველი დაიძრა გენერალ-მაიორ ნიკოლაი რაევსკის კავალერია, რომელსაც უკან მიჰყვნენ გენერალ-მაიორ პანკრატიევის ქვეითები. დილის 10 საათისათვის ყველა საჯარისო ნაწილი ბრძოლაში იყო ჩართული. რუსეთის ჯარი **ზივინის** დაკავების მიზნით ორი გზით მიემართებოდა. მთავარ დამრტყმელ ძალას გენერალ-მაიორ მურავიოვისა და გენერალ-მაიორ ბურცევის კოლონები შეადგენდა. ბურცევის კოლონას შეჯახება მოუხდა ოსმალთა ჭარბ ძალებთან (10.000-12.000 მეზრძოლი). რუსები მთელი დღის განმავლობაში იგერიებდნენ მოწინააღმდეგის შეტევას. წარმატებით მოქმედებდა კავალერია, რომელმაც მძიმე ბრძოლების შემდეგ **ყარაურგანს** მიაღწია, სადაც მცირე ხნით შეისვენა. ქვეითმა ჯარმა ოსმალებს ზივინის მისადგომებამდე მისდია. ზივინზე დაუყონებლივ შეტევა ივან პასკევიჩმა ვერ გაბედა, რადგან იქ ოსმალთა ძლიერი კორპუსი (18.000 მეზრძოლი) იდგა. სამაგიეროდ, ოსმალო სარდალმა სასწრაფოდ დატოვა ზივინი. რუსებმა ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი უბრძოლველად დაიკავეს. პასკევიჩმა ოსმალების უკან დახევით ისარგებლა, შეტევა გააგრძელა და 1829 წლის 27 ივნისს **არზრუმი** დაიკავა. არზრუმის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში 19 ივნისს მძიმედ დაიჭრა გენერალ-მაიორი ბურცევი, რომელიც 23 ივნისს გარდაიცვალა კიდეც. 1829 წლის ივლისში რუსებმა ოსმალთა ჯარებისაგან განმინდეს მდინარეების: **ჭოროხის**, **მტკვრისა** და **არტაანის** აუზები, მთელი **შავშეთი**. მცირე შეტაკებები ოსმალთა ჯარის ნარჩენებთან ოლთისსა და სხვა ადგილებში 1829 წლის სექტემბერშიც გრძელდებოდა.

რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის 2 სექტემბრის საზავო ხელშეკრულება (ადრიანოპოლის ტრაქტატი).

1829 წლის 2 სექტემბერს ადრიანოპოლში დადებული რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) მეოთხე მუხლის ძალით, ოსმალეთმა აღიარა ქართლის, კახეთისა და ქარ-ბელაქნის (საინგილოს) გადასვლა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში, ანუ აღიარა რუსეთ-ირანის გულისთანისა (1813 წ.) და თურქმანჩაის (1828 წ.) ზავების პირობები. ოსმალეთმა ასევე აღიარა იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის გადასვლა რუსეთის მფლობელობაში. იმავე მეოთხე მუხლის ძალით, **რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი** იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ჩოლოქის შავ ზღვაში

ჩადინების ადგილიდან და მისდევდა ჩოლოქს, შემდეგ სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა იმერეთის სამხრეთ საზღვრებს, ახალციხისა და ყარსის საფაშოების საზღვრებს, ისე, რომ ახალციხე და ახალქალაქი რუსეთის იმპერიაში რჩებოდა (ახალციხიდან და ახალქალაქიდან ოსმალეთის საზღვარი დაშორებული უნდა ყოფილიყო არანაკლებ ორი საათის სავალისა). რუსეთ-ოსმალეთის ახალი სასაზღვრო ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები – ყარსის, ბაიაზეთისა და არზრუმის საფაშოები და ახალციხის საფაშოს უმეტესი ტერიტორია (სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი) – რჩებოდა ოსმალეთის შემადგენლობაში. რუსეთის შემადგენლობაში გადადიოდა შავი ზღვის სანაპირო მდინარე ჩოლოქის შესართავიდან, უფრო ზუსტად, წმინდა ნიკოლოზის სიმაგრიდან (შეკვეთილიდან) მდინარე ყუბანის შესართავამდე. რუსეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა ყარსის, ბაიაზეთისა და არზრუმის საფაშოების ტერიტორია და ახალციხის საფაშოს ნაწილი.

**ხეობრქელას ბრქოლა
(1924 წლის 9 საქტამბერი)**

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ ისტორიული აქტით განხორციელდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმაღლესი მიზანი - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რუსეთის იმპერიის 117-წლიანი კოლონიური ბატონობის შემდეგ.

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა იმპერიული და იდეოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე, დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობა, რითაც დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა მის მიერვე ცნობილი ქვეყნის ოკუპაცია, რასაც შემდგომში მისი ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კი პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ერთ ნაწილთან ერთად ემიგრაციის მწარე ხვედრი გაიზიარა.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაციითა და ანექსიით ფიზიკურად დაღუპა დემოკრატიულ რელსებზე, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის გზაზე მდგარი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მან ქართველ ხალხს მეორედ დაადგა კისერზე მონობის მძიმე და სამარცხვინო უღელი და საქართველო მეორედ ჩაითრია იმპერიის მარნუხებში.

სწორედ აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობეს ის მწვავე განმათავისუფლებელი ბრძოლა დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის, რომელიც ქართველი ერის დიდი ნაწილის ნება-სურვილმა განაპირობა და რომელსაც ადგილი ჰქონდა

საქართველოში მისი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან 1921 - 1924 წლებში.

საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 - 1921 წწ.) ოკუპაციას ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ოკუპაციიდან 1 წლის შემდეგ, 1922 წლის თებერვალში მშვიდობიანი ანტიბოლშევიკური გამოსვლებით, საპროტესტო აქციებით, მიტინგებით და დემონსტრაციებით უპასუხა. 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში კი იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ დუშეთის მაზრასა და ფშავ-ხევსურეთში, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ცხენოსანი დივიზიის I ასეულის უფროსი, სიღნაღის მაზრის ს. მატანში აღზრდილი, პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, რომელიც საბჭოთა წყობილებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად 1922 წლის 12 მარტიდან „შეფიცულებით“ ტყეში იყო გასული. შეიარაღებულ აჯანყებას კი ფაქტობრივ კოორდინაციას უწევდა 1922 წლის მაისში შექმნილი საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ინტერპარტიული გაერთიანება - „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და მასთან ჩამოყალიბებული „სამხედრო ცენტრი“... აჯანყება, სამწუხაროდ, მარცხით დასრულდა. „საქართველოს დამოუკიდებლობის (პარიტეტული) კომიტეტის“ კოორდინაციით მიმდინარეობდა საქართველოს 1924 წლის აჯანყებაც...

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და მისმა „შეფიცულებმა“, 1924 წლის 6 სექტემბერს, ერწო-თიანეთის ს. სიმონიანთხევში გამართული ბრძოლის შემდეგ, თიანეთის მაზრიდან გადაინაცვლეს თელავის მაზრაში (2;243) და ბინა ხევგრძელას ტყეებში დაიდეს (1;167). ეს პატარა მდინარე ერწოსა და თიანეთის მიჯნაზე ჩამოდის და ერთვის უფრო მოდიდო მდინარე ილტოს, რომელიც ალაზანში ჩადის; ადგილი მაღალი მთიანი და ტყიანი იყო. არავითარი საბუთი არ იყო, რომ მტერი ასეთ ადგილებში შემოვიდოდა და ქაქუცამ აქ დაასვენა რაზმი (3;39). სოფლებმა მათ მოუტანეს სურსათი (3;25). „შეფიცულები“ - ალექსანდრე სულხანიშვილი და გაბო ოზიამშვილი წავიდნენ ბანაკის ირგვლივ მიდამოების დასათვალიერებლად, რომ გაეგოთ, თუ რა სიმაგრე, ან რანაირი მდებარეობა ჰქონდა მას. ამ დაზვერვისას წააწყდნენ ერთ ოსს. მას ხელში პატარა ცული ეჭირა, ვითომ რალაცის მოსაჭრელად იყო წამოსული. მათ ეს ოსი მაშინვე ბინაზე წაიყვანეს,

ქაქუცას ნარუდგინეს ჯაშუშობის ბრალდებით და მოითხოვეს მისი დახვრეცა. მათი დაჟინებული მტკიცების მიუხედავად, ქაქუცამ ის ჯაშუშად არ მიიჩნია და გააშვებინა, მაგრამ ის ოსი მართლა ჯაშუში გამოდგა (1;167-168). ორი დღე ისვენებდნენ, რომ მოვიდა ქაქუცას შიკრიკი და მოახსენა, რომ დიდძალი ჯარი მოადგათ, ორი ზარბაზანი პირდაპირ სოფელზე იყო მოშვერილი, სოფელს კი განუცხადეს, რომ თუ არ მიასწავლიდნენ, სად იყო ჩოლოყაშვილი, მთელ სოფელს ამონყვეტდნენ და დაანგრევდნენ. ქაქუცამ უთხრა შიკრიკს, რომ წასულიყო და ეცნობებინა, სადაც იყო. ეს მოხდა საღამოს. ქაქუცამ შემოისხა მეთაურები, მისცა განკარგულება, თუ ვის რომელი მიმართულებით უნდა შეეცია (3;25). ქაქუცას, აჯანყების მთავარსარდალს, გენერალ სპირიდონ ჭავჭავაძეს და (3;39) „საქართველოს დამოუკიდებლობის (პარიტეტული) კომიტეტის“ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, შალვა ამირეჯიბს ნაბდები გაუშალეს და ყველანი მინვნენ (3;39). დილით (9 სექტემბერს) ადრიანად გავარდა თოფი. ქაქუცა წამოიჭრა. ამირეჯიბმა თვალისდახამხამებაში გაიძრო „ნაგანი“ და ჯიქურ წამოეშველა „შეფიცულებს“ (1;168). მოირბინა ყარაულმა და ქაქუცას მოახსენა, რომ რუსები ტყეში შემოსულიყვნენ. ამ რაზმის დანიშნულება იყო ის, რომ ქაქუცა თავისი რაზმით ხევგრძელაზე დაექანებინა, სადაც მოხერხებულ ადგილას მთავარი ძალები იყო ჩასაფრებული (3;40); რუსები უკვე თოფსა და ტყვიამფრქვევებს უშენდნენ რაზმელებს და ისინი მათ თავებს 30 ნაბიჯზე ხედავდნენ. ტყვიამფრქვევი ისე ლენდა ხშირი ტყის ტოტებს, თითქოს წალდით ჭრიდნენ. მთელი ბანაკი შეინძრა. რუსები ორი ადგილიდან ისროდნენ (3;39). მტრის მარცხენა ფრთამ ხევგალმიდან უკან დაიხია, გადმოვიდა მარჯვენა მხარეს, უვლიდნენ ზურგში. მათი მარჯვენა ფრთაც ასე მოიქცა, რაზმელებს მეორე მხრიდან დაუარეს ზურგში. მტერი კარგად ღრმად შემოიჭრა ტყეში(3;25). ქაქუცამ უბრძანა რაზმს უკან გადაენაცვლა, ხაზი დაეჭირა, ხოლო ერთ ჯგუფს ტყვიამფრქვევისათვის მოეწყო (3;39). ბოლოს მათი ორივე ფრთა გაერთიანდა და ერთად შეუტია მტერს (3;25). ქაქუცამ ბოლოს ეს დარაზმული ხალხი, სროლით და ყიყინით მტერზე დაუშვა და ოსტატურად შემოპარული მტერი ქვევით, ხევგრძელაზე დააქანა (3;39).

მტრის თავდასხმა, მათი გარეკვა, დევნა და ხევგრძელაზე დაშვება 15 ნუთზე მეტი არ გაგრძელებულა (3;39-40).

ხევგრძელაზე მომლოდინე რუსის ჯარმა იფიქრა, რომ მორბოდა ქაქუცას რაზმი და ზარბაზანი დაუშინა (3;40). ქაქუცამ რაზმს უბრძანა, რომ შეეჩერებინათ სროლა და შემოევლოთ ერთი პატარა გორაკისათვის, შემდეგ კი სასწრაფოდ მთის მწვერვალზე ავიდნენ. იქ, ქვემოთ კი, ზარბაზნების განუწყვეტელი სროლა ისმოდა. ქაქუცამ აუღელვებლად თქვა: „ეხლა დახოცეთ ერთმანეთი“. გენერალმა ჭავჭავაძემ მას უთხრა: „შენ მეორე ნაპოლეონი ხარ, ასე ეშმაკურად რომ შემოიტყუე ტყეში მტერი და ერთმანეთი ახოცინე“ (3;40). (იგულისხმება საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ I ბონაპარტეს მიერ რუსეთის და ავსტრიის ჯარების განადგურება აუსტერლიცთან (ბელგია) 1805 წლის 20 ნოემბერს. ზარბაზნის სროლა დიდხანს ისმოდა და, წარმოსადგენია, რა ზარალს მიაყენებდა მტერი თავის რაზმს. მოკლედ, ამ დღეს რუსის ჯარმა ერთმანეთი აწლიტა. ეს ამბავი რაზმელებმა მაშინვე გაიგეს და შემდეგ კიას ხევში რომ ჩავიდნენ, სხვებმაც დაუმონმეს მათ. ბოლშევიკებს ფარდაგადაფარებული ურმებით ჩამოჰქონდათ თელავში თავიანთი მკვდრები და დაჭრილები და სოფლის ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ისინი ქაქუცას რაზმელები იყვნენ (3;40).

მეორე დღეს (3;25) „შეფიცულები“ გომბორის მთაზე დაბანაკდნენ, იქ სოფლელ ხალხს ხვდებოდნენ და ისინი ეუბნებოდნენ, რომ ქაქუცას ჯარი სულ დაეხოცათ, ურმებით მოჰქონდათ მკვდრები, მათ კი ეცინებოდათ, რადგან იმ ბრძოლაში ერთი კაციც არ დასჭრიათ (3;25).

ასეთი მარცხის შემდეგ იყო, რომ ჩეკისტი მიასნიკოვი საჯარო ლექციაზე თბილისში ამბობდა, რომ თავის მოქმედებაში ჩოლოყაშვილი ისეთ პარტიზანულ ტაქტიკას მიმართავდა, რომ მასთან რეგულარული ჯარის ბრძოლა უშედეგო იყო. ქაქუცამ რომ ამ თავისი ტაქტიკით ბოლშევიკებს იმ დღეს ერთმანეთი აწლიტინა, მიასნიკოვს, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს (3;41).

ხევგრძელას ბრძოლა (1924 წლის 9 სექტემბერი) ერთ-ერთი ბრწყინვალე და სახელოვანი ფურცელია ქართველი ერის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან გამორულ მატინანეში, განსაკუთრებით კი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უაღრესად მნიშვნელოვან 1921-1924 წლებში. მან წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ერის მეხსიერებაში.

ხევერძელას ბრძოლა (1924 წლის 9 სექტემბერი) არის ერთ-ერთი ბრწყინვალე და თვალსაჩინო ფურცელი მსოფლიო სამხედრო ხელოვნებაში ბრძოლის სტრატეგიული და ტაქტიკური თვალსაზრისით.

დამონმებული ლიტერატურა:

1. ა. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, სან - ფრანცისკო, 1981.
2. ა. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბ., 2007.
3. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გ. შარაძის და გ. გვერდნითელის რედ., თბ., 1989.

სარჩევი

პოეზია ტარიელ ხარხელაური.....	3
პოეზია ეკა ბაქრაძე.....	8
პოეზია ივდო ოტობარი.....	14
პროზა გიორგი სოსიაშვილი..... უიღვლო ალალა	19
პროზა კლარა გელაშვილი..... დარღვეული პირობა	27
პროზა უჩა ლონღაძე..... საჭრიანლო	31
პროზა ირმა კეკელიძე..... მართა	44
პოეზია ლევან ქართლელი (კილაძე).....	53
პოეზია გიორგი ხორბალაძე.....	56
პოეზია დათო ლომიაი.....	63
პოეზია გიორგი გამსახურდია (გვიმრელი).....	68

თბილისი	
რეზა ნური გუნთეიჩინი	72
ილზლიანი ბავშვი	
მორიელი	
ლალი ბერიძე	77
სადაურსა საღ წაიყვან	
ემიბრანტული ჰროზა	
ნუნუ ლურჯუმალიძე, კანადა	85
ხელმეორედ დაბრუნება	
გოგიტა	
შურისძიება	
ბილეთი	
ტორტი თუ შორტი?	
ბანი-ბანი	
თბილისი	
კიკი დიძულა (1931-2016)	105
თბილისი	
გალატია კაზანძკი	116
ქალბატონი მარილო	
თბილისი	
მარგარეტე ნოიშანი (1917-2002)	119
თეთრი „ფიატი“	
თბილისი	
ლეონჰარდ ფრანკი (1882-1961)	124
ბარლინური სიყვარულის ამბავი -1945	
ინტერვიუ	
ინტერვიუ ქალაქის მერთან	132
ინტერვიუ	
ზაზაძეთა შთამომავალი თურქეთში	141
ბამოხმანობა	
ვახტანგ ინაური	147
სოსო ალიბარაშვილის „ლეკიანობა	
აღმოსავლეთ საქართველოში“	

ჯავახეთი

ირინა ნოზაძე153
ჩემი თვალთ დანახული ჯავახეთი

ნესტან კუტივაძე 155
ლოტოთი მთვრალი ქალაქი

ისტორია

ოთარ გოგოლიშვილი161
ბრძოლა ეროვნული ცნობიერების
ჩამოყალიბებისათვის ბათუმში XIX საუკუნის
ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში

ისტორია

ვახტანგ გურული 168
ბრძოლა სამცხისათვის (1828-1829 წწ.)

ისტორია

ელდშერ ნარიმანიძე 190
ხეობრილას ბრძოლა (1924 წლის 9 სექტემბერი)

შესწორება:

„არავის“ მე-12 ნომერში ყდაზე დაბეჭდილი ლექსის - „ექსპრომტი „არავს“, ავტორად მითითებულია მანანა ყიფიანი, ნაცვლად **მარინა ყიფიანისა**.

„არავის“ მე-13 ნომერში ემიგრანტული პოეზიის რუბრიკაში ავტორის გვარად მითითებულია მატარიძე, ნაცვლად **მატარაძისა**.

გამომცემლობა

„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com

კლარა გელაშვილი

თერხვი და არავი

ჩამოიქროლე, არავო,
ბარათს გატანენ ჩემთან,
ტაშისკრის კართან გაშალა
სუფრა თამამმა თერხვმა!
დრო შევერცხლილა...ვით თოთოს
დღემდე მარწევ და მკვებავ,
ჩემი ბავშვობის სარკმლიდან
შენს გამოსხმობას ვბედავ!
შუბლზე გრილ საფენს წლებია,
მადებს ქვიშხური თერხვი,
მეც რომ თქვენი მჭირს,
მაშინ ვგრძნობ,
როს ქარის წისქვილთ ვებრძვი...
კრთის სამხრეთული ციალი
ქართლში ნაშობი ლექსით,
მარჯვნივ - მესხური არავი,
მარცხნივ - ქვიშხური თერხვი!..

2017 წ.

ქვიშხეთი-თბილისი

ISSN 2346-836X



9 772346 836001